სერგო ვარდოსანიძე

გიორგი წერეთელი და საქართველოს ისტორიის პრობლემები

სერგო ვარდოსანიძე

ბიორბი წერეთელი და საქართველოს ისტორიის პრობლემები

თბილისი
2015

დიდი პატივისცემითა და მოკრძალებით ვუძღვნი ძვირფასი დედის შურა (ალექსანდრა) ვლადიმერის ასულ გოცირიძე-ვარდოსანიძის ნათელ ხსოვნას.

რედაქტორი: პროფესორი † მიხეილ გაფრინდაშვილი

წინასიტყვაობა

1984 წლის ოქტომბერში ჩავაბარე ასპირანტურაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, სადაც ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მიხეილ გაფრინდაშვილის ხელმძღვანელობით სადისერტაციო თემად შევარჩიე XIX საუკუნის II ნახევრის ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი ექვთიმეს ძე წერეთლის შემოქმედება, მისი დამსახურება საქართველოს ისტორიის კვლევისა და პოპულარიზაციის საქმეში. ოთხწლიანი მუშაობის შემდეგ 1989 წლის 17 ნოემბერს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტთან არსებულ სპეციალიზირებულ საბჭოს სხდომაზე (შიფრი: 007.13.02), რომელსაც ესწრებოდნენ: სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ,პროფესორი გრიგოლ მარგიანი. სადისერტაციო საბჭოს წევრები: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები: მარიამ ლორთქიფანიძე, მამია დუმბაძე, დავით მუსხელიშვილი, პროფესორები: ცეცილია კალანდაძე, გულჩინა აკოფაშვილი, ალექსანდრე ბენდიანიშვილი, ავთანდილ იოსელიანი, ფარნაოზ ლომაშვილი, მაყვალა ნათმელაძე, ოლღა სოსელია, თედო უთურაშვილი, ვალერიან მაჭარაძე, თენგიზ პაპუაშვილი, მიხეილ გაფრინდაშვილი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ჯუმბერ ოდიშელი. დავიცავი დისერტაცია, სადაც საბჭოს 15 წევრიდან 14-მა ერთხმად მხარი დაუჭირა ოფიციალური ოპონენტებს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორების ალექსანდრე ბენდიანიშვილის და ოთარ ჟორდანიას წინადადებას და მომენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

იმ ადამიანთა უმრავლესობა, რომელთაც სამეცნიერო ასპარეზზე გზა დამილოცეს საქმიანობისთვის დღეს ჩვენს გვერდით აღარ არიან, მაგრამ არასოდეს დამავიწყდება მათი მხარდაჭერა და თანადგომა. განსაკუთრებული

მადლიერებით უნდა ავღნიშნო ჩემი მეცნიერ-ხელმძღვანელის, დიდებული პიროვნებისა და მეცნიერის პროფესორ მიხეილ გაფრინდაშვილის დამსახურება, რომელმაც დისერტაცია გულდასმით წაიკითხა,გამართა და მისცა მას აკადემიური სახე. როგორც ახალფეხადგმულ ყმაწვილს სჭირდება მშობლების ყურადღება,სითბო და სიყვარული ასეა ახალბედა დისერტანტი და მისი პირველი ნაბიჯები მეცნიერულ სფეროში. ასეთი იყო ჩემთვის ბატონი მიხეილი, რომელიც ხარობდა ჩემი ყველა წარმატებით. ასევე მადლიერებით და პატივისცემით უნდა გავიხსენო ჩემი უფროსი მეგობრები: პროფესორები: შოთა ლომსაძე, კარლო ტაბატაძე, თეიმურაზ ბოცვაძე, ნიკოლოზ (ვახტანგ) ნანიტაშვილი, არჩილ ჩხეიძე, დავით ენუქიძე, სვიმონ გამსახურდია, ავთანდილ იოსელიანი... ღმერთმა მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს მათ სულებს.

დისერტაცია იყო ღვთის საჩუქარი ჩემი ძვირფასი დედის შურა (ალექსანდრა) გოცირიძე-ვარდოსანიძისათვის (1924-1998 წწ.).

25 წელი გავიდა ამ დისერტაციის დაცვიდან. მიუხედავად იმისა, რომ ამ ხნის მანძილზე ბევრი ცვლილებები მოხდა, როგორც პოლიტიკური, ასევე იდეოლოგიური თვალსაზრისით მაინც გადავწყვიტე უცვლელად დავბეჭდო 1984-1988 წლებში შექმნილი ეს მონოგრაფია.

სერგო ვარდოსანიძე
2014 წელი.

სარჩევი

შესავალი 6

I თავი. გიორგი წერეთელის დრო და მისი ისტორიოგრაფიული შეხედულებანი 11

1. XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოს ვითარება. . 11

2. პრობლემის კვლევის ისტორიიდან 20

3. ახალი დროის საისტორიო მეცნიერება და გიორგი წერეთლის ისტორიოგრაფიული შეხედულებანი . . 33

II თავი. გიორგი წერეთელი ძველი და შუა საუკუნის საქართველოს ისტორიის წყაროებისა პრობლემათა შესახებ 51

III თავი. გიორგი წერეთელი XIX საუკუნის საქართველოს და მსოფლიო ისტორიის პრობლემათა შესახებ 96

1. გიორგი წერეთელი ბატონყმური წყობილებისა და ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა შესახებ 96

2. გიორგი წერეთელი XIX საუკუნის ქართული ეროვნული ცნობიერების შესახებ 118

3. გიორგი წერეთელი და ხალხთა ურთიერთობის პრობლემები 127

4. გიორგი წერეთელი ისტორიულ მოღვაწეთა შესახებ. .136

5. გიორგი წერეთელი მსოფლიო ისტორიის პრობლემების შესახებ 144

ზოგადი დასკვნები 153

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა 161

დამატება 172

შესავალი

XIX საუკუნის 11 ნახევარი ერთ-ერთი საინტერესო ხანაა საქართველოს ისტორიაში. რთული სოციალურ-ეკონომიკური ვითარება, ცარიზმის მიერ ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვ ანი კულტურული ტრადიციების ნიველირების ცდა ქართველი ინტელიგენციის საპასუხო რეაქციას იწვევდა. ამ დროს საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში დიდი როლი შეასრულა რუსეთისა და დასავლეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ ტრადიციებზე აღზრდილმა ახალგაზრდობამ, თერგდალეულობამ, მისმა საუკეთესო წარმოამდგენლებმა ილ. ჭავჭავაძემ,აკ. წერეთელმა,ნ. ნიკოლოძემ, კ. ლორთქიფანიძემ და სხვებმა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში თერგდალეულთა როლი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში საფუძვლიანადაა შესწავლილი, მაგრამ დღეს როცა „მთელი ქვეყანა გადის გარდაქმნისეულ გამოცდას,როცა ადამიანები უფრო გაბედულნი გახდნენ,მეტი სიმტკიცე დაეტყო მათ მოქალაქეობრივ პოზიციას. წარსული წლების მანძილზე დაგვიგროვდა ბევრი ისეთი რამ,რისი თქმაც მათ დაუფარავად უნდათ“ (8,გვ. 71). არის ისეთი საკითხები,რომლებიც კიდევ მოითხოვს დაზუსტებას,გააზრებას ახლებურად. ამიტომ,როცა ლაპარაკია ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში მიმდინარე გარდაქმნის აუცილებლობაზე, გარდაქმნა ისტორიული მეცნიერებისაგანაც მოითხოვს, რაც შეიძლება სწრაფად განვთავისუფლდეთ სტერეოტიპული აზროვნებისგან და ისტორია სულ უფრო ფართოდ ჩავრთოთ დღევანდელი ცხოვრების ფერხულში.

ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო მიზნად ისახავს გაარკვიოს თერგდალეულთა ერთ-ერთი აქტიური წევრის გიორგი წერეთლის დამოკიდებულება ზოგადად საისტორიო მეცნიერებისადმი და კონკრეტულად საქართველოს ისტორიის პრობლემებისადმი. აჩვენოს მისი საქართველოს ისტორიის საკითხებით დაინტერესების მიზეზები, ახლებურად გაიაზროს რიგი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებული იყო ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარებასთან XIX საუკუნის 60-70-იან წლებში.

ნაშრომი სამი თავისგან შედგება. პირველ თავში მოცემულია XIX საუკუნის 11 ნახევრის საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების მოკლე ანალიზი, გარკვეულია თერგდალეულთა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისას ქართველი ხალხის პრობლემები, ისტორიოგრაფიულ ექსკურსში მოხმობილია იმ მეცნიერთა მონოგრაფიები,წერილები,რომლებიც ეხებოდნენ გ. წერეთლის, როგორც მწერლისა და მოაზროვნის პიროვნებას, ნაჩვენებია საკვლევი თემის აქტუალობა და კვლევის მიზანი. XIX საუკუნის ცნობილი ქართველი ისტორიკოსების მოღვაწეობის ფონზე განხილულია გ. წერეთლის შეხედულებები ისტორიული მეცნიერების როლისა და დანიშნულების შესახებ, ის, თუ რა დიდი აღმზრდელობითი და პატრიოტულ-შემეცნებითი მნიშვნელობა ჰქონდა და ქართველი ხალხისათვის სამშობლოს ისტორიის გააზრებულ ცოდნას.

საქართველოს ისტორიის ცაკლეულ პრობლემებზე წერილების გამოქვეყნებამდე გ. წერეთელმა სერიოზული მომზადება გაიარა. მან როგორც მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების წევრმა იმოგზაურა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, დაწვრილებით შეისწავლა ეკლესია-მონასტრებში დაცული ძველი სიგელ-გუჯრები, ისტორიული საბუთები, ლაპიდარული წარწერები.

ნაშრომის მეორე თავში გარკვეულია რამდენად კომპეტენტური და სანდო იყო ამ მიმართულებით გ. წერეთლის მოღვაწეობა. ნაჩვენებია მისი დაინტერესება საისტორიო თქმულებებით, ძველი ქართული მითოლოგიით, აქვეა მოცემული გ. წერეთლის დამოკიდებულება ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის ძირითად პრობლემათა მიმართ. ნაჩვენებია გ. წერეთლის დამოკიდებულება ქართული ისტორიული წყაროების გამოყენების პრინციპებზე, უცხოური ისტორიული წყაროების მეცნიერულ მიმოქცევაში შემოტანაზე, აღნიშნულია ისიც, რომ გ. წერეთელი არცთუ იშვიათად უკრიტიკოდ იზიარებდა უცხოური წყაროების მონაცემებს, ნაკლოვანებები ახასიათებდა მის მიერ ქებულ ისტორიულ შედარებით მეთოდსაც.

საერთოდ გიორგი წერეთელი საქართველოს ისტორიის

ნაკლებად ცნობილ პერიოდებს იკვლევდა. ნაშრომში ნაჩვენებია გ. წერეთლის დამოკიდებულება საქართველოს ისტორიის ისეთი პერიოდებისადმი, რომელთაც წარმოშვეს ზნესრული გმირები – შუშანიკი, ევსტათე მცხეთელი, არჩილ მეფე, გობრონ ქართველი, დავით და კონსტანტინე, ბაგრატ V. აქვეა განხილული გ. წერეთლის მოსაზრებანი იმის შესახებ თუ რა ფაქტორებმა განაპირობეს მრავალსაუკუნოვან სისხლისმღვრელ ბრძოლებში ქართველობის შენარჩუნება.

საქართველოს გადარჩენის ფენომენი XIX საუკუნის მეორე ნახევრის არაერთ გამოჩენილ პიროვნებას სურდა აეხსნა. გ. წერეთელი ცდილობდა საქართველოს განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობის ნიჭიერი პოლიტიკოსებისაგან სწორად გამოყენება ჩაეთვალა ყოფნა-არყოფნისათვის მრავალსაუკუნოვან ბრძოლაში ქართველთა წარმატების საწინდრად.

ნაშრომში ნაჩვენებია ისიც, რომ გ. წერეთელი როგორც XIX საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთისა და დასავლეთის დემოკრეტიულ ტრადიციებზე აღზრდილი მოღვაწე ამჩნევდა ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების დროს წოდებრივ-კლასობრივ ბრძოლას, ფეოდალურ-პარტიკულარისტულ ტენდენციებს, მაგრამ ზოგჯერ ჭეშმარიტი ისტორიკოსისაგან განსხვავებით ამა თუ იმ გამოჩენილი პიროვნების ღვაწლის შეფასებისას ემოციებს უფრო ეყრდნობოდა, ვიდრე გულდინჯ, პირუთვნელ მსჯელობას.

ნაშრომის მესამე თავში განხილულია გ. წერეთლის დამოკიდებულება XIX საუკუნის ისტორიის პრობლემებისადმი. ავტორი ღრმა ანალიზს უკეთებდა ეპოქის ისტორიული პროცესების კანონზომიერ განვითარებას, ცდილობდა გარკვეული პარალელები დაეძებნა მსოფლიო ისტორიისა და საქართველოს ისტორიის პრობლემათა შორის, რადგან იგი საქართველოს ისტორიას მსოფლიოს ისტორიის ნაწილად მიიჩნევდა. ნაშრომში ნაჩვენებია გ. წერეთლის როლი 1877-1878 წ.წ. რუსეთ-თურქეთის ომის დროს ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ პროვინციების (აჭარის) დედასამშობლოსთან დაბრუნების საქმეში. როგორც პეტერბურგის გაზეთ „Голос“-ის კორესპოდენტებმა გ.

წერეთელმა არაერთხელ იმოგზაურა თურქეთის მიერ მიტაცებულ ქართულ პროვინციებში, შეხვდა და ესაუბრა იქაურ ქართველობას, თვალნათლივ დაანახა რუსეთის განმათავისუფლებელი მისიის დადებითი მომენტები. ამავე თავში ნაჩვენებია გ. წერეთლის შეურიგებლობა ეროვნული ჩაგვრის მიმართ, დასაბუთებულია გ. წერეთლის კავკასიური პოლიტიკის არსი და ამოცანები, ახსნილია თერგდალეულთა სხვა წევრებისგან განსხვავებით სომეხ-ქართველ-აზერბაიჯანელთა ერთობის გ. წერეთლისეული პრინციპების განსხვავებულობის მიზეზები. გ. წერეთელი იზიარებდა ხალხის მასების გადამწყვეტ როლს ისტორიაში, მაგრამ არ უგულებელყოფდა ისტორიული პიროვნების დამსახურებასაც. ამ თვალსაზრისით საინტერესოდაა ავტორის მიერ გააზრებული მსოფლიო და საქართველოს ისტორიაში გამოჩენილ პიროვნებათა როლი, გაკეთებულია დასკვნა იმის შესახებ, რომ გ. წერეთელი ი. ჭავჭავაძესა და დ. ბაქრაძესთან ერთად პიროვნების წარმატებას არსებულ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ წყობილებას უკავშირებდა.

ფეოდლურ-ბატონყმური წყობილებისა და ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობებისადმი გ. წერეთლის დამოკიდებულება არაერთგვაროვანი იყო. ნაშრომში არის ცდა აიხსნას გ. წერეთლის წინააღმდეგობრივი, ურთიერთგამომრიცხავი მსჯელობის მიზეზები. ნაჩვენებია 1861-წლის საგლეხო რეფორმისადმი გ. წერეთლის დამოკიდებულება, რომელიც რუსეთის რევოლუციონერ-დემოკრატთა შეფასებას ეთანხმებოდა, მაგრამ ახსნილია ავტორის ერთგვარი გულუბრყვილობის ნამდვილი მიზეზები, როცა იგი ცდილობდა კუდმოკვეცილი საგლეხო რეფორმა „ზნეწამხდარი“ თავადაზნაურების მიერ კანცელარიებში საქმის ცუდად წარმართვით აეხსნა. შესწავლილია გ. წერეთლის მხატვრული შემოქმედება, რომელიც რეალისტურად გვიჩვენებს, რა რთული ვითარება შეიქმნა საქართველოში საგლეხო რეფორმის შემდეგ. შესაძლებლობის ფარგლებში ნაჩვენებია ავტორის მსოფლმხედველობაში მიმდინარე ევოლუცია.

პირველ ხანებში გ. წერეთელი ახალ წყობილებას მშრო–

მელთა წყობილებად მიიჩნევდა და საქართველოს მომავალს ოფლის ღვრით მოპოვებულ ცხოვრებას უკავშირებდა, მერე მხატვრული ნაწარმოებების („გულქანი“, „პირველი ნაბიჯი“) ანალიზის საფუძველზე გამოტანილია დასკვნა იმის შესახებ რომ ასეთი საზოგადოების შექმნა იმ დროს შეუძლებელი იყო.

ახსნილია ის მიზეზებიც რამაც გ. წერეთელი დაუპირისპირა თერგდალეულებს და თავი „მესამე დასის“ მეთაურად წარმოადგენინა. გაკეთებული დასკვნა იმის შესახებ,რომ მისის სიტყვიერი განცხადებანი მარქსის მოძღვრების ადიარებისა წინააღმდეგობაში იყო მის მსოფლმხედველობასთან. მას ეშინოდა მშრომელი მასების პროლეტარიზაციისა, ეროვნული საკითხის გადაჭრას უკავშირებდა სოციალურის მოწესრიგებას. ნაჩვენებია ის ობიექტური პირობებიც, რამაც განაპირობა გ. წერეთლის მსოფლმხედველობის განმანათლებლურ-სოციალისტურ-უტოპიური ხასიათი. აღნიშნულია ისიც,რომ გ. წერეთლის ისტორიული ხასიათის წერილები, გამოკვლევები მიზნად ისახავდა ქართველი ხალხის დაშლილი ეროვნული ცნობიერების გამთლიანებას.

ნაშრომი ითვალისწინებს გ. წერეთლის დროს და რაც მთავარია თანამედროვე ისტორიოგრაფიის მიღწევებს. ნაშრომზე მუშაობისას გამოირკვა რომ გ. წერეთლის არქივი თითქმის არ არსებობს, მისი გამოკვლევანი, პუბლიცისტური წერილები, მხატვრული ნაწარმოებები თითქმის ყველანი დაიბეჭდა ჟურნალ „კრებულში“, გაზეთ „დროებაში“, „ივერიასა“ და „კვალში“, ამიტომ ჩვენთვის ძირითადი წყარო იყო აღნიშნული პერიოდული პრესის მასალები. ნაშრომში ჩვენს მიერ დამოწმებული ლიტერატურა ვერ ამოწურავს იმ აურაცხელ მასალას, რომლის გაცნობაც ჩვენ მოგვიხდა თემაზე მუშაობის პროცესში.

I თავი

გიორგი წერეთლის დრო და მისი ისტორიოგრაფიული შეხედულებანი

1. XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოს ვითარება

XIX საუკუნე გამორჩეულია ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. წარსულს ჩაბარდა გაუთავებელი ომები, რბევა-აწიოკება. საქართველოს ყოფნა-არყოფნის პრობლემა საბოლოოდ გადაწყდა, როცა ქვეყანა რუსეთს დაუკავშირდა. „ამ ღირსახსოვარი დღიდამ - წერდა ი. ჭავჭავაძე, - საქართველომ მშვიდობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა... დაუდგა ახალი ხანა მოსვენებულის, უშიშარი ცხოვრებისა“. (205, გვ. 410).

XV-XVIII საუკუნეებში მაჰმადიანური გარემოცვის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოსათვის ერთადერთი იმედის ვარსკვლავი რუსეთი იყო. აღსრულდა ქართველი პოლიტიკოსების მრავალსაუკუნოვანი ოცნება, მაგრამ პირველი აღტაცების, სიხარულის შემდეგ გამოიკვეთა საქართველოს მიმართ რუსეთის ოფიციალური პოლიტიკა. ახალმა ხელისუფლებამ არავითარი ანგარიში არ გაუწია ადგილობრივ ტრადიციებს, ეროვნული თავისებურებებს და დაიწყო უხეში კოლონიური პოლიტიკის გატარება. ერთმორწმუნეობის დოგმებზე დამყარებულმა ილუზიებმა სრული კრახი განიცადა.

ქართველი ხალხი აღიარებდა რუსეთის პროგრესიულ როლს,მის დამსახურებას მაჰმადიანური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში, მგრამ იამვე დროს შეუპოვრად იბრძოდა თავისი ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნებისათვის. სხვანაირად შეუძლებელიც იყო ხალხი, „რომლისთვისაც არა თუ უცხოა მისწრაფება თავისი თავისუფლებისაკენ, არამედ კიდეც ამართლებს და აფერადებს თავის მონობას... ათვალწუნებისა და ზიზღის კანონიერ გრძნობას იწვევს“ (4,

გვ. 111). მეფის რუსეთის სურვილს, მიეღწია ამიერკავკასიაში თავისი სამფლობელოების გაფართოებისათვის, ქართველებმა თავიანთი პატრიოტული მიზნები შეუთავსეს: მტრული გარემოცვის გარღვევა, შუასაუკუნეობრივი ფეოდალური დაქუცმაცებულობის მოსპობა და ქვეყნის გაერთიანება, XVI-XVIII საუკუნეებში ირან-ოსმალეთისაგან მიტაცებული ქართული მიწების დაბრუნება. ამის პარალელურად ქვეყნის მოსვენება გარეშე მტრების გამუდმებული თავდასხმებისგან, ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ხელოსნობის, ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. იმსხვრეოდა შუასაუკუნეობრივი კარჩაკეტილობა, თუმცა ფეოდალური წყობილება ჯერ ისევ მყარი იყო. იმდროინდელი რუსეთის ცხოვრებაში ფართოვდებოდა კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩასახვის პროცესი. იგივე მოვლენები შეიმჩნეოდა საქართველოშიც, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ ცარიზმს განაპირა მხარეები საქონლის გამსაღებელ და ნედლეულის მიმწოდებელ კოლონიებად სურდა, მაშინ კდიევ უფრო ნათელი გახდება, საქართველოში რა სიძნელენი არსებობდა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. მიუხედავად ამისა, XIX საუკუნის 50-60-იან წლებში აქ „არსებობდა 495 მარტო წვრილი კაპიტალისტური, მანუფაქტურული და ფაბრიკა-ქარხნული დამმუშავებელი საწარმო, რომელთა მიერ დამზადებული პროდუქციის საშუალო წლიური ღირებულება 1046 ათას მანეთს აღემატებოდა“ (176, გვ. 6). ცვლილებები იგრძნობოდა სოფლის მეურნეობაშიც, მაგრამ ახალი წყობილების ფეოდალიზმის წიაღში სწრაფად განვითარება ყველაზე კარგად იქიდან ჩანდა, რომ ყოველწლიურად იზრდებოდა ქალაქად მუშახელის მიზიდვის ტენდენცია, მაგრამ ფეოდალურ-ბატონყმური წობილების პირობებში ეს ადვილი საქმე არ იყო.

მეფის მთავრობა ყოველი საშუალებებით ცდილობდა ურყევად შეენარჩუნებინა ბატონყმური წყობილება, მაგრამ 50-იან წლებში მიმდინარე მოვლენებმა, განსაკუთრებით კი ყირიმის ომში რუსეთის დამარცხებამ, გააცამტვერა ნიკოლოზ 1-ის მთავრობის მიერ შექმნილი მცდარი წარმოდგენა რუსეთის

როგორც „საღვთო კავშირის“ დედაბოძის უძლეველობისა. ამ მარცხმა „ცხადყო ბატონყმური რუსეთის სიდამპლე და უძლურება“ (2, გვ. 127).

ალექსანდრე II მიერ 1856 წელს მოსკოვის თავადაზნაურობის წინაშე საგლეხო რეფორმის შესახებ განცხადების გაკეთება, და 1861 წლის 19 თებერვლის მანიფესტის გამოქვეყნება იყო ცდა თავის გადარჩენისა იმ რთულ ვითარებაში, რომელიც რუსეთში წარმოიშვა 1850-60-იან წლებში.

1864-74 წ.წ. ბატონყმობა გაუქმდა საქართველოშიც... ამის შემდეგ კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა ნატურალური მეურნეობის რღვევის, ქალაქისა და სოფლის დაპირისპირების ტენდენცია. დიდი ცვლილებები შეიმჩნეოდა ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურაშიც, თუ XIX საუკუნემდე საქართველოში გლეხობა და თავადაზნაურობა იყო ძირითადი კლასები, XIX საუკუნეში სწრაფი ტემპით დაიწყო გლეხობის კლასობრივი დიფერენციაციის პროცესი. გაჩნდნენ ისეთი გლეხები, რომლებიც საკუთარი სამუშაო ძალის გაყიდვით ირჩენდნენ თავს. ჯერ კიდევ საგლეხო რეფორმამდე, „1842 წლის კამერალური აღწერის თანახმად, მაგალითად, თელავის მაზრის სახელმწიფო გლეხთა 13,5 %-ს არ ჰქონია არც ერთი მეტრი სახნავ-სათესი და სავენახე მიწა. ისინი თავს ირჩენდნენ დღიური ქირით“ (176, გვ. 8). ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაღრმავდა XIX საუკუნის 60-70-იან წლებში.

სოფლად გაჩნდა ახალი სოციალური ფენა – კულაკობა, რომელიც მდიდრდებოდა გლეხობის დიდი ნაწილის ხარჯზე. ფეოდალური კლასი, რომელიც მრავალი საუკუნის მანძილზე გამოდიოდა როგორც ერთიანი მჩაგვრელი ძალა, ახლა სუსტდებოდა და იშლებოდა. ქალაქად კი ახალმა ძალამ, ბურჟუაზიამ მიაღწია გაბატონებულ მდგომარეობას. ეს რთული ეპოქა თავისი წინააღმდეგობრივი თავისებურებებით საინტერესოდ აქვთ ასახული ქართველ მწერლებს ლ. არდაზიანს (18, გვ. 175), დ. ჭონქაძეს (1209, გვ. 91), გ. წერეთელს (199,გვ. 554) და სხვებს. მათ ნაწერებში მხატვრული გააზრებით ცოცხლდება მთელი ეპოქა.

ეკონომიკურ სფეროში მიმდინარე სწრაფმა ცვლილებებმა

საბოლოო ანგარიშით ცვლილებები გამოიწვიეს კულტუ–
რაშიც. მართალია, ქართველი მეცნიერების საუკეთესო
წარმომადგენელნი XIX საუკუნის დასაწყისში საქარ–
თველოდან გადაასახლეს და თბილისის სამეცნიერო ცენტრი
თითქმის მოიშალა და თითქმის „1832 წლიდან მოკიდებული,
ვიდრე თერგდალეულთა სამოქმედოდ გამოსვლამდე, ჩვენი
საზოგადოების ისტორიაში რაღაც „ცარიელ ადგილად“
მოსჩანს“ (23, გვ. 6-7), მაგრამ ეს არ ნიშნავდა ქართული
მეცნიერების, კულტურის კვდომას. ამ დროს ქართველი
მეცნიერები: სოლომონ დოდაშვილი, იოანე ბაგრატიონი,
თეიმურაზ ბაგრატიონი,პეტრე ბაგრატიონი და მრავალი სხვანი
მოღვაწეობდნენ მოსკოვსა და პეტერბურგში. მათი მეცნიერული
ნაშრომები იმის დასტურია, რომ ქართული მეცნიერული
აზროვნება კვლავ არსებობდა და ვითარდებოდა. იმდროინდელ
საქართველოშიც მოიპოვებოდა ისეთი ძალები, რომლებიც
ელოდნენ ხელსაყრელ ვითარებას რათა განევითარებინათ
მრავალსაუკუნოვანი კულტურული ტრადიციები და კვლავ
ჩაეყენებინათ იგი ეროვნული ინტერესების სამსახურში.

XIX საუკუნის 40-იან წლებში მეფისნაცვლის თანამდებობაზე
დაინიშნა მ. ვორონცოვი, რომელიც ახორციელებდა ადგი–
ლობრივი თავად-აზნაურების მოფერება-დაყვავების პოლი–
ტიკას და რუსეთის მიზნებისადმი მათი საქმიანობის
დაქვემდებარებას. ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილმა
სწორად შეაფასა შექმნილი სიტუაცია და მეფისნაცვლისაგან
მოითხოვა გიმნაზიის,თეატრის,ქართული ჟურნალის დაარსება,
რომლებიც მოსახლეობის უმრავლესობას მოემსახურებოდა.
სულ მალე ვორონცოვისათვის ნათელი გახდა, რომ
კულტურული წამოწყებანი, რომლებიც მისივე ინიციატივით
მთავრობისაგან ფინანსდებოდა აღარ შეესაბამებოდა
ოფიციალურ ხაზს, ამიტომ ასეთი ორგანიზაციები კერძო
საქმედ გამოცხადდა, რამაც გაართულა მათი შენარჩუნება.

XIX საუკუნის 50-იანი წლების რევოლუციურმა სიტუაციამ,
რომელიც რუსეთში წარმოიშვა, დააფრთხო იმპერატორ
ალექსანდრე 11-ის მთავრობა. გაძლიერდა „ქარიშხალი
– თვით, მასების მოძრაობა“ (5, გვ. 250). ამიტომ მთავრობა
შეეცადა დათმობებით ხალხის დაშოშმინებას ამ უმნიშვნელო

დათმობებით ისარგებლეს ქართველმა პატრიოტებმა და დაიწყეს ჟურნალ „ცისკრის“ ხელახალი გამოცემა. ჟურნალის სამოქმედო პროგრამაც, „ყველაფერში მთავრობას ხომ არ ვუყუროთ პირშიო“,(158,გვ. 15). უკვე მთავრობისადმი გარკვეულ ოპოზიციაზე მიუთითებდა. იმდროინდელი მკაცრი ცენზურის პირობებში ჟურნალის მიერ გამოცხადებული დამოუკიდებელი კურსის შენარჩუნება თითქმის შეუძლებელი იყო.

XIX საუკუნის 50-იანი წლების საქართველოსთვის ძლიერ მტკივნეული საკითხი იყო ეროვნული და სოციალური პრობლემები. ჟურნალი ვერცერთ პრობლემაზე თავის პოზიციას აშკარად ვერ გამოხატავდა. მეტიც„ცისკრის“ თანამშრომელთა ერთი ნაწილი,პირიქით,მიიჩნევდა,რომ საქართველოში ბატონსა და ყმას შორის მამაშვილური ურთიერთობა არსებობდა. მაგრამ XIX საუკუნის 50-იანი წლების მიწურულს რუსეთის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში მყოფი ქართველი სტუდენტების კორესპოდენციები, რომლებიც „ცისკრის“ სახელზე მოდიოდა უფრო მძაფრად და მოურიდებლად სვამდა ეროვნულ და სოციალურ პრობლემებს. ეს ახალგაზრდობა, ანუ „თერგდალეულები“ რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში იმ დროს სწავლობდნენ, როდესაც მოღვაწეობდნენ რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული აზროვნების კორიფეები ალ. გერცენი, ბ. ბელინსკი, ნ. ჩერნიშევსკი. ეს ის დრო იყო, როდესაც ლონდონში „გამოდიოდა ემიგრანტ გერცენის ჟურნალი „კოლოკოლი“. მთელ რუსეთს მოედო მისი მრისხანე ხმა... ბევრს და მათ შორის ყველაზე ძლიერ მიხეილ ნიკოლოზის ძეს ეს ზარი გლოვის ზარად მოესმოდა... გულში ეკლად ესობოდა, ხოლო ჩვენ, ახალგაზრდობას კი, სანატრელ ხმად გვესმინებოდა, გულში ცეცხლს გვიღვივებდა და იმედებს გვაძლევდა უკეთეს მომავლისას“ (158, გვ. 15). იგონებს ერთ-ერთი თერგდალეული. ბუნებრივია, ასეთ იდეურ წრთობამიღებული ახალგაზრდობა ვერ მოიწონებდა ჟურნალ „ცისკრის“ შემრიგებლურ პუბლიკაციებს. როცა საქართველოში დაბრუნდა თერგდალეულთა პირველი თაობა, 1863 წელს მათ დაიწყეს ახალი ჟურნალის „საქართველოს მოამბის“ გამოცემა. ეს უკვე „ცისკრელებისადმი“, ახალი თაობისადმი დაპირისპირებას ნიშნავდა. ამიტომ იყო, რომ

თერგდალეულთა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი გ. წერეთელი წერდა: „ცისკარმა... უსათუოდ უნდა დასტოვოს ის გზა,... გააგდოს, გარეგანი სიბრკიალე და ჩაღრმავდეს სიცოცხლის მორევში მარგალიტების მოსაბოჭად“ (198,გვ. 48). თერგდალეულებმა თავიანთი პრაქტიკული მოღვაწეობითა და თეორიული ნაზრევით დიდი როლი შეასრულეს XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოს ისტორიაში. მათ გამოაღვიძეს მიძინებული ქართული სული, აღანთეს ქართველობა და განუმტკიცეს საკუთარი თვითარსობის რწმენა. ამ ჯგუფმა, რომლებიც „გატაცებული იყვნენ მაშინდელი პროგრესიულ-დემოკრატიული იდეებით და სწყუროდათ სამშობლო ნია–დაგზე მუშაობა... მართლაც და სასწაული მოახდინა ჩვენს ცხოვრებაში... დახავსებულმა აზიურმა საზოგადოებამ პირველად გაიგონა მძლავრად თქმული ევროპის იდეები“ (191).

ი. ჭავჭავაძესთან,აკ. წერეთელთან,ნ. ნიკოლაძესთან ერთად გიორგი წერეთელი ერთ-ერთი საინტერესო, მრავალმხრივი მოღვაწეა. იგი დაიბადა 1842 წლის 14 მაისს ზემო იმერეთში სოფ. გორისაში (დღევანდელი საჩხერის რაიონი). მისი მამა ექვთიმე წერეთელი ფრიად განსწავლული, საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის მცოდნე პირი იყო. იგი აქტიურად თანამშრომლობდა ჟურნალ „ცისკარში“. გ. წერეთელი ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებში „ჩვენი ცხოვრების ყვავილი“ (200, გვ. 187). ექვთიმე წერეთელს ბავშვის მკაცრი აღზრდის მომხრედ ხატავს. თუმცა იმავე დროს ნაწარმოებში ექვთიმე უფრო დამთმობი კაცის შთაბეჭდილებასაც სტოვებს. ალბათ, გ. წერეთელს სურდა უფრო ეპოქის სურათი ეჩვენებინა, ვიდრე ის, თუ როგორი იყო კონკრეტულად მისი აღზრდა. იქ ნათლად სჩანს ის დიდი კონტრასტი, რაც საოჯახო და სახელმწიფო აღზრდის პრინციპებს შორის იყო.

ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ 1860 წელს გ. წერეთელი პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილების სტუდენტი გახდა და ჩაება იმდროინდელი პეტერბურგის მშფოთვარე ცხოვრებაში. ამ დროს პეტერბურგში,მოსკოვში რუსეთის სხვა დიდ ქალაქებში როგორც ქუხილი,ისე გაისმოდა ა. გერცენის

სიტყვები „კოლოკოლი“-დან: „ო,ჩემს სიტყვებს რომ შეეძლოს შენამდე მოღწევა, რუსეთის მშრომელო და ტანჯულო!.. როგორ გასწავლიდი შეიზიზღო შენი სულიერი მოძღვარნი... შენ გძულს მემამულე, გძულს მოხელე... მაგრამ ჯერ კიდევ გჯერა მათი. მეფე მათთანაა, და ისინი მისი ხალხია“ (3, გვ. 18-19). პატარა პროვინციული ქალაქიდან, სადაც შედარებით სიმშვიდე იყო, პეტერბურგის ცხოვრებაზე გადასვლა ადვილი არ იყო. ნ. ნიკოლაძე მოგვითხრობს,რომ გ. წერეთელმა იმდენი ახალი აზრები მოისმინა, რომ ძველი მსოფლმხედველობრივი ილუზიები ერთბაშად დაემსხვრა. იგი ავადაც კი გამხდარა, მაგრამ ეს არ იყო ფიზიკური ავადმყოფობა, ეს იყო მის არსებაში ძველისა და ახლის სწორად გააზრების ჭიდილის გამოვლენა. „სხვა ყმაწვილებსავით უნიჭო, ან უტვინო კაცი რომ ყოფილიყო, იმას რომ შეძლებოდა სხვადასხვა აზრის მიღება მოუნელებლად, ჩაუღრმავებლად, შეუთვისებლად, ის არც იწუხებდა... მისთვის აზრი ფრაზა როდი იყო, რომლის ხმარება,მიღება ან მიტოვება ისე ადვილია,როგორც პერანგის ჩაცმა ან გამოცვლა. არა, მისთვის აზრი მთელი ცხოვრება იყო“ (169, გვ. 75).

გ. წერეთელი განსაკუთრებული პატივისცემით იხსენებდა პოლონელ სტუდენტ ხოროშევსკის, მოსწონდა მისი ღრმა განსწავლულობა და დემოკრატიული აზრები (199, გვ. 114, 115). პეტერბურგში გ. წერეთლის ცხოვრებაზე დიდი გავლენა მოახდინა ბ. ბელინსკიმ,ნ. ჩერნიშევსკიმ. ქართველი სტუდენტები ნ. ჩერნიშევსკის ბინაზე ცხარედ კამათობდნენ რუსეთის მომავალი ცხოვრების პრობლემებზე, რუსეთის იმპერიაში შემავალი ჩაგრული ხალხების ბედზე (207, გვ. 14). 1861 წლის შემოდგომაზე რევოლუციურად განწყობილმა პეტერბურგის სტუდენტობამ მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაცია მოაწყო. გ. წერეთელი, როგორც დემონსტრაციის მონაწილე დაპატიმრებულ იქნა. მართალია, ორი თვის შემდეგ იგი გაათავისუფლეს, მაგრამ უნივერსიტეტში სწავლა აუკრძალეს (132). 1862 წლიდან გ. წერეთელი ახერხებს უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებას.

1863 წელს იგი დაბრუნდა საქართველოში და ი. ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბეში“ გ- ტელის ფსევდონიმით გამოაქვეყნა

სტატია „ცისკარს რა აკაკანებდა?“ (177). აქედან მოყოლებული 1900 წლის იანვრამდე, გარდაცვალებამდე, გ. წერეთელი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში. მას ჰქონდა მრავალმხრივი ინტერესები, სიახლის ძიების უნარი და ენთუზიაზმი, ამან ხელი შეუწყო ყოფილიყო მრავალი სიახლის წამომწყები და დამფუძნებელი.

1866 წელს გ. წერეთლის რედაქტორობით გამოვიდა პირველი ქართული გაზეთი „დროება“ (132). თუ რა სიძნელეებთან იყო დაკავშირებული გაზეთის თითოეული ნომრის მომზადება, ამის შესახებ წერდა ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში „ჩვენი ცხოვრების ყვავილი“ (200, გვ. 5,187). მაგრამ სიძნელეები არაფრად ჩანდა საზოგადოების იმ აღტაცებასთან, რომ–ლითაც აჯილდოებდნენ ახალი გაზეთის რედაქტორსა და თანამშრომლებს. ქართული საზოგადოებრივი აზრის გააქტიურებისა და დემოკრატიული ტენდენციების გაღვიძების საქმეში „დროების“, როგორც პირველი ქართული ევროპული ხასიათის გაზეთის, როლი განუზომელია.

1868 წელს გ. წერეთელმა დაიწყო „სასოფლო გაზეთის“ გამოცემა,რომელშიც ხალხისათვის გააგებ ენაზე იბეჭდებოდა საინტერესო სტატიები, საქართველოს სოფლის პრობლემებზე, ხალხის ყოფა-ცხოვრებაზე.

1869 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩაბარა გამოცდები ქართული ენის მასწავლებლობაზე და განწესებულ იქნა თბილისის რეალურ სასწავლებელში.

1871 წელს ნ. ნიკოლაძესთან ერთად დაიწყო ჟურნალ „კრებულის“ გამოცემა. ამ ჟურნალში იბეჭდებოდა ქართველ და არაქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებები, გ. წერეთლის ისტორიული გამოკვლევები და სხვ.

1873 წელს გ. წერეთელი გაემგზავრა საზღვარგარეთ, ჟურნალი „კრებული“ კ. ლორთქიფანიძეს და „სასოფლო გაზეთი“ პ. უმიკაშვილს გადასცა. 1877 წელს გ. წერეთელი დაბრუნდა საქართველოში. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის მის დროს იგი იყო პეტერბურგის რუსული გაზეთის „Голос“-ის კორესპონდენტი. 1879-1883 წლებში გ. წერეთელი აქტიურად თანამშრომლობდა „Тифлисский Вестник“-ში. 1886-1889

წლებში გ. წერეთელი იყო ილია ჭავჭავაძის გაზ. „ივერიის“ თანამშრომელი. შემდეგ ერთხანს ბათუმში დაარსებული ქართველების არტელში მუშაობდა.

1891 წელს გ. წერეთელი მუდმივ საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა. 1893 წელს მისმა მეუღლემ, ცნობილმა საბავშვო მწერალმა ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისამ, რომელიც მანამდე საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილს“ სცემდა, დააარსა ახალი გაზეთი „კვალი“, რომლის ფაქტობრივი გამომცემელი გ. წერეთელი იყო (197, გვ. 185).

გ. წერეთელი გარდაიცვალა 1900 წლის იანვარში, დაკრძალულია დიდუბის პანთეონში (207, გვ. 243).

2. პრობლემის კვლევის ისტორიიდან

გიორგი წერეთლის, როგორც მოაზროვნისა და საზოგადო მოღვაწის კვლევა ჯერ კიდევ მის სიცოცხლეშივე დაიწყო. 1895 წელს ჟურნალ „კვალში“ გამოქვეყნდა გ. წერეთლის სტატია „კვალის“ ორი წლის ნაღვაწი“ (106), რომელშიც ავტორმა სცადა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ძირითადი ეტაპების ჩვენება XIX საუკუნის მეორე ნახევარში. მისი აზრით, „საქართველოს მოამბის“ გარშემო შემოკრებილი ახალგაზრდობა და შემდეგ გაზ. „ივერიაში“ მოღვაწენი შეადგენენ პირველ დასს, რომელმაც „წამოაყენა წინ თავადაზნაურობა, როგორც წარსული საქართველოს ისტორიული კულტურის ნაყოფი, უპირატესი წოდება“ (106), ხოლო თავისი მოღვაწეობა მეორე დასელთა ჯგუფში მოაქცია. მისი აზრით, „საზოგადოებრივ წყობილების განვითარებაში ეს დასი უარს ჰყოფდა როგორც თავადაზნაურობის, ისევე დაბალი ხალხის განკერძოვებით ყოფნას. მან წამოაყენა ნამდვილი ერი,რომელშიაც თანასწორი უფლებებით შედიოდნენ ყველა წოდებები“ (106).

გ. წერეთლის ეს მოსაზრებანი იმთავითვე აზრთა სხვადასხვაობის საგანი გახდა. მისი მოსაზრება არ გაიზიარეს ი. ჭავჭავაძემ, ვ. წერეთელმა, გ. ლასხიშვილმა, კ. აბაშიძემ. 1895 წლის 1 იანვარს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა ი. ჭავჭავაძის ფელეტონი გ. წერეთელზე, სადაც გაშარჟებული იყო მისი დასების თეორია:

„მე ვარ და ჩემი ნაბადი
გამთენებელი ღამისა,
ბებერი, მაგრამ მაინცა
თავი ახალის დასისა“ (68).

გ. ლასხიშვილს მიაჩნდა, რომ გ. წერეთელი თვით იყო 60-70-იანი წლების ერთ-ერთი უმთავრესი მოღვაწე და მისი აზრით, არავითარი დასები ჩვენში არ არსებობდა (152, გვ. 75).

დავა და კამათი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში გიორგი წერეთლის ადგილისა და როლის შესახებ კიდევ უფრო გამძაფრდა 1900 წლის იანვარში, როცა ეს მრავალმხრივ ნიჭიერი მოღვაწე გარდაიცვალა და პრესაში

გამოქვეყნდა წერილები, რომელთა ავტორები წარმოაჩენდნენ მისი მოღვაწეობის ცალკეულ სფეროს, ცდილობდნენ დაეზუსტებინათ გ. წერეთლის მსოფლმხედველობა,ინტერესთა მრავალმხრივობის მიზეზები, ურთიერთობა ძველ და ახალ თაობასთან.

გაზეთმა „კვალმა“ გ. წერეთელი დაახასიათა, როგორც მრავალმხრივი ნიჭისა და ინტერესების მქონე მოღვაწე, რომელიც მხატვრული ნაწარმოებების გარდა აქვეყნებდა წერილებს ისტორიაზე, არქეოლოგიაზე (133). კვალისეულ შეფასებას დაეთანხმა გაზეთი „ივერია“, რომელმაც თავის მხრივ დასძინა: „განსვენებულის ნაწერების ერთად შეკრება რომ შეიძლებოდეს, იგი იმდენად შესანიშნავს შრომას შეადგენს,მარტო ღირსებით კი არა სივრცითაც,რომ ადამიანი გაოცდება მისის კალმის მრავალნაყოფიერებითა“ (73).

გაზეთ „ცნობის ფურცლის“ აზრით, გ. წერეთელი იყო XIX საუკუნის 60-იანი წლების თერგდალეულთა ჯგუფის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, რომელმაც ამ ჯგუფის წევრებთან ერთად შექმნა სრულიად ახალი ნიადაგი ჩვენი ცხოვრების განვითარებისა და წინსვლისათვის (191). სარედაქციო წერილების გარდა გამოქვეყნდა აკ. წერეთლის (133) ი. ფანცხავას (73), ნ. ჟორდანიას (133), ფ. მახარაძის (132), ს. ფირცხალავას (133), კ. ჩხეიძის (133), თ. რაზიკაშვილის (133) და სხვათა წერილები, რომელთა ავტორები ზოგადად მსჯელობდნენ გ. წერეთლის მოღვაწეობის ცალკეულ სფეროზე, მაგრამ ამ მსჯელობებში უფრო ნაჩქარევობის ელემენტები იგრძნობოდა, ამიტომ სავსებით მართალი იყო ჟურნალ „მოამბის“ აზრი: „ჯერ დრო არ არის სრულიად მისის შრომის დაფასებისა, რომ გამოირკვეს მისი მოღვაწეობის ხასიათი“ (166).

როგორც უკვე ავღნიშნეთ გ. წერეთლის მრავალმხრივი მოღვაწეობის შეფასება იმთავითვე აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა. თუ ილ. ჭავჭავაძის გაზ. „ივერიამ“ (73) და გაზ. „ცნობის ფურცელმა“ (191) გ. წერეთელი თერგდალეულთა ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენლად აღიარეს, ჟურნალ „კვალის“ გარშემო შემოკრებილმა ახალგაზრდა პუბლიცისტებმა (ნ. ჟორდანია, კ. ჩხეიძე) იგი ახალთაობას დაუკავშირეს. მათი აზრით, გ. წერეთლის „გარდაცვალების

ამბავმა ტფილისის ყველა სახელოსნოში მიაღწია და მის პატივსაცემად გამოეშურა ყველა ტვირთმძიმე და მაშვრალი... მის ცხედრის გარშემო შემოიკრიბა თფილისის მუშა და გამრჯელი ხალხი... გ. წერეთლის საფლავზე გადმოხეთქა ახალმა ნაკადულმა, აღმოცენდა ახალი მოვლენა“ (133). როგორც ვხედავთ,ამ წერილის ავტორის აზრით,გ. წერეთელი პროლეტარიატის ინტერესების დამცველია, რაკი ეს ახალი ხალხი პატივს მიაგებდა მის ხსოვნას.

პოლემიკა გ. წერეთლის პიროვნების ირგვლივ გრძელდებოდა 1910-იან წლებშიც, რასაც ადასტურებს 1913 წელს ან. თუმანიშვილ-წერეთლის მიერ გაგზავნილი წერილი რ. ფანცხავასადმი. წერილში გამოთქმულია გულისტკივილი იმის გამო,რომ გ. წერეთელი ყველა მის მეგობარს დაავიწყდა, რითაც სარგებლობენ არჩ. ჯორჯაძე და კ. აბაშიძე. პირველი ასხვაფერებს გ. წერეთლის ნაწერებს და შემდეგ ედავება, მეორე კი, მის შემოქმედებას მიწასთან ასწორებს-ო (10).

რ. ფანცხავას პასუხიდან ჩანს,რომ იგი შეუდგა გ. წერეთლის მემკვიდრეობის შესწავლას და სულ მალე გამოაქვეყნებდა კიდეც გამოკვლევას მის შემოქმედებაზე. მართლაც, საოცარი ბედი დაჰყვა გ. წერეთლის პიროვნებას,ავტორის სიცოცხლეში, თუ მისი გარდაცვალების შემდეგ დაუსრულებელი დავა იყო იმის შესახებ,თუ რომელი წრის,ჯგუფის წევრი იყო იგი. ორი უკიდურესობა ახასიათებდა რევოლუციამდელ კრიტიკას გ. წერეთლის მიმართ. თუ კ. აბაშიძემ გ. წერეთელი ქართულ ლიტერატურაში შიშველი ნატურალიზმის მიმდევრად გამოაცხადა (11. გვ. 320-352). რ. ფანცხავამ და ი. ფანცხავამ მას შეუდარებელი ბელეტრისტი უწოდეს (182, გვ. 121, 127, 183, 291). შედარებით უფრო ზომიერი იყო ალ. ხახანაშვილის აზრი. ავტორს იგი ლიტერატურაში რეალიზმის მიმდევრად მიაჩნდა, მაგრამ როგორც ჩანს, ალ. ხახანაშვილი უკრიტიკოდ იღებდა გ. წერეთლის განცხადებას, თითქოს მისი ჯგუფი „საქართველოს მოამბისაგან“ განსხვავებით წინა პლანზე მთელი ერის ინტერესებს აყენებდა“ (212, გვ. 83).

გ. წერეთლის, როგორც მოაზროვნის მთელი სისრულით შესწავლა დაიწყო XX საუკუნის 20-30-იან წლებში. ქართულმა საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ და ლიტერატურისმცოდნეობამ

სცადა გამოესწორებინა ამ მიმართულებით წინამორბედთა მიერ დაშვებული ხარვეზები, კერძოდ, სანამ მწერლისა და მოაზროვნის ნაწერები სრულად არ გამოიცემოდა, მანამ გ. წერეთელზე,როგორც მოაზროვნეზე ამომწურავად მსჯელობა შეუძლებელი იყო. პირველი საბჭოთა მეცნიერი, ვინც დიდი ამაგი დასდო გ. წერეთლის მემკვიდრეობის შესწავლას ს. ხუნდაძე იყო. მას განზრახული ჰქონდა მწერლის თხზულებათა თხუთმეტტომეულის გამოცემა, რომელიც მთლიანად მიეძღვნებოდა გ. წერეთლის შემოქმედების ყველა სფეროს – მხატვრული ნაწარმოებები, პუბლიცისტიკა, ისტორიული გამოკვლევანი, არქეოლოგიური მოგზაურობანი, რეცენზიები და სხვ. ს. ხუნდაძის რედაქციით და შესავალი წერილით 1931 წელს გამოიცა გ. წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის პირველი ტომი. გამომცემლის აზრით, „გ. წერეთლის ნაწერების მიხედვით შესაძლებელია XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიული ცხოვრების გადმოცემა“ (198,გვ. XVII). ს. ხუნდაძე მცირეოდენი დაზუსტებით ეთანხმებოდა გ. წერეთლისეულ დასების თეორიას და მიაჩნდა, რომ გ. წერეთელი იყო რადიკალ-დემოკრატიული ბანაკის წარმომადგენელი (213,გვ. 24) (214,გვ. 124). მისი აზრით, გ. წერეთლის წინააღმდეგობრივი ხასიათი იყო საუკეთესო გამოხატულება იმდროინდელი საქართველოს ისტორიულ-ობიექტური ვითარებისა (198, გვ. 16). ს. ხუნდაძე გაკვირვებული იყო, რატომ მოხდა, რომ 60-იანი წლების მწერალთაგან ისე დავიწყებული და დაუფასებელი არავინ დარჩენილა,როგორც გ. წერეთელი (214,გვ. 173). თუმც ამის ახსნა ადვილი შესაძლებელი იყო,მაგრამ იმჟამინდელი პოლიტიკური ვითარების ფონზე ს. ხუნდაძეს არ შეეძლო პირდაპირ ეთქვა გ. წერეთლის მრავალმხრივი მოღვაწეობისადმი ერთგვარი გულგრილობის მიზეზები. ერთი შეხედვით,ყველაფერი რიგზე იყო. გ. წერეთლისგან გზადალოცვილი ახალგაზრდობის ერთი ნაწილი იმხანად საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობაში იყო. მაგრამ ჯერ-ერთი,მათ შორის აზრთა სხვადასხვაობა იყო გ. წერეთლის ღვაწლისა და როლის შესახებ (მ. ცხაკაია არ ეთანხმებოდა ფ. მახარაძეს), მეორეც გ. წერეთლის ვაჟი ირაკლი წერეთელი 1921 წელს გაჰყვა

მენშევიკურ მთავრობას საქართველოდან საფრანგეთში, იგი მტრულად იყო განწყობილი საბჭოთა ხელისუფლებისადმი. ვფიქრობ, გ. წერეთლის შემოქმედებისადმი გულცივი დამოკიდებულებისათვის იმხანად ეს ფაქტი ხელჩასაკიდი მოტივი იყო. ს. ხუნდაძემ როგორც გაბედულმა მოქალაქემ და მკვლევარმა,როცა ხელი მოჰკიდა გ. წერეთლის შემოქმედების მოწესრიგებას, ამით დიდი საქმე გააკეთა.

გიორგი წერეთლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას აშუქებდა მწერალი და კრიტიკოსი ივ. გომართელი. მისი აზრით, „გ. წერეთელს სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა, მარტო ისიც ეყოფოდა უკვდავსაყოფად, რომ „კვალი“ გადაიქცა სოციალ-დემოკრატების ორგანოდ და თავის დროზე ქართველ პროლეტარიატს დიდი სამსახური გაუწია (27, გვ. 197).

კ.კაპანელს გ. წერეთელი ჩვენი ცხოვრების მემატიანედ მიაჩნდა. ავტორის აზრით, გ. წერეთელი „მხატვრულ პროზასა და პუბლიცისტიკაში დაუფარავად ასახავდა სიმართლეს. „ქართველი ერის ისტორია ისეთი იყო, რომ ჩიკოლიკი, კიკოლიკი და კუდაბზიკა გამოსახავენ საქართველოს მწარე სინამდვილეს, რომელიც იწყებოდა შორეული წარსულიდან და რომელსაც ებრძვის ჩვენი დრო“ (77, გვ. 226).

ვ. კოტეტიშვილის აზრით, გ. წერეთლის შემოქმედებას და ნააზრევს უარყოფდნენ იმ „იდეოლოგიის გამო, რომელსაც ავტორი ჯიუტად შლიდა თავის მოთხრობებში, უარყოფდნენ ისინი, ვინც ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული განვითარებისათვის ეწინააღმდეგებოდნენ ევროპის შამბლონს და რუსული ნაროდნიკობის რეცეპტით ცდილობდნენ ჩვენი ქვეყნის თავისებური გზის გამონახვას, მაგრამ ცხოვრებამ გ. წერეთლის თემა გაამართლა“ (139, გვ. 533).

მ. ზანდუკელს გ. წერეთლის ღირსებად მიაჩნდა ის, რომ იგი კარგად გამოხატავდა საქართველოში ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების რღვევისა და კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვის რთულ,წინააღმდეგობრივ პროცესს, გ. წერეთელმა უფრო ახლო გაიგო ახალი ცხოვრება, ამიტომ იგი უფრო რადიკალურია, ვიდრე ზოგიერთი თერგდალეული (61, გვ. 473).

გ. წერეთლის მოღვაწეობის ახალგაზრდული პერიოდი,მისი

ურთიერთობა ცნობილ რუს რევოლუციონერ-დემოკრატ ნ. ჩერნიშევსკისთან და 1861 წლის სტუდენტთა მღელვარებაში მონაწილეობა მონოგრაფიულად შეისწავლა კ. მეძველიამ (164, გვ. 226, 228).

გ. ჯიბლაძე მაღალ შეფასებას აძლევს გ. წერეთლის მხატვრულ შემოქმედებას, მიაჩნია, რომ „თუ თერგდალეულები ფეოდალურ-პროგრესულ დასის წარმომადგენლებად დარჩნენ, გ. წერეთელმა ზურგი შეაქცია ლიბერალურ ინტელიგენციას და აშკარად ბურჟუაზიის იდეოლოგიად გამოვიდა“ (217, გვ. 235).

გ. ქიქოძეს ს. ხუნდაძის მსგავსად მიაჩნდა, რომ გ. წერეთელმა 1885 წელს ხელი მოაწერა მიმართვას, რომელიც ქართველი პატრიოტების ერთმა ჯგუფმა ფარულად ინგლისის პრემიერ მინისტრ გლადსტონს გაუგზავნა, რათა მისთვის ეთხოვა ხელი შეეწყო საქართველოს განთავისუფლებისათვის რუსეთის იმპერიის ბატონობისგან“ (187, გვ. 171).

საინტერესო დაკვირვებას გვთავაზობს გ. წერეთლის შემოქმედებაზე ალ. ჩავლეიშვილი. მისი აზრით, გ. წერეთელი ებრძვის ფეოდალურ-ბატონყმურ დახავსებულობას, მაგრამ ახალი წყობილების პირველი მერცხლები ბახვა ფულავა, პეტრ ივანიჩ გაწერელია იღუპებიან, იმიტომ, რომ ისინი უკანონოდ მდიდრდებიან, ქონებას იძენენ მოტყუებისა და ბოროტების ჩადენის გზით. ისინი შეძენილ სიმდიდრეს არ ახმარენ ქვეყნის კეთილდღეობას, რაც გ. წერეთლისათვის მიუღებელია (187, გვ. 218, 219).

გ. ნატროშვილი გ. წერეთლის მხატვრული შემოქმედების ანალიზის საფუძველზე იმეორებს ს. ხუნდაძის აზრს, რომ „სინამდვილის ცოცხალი გადმოცემის წყალობით გ. წერეთლის პროზამ იმის უფლება მოიპოვა, რათა მას XIX საუკუნის მემატიანე ეწოდოს“ (168, გვ. 196).

ლ. გორგილაძე გ. წერეთელს უწოდებს სხვა თერგდალეულებთან ერთად „ქართველ განმანათლებელს, რომელიც ეკუთვნოდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ დასს, რომელიც კლასობრივი შინაარსით ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, ხოლო ფორმით კი უტოპიურ-სოციალისტური იყო“ (29, გვ. 48, 101).

აპ. მახარაძის აზრით„XIX საუკუნის სამოცდაათიან წლებში გიორგი წერეთელს, როგორც მწერლის და მოაზროვნის როლი კიდევ უფრო მნიშვნელოვნად წარმოგვიდგება, თუ სამოციან წლებში ახალი თაობის მეთაურად ილ. ჭავჭავაძე ითვლებოდა, სამოცდაათიან წლებში უკვე ასეთი მეთაურის ადგილი გ. წერეთელს უჭირავს“ (160, გვ. 426). ავტორი მცირე შესწორებებით ეთანხმებოდა გ. წერეთლის დასების თეორიას (160, გვ. 428).

ს. ავალიანი დაწვრილებით იხილავს გ. წერეთლის შეხედულებებს მატერიასა და კანონზომიერებაზე, შემეცნების თეორიის საკითხებზე. მისი აზრით, გ. წერეთელს მიაჩნდა, რომ ახალი საზოგადოებრივი სისტემა შრომის ახალ პრინციპებზე უნდა აიგოს. გ. წერეთლის იდეალი ისეთი საზოგადოებაა, სადაც „თითოეული კაცის შრომა პატივითა და ღირსებით“ იქნება შემოსილი, სადაც ადამიანები შეიგნებენ, რომ „კაცს მარტო შრომით შეუძლიან ამაღლდეს საზოგადოებაში და პატივცემული გახდეს“, მაგრამ ავტორის აზრით, გ. წერეთელმა „ვერ გაიგო პროლეტარიატის ისტორიული როლი და მნიშვნელობა კაპიტალისტური წყობილების მოსპობის და ახალი საზოგადოებრივი სისტემის დამყარების საქმეში. იგი ბოლომდე უტოპისტი დარჩა“ (13, გვ. 175, 196).

მ. გაფრინდაშვილმა, რომელმაც პრესის, საარქივო და დოკუმენტური წყაროების საფუძველზე გაანალიზა გ. წერეთლის, როგორც მოაზროვნის მემკვიდრეობა დაასკვნა, რომ გ. წერეთელი არის ქართველი განმანათლებელი, მისი მსოფლმხედველობა 60-70-იან წლებში ჩამოყალიბდა, პატრიოტიზმი, დემოკრატიზმი და სოციალიზმი, აი რა ძირითადი პრინციპები ედო მას საფუძვლად, გ. წერეთელი ბოლომდე ამ პრინციპების ერთგულია (45, გვ. 39). იგი, მართალია, გმობდა ფეოდალურ-ბატონყმურ წყობილებას, მაგრამ მან „ვერ შეიცნო, მეცნიერულად ვერ ახსნა სავაჭრო კაპიტალისტურ ურთიერთობათა ნამდვილი ბუნება... მისი „მშრომელთა საზოგადოება“. არსებითად გაიდიალებული ბურჟუაზიულ-დემოკრატიული საზოგადოებაა“ (25, გვ. 127, 146).

მ. გაფრინდაშვილის ნაშრომებით გამოსწორდა ის ხარვეზი, რაც მანამდე იყო დაშვებული გ. წერეთლის

შესწავლის საქმეში. მკვლევარები ძირითადად მის მხატვრულ შემოქმედებას იკვლევდნენ და პუბლიცისტიკა შეუსწავლელი რჩებოდათ, რის გამოც XIX საუკუნის ამ ცნობილ მოღვაწეზე უფრო ცალმხრივი შეხედულება ჰპოვებდა გავრცელებას.

მ. გაფრინდაშვილის შეხედულებით, „ქართული საზოგ–ადოებრივ-პოლიტიკური და ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში გ. წერეთელი შევიდა,როგორც XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე, დემოკრატი, მატერიალისტი და რეალისტი“ (25, გვ. 22).

ა. ჭილაიას ვრცელი მონოგრაფია ეძღვნება გ. წერეთლის მხატვრულ შემოქმედებას (207, გვ. 514). ნაშრომის პირველ ნაწილში ავტორი მსჯელობს გ. წერეთლის ბიოგრაფიის ძირითად მომენტებზე, მის ღვაწლზე ქართული და რუსული პრესის წინაშე, საინტერესოა ავტორის დაკვირვება გ. წერეთლის მსოფლმხედველობრივ საკითხებზე, მხატვრული შემოქმედებაზე. ა. ჭილაიას დასკვნით: „მაღალი სამწერლო თვისებები, მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა, ეროგულება საქვეყნო საქმისათვის და დაუღალავი ზრუნვა ერის ინტერესებისათვის გ. წერეთელს ანიჭებს დიდი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის სახელს“ (207, გვ. 503).

გ. წერეთლის, როგორც ნიჭიერი თერგდალეულის შესახებ საყურადღებო აზრი გამოთქვეს პრ. რატიანმა და აკ. სურგულაძემ. პრ. რატიანს მიაჩნდა, რომ თერგდალეულები და მათ შორის გ. წერეთელიც იყვნენ რევოლუციონერ-დემოკრატები (172, გვ. 5,7), ხოლო აკ. სურგულაძე ფიქრობს, რომ თერგდალეულების მოღვაწეობის მთავარი საკითხი იყო ეროვნული საკითხი. „ამ პრიზმაში გადატყდა მათი დემოკრატიულ,განმანათლებლური სულისკვეთება და იდეები“ (181, გვ. 28, 29).

აბ. კიკვიძე თერგდალეულებს და მათ შორის გ. წერეთლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის უკანასკნელი ათწლეული მჭიდროდაა დაკავშირებული „კვალის“ საქმიანობასთან. ამ პერიოდში ყველაზე უფრო ნათლად გამოჩნდა მწერლის რადიკალიზმი და სწრაფვა სიახლისაკენ... მას მარქსიზმი გულწრფელად მიაჩნდა თავისი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული

პროგრამის განხორციელების საშუალებად, ნაციონალური ბურჟუაზიის ინტერესების მფარველად“ (60, გვ. 128).

ფ. ლომაშვილს მიაჩნია, რომ „თერგდალეულთა განმანთავისუფლებელ-განმანათლებლური და რევოლუციურ-დემოკრატიული პროგრამა და პრაქტიკული მოღვაწეობა პროგრესიულ ხასიათს ატარებდა... მათ სწამდათ, რომ ეროვნულად და სოციალურად კონსოლიდირებული ქართველობა ყველა განსაცდელს გაუძლებდა, დაკარგულ ეროვნულ თავისუფლებას დაიბრუნებდა და მთელ კაცობრიობასთან ერთად უზრუნველყოფდა ბედნიერ მომავალს“ (155, გვ. 81).

გ. წერეთლის შესახებ დაცული ცენზურის მასალები გამოაქვეყნა ა. იოვიძემ. მასალებში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს 1896 წლის 7 სექტემბრით დათარიღებული გ. წერეთლის საჩივარი საცენზურო კომიტეტისადმი უფროსი ცენზორის ქიშმიშევის უმართებულო მოქმედების წინააღმდეგ მხატვრული ნაწარმოების „გულქანის“ დაბეჭდვის აკრძალვის გამო (75, გვ. 215, 216). ცენზორის მიერ აკრძალული მასალებიდან „ზეპირი გადმოცემა სოლომონ მსაჯულის შესახებ“ შეკრებილი გ. წერეთლის მიერ და მისივე „ზღაპარი“ გამოქვეყნებულ იქნა ა. იოვიძის მიერ (75, გვ. 224, 228). მაგრამ პატივცემული მკვლევარი თავს იკავებს დასკვნებისაგან და მხოლოდ მასალის პუბლიკაციებით კმაყოფილდება.

გ. წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების ცალკეულ საკითხებს აშუქებენ: შ. რადიანი (171, გვ. 296), შ. სალუქვაძე (173, გვ. 248) დ. შენგელია (189, გვ. 286), გ. ლომიძე (156, გვ. 160), ლ. მენაბდე (161, გვ. 104, 112), რ. ბარამიძე (19, გვ. 139, 150), ქს. სიხარულიძე (179, გვ. 215, 235), ნ. ჭოლოკავა (208, გვ. 85, 102). მ. თოდუა (63, გვ. 111, 125), ვ. სიდამონიძე (178, 10, 15), ა. კოჭლავაშვილი (140, გვ. 125, 128), ი.პ. ვართაგავა (58), დ. გამეზარდაშვილი (24), ვ. დონაძე (31, გვ. 10, 232), შ. ლეკვეიშვილი (153).

გ. წერეთლის როგორც მოაზროვნისა და შემოქმედის ბევრი საკითხია შესწავლილი და შეფასებული, მაგრამ დღემდე შეუსწავლელია მისი მოღვაწეობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი

სფერო. გიორგი წერეთელი როგორც საქართველოს ისტორიის მკვლევარი და პოპულარიზატორი. იგი 1872 წლიდან ქართულ ჟურნალ-გაზეთებში „კრებულში“, „ივერიასა“ და დროებაში“, 1893 წლიდან კი „კვალში“ აქვეყნებდა პოპულარულ წერილებს, გამოკვლევებს საქართველოს ისტორიაზე, ეთნოლოგიაზე, ქართულ ხუროთმოძღვრებასა და საისტორიო სიტყვიერებაზე.

პირველი მკვლევარი, ვინც ამ კუთხით სცადა გ. წერეთლის მოღვაწეობის შეფასება ფ. მახარაძე იყო. მისი აზრით, გ. წერეთლის „ისტორიული ნაწერები ორგვარია: ერთ ნაწილს წმინდა ისტორიული ხასიათი აქვს, მეორეში სჭარბობს ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული ელემენტები... (132). ფ. მახარაძე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა გ. წერეთლის წერილზე „ფილოლოგიური განხილვა ქართულისა ენისა“, რომელიც 1872 წელს ჟურნალ „კრებულში“ დაიბეჭდა (143). მისი აზრით, ხსენებული წერილის ღირსება ისა რის, რომ გ. წერეთელმა დ. ბაქრაძის პალეოგრაფიულ გამოკვლევაზე ადრე წამოაყენა ჰიპოთეზა ქართული მხედრული ანბანის ხუცურიდან განვითარების შესახებ (132).

ასევე დადებითად აფასებდნენ გ. წერეთლის ღვაწლს საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში მ. ჯანაშვილი (64), ალ. ხახანაშვილი (132), ი.ბ. ვართაგავა (59, გვ. 5, 37). ამ უკანასკნელის აზრით „XIX საუკუნის ქართველ მოღვაწეთა შორის გ. წერეთელი ერთ-ერთ გამოჩენილ და დიდად ორიგინალურ ფიგურას წარმოადგენს. იგი „ევროპულად განათლებული ინტელიგენტი იყო, საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის და ენის მკვლევარი“ (59, გვ. 5). მაგრამ გ. წერეთლის ღვაწლი საქართველოს ისტორიის კვლევის საქმეში იმთავითვე მკაცრად, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ტენდენციურადაც იქნა შეფასებული თ. ჟორდანიას, ნ. ხიზანიშვილის, მ. ნასიძის მიერ.

თ. ჟორდანია გ. წერეთლის ნაშრომებს „ისტორიული სიცრუვით ყელთამდე აღსავსეს“ უწოდებდა (67).

ნ. ხიზანიშვილი აკრიტიკებდა გ. წერეთლის ფილოლოგიურ გამოკვლევებს და ავტორის დასამცრობად აკ. წერეთლის ავტორიტეტსაც იშველიებდა:

„გიორგი ჩვენში ყველაზედ

უფრო შრომის მოყვარეა,
მაგრამ მისი ნაწერები
სხვადასხვაა, ორგვარია:
ერთი ნიჭიერი არის,
მეორე კი ზღაპარია,
მგონია, თუ იმ ერთ კაცსა
ორი თავი აბარია,
როცა ერთი გამოჩნდება
მეორე ჩრდილს აფარია“ (66).

მაგრამ იგივე აკაკი გ. წერეთლის შესახებ წერდა: „ზოგიერთები დღეს ცოდვაო სდებენ და დასტირიან „ყოველიფერს ეპოტინებოდაო“... ცდებიან“ (133).

მ. ნასიძე ფიქრობდა,რომ „გ. წერეთელიც იმ ისტორიკოსებს ბაძავდა, რომელთა აზრით ისტორია ზევიდან შენდება და მისი შემოქმედია ერთი კაცი“ (71).

ვფიქრობთ, აქაც გადაჭარბებასთან გვაქვს საქმე. ჩვენ ქვემოთ დაწვრილებით ვისაუბრებთ იმაზე, თუ რა შეცდომები ჰქონდა გ. წერეთელს საქართველოს ისტორიულ წარსულზე გამოქვეყნებულ წერილებში, რა ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით იყო იგი გამოწვეული, მაგრამ აქვე დავსძენთ, რომ ბრალდება, რომელსაც მ. ნასიძე გ. წერეთელს უყენებდა უსაფუძვლო იყო, ვინაიდან გ. წერეთელი თავის ნაწერებში, პირიქით, ამტკიცებდა ისტორიას ხალხი ქმნის და არა რამდენიმე პიროვნებაო.

საინტერესოა იმის გარკვევაც, თუ რატომ დამკვიდრდა იმთავითვე მტრული განწყობილება თ. ჟორდანიას, ნ. ხიზანიშვილს, მ. ნასიძესა და გ. წერეთელს შორის. იმხანად საქართველოს ისტორიაში ისედაც რამდენიმე პიროვნება მუშაობდა და ისინი პირიქით სიხარულით უნდა შეგებებოდნენ გ. წერეთლის მიერ ამ მიმართებით დაწყებულ საქმეს. მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე უფრო სხვაგვარად იყო, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანდა.

გ. წერეთელმა 90-იან წლებში ზურგი აქცია ი. ჭავჭავაძის ჯგუფს,ცდილობდა ამ ჯგუფის საქმიანობაში ნაკლოვანებების აღმოჩენას. იგი თ. ჟორდანიას, ნ. ხიზანიშვილს, მ. ნასიძეს და

სხვებს, ვინც გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე სისტემატურად აქვეყნებდა წერილებს, საქართველოს ისტორიის ცალკეულ საკითხებზებრალს სდებდა საქართველოს ისტორიის უსისტემო კვლევაში ამ განცხადებას „ივერიის“ ჯგუფიდანაც საპასუხო რეაქცია მოჰყვა. პოლემიკა, თუ ის საქმის ინტერესებიდან გამომდინარეობს, მეცნიერების განვითარებისათვის ფრიად აუცილებელია,მაგრამ იმხანად,როცა ქართველი საზოგადოება საქართველოს ისტორიის საკითხებს გაზეთების „ივერიასა“ და „კვალში“ დაბეჭდილი პუბლიკაციების საშუალებით ეცნობოდა ტენდეციური კრიტიკა საქმისთვის საზიანო იყო, ერთგვარად აბნევდა საზოგადოებას.

აბ. კიკვიძემ სპეციალური მონოგრაფია მიუძღვნა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ისტორიულ აზროვნებას (137, გვ. 1, 19). მაგრამ ამ ნაშრომში ავტორი უმეტესად დ. ბაქრაძისა და ი. ჭავჭავაძის ისტორიოგრაფიულ ღვაწლზე ამახვილებდა ყურადღებას. მეორე ნაშრომში კი დასძენდა: „კვალი“ დიდ მიდრეკილებას ამჟღავნებდა საქართველოს მეცნიერული ისტორიისადმი და თავის ფურცლებზე ათავსებდა წერილებს საქართველოს წარსული ისტორიის საკითხებზე. ეს წერილები ყველა გ. წერეთლის კალამს ეკუთვნის. სამწუხაროდ, ჩვენს საისტორიო მეცნიერებას დღემდე არ შეუფასებია ამ წერილების ავ-კარგიანობა“ (138, გვ. 8).

ი. კაჭარავა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დ. მიქელაძის (მეველე) საწინააღმდეგო დებულებას ბატონსა და ყმას შორის არავითარი მამაშვილური დამოკიდებულება არ არსებობდაო. ავტორის აზრით, გ. წერეთელი სხვა ქართველ სამოციანელთა მსგავსად ფაქტებისა და მოვლენების შესწავლისათვის შედარებით მეთოდს იყენებდა. მაგრამ ი. კაჭარავას მტკიცებით გ. წერეთლის ისტორიული ნაშრომები „ადვოკატურ-გამოსარჩლებითი“ პრინციპებით არის გამართული“ (78, გვ. 20, 35).

პატივცემული ავტორი კონკრეტულად არ განიხილავს გ. წერეთლის არცერთ ნაშრომს და თავისი დებულების გასამაგრებლად ძირითადად ეყრდნობა მ. გაფრინდაშვილის ნაშრომებში მოხმობილ მასალას, თუმცა ამ მასალიდან ამგვარი დასკვნა არ გამომდინარეობს.

მ. გაფრინდაშვილის ნაშრომებში განხილულია გ. წერეთლის

დამოკიდებულება XIX საუკუნის საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის ძირითად პრობლემებთან, ისტორიის როგორც მეცნიერების როლი და მნიშვნელობა ქართველი ხალხისათვის, გ. წერეთლის დამოკიდებულება საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციებისადმი და სხვ. (26, გვ. 323).

ა. ჭილაიას ზემოთდასახელებულ მონოგრაფიაში რამდენიმე გვერდი ეთმობა გ. წერეთლის დამოკიდებულებას საქართველოს ისტორიისადმი. ავტორს მიაჩნდა, რომ გ. წერეთლის ისტორიოგრაფიული წერილები სამი სახისაა: 1) ისტორიული წყაროების შესწავლა, მოვლენების მონოგრაფიული დახასიათება, უფრო ხშირად ხალხისათვის გასაგებ ენაზე შედგენილი ფელეტონების გამოქვეყნება, 2) მდიდარი მხატვრული ლიტერატურისა და ეთნოგრაფიის შეფასება, მეცნიერული ანალიზი, 3) საჯარო ლექციები, რომლებიც საქართველოს დიადი წარსულის პოპულარიზაციას ემსახურებოდნენ“ (207, გვ. 138).

ავთ. იოსელიანი მსჯელობს თერგდალეულთა ისტორიის საკითხებით დაინტერესების მიზეზებზე და გ. წერეთლის განსაკუთრებულ დამსახურებად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ მან „პირველად ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში დაასაბუთა ქართულ-აღმოსავლური რენესანსის ბევრად ადრე აღორძინება, ვიდრე იგი ევროპაში აიდგამდა ფეხს“ (76, გვ. 133).

აკ. სურგულაძე გ. წერეთელს პოზიტივისტ ისტორიკოსთა მიმდევრად მიიჩნევს. ავტორის აზრით, პოზიტივისტებმა და მათმა მიმდევრებმა ისტორიული მეცნიერება გაამდიდრეს ახალი ფაქტების შემოტანით, ხალხის მასების ისტორიული ცხოვრების ფართოდ გაშუქებით, „მათ პირველებმა მიაქციეს ყურადღება ეკონომიკურსა და კლასთა ბრძოლას ჩვენი ქვეყნის ისტორიაში“ (180, გვ. 47).

ვ. დონაძის ნაშრომში ზოგადად არის დანხილული თერგდალეულთა დაინტერესება მსოფლიო ისტორიის პრობლემებით და მათ შორის გ. წერეთლის შეხედულებანიც მსოფლიო ისტორიის პრობლემებზე (31, გვ. 325).

3. ახალი დროის საისტორიო მეცნიერება და გიორგი წერეთლის ისტორიოგრაფიული შეხედულებანი

XIX საუკუნის მეორე ნახევარი ერთ-ერთი ურთულესი ხანა იყო საქართველოს ისტორიაში. ცარიზმმა გააააქტიურა ქართველი ხალხის ეროვნული ჩაგვრა. მისი ერთგული სატრაპები: დონდუკოვ-კორსაკოვი,იანოვსკი,კატკოვი,ჩუდეცკი და სხვები ყოველნაირად ცდილობდნენ ისე წარმოედგინათ კავკასია და კერძოდ საქართველო,რომ თითქოს ქართველებს სეპარატიზმის ტენდეციები ჰქონოდათ და მათი ისტორია,ენა, ლიტერატურა საერთოდ ღარიბი ყოფილიყოს. მათი აზრით ასეთ ხალხს რაც მალე დაავიწყდებოდა საკუთარი წარსული და გაითქვიფებოდა რუსებში,მით უფრო უკეთესი იყო.

თვითმპყრობელობის კოლონიური ჩაგვრის გაძლიერებამ კიდევ უფრო შეამჭიდროვა თერგდალეულთა ჯგუფი, ისინი მკაცრი ცენზურის პირობებშიც ახერხებდნენ პრესაში ისეთი წერილების გამოქვეყნებას, რომლებშიც გაბედულად იყო მხილებული ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა.

ქართული ეროვნული სხეულიც დაქუცმაცებული იყო. XIX საუკუნის II ნახევრის ცნობილი მოღვაწე ილია ალხაზიშვილი გულისტკივილით აღნიშნავს, როცა მან იმოგზაურა ჯავახეთში, ნახა ერთ სოფელში ერთი ძმა, რაკი მართლმადიდებლური სარწმუნოებისა იყო, გვარად სანდაძე, ქართველობდა, მეორე კი, რაკი მონოფიზიტი – სომხობდა (14, გვ. 43). ასეთივე უნუგეშო მდგომარეობაში იყო საქართველოს გონების საუნჯე, მესხეთიც, ვინმე მესხი (ივანე გვარამაძე) წერდა: „მოვსულვართ უმეცრების შავბნელი წყვდიადითა,ვართ ერთიან უმოქმედოთ ხელფეხდაბორკილნი,გზაკვალშეშლილნი და გამოთაყვანებული“ (9).

ცარიზმის აგენტებმა სცადეს სამეგრელოს საქართველოდან ჩამოშორება, ამ საქმეში მათ ხელს უმართავდნენ რენეგატი ქართველები: თადა აშორდია, ივანე მუხრან-ბაგრატიონი და სხვები, მართალია, თავიანთი მოღვაწეობით ისინი განსხვავდებოდნენ, მაგრამ მაინც საბოლოოდ ეროვნული ნიჰილიზმით იყვნენ დასნეულებული. ჯერ კიდევ X

საუკუნეში გიორგი მერჩულეს მიერ ჩამოყალიბებული ქართველთა ერთიანობის კონცეფცია „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“ XIX საუკუნის საქართველოში ისტორიულ მოგონებად ქცეულიყო. ამიტომ საჭირო იყო მივიწყებული წარსულის გაცოცხლება, აწმყოსა და მომავლის სამსახურში მისი ჩაყენება, რაც თერგდალეულთა უპირველესი საბრუნავი გახდა. ილია ჭავჭავაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა წარსულის ცოდნას: „რომელია სიმაგრე ჩვენი ცხოვრებისა და რომელი სიფუყე და სისუსტე,ამას ხსნის და გვითარგმნის ხოლმე ისტორია,და თუ იგი დავივიწყეთ, მაშ დაგვიწყნია ჩვენი ცხოვრების სათავეც. ჩვენი ცხოვრების საძირკველი, და თუ ასეა –რაღაზედ უნდა დავამყაროთ ჩვენი აწმყო, ჩვენი მერმისი“ (206, გვ. 202).

წარსულის ისტორიის პირუთვნელი კვლევა ისტორიკოსთა საქმე იყო, მაგრამ XIX საუკუნის 60-70-იან წლებში საქართველოში ისინი თითქმის არ იყვნენ, რამაც აიძულა თერგდალეულნი თვითონ ემუშავათ საქართველოს ისტორიის ცალკეულ პრობლემებზე, რათა საზოგადოებისათვის გასაგებ ენაზე მიეწოდებინათ საინტერესო მასალა. გ. წერეთელი, როგორც თერგდალეულთა ერთ-ერთი ხელმძღვანელი ამ მიზნით შეუდგა მრავალსაუკუნოვანი საქართველოს ისტორიის შესწავლას. თავის დროზე ეს სწორად შენიშნა ჟურნ. „მოამბემ“, როცა, სარედაქციო წერილში მიუთითა: „გ. წერეთელი განსაკუთრებული ინტერესით სწავლობს ჩვენი ქვეყნის ისტორიასა და არქეოლოგიას,რათა ამით კიდევ უფრო ნაყოფიერად ჰქმნას თავისი ბრძოლა ერის თვითცნობიერების გაწვრთნისათვის“ (166).

ი. ფანცხავაც იმ აზრისა იყო, რომ გ. წერეთელს საქართველოს ისტორიის ცალკეულ საკითხებზე მუშაობა და ისტორიული ცოდნის პოპულარული ენით ხალხისათვის გადაცემა სჭირდებოდა მიძინებული ეროვნული სულის გამოსაღვიძებლად (182, გვ. 130).

თერგდალეულთა საქართველოს ისტორიით დაინტერესება და ამ სფეროში მოღვაწეობა არ უნდა გავიგოთ, თითქოს XIX საუკუნის საქართველოში სულ არ იყვნენ პროფესიონალი

ისტორიკოსები და საერთოდ არ არსებობდა საისტორიო მეცნიერება. XIX საუკუნის პირველი ქართველი ისტორიკოსი, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ თხრობის ჩარჩოებს გასცდა და საქართველოს ისტორიული ცხოვრების მთლიანი სურათის აღსადგენად ბერძნულ-რომაულ წყაროებს მიმართა თეიმურაზ ბაგრატიონი იყო (163, გვ. 46, 52). მისი ღვაწლი იმ მხრივაცაა დასაფასებელი, რომ მან გაუღვივა ინტერესი მარი ბროსეს საქართველოს ისტორიული წარსულისადმი. ამ უკანასკნელის დაუღალავი შრომის წყალობით ევროპამ გაიცნო „ქართლის ცხოვრება“, ორიგინალური ქართული ხუროთმოძღვრება, ქართული ხელნაწერები, ეპიგრაფიკული ძეგლები. მ. ბროსემ დაიწყო საქართველოს ისტორიის მეცნიერული დამუშავება, შეაჯერა მოპოვებული ეპიგრაფიკული და ნუმიზმატიკური მასალები წერილობით წყაროებთან; ამიტომ იყო, რომ მისი მოღვაწეობა თერგდალეულთა ყურადღების ცენტრში მოექცა. მ. ბროსე, თავისი საქმიანობით სამსახურს უწევდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას საქართველოში.

XIX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიას დიდი ამაგი დასდო პეტერბურგის ქართველოლოგიურმა სკოლამ, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ დავით ჩუბინაშვილი და ალექსანდრე ცაგარელი. დ. ჩუბინაშვილმა 1854 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში დაბეჭდა „ქართლის ცხოვრება“ ნაწილი II, რომელსაც წინასიტყვაობა წაუმძღვარა რუსულ და ფრანგულ ენებზე. ამ ფაქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა არაქართველი ისტორიკოსების საქართველოს ისტორიული წარსულით დაინტერესების თვალსაზრისით. ალ. ცაგარელის მიერ გამოცემული ქართული წყაროები იმით არის ღირებული, რომ აქ უკვე იგრძნობა ტექსტისადმი კრიტიკული მიდგომა. ფრიად საინტერესო იყო ალ. ცაგარელის მოღვაწეობა რუსული ენციკლოპედიებისთვის საქართველოს ისტორიის მასალების მომზადების საქმეშიც.

ალ.ცაგარელს ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას გ. წერეთელმა უწინასწარმეტყველა დიდი მომავალი. 1886 წელს კირილე ლოროქიფანიძისადმი გაგზავნილ წერილში იგი აღნიშნავდა – ალ. ცაგარელი არის ნიჭიერი და

იმედების მომცემი ყმაწვილი. ალ. ცაგარელი ნაყოფიერად მუშაობდა ქართული ისტორიული საბუთების გამოცემის, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხების გაშუქების დარგში.

XIX საუკუნის 30-70-იანი წლების ქართულ ისტორიოგრაფიას დიდი ამაგი დასდო პლატონ იოსელიანმა. იგი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ეკლესია-მონასტრებში ეცნობოდა ძველ ხელნაწერებს. მისი „დამსახურებაა „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანის პირველი ხელნაწერების აღმოჩენა,მანვე მიაკვლია ფარსადან გორგიჯანიძის ისტორიას, „ქართლის ცხოვრების“ ე.წ. ჭილაშვილისეულ ხელნაწერსაც“ (192, გვ. 38).

ზემოთ ჩამოთვლილი მეცნიერთა დიდი დამსახურება იყო 1881 წელს თბილისში არქეოლოგთა V ყრილობის ჩატარება. ეს იყო იმის აღიარება,რომ საქართველო ერთ-ერთი საინტერესო და უძველესი ისტორიის ქვეყანაა. ქართველი სამოციანელები იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ ყრილობას, რომ აკაკი წერეთელს საჭიროდ მიუჩნევია მისასალმებელი სიტყვით მიემართა ყრილობისადმი. მისალმებაში იგი კმაყოფილებას გამოთქვამდა ყრილობის საქართველოში მოწვევით, რადგან ყრილობის მონაწილე ცნობილი მეცნიერებები გახდებიან სხვებისათვის მაგალითის მიმცემნი,რათა უფრო ობიექტურად გამოიკვლიონ ჩვენი ქვეყნის წარსული“ (194, გვ. 639).

ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ XIX საუკუნის 30-70-იანი წლების ქართველმა ისტორიკოსებმა, ე.წ. პეტერბურგის ქართველოლოგიური ცენტრის მოღვაწეებმა, დიდი წვლილი შეიტანეს ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში, მაგრამ მათი ღვაწლი მაინც უდაბნოსა შინა ღაღადებას ჰგავდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ისინი თავიანთ გამოკვლევებს ქართულ ენაზე არ წერდნენ.

ამიტომაც იყო, რომ თერგდალეულებმა თვით მოჰკიდეს ხელი საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეს. ისინი „ისტორიული მეცნიერების მომარჯვებით არა მარტო ქართველთა ეროვნული თვითცნობიერების განმტკიცებას უწყობდნენ ხელს, არამედ წინ სწევდნენ და ავითარებდნენ ისტორიულ მეცნიერებას, განსაზღვრავდნენ მის საგანსა და

ამოცანებს, მეთოდსა და მეთოლოლოგიას“ (78, გვ. 17).

ამით განსხვავდებოდა თერგდალეულთა და მათ წინამორბედ ისტორიკოსთა დამოკიდებულება ისტორიის როგორც საგნისა და ისტორიის როგორც ერის წვრთნის, გამოღვიძების დანიშნულებისადმი. თერგდალეულნი მოითხოვდნენ მთელი ხალხის, ისტორიას ისეთი საუკეთესო წიგნიც კი, როგორც „ქართლის ცხოვრება“ მხოლოდ მეფეთა ისტორია იყო, ვინაიდან ეს უკანასკნელი იმ პრინციპით იყო შედგენილი, რომელიც ასახავდა ფეოდალური საქართველოს საზოგადოების მოთხოვნილებებს. ამიტომ XIX საუკუნის 50-60-იან წლებში საქართველოს ისტორიის „ქართლის ცხოვრების“ ქარგაზეაგება ფაქტობრივ „ქართული ფეოდალური საისტორიო მწერლობის რომანტიზმს“ ნიშნავდა (20, გვ. 11). 70-80-იან წლებში, როცა ფეოდალურ ბატონყმური წყობილება კრიზისს განიცდიდა თერგდალეულებს ახალი საქართველოსათვის ისტორიის ახლებურად გააზრება სჭირდებოდათ, რაც დაეხმარებოდა მათ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სწორად წარმართვის საქმეში. გამოჩნდნენ ისეთი ისტორიკოსებიც, ვინც სწორად გაიგო თერგდალეულთა მიზანი, ამგრამ იმდროინდელ ვითარებაში ადვილი არ იყო პირუთვნელი ისტორიის დაწერა. ცნობილი პუბლიცისტი ს. მესხი წერდა: „1800 წლის შემდეგ ჩვენი ისტორიის დაწერა ხეირიანად და პატიოსნად არ მოხერხდება, ცენზურა და მმართველობა ნებას არ მისცემს იმისთანა ისტორიის დაბეჭდვას რომელშიც ყველა მის მოქმედებას და განკარგულებას საქართველოში ქება არ ექნება“ (162, გვ. 144). მიუხედავად ამისა XIX საუკუნის 70-80-იან წლებში მაინც დაიწყო მართალი ისტორიის დასაწერად მასალების შეგროვება.

1869 წელს დ. ბაქრაძემ დაიწყო საქართველოს ისტორიის ქართულ ენაზე შედგენა. განზრახული იყო ამ ისტორიის გამოშვება ხუთ რვეულად. ი. ჭავჭავაძემ აღფროთოვანებული რეცენზია უძღვნა დ. ბაქრაძის პირველ წიგნს, რომელიც 1888 წელს დაიბეჭდა. ილიამ დ. ბაქრაძეს დაუდალავი და სასიქადულო მოღვაწე უწოდა. რომელმაც დიდი ღვაწლი და სამსახური დასდო ქართველ ერს. მაგრამ წყაროების კრიტიკულმა განხილვამ და მოპოვებამ დ. ბაქრაძე აიძულა

იმხანად შეეწყვიტა განმაზოგადებელი მონოგრაფიის გამოშვება (132, გვ. 190). დაიწყო მასალების მოძიების პერიოდი, თუმცა დ. ბაქრაძე მარტო მასალების შემკრების როლში როდი მოგვევლინა. იგი „XIX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველი იყო, რომელაც საფუძვლიანად გაარჩია მოპოვებული სიგელ-გუჯრები და შეუდარა ისინი ისტორიულ სინამდვილეს“ (137, გვ. 3,4).

დიმიტრი ბაქრაძესთან ერთად საინტერესო, დაძაბულ მუშაობას ეწეოდნენ თ. ჟორდანია (211, გვ. 170), მ. ჯანაშვილი (79, გვ. 166), ნ. ურბნელი (167, გვ. 158), ზ. ჭიჭინაძე და სხვები.

საინტერესო იყო კონსტანტინოპოლში მოღვაწე ქართველი კათოლიკების საქმიანობაც, რომლებიც ბევრ მასალებს აქვეყნებდნენ საქართველოს ისტორიაზე (53, გვ. 65), მაგრამ ხალხს სჭირდებოდა გასაგები ენით მიწოდებული მასალა. ვინც თ. ჟორდანიას მიერ გამოცემულ ქრონიკებს შეიძენდა, მას სათანადო ისტორიული ცოდნაც უნდა ჰქონოდა. ჩვეულებრივი რიგითი მკითხველისათვის ქრონიკებში შესული მასალის აღქმა-გაგება ადვილი არ იყო. ამიტომ იყო, რომ თერგდალეულთა თაობა მხატვრულ პროზასა და პოეზიაში ისტორიულ თემატიკას მიეძალა. ამ მხრივ საინტერესოა ი. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ი. გოგებაშვილის შემოქმედება.

ამავე მიზანს ისახავდა გ. წერეთელიც, როცა შეუდგა საქართველოს ისტორიულ წარსულზე წერილების გამოქვეყნებას მისი თანამებრძოლები: ს. მესხი, პ. უმიკაშვილი არაერთხელ აღნიშნავდნენ: „ფილოლოგია, ისტორია, არქეოლოგია... ეს ყველაფერი ერთ საგანს ეკუთვნოდა, ერთის საფუძველ დედა-აზრისაგან მომდინარეობდა, შენი დედააზრი იყო ზრუნვა ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ბედისათვის, ბედნიერებისათვის მისი წინსვლისათვის“ (197, გვ. 54).

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ გ. წეროლის მიერ საქართველოს ისტორიაზე მუშაობის დაწყება სავსებით გასაგებია, მაგრამ ჰქონდა კი მას საამისო განათლება და კომპეტენტურობა? ვფიქრობთ ამ კითხვას დადებითი პასუხი უნდა გაეცეს. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა გ. წერეთელს ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის დროს წაუკითხავს ძველი

ქართული მატიანეები, ქართული ლიტერატურის უძველესი ნიმუშები. ამ მხრივ ახალგაზრდა გიმნაზიელს ფასდაუდებელი დახმარება გაუწია საკუთარმა ბიძამ. შემდეგ კი პეტერბურგის უნივერსიტეტში,მართალია,ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე სწავლობდა, მაგრამ იგი გატაცებით ისმენდა ლექციებს მსოფლიო ისტორიაში, ხელოვნების ისტორიაში. მან საფუძვლიანად იცოდა გერმანული ენა და ორიგინალში კითხულობდა XIX საუკუნის გერმანელ ისტორიკოსთა ნაშრომებს. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც,რომ გ. წერეთელი ნ. ნიკოლაძესთან ერთად ხვდებოდა ცნობილ რუს რევოლუციონერ-დემოკრატ ნ. ჩერნიშევსკის, რომელთანაც მსჯელობდნენ ფილოსოფიისა თუ ისტორიის აქტუალურ პრობლემებზე. გარდა ამისა, გ. წერეთელი როგორც ბუნებისმეტყველების განყოფილების სტუდენტი უკვე იცნობდა ამ დარგის დიდ აღმოჩენებს, რომლებმაც ხელი შეუწყო ისტორიული მეცნიერების განვითარებას. ყოველივე ამან დადებითი როლი შეასრულა გ. წერეთლის ისტორიული აზროვნების ჩამოყალიბებაში. იგი საქართველოს სინამდვილეში წარსული ისტორიის „რომანტიკულ“ აღქმას კი არ მოითხოვდა, არამედ ისტორიული მეცნიერების გულდასმით კვლევას, მეცნიერული ისტორიის უტყუარი ფაქტებით დასაბუთებას და გამართვას,რაც ქართველ ხალხს მომავლისათვის ბრძოლაში გამოადგებოდა.

გ. წერეთლის როგორც მოაზროვნისათვის ცნობილი იყო კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის შრომები. იგი ერთ-ერთ თავის წერილში აღნიშანვდა რომ მარქსის ეკონომიკური მოძღვრება ისეთივე სიახლეა მეცნიერებაში, როგორც დარვინიზმი ბუნებისმეტყველებაშიაო.

ნათქვამის გამო ვფიქრობთ უმართებულოა ლ. ასათიანის განცხადება – „გ. წერეთელს, როგორც იდეალისტს და სუბიექტივისტს ისტორიის შემეცნებაში არ ესმოდა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას არა ადამიანების ნება-სურვილები განაგებენ,რომ ეს განვითარება დამოკიდებულია არა ამა თუ იმ საზოგადოებრივი ფორმაციის სასურველობასა და უმჯობესობაზე, არამედ იმ ისტორიულ აუცილებელ კანონებზე, რომელიც ახასიათებს საწარმოო

ძალთა განვითარებას და მასზე აშენებულ სოციალურ ურთიერთობას“ (17, გვ. 99). გ. წერეთელი აღიარებდა საზოგადოების კლასებად დანაწილებას, ეს დანაწილება მიაჩნდა სხვადასხვა კლასთა შორის დაპირისპირების მიზეზად.

გ. წერეთელს არ მიაჩნდა სწორად ის, რომ ერის ან კაცობრიობის ისტორიის ცოდნის წარმოსაჩენად ძირითადად მეფეების ცხოვრებას, მათ ტახტზე ასვლა-ჩამოსვლას სწავლობდნენ. მისი აზრით, ასეთი ისტორიის ცოდნა წარსულში აკმაყოფილებდათ, ახლა კი დრონი იცვალნენ და ისტორიაზე შეხედულებაც შეიცვალაო. თუ გ. წერეთელმა თერგდალეულთა სხვა მოღვაწეებთან ერთად გააკრიტიკა ქართლის ცხოვრება, ეს ფეოდალური საქართველოს ისტორიის ამ საუკეთესო წყაროს როლისა და მნიშვნელობის დამცრობის ცდა კი არ იყო. არამედ უარის თქმა ისეთი ისტორიულ კონცეფციაზე, რომელიც ისტორიას პიროვნების, თუნდაც მეფეთა ნება-სურვილის მიხედვით აგებდა.

გ. წერეთელი ერთ-ერთ საისტორიო გამოკვლევაში აღნიშნავდა, რომ კაცობრიობის ცხოვრებაში ყოველთვის ასეა, რა დიდ წარმატებებსაც არ უნდა მიაღწიოს ამა თუ იმ ხალხმა, თუ ყოველივე ამისათვის სათანადოდ მომზადებული არ არის, „სულ ყველა ფუჭად ჩაივლის“ (145, გვ. 218). ერთი კაცი როგორი დიდი ნიჭითა და უნარითაც არ უნდა იყოს დაჯილდოებული, ვერ შეძლებს ერის გაძლიერებას, დიდი ამოცანების გადაწყვეტას, თუ იმის თანამედროვენი, იმის მოძმენი იმის გვარტომობა არ თანაუგრძნობენ,არ ესმით იმისი მოქმედების აზრი და ვერ მოიხმარენ იმისგან მოტანილს სარგებლობას, გ. წერეთლის გაგებით პიროვნება, რა თქმა უნდა, დიდ როლს ასრულებს ისტორიაში, მაგრამ თუ ხალხი არ არის იმის აზრების შემცნობი და დამფასებელი, მას ყველაფერი ფუჭად ჩაუვლის.

გ. წერეთელი მარქსისტი არ იყო, მაგრამ ისევე როგორც იმდროინდელი სხვა ქართველი მოაზროვნეები (ი. ჭავჭავაძე, დ. ბაქრაძე) პიროვნების როლს ისტორიაში არ აფეტიშებდა, პირიქით ამა თუ იმ დიდი ისტორიული მოღვაწის წარმოჩენისას ეძიებდა იმ ეკონომიკურ და პოლიტიკურ

მიზეზებს, გამოჩენილი პიროვნების წარმატებას რომ განაპირობებდა. მ. გაფრინდაშვილის აზრით, გ. წერეთელი „სავსებით იზიარებდა მარქსამდელ მოაზროვნეთა ცნობილ დებულებას: საზოგადოება ადამიანთა ჯგუფებია, ხოლო საზოგადოების თვისებები ამ ჯგუფში შემავალი ადამიანების ინდივიდუალურ თვისებათა ჯამი. ამიტომ ადამიანზე რომ ლაპარაკობს, გ. წერეთელს მხედველობაში აქვს მთელი საზოგადოება, რომლის წევრიცაა ადამიანი და პირიქით. ამ აზრით ხელმძღვანელობდა გ. წერეთელი საზოგადოებრივ-ისტორიული მოვლენების შესწავლის დროს (26, გვ. 119).

გ. წერეთელს მიაჩნდა, რომ ამა თუ იმ პოლიტიკური ვითარების გასაგებად საჭიროა გაირკვეს, რა მიზეზებმა გამოიწვია იგი, როგორია მისი შედეგები კაცობრიობის განვითარების თვალსაზრისით. წინ წავიდა საზოგადოება თუ, პირიქით, უკან დასწია. მისთვის ესა თუ ის ისტორიული საბუთი, სიგელ-გუჯარი მხოლოდ მაშინ იქცეოდა „ისტორიულ უტყუარ საბუთად“, როცა ხელთ გვექნებოდა კრიტიკულად განხილული ტექსტი, მაგრამ ეს კრიტიკული განხილვა გულისხმობდა ტექსტის მეცნიერულ შესწავლას. „წავიდა ის დრო – წერდა გ. წერეთელი – როცა სქოლასტიკოსები ისტორიულ მეცნიერებას ამყარებდნენ მხოლოდ მონასტრებში დარჩენილ წერილობით საბუთებზე... უნდა შეიგნონ და შედარებითი მეთოდით გაარკვიონ, როდის არის ის დაწერილი და ყველა ეს ტექსტთან ერთად კომენტარებით გამოაქვეყნონ“ (101).

გ. წერეთელს მიაჩნდა, რომ ნამდვილი ისტორიის გამართვა მხოლოდ ასეთი შედარებითი მეთოდის გამოყენებით შეიძლება. ამ პრინციპებით ხელმძღვანელობდა იგი, როცა ძველი საქართველოს ისტორიაზე მსჯელობისას იყენებდა ბიზანტიელი, სომეხი, ისტორიკოსების ცნობებს, უდარებდა ქართლის ცხოვრების მასალებს, მასალათა შეჯერების საფუძველზე გამოჰქონდა თამამი დასკვნები. შედარებითი მეთოდის ფართოდ გამოყენების ცდაა მის ნაშრომში „ჩვენი ძველი გმირები“ (196, გვ. 104).

ძველი საქართველოს ისტორიული სურათის აღდგენას ცდილობდა ძველი ეგვიპტური, შუამდინარული მასალების

საფუძველზე. ვფიქრობთ, შედარებითი მეთოდის გამოყენება, რომელსაც გ. წერეთელი მიმართავდა,სავსებით დასაშვები იყო, მაგრამ ამავე დროს საჭირო იყო არა მექანიკური შედარება, რაც ზოგჯერ თავს იჩენდა გ. წერეთლის ამ ნაშრომში,არამედ საფუძვლიანი და თანაც იმ განმასხვავებელი ნიშნების ჩვენებით, რომელიც უეჭველად ჰქონდა აღმოსავლურისაგან განსხვავებით ძველ ქართულ ყოფასა და ტრადიციებს.

გ. წერეთელი საქართველოს ისტორიული წარსულის შესწავლის დროს ითვალისწინებდა საქართველოს გეო–გრაფიული გარემოს თავისებურებების და მის მნიშვნელობას ჩვენი ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნებისათვის მრავალსაუკუნოვან ბრძოლაში. იგი ი. ჭავჭავაძის მსგავსად ცდილობდა პასუხი გაეცა მთავარ კითხვაზე: რამ გადაგვარჩინა, ქართველობა? რომ მოგვიყვანა XIX საუკუნემდე? ეს არ იყო შემთხვევითი კითხვა, ამაზე პასუხის გაცემა ნიშნავდა იმის გაგებას, „რანი შეიძლება ვიყოთ მომავალში“. გ. წერეთელს მიაჩნდა, რომ საუკუნეთა მანძილზე საქართველოს ტერიტორია, როგორც აღმოსავლეთით, ასევე დასავლეთით კარგად იყო გამაგრებული ბუნებრივ-სტრატეგიული მდგომარეობით და ჩვენმა წინაპრებმა კარგად იცოდნენ ამ პირობების გონივრული გამოყენება. საქართველოს „სამხრეთი და ჩრდილოეთით მთები და კლდეები იცავდა... ყოველს გაჭირვების დროს. იმათ ისე გონივრულად შეეძლოთ დანაწილება სიმაგრეებში, ხევებში, ციხეებში, რომ ყოველთვის გამარჯვებულნი დარჩებოდნენ მოგერიებითს ომში და ვერც ერთი მძლავრი მტერი ვერ შელეწდა საქართველოს კარებსა“ (148). მისი აზრით, ქართველთა მრავალსაუკუნოვანი მტრების წინააღმდეგ ერთი მუჭა ხალხის გადარჩენის, შერკინების და გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი საფუძველი საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა იყო. სანამ ჩვენმა წინაპრებმა კარგად დაიცვეს მტერთაგან თითოეული ხეობა,უღელტეხილები,მანამ ქვეყანას არ გასჭირვებია,მაგრამ როცა XV-XVIII საუკუნეებში საქართველოს თანდათანობით დასუსტება დაეტყო, როცა დადგა ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი,მაშინ ნათელი გახდა მიზეზიც,არცერთი ისტორიული ციხე-გასასვლელი, ხეობა უკვე არ იყო გამაგრებული. სადავო

არ არის გეოგრაფიული გარემოს დიდი მნიშვნელობა ამა თუ იმ ხალხის განვითარების ისტორიაში, მაგრამ ვფიქრობთ, არასწორი იყო XV-XVIII საუკუნეების საქართველოს გაჭირვების, უბედურების მიზეზების მარტოოდენ გამგრებული ციხე-სიამგრეების არქონით ახსნა.

გ. წერეთელს მხედველობიდან გამორჩა ზოგიერთი მნიშვნელოვანი მოვლენა. კონკრეტულად XV საუკუნეში საქართველოში დასრულდა დიდაზნაურებიდან ახალი მძლავრი ფენის თავადობის გამოყოფის პროცესი. ყოველი სათავადო კი ცენტრალურ სამეფო ხელისუფლებასთან დაპირისპირებული იყო, გახშირდა ურთიერთმიხდომა, შუღლი, ერთიანი საქართველო გაითიშა ჯერ სამ სამეფოდ: ქართლის, კახეთის, იმერეთის სახით, ხოლო მოგვიანებით კიდევ უფრო დანაწევრდა. ეს მოხდა იმ დროს, როცა საქართველოს სამხრეთ საზღვარზე ერთმორწმუნე ბიზანტიის ნაცვლად გაჩნდა ახალი აგრესიული სახელმწიფო ოსმალეთი. ამ უკანასკნელისათვის კი განსხვავებული პოლიტიკურ-კულტურულ-იდეოლოგიური ტრადიციების ქვეყანა სავსებით მიუღებელი იყო. ამდენად გ. წერეთლის ტერმინს თუ ვიხმართ წინაპართაგან დაცული ხეობების „ციხე-სიმაგრების ნგრევა“ დაუცველობა ამ მიზეზითაც უნდა აიხსნას.

გ. წერეთელი საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ნათლად ამჩნევდა მქონებელთა და უქონელთა შორის წინააღმდეგობებს, მაგრამ სჯეროდა, რომ თანდათანობით ევოლუციური ფორმებით შესაძლებელი იყო საზოგადოების დრომოჭმული ურთიერთობების გადახალისება. ის ამბობდა, რომ სწავლა-განათლებით, ხალხში სიახლეთა მიტანით შესაძლებელი იყო ჩვენი ერის ეკონომიკური აღორძინება და განთავისუფლება. სიახლეთა ფართოდ დანერგვა კი შესაძლებელი იყო ქვეყნის ევროპიზაციით. გ. წერეთლის აზრით, „იდეალური“ საზოგადოება უნდა „შედგებოდეს სულ ღონიერი, გონიერი და შრომისმოყვარე ხალხისაგან – ასეთი მშრომელი და განათლებული ადამიანები უნდა ყოფილიყვნენ ბატონ-პატრონნი იმ საზოგადოებისა, სადაც აღარ იქნებოდა არც „დავა არც ავაზაკობა, აღარც ქურდობდა და კაცის კვლა, და ყოველი სიიაფეში და სიკმაყოფილეში იცხოვრებდა“ (26,

გვ. 90). მაგრამ რა გზით შეიძლებოდა ასეთი საზოგადოების შექმნა, გ. წერეთელს ეს საკითხიც აწუხებდა და ცდილობდა ეპოვა გამოსავალი, თუმცა ამაოდ, ვინაიდან განათლება, სწავლა კარგი საქმეა, მაგრამ მარტოოდენ ამით სამართლიანი საზოგადოების შექმნა შეუძლებელი იყო.

გ. წერეთელს მიაჩნდა,რომ XIX საუკუნის 60-80-იანი წლების ქართველობას ნაკლებად ესმოდა თავისი ერის სატკივარი, რაც წარსულის უცოდინარობით აიხსნებოდა. ვგონებ, ერთი ერიც აღარ იყოს ქვეყანაზე ისეთი, რომ განათლებაში ფეხი შეედგას და იმდენად თავის მამულის უმეცარი იყოს, როგორც ჩვენ, შენიშნავდა იგი. მისი აზრით, ჩვენი ქვეყნის წარსული, მისი ისტორია, ეთნოგრაფია დაწვრილებით უნდა იქნეს შესწავლილი და ისე მიეწოდოს ახლგაზრდობას. იგი ი. ჭავჭავაძის მსგავსად ფიქრობდა, რომ ერის ისტორიის ცოდნას შეუძლია ხელი შეუწყოს ჩვენი სამშობლოს წინსვლას. საკითხის ასე დაყენება XIX საუკუნის 70-80-იანი წლების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარების კონკრეტული ანალიზიდან გამომდინარეობდა. საქმე ეხებოდა ეროვნული მეობის შენარჩუნებას,ამიტომ გ. წერეთლის დასკვნა სამშობლო ისტორიის ცოდნას შეუძლია ფეხზე დააყენოს ქვეყანაო, ეხმიანებოდა ეროვნულ-განმანთავისუფლებელ სულისკვეთებას. „რომელ ხალხს ჰსურს თავისი იერი შეინარჩუნოს, თავისი ვინაობა დარჩეს, ის უსათუოდ უნდა ჩაუღრმავდეს და გაიცნოს თავისი ისტორიული ზრდა“ (90). გ. წერეთელი იმასაც კარგად გრძნობდა, რომ მარტოოდენ ისტორიის ცოდნა ვერ მისცემდა ქვეყანას თვითარსებობის გარანტიას. იგი მოუწოდებდა ახალგაზრდობას ბეჯითი შრომისაკენ, რაც ქვეყნის ეკონომიკური აღორძინების აუცილებელი პირობა იყო.

გ. წერეთელი სწორად შენიშნავდა XIX საუკუნის 70-80-იანი წლების ქართული ისტორიოგრაფიის ზოგიერთი ნაკლს და აცხადებდა დღემდის საქართველოს ისტორიას ნამდვილი ისტორიკოსი არ გამოსჩენია და ჯერაც შეუძლებელია, რომ ვინმე გამოჩნდეს. მისი ეს აზრი არ ნიშნავდა მ. ბროსეს, დ. ბაქრაძის, პ. იოსელიანის, თ. ჟორდანიას ღვაწლის უარყოფას. გ. წერეთელი კარგად იცნობდა ხსენებული ისტორიკოსების

ნაშრომებს და სათანადოდ აფასებდა მათ. იგი მ. ბროსეს პირველ მეისტორიესა და საქართველოში ისტორიული მეცნიერების დამაარსებელს უწოდებდა. აღნიშნავდა მ. ბროსეს ტექსტოლოგიურ ღვაწლს და,რაც მთავარია იმას,რომ „იმან პირველად გააცნო საფრანგეთსა და მთელ ევროპას მივიწყებული საქართველო“ (52). გ. წერეთელს მიაჩნდა, რომ სწორედ მ. ბროსეს დაუღალავმა მოღვაწეობამ ამ სფეროში წააქეზა ქართველობაც უფრო ბეჯითად შეესწავლათ თავიანთი წინაპრების ისტორია. იგი სათანადოდ აფასებდა დ. ბაქრაძის ღვაწლსაც და ამბობდა, რომ მისმა დაუღალავმა მუშაობამ ბევრი ჩვენი ისტორიისათვის მანამდე უცხო,მაგრამ საინტერესო და აუცილებელი ახალი დოკუმენტები აღმოაჩინა. მაშ რატომდა აცხადებდა გ. წერეთელი,დღემდე საქართველოს ისტორიას ნამდვილი მკვლევარი არ გამოსჩენიაო? მას თავისი წინამორბედი ისტორიკოსები უფრო მასალათა მომძიებლებად მიაჩნდა. მისი აზრით, ამ ისტორიკოსთა ნაშრომების ხარვეზი ის იყო, რომ ისინი საქართველოს ისტორიის ცალკეულ მონაკვეთებს სწავლობდნენ და ეპოქის ზოგადი სურათი კი შეუსწავლელი რჩებოდათ.

გ. წერეთელს მიაჩნდა, რომ სანამ სრულად არ იქნებოდა მოძიებული საქართველოს ისტორიის გაფანტული წყაროები, მანამ სისტემატური კურსის შექმნა გაძნელდებოდა. ვფიქრობთ, სამართლიანი იყო გ. წერეთლის საყვედური მისი თანამედროვე ისტორიკოსების მიმართ, რომ საქართველოს მატიანეებში განსაკუთრებით ყურადღება აქვთ მიქცეული მხოლოდ რამდენიმე ხანაზე, რომლის ბრწყინვალება ძალაუნებურად XIX საუკუნის ისტორიკოსთა ყურადღებას, იქცევს, ხოლო რაც შეეხება დანარჩენ ეპოქებს, ისინი გამოუკვლეველი რჩებოდა. მისი აზრით, XIX საუკუნის 80-იან წლებში საქართველოს ისტორიის შესასწავლად მაძიებელი, უცხო ენების მცოდნე,სიმართლისმოყვარე კაცი უფრო საჭირო იყო, ვიდრე ისტორიკოსი, ვინაიდან ეკლესია-მონასტრებში, ზოგჯერ გაპარტახებულ ადგილებშიც იმდენი ისტორიული დოკუმენტები იყო,რომელთა მიმოქცევაში შემოტანა,განჩხრეკა საქართველოს ისტორიის არაერთ ფურცელს ახლებურად წარმოაჩენდა. ამიტომ გ. წერეთელი ქართლსა და იმერეთში,

სამცხე-ჯავახეთის სოფლებში, აჭარასა და აფხაზეთში მუხლჩაუხრელად ერთი ადგილიდან მეორეში გადადიოდა და ჰკრებდა ძველ ისტორიულ დოკუმენტებს.

საქართველოს ისტორიის სრულყოფილად შესწავლა ხელოვნების ისტორიის, ნუმიზმატიკის, არქეოლოგიური მონაცემების გარეშე შეუძლებელია. ასე ფიქრობდა გ. წერეთელი. „ნამდვილმა ისტორიკოსმა... უნდა იცოდეს ნუმიზმატიკა, მხატვრობის ისტორია, ხუროთმოძღვრების ისტორია და მიწის ზემოთ და მიწის ქვეშ ნახულის ნივთების, მოხელეობის და სხვა ისტორიული ნაშთების ზედმიწევნით დაფასება“ (101).

მან კარგად იცოდა ძველი ქართული დამწერლობა, ხელნაწერში წაიკითხა უძველესი ქართული საისტორიო წყარო „მოქცევაი ქართლისაი“. მისი გამოკვლევები ყურადღებას იქცევდა იმითაც,რომ ავტორი ნაშრომის ბოლოს მიუთითებდა გამოყენებულ ლიტერატურას. იგი იყენებდა პლუტარქეს და ტაციტუსის, მოვსეს ხორენაცის და ვარდან დიდის, ქსენოფონტეს, და მომზენის შრომებს. გ. წერეთელი ისტორიულ ეპოქებზე მსჯელობისას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა არგუმენტების საფუძვლიანობას,რომელიც რა თქმა უნდა, უტყუარ საბუთიანობაზე იქნებოდა დაფუძნებული. თუ სკეპტიციზმი გაუჩნდებოდა თავისი კოლეგის ნაშრომის მიმართ, დაუფარავად აღნიშნავდა. 1893 წელს, როცა თ. ჟორდანიამ გამოაქვეყნა გამოკვლევა „მოკლე ცნობანი ქართველთა მონასტრებზე აღმოსავლეთში“ (65), რომელშიც ავტორი ამტკიცებდა, რომ მირიან მეფემ იმოგზაურა იერუსალიმს, განამრავლა იქაურ მონასტრებში ქართველი ბერები,მირიანის შვილმა ბაქარმა უკანასკნელი წლები პალესტინაში გაატარა და გარკვეულწილად დაეხმარა იერუსალიმის ქართველთა მონასტერს. გ. წერეთელი არ დააკმაყოფილა თ. ჟორდანიას მიერ ამ ფაქტების დასაცავად მოხმობილმა არგუმენტაციამ და სპეციალურ რეცენზიაში, მოსთხოვა ავტორს, არსებობდა თუ არა დასახელებული ფაქტების შესახებ წერილობითი დოკუმენტები და თუ არსებობდა რომელი საუკუნისა იყო ისინი (82).

გ. წერეთელი როგორც საქართველოს ისტორიის მკვლევარი

თავისი სამუშაო პროფილით ყველაზე თვალსაჩინოდ წარმოჩინდა 1880 წელს, როცა მან ტფილისის კლუბში წაიკითხა ლექცია ქართულ ენაზე „საქართველოს ძველ დროებაზე“. საინტერესო იყო ავტორის მიერ შედგენილი ლექციის გეგმა-პროსპექტი. როცა ავტორი მსჯელობას იწყებდა საქართველოს უძველეს ისტორიაზე, განიხილავდა ბიბლიის ძველი ისტორიკოსების ქსენოფონტეს, პლინიუსის, მარცელინის, ჰეროდოტეს, ბიბლიის ცნობებს საქართველოს ისტორიაზე, იგი სათანადო შეფასებას აძლევდა ს. ბარათაშვილის, დ. ბაქრაძის, ბაიერის და მ. ბროსეს შრომებს, ითვალისწინებდა 1881 წლამდე თბილისში არქეოლოგთა ყრილობისათვის მომზადებულ მასალებს, ვრცლად ეხებოდა ქართულ წარმართულ პანთეონს, ხსნიდა იმ მიზეზებსაც, რამაც გამოიწვია ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში. გ. წერეთელი როგორც ისტორიკოსი უკრიტიკოდ როდი აღიარებდა ძველი ისტორიკოსების ყველა ცნობას. მაგალითად, თავის ლექციაში კრიტიკულად აფასებდა პტოლომაიოსის გეოგრაფიულ რუკას და მიაჩნდა, რომ რუკაზე იყო დაშვებული რიგი შეცდომები გეოგრაფიული სახელებისა თუ ხალხების განსახლების საკითხებზე. გ. წერეთელი მსჯელობდა ქართველური მოსახლეობის მცირე აზიაში განსახლებაზე, ერთმანეთს უდარებდა ქართლის ცხოვრებისა და კაიკურციუსის ნაამბობს, ხშირად ჩაურთავდა ხალხურ გადმოცემებსაც, რომლებიც შემორჩენილი იყო ალექსანდრე მაკედონელზე, მითრიდატე VI-ზე.

ასევე საფუძვლიანი იყო გ. წერეთლის მსჯელობა თარგამოსისა და მისი შთამომავლობის შესახებ, ავტორს სურდა დამაჯერებლად აეხსნა ქართლოსისა და ჰაოსის ნათესაობის ვერსია... (50).

იმ დროს, როცა თვით გ. წერეთლის აზრითაც, ქართული ისტორიული მეცნიერება ჯერ შემგროვებლობით პრინციპს ვერ გასცილებოდა და საისტორიო მასალების განუჩხრეკელობისა და მოუძიებლობის გამო რომელიმე ეპოქაზე განზოგადოებული მსჯელობა ძნელდებოდა, გ. წერეთლის მიერ ასე ვრცელი ეპოქის მოვლენებზე მსჯელობდა დიდი გაბედულება იყო. საზოგადოების აზრი კი ამას დიდად აფასებდა, თუმცა

უმჯობესია გაზეთ „დროებას“ მოვუსმინოთ: „შაბათს, 22 მარტს, გიორგი წერეთელმა წაიკითხა თბილისის კლუბში ლექცია „საქართველოს ძველს დროზედ“. ეს იყო პირველი ლექცია ქართველისაგან ქართულს ენაზე წაკითხული. ამიტომ ადვილად წარმოასადგენია ის ინტერესი, რომლითაც ჩვენი საზოგადოება მიეგება... დარბაზი სრულებით გაჭედილი იყო ხალხით, დიდის ამბით მიეგებნენ ლექტორს და თითოეულს იმის სიტყვას გულმოდგინედ უგდებდნენ ყურს“ (51). გაზეთი იქვე იმასაც დასძენდა, რომ ლექცია ბევრად უფრო მოიგებდა, ლექტორი უფრო მცირე მონაკვეთით რომ შემოფარგლულიყო, მაგრამ საერთოდ ამგვარი ლექციები სასურველი იყო საზოგადოებისათვის.

გ. წერეთლის ამგვარი მოღვაწეობიდან ჩანს, რომ ავტორი ყველა ღონეს ხმარობდა საქართველოს ისტორიის პოპულარიზაციისათვის, მაგრამ იგი არ იყო უბრალო რეფერატების და კომპილაციების ავტორი; როგორც დავინახეთ, მას ჰქონდა თავისი კვლევის მეთოდები და ხერხები, იგი ხშირად საინტერესო მოსაზრებებს აყენებდა, ცხოველ დისკუსიებსაც იწვევდა მეცნიერული წრეებში.

გ. წერეთელი გრძნობდა, რომ საქართველოს ისტორია არ შეიძლება მსოფლიო ისტორიული მოვლენებისგან მოწყვეტილად განხილულიყო. იგი საინტერესო შედარებებს აკეთებდა ისტორიის ცალკეულ პერიოდებთან, ღრმა განსწავლულობასა ამჟღავნებდა. პასუხისმგებლობითა და სიყვარულით წერდა ჩეხეთის,ბალკანეთის ხალხების,შორეული აღმოსავლეთის ისტორიაზე და ამით დიდ საქმეს აკეთებდა: „მას ახალი დროის მსოფლიო ისტორიისა და საერთაშორისო ურთიერთობის აქტუალური პრობლემების აღძვრით უბრალო ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება კი არ სურდა, არამედ ამას მისთვის დიდი პრაქტიკულ შემეცნებითი დანიშნულება ჰქონდა: მსოფლიოს ისტორიის ანალებში მოენახა მშობლიური ქვეყნის ისტორიის პარალელები და დამთხვევები და ამით სამშობლოს განვითარების უკეთესი გზები გამოენახა“ (31, გვ. 10).

გ. წერეთელი დიდი პატივისცემით ეკიდებოდა არაქართულ წყაროებს, მაგრამ ამ წყაროს ან ისტორიკოსის ნაშრომებში

თუ ტენდენციურად იქნებოდა ნაჩვენები ჩვენი სამშობლოს ისტორია, აქ იგი შეუპოვარ პოლემისტად იქცეოდა. მან გააკრიტიკა ქ. პატკანოვის მოსაზრება იმის შესახებ, რომ თითქოს უძველესი ქართული მითოლოგიური მემკვიდრეობა მოკლებულია თვითმყოფად ეროვნულ ნიადაგს და XIX საუკუნის სპარსული მითოლოგიისა და ლიტერატურის გადმოქართულების გზითაა შეთხზული და დაასაბუთა ქართული მითოლოგიის თავისთავადობა.

სავსებით მართალი იყო ნ. ნიკოლაძე, როცა წერდა: „მის სტატიებში ჩანდა დიდი ნიჭის მქონე მხატვარი,რომელიც არა მარტო საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებს ამჩნევდა,არა მარტო მის ახალსა და ტიპიურ მხარეს შენიშნავდა, არამედ უფიქრდებოდა მის ხასიათს და ერკვეოდა ამ მოვლენათა მიზეზებში“ (170, გვ. 192).

გ. წერეთლის ისტორიული აზროვნება ეპოქის სულისკვეთებით არის გამსჭვალული,იგრძნობოდა გარკვეული შეზღუდულობაც, ფაქტებისა და მოვლენების ანალიზის არამართებულობის შემთხვევებიც, მაგრამ დღეს ადვილია თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის მონაცემებიდან მასზე, მსჯელობა, და თუ ქართული ისტორიოგრაფია ამ სიმაღლეზეა, ამაში არამცირედი წვლილი XIX საუკუნის II ნახევრის სხვა ქართველ მოაზროვნეებთან ერთად გ. წერეთელსაც მიუძღვის. სწორად შენიშნავდა ნ. ბერძენიშვილი: „მეცნიერული ისტორიის შესაქმნელად აუცილებელი პირობაა ისტორიის საშენი მასალის მეცნიერული მოპოვება. მასალა მრავალნაირი, წერილობითი, მატერიალური, ზეპირსიტყვიერი“ (21, გვ. 313). XIX საუკუნის 80-90-იანი წლების ქართულმა ისტორიოგრაფიამ მისი საუკეთესო წარმომადგენლების დაუღალავი მოღვაწეობის შედეგად მოამზადა ნიადაგი მეცნიერული ისტორიოგრაფიის შესაქმენლად. გ. წერეთლის ღვაწლიც დიდია მეცნიერული ისტორიოგრაფიის შექმნის გზაზე. იგი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების იდეებზე იყო აღზრდილი და საქართველოს ისტორიის ცალკეული პრობლემების განხილვისას ცდილობდა რევოლუციურ-დემოკრატიული პოზიციების დაცვას. მაგრამ არცოუ იშვიათად ივიწყებდა ისტორიზმის პრინციპებს. მაგალითად გ. წერეთელი

საყვედურს გამოთქვამდა „ქართლის ცხოვრების“ მიმართ და უკვირდა მასში რატომ ხალხის ცხოვრება არ სჩანსო, ის კი ავიწყდებოდა, რომ „ქართლის ცხოვრება“ ფეოდალური საქართველოს აზროვნებას სავსებით აკმაყოფილებდა.

მაგრამ გ. წერეთლის ისტორიულ წერილებში რევოლუციურ-დემოკრატიული აზროვნების გავლენას შეეძლო დაენახვებინა კაცობრიობის ისტორიის კანონზომიერი განვითარების მაგალითები,როცა იგი აღნიშნავდა,რომ საუკუნეთა მანძილზე ძველდება ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობილება, რომელსაც ცვლის ახალი უფრო პროგრესული წყობილება, მაგრამ დრო ჟამი მისი შეცვლის აუცილებლობასაც აყენებს დღის წესრიგში.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ „გ. წერეთელი არა მარტო საქართველოს ისტორიის პოპულარიზატორი იყო, არამედ სათანადო ისტორიული მასალების მომძიებელი და მკვლევარი. მისმა წერილებმა საქართველოს ისტორიაზე, რომლებიც ქვეყნდებოდა 1893-1900 წლებში გაზ. „კვალში“, „დროებასა“ და „ივერიაში“ ხელი შეუწყო ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების გაღრმავებას და გარკვეული წვლილი შეიტანა XIX საუკუნის 90-იან წლებში მეცნიერული ისტორიოგრაფიის საფუძვლების მომზადებაში“ (55, გვ. 14, 15).

II თავი

გიორგი ნწერეთელი ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის წყაროებისა და პრობლემების შესახებ

გიორგი წერეთელი მრავალმხრივი შემოქმედი იყო, იგი გულდასმით სწავლობდა ჩვენი სამშობლოს მრავალ–საუკუნოვან ისტორიას, მის სიძველეებს. მართებულად შენიშნავდა აკ. წერეთელი: „მოვა დრო, როდესაც საზოგადო მოღვაწეებს საკუთარი შეგნებით და არა სხვების აყოლით დააფასებენ, მაშინ გიორგი წერეთლის ნაწერების სიდიადე და მრავალფეროვნება გააკვირვებს ყველას“ (134).

საქართველოს უძველესი თუ შუა საუკუნეების ისტორია,მისი წყაროები, ხელოვნების ისტორია, ნუმიზმატიკა, ეთნოგრაფია, საისტორიო სიტყვიერება, საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის პრობლემები, – აი არასრული დასახელება გ. წერეთლის როგორც ისტორიკოსის კვლევა-ძიების სფეროებისა. ეს იმითაც აიხსნება, რომ თუ ერთის მხრივ ოფიციალური ხელისუფლება მკაცრად ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ისტორიის შესწავლას, მეორე მხრივ, „ქართული მეცნიერული ისტორიოგრაფია არალეგალურ პირობებში ვითარდებოდა... საქართველოს ისტორიის საკითხებზე მუშაობას იმ დროს მხოლოდ ენთუზიასტი პატრიოტები ბედავდნენ. ქართული სკოლა არ არსებობდა და საქართველოს ისტორიის ის მცირე ცოდნაც კი ნახევრად არალეგალურად ვრცელდებოდა“ (20, გვ. 10).

XIX ს. 70-80-იან წლებში ქართულ პერიოდულ პრესაში, რუსულ სამეცნიერო ჟურნალებში იბეჭდებოდა ვრცელი გამოკვლევები საქართველოს ისტორიის ცალკეულ საკითხებზე, მაგრამ ბევრი ისტორიული საბუთი, სიგელ-გუჯრები იმხანად ისევ ეკლესია-მონასტრების ნესტიან საცავებში იყო ჩაკეტილი და ყველაზე საშური იყო ამ სიძველეთა გამოვლენა, მეცნიერული შესწავლა და კლასიფიკაცია. „ჩვენ გვაქვს მრავალი ხელნაწერი, ხალხის

თქმულებანი, მრავალი ძველებური ნაშთი, მრავალი კვალი უწინდელის საქართველოს დიდების და განათლებისა. მაგრამ ყველა ამაებს პოვნა, გამოკვლევა, გაჩხრეკა და დაფასება უნდა“ (49). აღნიშნავდა გ. წერეთელი. ამიტომ იყო, რომ მან დაიწყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მოგზაურობა და ძველი ეკლესია-მონასტრების სიძველეთა შესწავლა.

„დღევანდელი ქართული ისტორიოგრაფია მადლიერია გ. წერეთლის ღვაწლისა, თუნდაც იმიტომ, რომ ჟამთა სიავემ, წარსულისადმი ნიჰილისტურმა განწყობილებამ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ეკლესია-მონასტრებში დაუნჯებული ბევრი სიძველე გაანადგურა და, თუ რამ ვიცით ზოგიერთი ძველი ხელნაწერის შესახებ, ეს გ. წერეთლის დამსახურებაა“ (54, გვ. 53).

ქართული ისტორიული წყაროების სკრუპულოზური ანალიზის საფუძველზე გ. წერეთელმა კარგად შეამჩნია ჩვენი ძველი ისტორიოგრაფიის ხარვეზი: „საქართველოს მატიანეებში განსაკუთრებული ყურადღება აქვთ მიქცეული მხოლოდ რამდენიმე ხანაზე, მკვლევარებიც იკვლევენ ამ ბრწყინვალე დროს ჩვენი ისტორიული ცხოვრებისას, მაგრამ სად აქვს სათავე ამ ისტორიულ ნაყოფს, ეს ძალიან ბუნდოვნად და მქრალად არის მოთხრობილი“ (98). მისი აზრით, საქართველოს ისტორიის მეცნიერულად შესწავლისათვის აუცილებელია ისტორიული საბუთების, სიგელ-გუჯრების შედარებითი მეთოდით შესწავლა, მაგრამ თითოეული სიგელ-გუჯარი აუცილებლად უნდა იყოს კრიტიკულად დადგენილი ტექსტი და ასე გამოიცეს: „ყოველი ხელნაწერი მატიანე, სანამ გამოქვეყნდებოდეს, უნდა იქნას მეცნიერულად შესწავლილი, უნდა შეიგნონ და შედარებითი მეთოდით გაარკვიონ, როდის არის ის დაწერილი, და ყველა ეს ტექსტთან ერთად გამოაქვეყნონ“ (98).

გ. წერეთლის ეს მოსაზრება საისტორიო საბუთების ყოველმხრივ კრიტიკულ-მეცნიერული აპარატის დართვით გამოქვეყნების შესახებ, რა თქმა უნდა, სავსებით მართალი იყო, მაგრამ ქართული ტექსტების ამ პრინციპით გამოქვეყნება იმხანად ვერ ხერხდებოდა. ცოტა მოგვიანებით ქართული საისტორიო და ლიტერატურული ძეგლების პუბლიკაცია

აკად. ნ. მარის ხელმძღვანელობით ამ პრინციპების მიხედვით განხორციელდა. გ. წერეთელი თეორიულად უკვე მსჯელობდა იმის შესახებ, რომ კრიტიკულად დაუდგენელი წყაროების გამოცემა ბევრ გაუგებრობას წარმოშობს ისტორიული კვლევა-ძიების პროცესში, ამიტომ სანამ ჩვენ ხელთ არ გვექნება კრიტიკულად დადგენილი წყაროები, მანამ საქართველოს ისტორიის მეცნიერულად გამართვა შეუძლებელი იქნებაო.

გ. წერეთელმა ამ მიზნითაც იმოგზაურა ყვირილის ხეობაში, აღწერა ამ ხეობის სიძველენი, გელათის მონასტრის ლაპიდარული წარწერები და წიგნსაცავებში დაცული მასალებიც გამოაქვეყნა Древности Восточные-ს პირველ ტომში "Полное собрание надписей на стенах и приписок к рукописям Гелатского монастыря".

გელათის მონასტრის ლაპიდარული წარწერები უფრო ადრე მ. ბროსემ გამოაქვეყნა, მაგრამ, გ. წერეთლის აზრით, ზოგიერთი წარწერა არასწორად იყო ამოკითხული.

ქართული ლაპიდარული წარწერების მკვლევარის ვ. სილოგავას აზრით, „სამი წარწერა: 1. გერმანეს ეპიტაფია 1787 წლისა; 2. იაკობ ფანჩულიძის წარწერა ქვის სვეტზე და 3. ანტონის წარწერა ეკლესიის ჩრდილოეთი მინაშენის კედელში ჩასმულ ქვის პატარა ფილაზე, პირველად გ. წერეთელმა გამოაქვეყნა“ (186, გვ. 21).

ასეა დღევანდელი ქართული ისტორიოგრაფიის მიერ შეფასებული გ. წერეთლის შრომა; თვით მისი თანამედროვე ალ. ხახანაშვილი წერდა: „გ. წერეთელი არამც თუ ასწორებს აკად. მ. ბროსსეს მიერ გადმოღებულ წარწერებს და ზედ დამატებითს ცნობებს გვაძლევს, არამედ მთელი კოლექცია ახალი ზედ-წარწერებისა აღმოუჩენია, რომლებიც აქამდის არ ყოფილა არავისაგან გადმოღებული“ (220, გვ. 280).

გ. წერეთლის შრომა ამ მხრივ იმითაცაა დასაფასებელი, რომ იგი ძველი აღმოსავლეთის რუსულენოვან ჟურნალში ქართულ წარწერებს რუსული თარგმანებითა და კომენტარებით აქვეყნებდა და არაქართველი მკითხველისათვის ცნობილ ხდიდა საქართველოს ისტორიის არაერთ საინტერესო ფურცელს. საინტერესოა თითოეულ წარწერაში მოხსენიებულ პირებზე გ. წერეთლის კომენტარები, რომლებშიც მჟღავნდება

საქართველოს ისტორიაში ავტორის განსწავლულობა.

„უფალო შეიწყალე დიდისა საყდრისა გენათის მიტროპოლიტი და აწ აფხაზეთისა და საქართველოს დიდისა ბიჭვინთისა კათოლიკოზი ზაქარაია ქვარიანი“ (220, გვ. 221). გ. წერეთლის აზრით, ყველა დანარჩენ საბუთში ზ. ქვარიანი მოხსენებულია დასავლეთ საქართველოს კათოლიკოზად. იგი ფიქრობდა, რომ 1654 წლამდე აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოზია ქრისტეფორე, შემდეგ კი 1660 წლამდე, ვიდრე დომენტი დაიკავებს ტახტსვერიის ეკლესიის საჭეთმპყრობელი არავინაა, ალბათ ამიტომ მოიხსენია ზაქარია ქვარიანმა თავი სრულიად საქართველოს კათოლიკოზად.

გ. წერეთელმა გელათის მონასტრის წიგნსაცავში იოანეს სახარებაზე აღმოაჩინა და ამოიკითხა შემდეგი მინაწერი: „ჩ. ყ. მ. გ: (1843 წ.) ოქტომბრის კ.გ. (23) დღესა. ცათა მობაძვას გაენათის მონასტერში მოვედი ბრძანებითა ეპისკოპოსის ნიკიფორესათა, რომელიც მართავს საქმეთა იმერეთისა და გურიის ეპარხიასთა და ოცდაათიდგან ამ მონასტერში დავყავ და აქამომდე წავიკითხე ესე წმინდა და სიბრძნით აღსავსე სახარების თარგმანი. ნეტავი ამას, ვინც, ამა წმიდა მონასტერში მოსულია მეათთორმეტესა და მეათხუთმეტესა საუკუნესა, განუხილავს დიდი საწიგნე გაენათისა, მას შემდეგ მრავალი წიგნი გამოუხვიათ წმინდა მონასტრიდან და საწიგნე დაცარიელებულა. ოქროპირ წერეთელი“ (220, გვ. 271).

ეს მინაწერი იმით არის საინტერესო,რომ გვაცნობს გელათის წიგნსაცავის მდგომარეობას XIX საუკუნის 40-იან წლებში. შეიძლება ამ დროს მონასტერში იყო სპეციალური კატალოგი, რომელშიც აღნუსხული იყო თუ რა წიგნები ინახებოდა გელათში, რაკი ოქროპირ წერეთელი აცხადებდა ნეტავი მას, ვინც XII ან XV საუკუნეში მოსულაო, ალბათ, ჰქონდა რაღაც დოკუმენტი, რომელიც უტყუარად ამტკიცებდა გელათის მონასტრის წიგნსაცავის სიმდიდრეს, მრავალფეროვნებას.

გ. წერეთელმა 1898 წელს კრებულში „Материалы по археологии Кавказа.“ გამოაქვეყნა ნაშრომი „Археологическая прогулка по Квирильскому ущелью.“

ამ ნაშრომით გ. წერეთელმა კდიევ უფრო განუმტკიცა საზოგადოებას აზრი საქართველოს სიძველეთა უნიკალური

მნიშვნელობის შესახებ. მას შეეძლო თავისი მეცნიერული ჰიპოთეზების დასამტკიცებლად უცხოური წყაროების მოხმობა. მსჯელობს რა ყვირილის ხეობის როლისა და მნიშვნელობის შესახებ, იგი იშველიებს ძველ ბერძენ და რომაელ ავტორების ცნობებს, რომელთაც დაწვრილებით აქვთ აღწერილი უძველეს დროში ამ ხეობის სტრატეგიული დანიშნულება. გ. წერეთელი იმოწმებდა ხალხურ გადმოცემებსაც (ოქრია თუთბერიძის ნაამბობი), რომელიც ასაბუთებდა ყვირილის ხეობის მჭიდრო დასახლებას უძველესი დროიდანვე. აქ იყო ბევრი ნაქალაქევი, მდ. ფაზისზე შორაპნამდის 120-მდე ხიდი ყოფილა. ასეთია ძველი ბერძენი ისტორიკოსების ცნობები, რომლებსაც იცნობდა გ. წერეთელი.

XVII-XVIII საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური და ეროვნული დეცენტრალიზაციის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითად ტყვის სყიდვა უნდა ჩაითვალოს. ქართველი საზოგადოების ნაწილი იმდენად გადაგვარებულა, რომ საკუთარ თანამოძმესაც არ ინდობდა და ტყვედ ჰყიდდა ოსმალებზე. იტალიელი მისიონერები გულისტკივილით აღწერდნენ ამ საშინელ უბედურებას, რომელიც აჩანაგებდა ქვეყნის ძირითად მწარმოებელ ფენას, გლეხობას. XVIII საუკუნის საქართველოს მშფოთვარე ხანის დოკუმენტად უნდა ჩაითვალოს გ. წერეთლის მიერ ერთ-ერთ ძველ გულანზე ამოკითხული მინაწერი:

„ღმერთო და უფალო იესო ქრისტე ყოვლისა მპყრობელო. დასწყევლე, წყეულ კრულ და შეჩვენებულ ამყოფე მამუკა ბოქაულთუხუცესი ორთავე შინა ცხოვრებასა, და გამიყიდა, არცა დიდთაგან პატივითა, არცა სახსრითა არ დამახსნევინა, უბრალოდ დაუნაშავებოდ თათარს მიმიცა არას ხვეწნითა და არა საქმით არ გამიკითხა... ეს ერთი რვეული წიგნი მსჯავრით და ცრემლით დამიწერია“ (221, გვ. 89).

გ. წერეთელმა საზოგადოებას გააცნო ეკლესია-მონასტრებში დაცული დღიურები, რომლებიც, ერთ მხრივ, გამოხატავენ შემდგენლების პოლიტიკურ ორიენტაციას, და, მეორე მხრივ, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიის წყაროებს ავსებენ. „ქრისტეს აქეთ ათასშვიდას სამოცდაექვსს სვერი ააროვეს სოლომონს ოსმალთ გასულ ენკენისთვეს“ (221, გვ. 89). ეს

მოკლე ჩანაწერი გვაცნობს იმერთა მეფე სოლომონ I-ის (17525-1784 წწ.) ბრძოლებს ოსმალების წინააღმდეგ. „1794 წელსა ოვესა ოქტომბერსა ოცდაოთხსა დღესა და გაიქცა ბატონიშვილი, დადიანი, აბაშიძე, ლეკის ჯარი, მერმე ცოტა ხნის იქით მიიცვალა იანვარს ბატონიშვილი დავითი და ამავე ქორონიკონზე ერთი ოვე რომ გავიდა გიორგი ახვლედიანიც მოკვდა“ (221, გვ. 89).

ეს დღიურები მრავალმხრივ არის საინტერესო და მათი სამეცნიერო ჩანაწერების მიმოქცევაში შემოტანა გ. წერეთლის დამსახურებაა. XIX საუკუნის 70-80-იან წლებში ხდებოდა ეკლესია-მონასტრების გაძარცვა. ავაზაკები ძირითადად ძვირფას საეკლესიო ნივთებზე ნადირობდნენ, მაგრამ არც წიგნებს ინდობდნენ,ასე იფანტებოდა ის ქართული საუნჯენი, რომლებიც ჟამთა სიავეს, მრავალი უცხოელი დამპყრობლის მსახვრალ ხელს გადარჩენოდა. მაგრამ იყვნენ ისეთი ადამიანებიც,რომელნიც უჩუმრად,უპრეტენზიოდ მუშაობდნენ, ცდილობდნენ მომავალი თაობებისათვის შეენახათ წინაპართა ნაღვაწი. „ეს სახარება დაკარგული ყოფილა ქ. ტფილისში და მე ამოვიგე 1884 წელსა და ისევ შემოვსწირე წმინდის გიორგის ეკლესიას და აწ ნუვინ იკადრებს ეკლესიიდან გამოტანას“ (221, გვ. 106).

გ. წერეთელი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა საქართველოს ეკლესია-მონასტრებში არსებული სიძველეების დაცვის საქმეს. როდესაც მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარემ გრაფინია უვაროვამ მოინდომა ნიკორწმინდის ეკლესიაში დაცული XI საუკუნის ხატის რუსეთში გატანა მუზეუმში გამოსაფენად, გ. წერეთელმა დაასაბუთა მოსკოველი სწავლულის აზრის უმართებულობა და ხატი ადგილზევე დარჩა.

გ. წერეთლის აზრით ნამდვილმა ისტორიკოსმა... თან უნდა იცოდეს ხუროთმოძღვრების ისტორია, მხატვრობის ისტორია, ნუმიზმატიკა და მიწის ზემოთ და მიწის ქვეშ ნანახის ნივთების და სხვა ისტორიული ნაშთების ზედმიწევნით დაფასება.

გიორგი წერეთელმა აღწერა კაცხის, სავანის, სპეტის, დრანდის,ბედიის,დიდუბის,ვარძიის სამონასტრო კომპლექსები, ხელოვნებათმცოდნის თვალხედვით გაანალიზა ქართული

ხუროთმოძღვრების განვითარების მრავალსაუკუნოვანი გზა. როცა იგი ამა თუ იმ ისტორიული ძეგლის შესახებ მსჯელობდა, ცდილობდა მოლიანობაში აღედგინა მისი ისტორია. სანიმუშოდ მოვიტანთ მღვიმევის მონასტრის გ. წერეთლისეულ აღწერას: „ღვიმის ტაძარი სრულად და მთელათ შენახულა და უნდა ჩაითვალოს საუკეთესო ძეგლად XIII საუკუნის ხუროთმოძღვრებისა. ტაძარი წარმოადგენს ბაზილიკის სახეს, რომლის შეკრული თაღი ბუნებითი კლდეა. ამ კლდის წყალობით ეკლესია ისე შემონახულა, თითქოს გუშინ აეგოთ“ (112).

გ. წერეთელი გამოთქვამდა ვარაუდს, რომ ტაძრის და–სავლეთით არსებული გამოქვაბული და სამლოცველო შეიძლება ქრისტიანობის წინა პერიოდის კერპთაყვანის–მცემლობის სამსხვერპლოდაც გამოიყენებოდა. გ. წერეთელმა ეკლესიის კედელზე არსებული წარწერის გაშიფვრის შემდეგ გამოთქვა მოსაზრება, რომ „ძეგლი აგებული უნდა იყოს სწორედ მაშინ, როდესაც დევნილი რაჭის ერისთავი აღმოსავლეთ საქართველოში იმყოფებოდა და, ალბათ, არც რაჭის ერისთავთ-ერისთავად იწოდებოდა, მის შვილს რატის კი, ამის გამო, მხოლოდ რაჭის ერისთავის წოდება უნდა ჰქონოდა“ (28, გვ. 89).

გ. წერეთელს მღვიმევის მონასტრიდან მოჰყავს კიდევ ერთი დოკუმენტი „ქ. ჩვენ ყოვლისა ივერიისა“ (იგულისხმება დასავლეთ საქართველო).

ბატონმა, ტომობით დავითიანმა, მპყრობელმა წმინდის ამის მონასტრისა ამა: ბატონისშვილმან გიორგიმ ვიგუ–ლისმოდგინეთ: ჟამთა ვითარებისაგან მონასტერი ესე საერისკაცოდ გამხდარიყო. ხოლო ჩვენ აღვაშენეთ და შევამკეთ მამულით და შინ წყობილებითა დასაკვლელად ჩვენდა და თანახორც ჩვენთა დადიანის ასულის მზეხათუნის ვყავთ და ყოველთა მკითხველთა და აღმომკითხველთა შენდობას ვითხოვთ ქრისტეს აქეთ ჩღო (1778 წ.)“ (221, გვ. 100).

ყველა აქ მოხმობილი მასალის საფუძველზე ჩვენს წინაშე ცოცხლდება ქართული ხუროთმოძღვრების ერთი შესანიშნავი ძეგლის მღვიმევის მონასტრის ისტორია.

გ. წერეთელმა აღმოაჩინა და დაღუპვას გადაარჩინა

ქართული ხელოვნების უნიკალური ძეგლი, სპეტის ეკლესიის კანკელი, რომლის არსებობაც აღარავინ იცოდა.

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ გ. წერეთლის ფონდში არის ავტორის უბნის წიგნაკები, რომლებშიც აღწერილია სამცხე-ჯავახეთის ზოგიერთი ისტორიული ძეგლი და გაშიფრულია ლაპიდარული წარწერებიც. დღეს შეიძლება ბევრი რამ საკამათო, არაზუსტიც იყოს გ. წერეთლის მოსაზრებებში, მაგრამ XIX საუკუნის 80-90-იან წლებში მისი მოღვაწეობა ამ მიმართებით დიდ საქმედ უნდა ჩაითვალოს. „ჩვენ ისტორიის ბეჯითი მაძიებელი და მართლის მოყვარე კაცი გვინდა და არა ისტორიკოსი, რადგან ისტორიკოსობა ჩვენში ჯერ მოუხერხებელი საქმეა, სანამდის ამდენი ძველი ხელთ-ნაწერები და სახსოვრები გამოუჩინებლად ჰყრია“, (149) - წერდა გ. წერეთელი და მისმა მაძიებელმა გონებამ, დაუღალავმა შრომამ თავისი შედეგებიც გამოიღო, ბევრი ხელნაწერი, ძველი საბუთები შეკრებილი იქნა.

ცალკე საკითხია, თუ რა ღვაწლი დასდო გ. წერეთელმა ქართული ხალხური სიტყვიერების შეკრება-პუბლიკაციის საქმეს. სავსებით სწორია ქს. სიხარულიძის დასკვნა: „საისტორიო სიტყვიერების, ეპიური ციკლის თქმულებათა ზღაპრების, მითების და ანდაზების მკვლევარი გზას ვერ აუქცევს გ. წერეთლის მიერ ჩაწერილ ტექსტებსა და თეორიულ მოსაზრებებს ამ ტექსტების შესახებ“ (179, გვ. 215, 216).

ამ მხრივ საინტერესოა გ. წერეთლის მიერ ჩაწერილი ისტორიული შინაარსის ზეპირგადმოცემები გარსია ღონღაძის ნაამბობი ბასილიკაზე, გ. ჯაფარიძის ნაამბობი მოდინახეს ციხის აღების შესახებ, გ. ჯაფარიძის ნაამბობი, ხარაგოულის ხეობაში მამისთვალა ყიფიანმა რომ სიმონოვიჩის ჯარი გაატარა (118). ზეპირგადმოცემები იმერთა მეფე სოლომონის შესახებ (15).გ. წერეთელმა გაზეთ „Кавказ“-ში გამოქვეყნებულ ნაშრომში „Мифы Кавказа на грузинской почве“ კრიტიკულად განიხილა რუსი და უცხოელი მეცნიერების მცდარი მეცნიერული არგუმენტები ქართული და საერთოდ კავკასიური ზეპირსიტყვიერების სპარსულიდან წარმომავლობის შესახებ და „ქართველი ერის ისტორიულ წერილებით წყაროებზე დაყრდნობით იგი ცდილობს მათი

ადგილობრივი, კავკასიური წარმამავლობის დამტკიცებას. ამ ძიებაში უკვე მოჩანს წერილობით წყაროებში ისტორიული პლასტების თანდათანობითი გამოცალკევებით უძველესი ქართული მითოსის დადგენის სურვილი“ (216, გვ. 87).

ხალხური სიტყვიერებით გატაცება, მისი შეკრება გ. წერეთლისათვის შემთხვევითი ფაქტი არ იყო. მისი აზრით,„ამ პოეზიამ უცხო სკოლაში აღზრდილ ჩვენს ახალგაზრდობას დავიწყებული სამშობლო ენა და პოეტური გამოხატულება ერისა, მისი ლირიკულ-ეპიკური თვისება უნდა შეასწავლოს და აჩვენოს ახალგაზრდობას მისი შინაგანი თავისებურებანი, ბუნება,უცხო ენის აზროვნებაში მიმალულნი და მიჩქმალულნი გამოურკვიოს, გაუნთავისუფლოს, გამოუბრუნოს“ (128).

საინტერესო საკითხია გ. წერეთელი და ქართული ეთნოგრაფიის პრობლემები. მან ამ მიმართებითაც ბევრი გააკეთა... „ყოველ ერს, რომელიც დიდი ხნიდან გამოსულა ისტორიულ ასპარეზზედ, შეუქმნია თავისებური წეს-წყობილება, ჩვეულება, ხასიათი. ზოგი ეს წეს-ჩვეულებანი საზოგადოა და შორეულის ნათესაობის მაჩვენებელი, ზოგი კი სულ განკერძოებულია, ეკუთვნის მხოლოდ ერთს რომელისამე ერის ისტორიულს და პოლიტიკურს ცხოვრებას... ეს განკერძოებული ჩვეულება ძალიან ძვირფასია არამცოუ თვით ერისათვის, არამედ ყოველის კაცისათვის, ვინც კი შესდგომია იმ ერის წარსულისა და აწმყოს ყოფა-ცხოვრების გამოკვლევას“ (84).

გ. წერეთელი საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხებს ეხება ნაშრომებში „გვართა ბრძოლა საქართველოში“ (147). „დღეობა,ღამისთევა,ხატობა“ (87). „ყენობა“ (84). „ბერიკაობა“ (83) და სხვები. იგი საკითხის ღრმა ცოდნით აღწერდა XIX საუკუნის საქართველოში ფართოდ გავრცელებულ დღეობა, ღამისთევა ხატობის დღესასწაულებს. ამ დღესასწაულებში მონაწილეობდა მოსახლეობის ყველა ფენა გლეხობით დაწყებული თავადაზნაურობით დამთავრებული. ისინი ზუსტად ასრულებდნენ ხატისათვის მიცემულ პირობას ღამისთევის შემდეგ კი სხვადასხვა თემის ხალხი ეკლესიის ახლოს იკრიბებოდნენ და იმართებოდა სხვადასხვა სანახაობა უფრო მეტად ჭიდაობა,კრივი და ჯირითი. გ. წერეთელი ეყრდნობოდა

რა ი. ბებუთაშვილის ცნობას, დაწვრილებით აღწერდა კვირაცხოვლობისა და მამადავითობის დღესასწაულზე კრივს. მისი აზრით საეკლესიო დღესასწაულზე ფიზიკური ძალის დემონსტრირება საქართველოს ცხოვრების სპეციფიკურობით აიხსნებოდა: „ქართველი ყმაწვილობიდანვე ეჩვეოდა ბრძოლაში ხერხიანობას, თანდათან ემატებოდა ბუნებითი გამბედაობა, სიცქვიტე, სიმარჯვე, თვალის სიმკვირცხლე, ერთი სიტყვით ყველა თვისება, რაც ბრძოლაშიც გამოადგებოდა“ (87).

ხატის, დღეობის, დღესასწაულების დადებით მომენტად გ. წერეთელს მიაჩნდა ისიც, რომ აქ ხდებოდა საქართველოს სხვადასხვა სოფლების,ქალაქების მოსახლეობის დაკავშირება, ურთიერთგაცნობა და აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

გ. წერეთელი წერდა, რომ მანამ, ვიდრე საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს შორის ხალხის დაკავშირების არავითარი სხვა საშუალება არ იქნებოდა,ხატობა,ღამისთევის დღესასწაულები ხალხის დაკავშირების ერთადერთი საშუალება იყო. საქართველოს ყველა კუთხეს თავისი გამორჩეული დღესასწაულები ჰქონდა. იმერეთში – გიორგობა მარიამობა,მოწამეთობა,ელიობა,ყეენობა,კოხინჯრობა,ილორის გიორგობა, ქართლში გერისობა, ქვათახეობა, მცხეთობა, კახეთ-მთიულეთში ალავერდობა, ხახმატობა, ლაშარობა, კვირიკობა.

გ. წერეთლის მახვილი თვალი იმასაც ამჩნევდა, რომ XIX საუკუნის 50-70-იან წლებში ამ დღესასწაულებში დარბაისლურ გართობას დრეობა,ურთიერთუპატივცემულობაც შემოერია, მაგრამ იგი წინააღმდეგი იყო დღესასწაულების უარმყოფელთა და აუცილებლად მიიჩნევდა იმ მიზეზების გამოკვლევას, რამაც ასეთი დამახინჯებული სახე მიანიჭა მრავალსაუკუნოვან ტრადიციას.

გ. წერეთელმა საინტერესო წერილი უძღვნა ბერიკობას. მისი აზრით,ბერიკების თამაშსა და ძველი კერპთაყვანისმცემლობის დროის ლიტანიობას, გაზაფხულის დღესასწაულს შორის დიდი კავშირი უნდა იყოს. იგი დაწვრილებით აანალიზებდა ბერიკობის დღესასწაულის ქართულ და ძველბერძნულ ვარიანტებს და ასკვნიდა რომ ბერიკობის თამაშში აირე–კლებოდა კაცობრიობის შიში ბუნების მოვლენების აუხსნე–

ლობა და მომავალი ბედისწერის გამოცნობის წადილი.

ყეენობის მსგავსი დღესასწაული ამ სახით სხვა ხალხებში არ დასტურდება. „ეს მხოლოდ საქართველოს ერის წარსულზედ არის აღმოცენებული, მისის წარსულის ჭირისა და ლხინის მომგონებელი, მისის გავლილის ბრძოლის სურათია. თვით ყეენობაში იხატება, თუ რა გაჭირვება გამოუვლია საქართველოს ერს, ან რა ზნეობრივ თვისებებით და ქველმოქმედებებით დაგვირგვინებულა მისი ისტორიული სვე-ბედი“ (84). გ. წერეთელი არ ეთანხმება იმ მეცნიერთა მოსაზრებებს, რომელნიც ყეენობას XVII საუკუნიდან ვარაუდობენ და მიაჩნია, რომ იგი VIII საუკუნიდან, მურვანყრუს შემოსევების დროიდან შეიძლება იყოს გავრცელებული.

გ. წერეთელი პროფესიონალი ეთნოგრაფი არ ყოფილა, მაგრამ მის მიერ შეგროვებულმა მასალებმა ქართული ზნე-ჩვეულებების თავისებურმა ანალიზმა დიდი როლი შეასრულეს მომავალი მეცნიერული ეთნოგრაფიის შექმნის საქმეში.

გ. წერეთლის ასეთი მრავალმხრივი მოღვაწეობა სათანადო იქნა შეფასებული ქართველი,რუსი და უცხოელი მეცნიერების მიერ. როცა იგი გარდაიცვალა,ან. თუმანიშვილი-წერეთლისამ თანაგრძნობის დეპეშათა შორის ასეთი შინაარსის წერილიც მიიღო: „ნებას ვაძლევ ჩემს თავს, უღრმესი თანაგრძნობა გამოგიცხადოთ თქვენი მეუღლის გარდაცვალების გამო.

გრაფინია უვაროვისა – თავმჯდომარე მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოებისა“ (135).

აკაკი წერეთელი 1900 წელს აღნიშნავდა: მარტო მხატვრული ნაწერებით ჩვენი მესამოცე წლების მოღვაწეთა დაფასება დიდი შეცდომა და უსამართლობა იქნება... მესამოცე წლის წრე ძალიან პატარა იყო, ისე კაცმრავალი არ ყოფილა როგორც დღეს. ამიტომ ეს მოღვაწენი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროს ემსახურებოდნენ. ნ. ბერძენიშვილის სიტყვებით „ცარიზმის სასტიკი შემოტევის პირობებში მტერი ყველა საშუალებით იბრძოდა ჩვენი ეროვნული გაქრობისათვის. ქართველი ხალხის პროგრესული ნაწილი თავდაუზოგავად ებრძოდა გადაგვარებულ მუხრან-ბატონებს, ტროგლოდიტ აშორდიებს, კოსმოპოლიტ ნიჰილისტებს, დერჟიმორდა

კატკოვებს, ვოსტორგოვებს, ყველა იმათ, ვინც ცარიზმს ამ შავ საქმეში შველოდა. პროგრესულმა საქართველომ გაიმარჯვა... ამ ბრძოლაში, ცხადია, ისტორიულ არგუმენტაციას განსაკუთრებული მნიშვნელობის როლი ეკისრებოდა“ (20, გვ. 7). ამ გამარჯვებაში გ. წერეთლის წვლილიც ღირსშესანიშნავია, მისი თითოეული ნაშრომი დაუღალავი, მაძიებელი გონების,ანალიტიკური აზროვნების შედეგია. ისინი გვხიბლავს თავისი უბრალოებითა და საკითხების დაყენების მართებულობით. იგი არსად არ ღალატობს მართლის თქმის პრინციპს. მისთვის უცხო იყო როგორც ფსევდოპატრიოტული გატაცება და ეროვნული ისტორიის სახელოვანი მოვლენების გაფეტიშება, კრიტიკულ განუსჯელობა. ასევე უცხო იყო ამ ისტორიისადმი ნიჰილისტური განწყობილებაც. მთელი მისი ზრახვანი ერთიანი, შეგნებული, თავისთავში დარწმუნებული საქართველოს ძიება იყო,მას ბევრი კეთილშობილური ზრახვა აღუსრულებელი დარჩა, მაგრამ ბევრიც მოასწრო.

გიორგი წერეთლის დროს განსაკუთრებით ძნელი იყო ძველი საქართველოს ისტორიის სრულყოფილად აღდგენა.

საუკუნეთა მანძილზე მტერთა შემოსევებმა არა მარტო ფიზიკური და სულიერი დასუსტება მოუტანა ქვეყანას, არამედ განადგურდა მრავალი ისტორიული დოკუმენტი, მატერიალური კულტურის ძეგლები.

XIX საუკუნის II ნახევარში, როცა გიორგი წერეთელმა ხელი მოჰკიდა საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდის კვლევას,არქეოლოგია,როგორც მეცნიერება ახალფეხადგმული იყო. მძიმე ვითარებას ისიც ემატებოდა, რომ გამოვლენილი არ იყო ძველი საქართველოს ისტორიის მატერიალური და სულიერი კულტურის საუკეთესო ნიმუშები. მეცნიერულად დადგენილი და გამოცემული არ იყო არცერთი წერილობითი წყარო, საჭირო იყო საქართველოს ისტორიის უძველეს პერიოდებზე არსებული უცხოური წერილობითი წყაროების შეკრება და პუბლიკაცია. მანამ კი გ. წერეთლის აზრით ისტორიაში შედარებითი მეთოდის ფართოდ გამოყენებით შესაძლებელი იყო ბურუსით მოცული ჩვენი წარსულის კვლევა. მან ჟურნალ „კრებულში“ დაიწყო წერილების გამოქვეყნება საერთო სათაურით „ჩვენი ძველი გმირები“.

წერილები ავტორმა 1898 წელს ცალკე წიგნადაც გამოსცა.

გ. წერეთელს მიაჩნდა, რომ მისი ნაშრომი იყო ეროგვარი მასალები საქართველოს ძველი ისტორიის ნამდვილი სურათის აღსადგენად, რადგან, XIX საუკუნის 80-90-იან წლებში ქართული ისტორიოგრაფია ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ მომზადებული, რომ სწორად, ზუსტად აეხსნა „ის კულტურული ცხოვრება საქართველოს ერისა, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული უძველეს ასურეთ-ბაბილონისა და ეგვიპტის ცხოვრებასთან“ (196, გვ. 2). როგორც ვხედავთ, გ. წერეთელი საქართველოს უძველეს ცივილიზაციას უკავშირებდა ასურეთ-ბაბილონისა და ეგვიპტის ისტორიას. მისი აზრით, საჭირო იყო ამ ხალხების უძველესი წერილობითი წყაროების შესწავლა,იმ ისტორიულ-არქეოლოგიური და ლინგვისტური ნაშრომების გაცნობა, რომლებიც ღრმად სწვდებოდნენ უძველესი ცივილიზებული ხალხების წარსულს. გ. წერეთელმა შეისწავლა XIX საუკუნის ცნობილი ისტორიკოსების ლეარდის, ბოტის, სმიტის, შპიგელის, რაულინსონის, ლენორმანის, მასპეროს, გამოკვლევები. გარდა ამისა საფუძვლიანად გადაამუშავა ძველი ქართული ოქმულებები, ზეპირ-სიტყვიერება, მატიანეები და ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით სცადა აღედგინა საქართველოს უძველესი ისტორია.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენება XIX საუკუნის II ნახევრის ქართულ ისტორიოგრაფიაში პროგრესული მოვლენა იყო, მაგრამ იმ დროს, როცა ჯერ კიდევ არ იყო კრიტიკულად განხილული ძველი ქართული მითოლოგია, თუ რა იყო იქ ძველი და რა ახალი შენაკადებით განივრცო იგი საუკუნეთა მანძილზე, ძნელი იყო ამ ოქმულებათა მიხედვით სწორი დასკვნების გაკეთება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, XIX საუკუნის 80-იან წლებში ჩვენში არქეოლოგია ახალი მეცნიერება იყო. ურთიერთგამომრიცხავი გამოკვლევანი არსებობდა ქართულ ისტორიოგრაფიაში ქართველთა პირველსაცხოვრისზე, არ იყო მეცნიერულად დასაბუთებული მოსაზრებანი უძველესი შრომისა და საბრძოლო იარაღების შესახებ, რა თავისებურებანი ჰქონდა ქართულ წარმართულ პანთეონს. გ. წერეთლის ისტორიულ-შედარებითი მეთოდი

უფრო მის გონებამახვილურ დაკვირვებებს შეიცავს ძველი საქართველოს ისტორიაზე, ვიდრე ისტორიულ სინამდვილეს.

გ. წერეთელი იზიარებდა იმ ავტორთა მოსაზრებას, რომელნიც ფიქრობდნენ,რომ ქართველთა პირველსაცხოვრისი უფრო სამხრეთით იყო სავარაუდებელი. იგი ამ შემთხვევაში უფრო სარწმუნოდ მიიჩნევ და „მატიანე ქართლისაი“ ცნობას. მისი აზრით, სამხრეთიდან უფრო ჩრდილოეთით, კავკასიონის მთაგრეხილებისაკენ ქართველების წამოსვლა დააჩქარა სხვადასხვა ხალხებთან ომებმა და შეჯახებებმა (196, გვ. 5). გ. წერეთელს მიაჩნდა, რომ სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ გადმონაცვლების დროს „ამ ისტორიულ მოძრაობაში ქარ–თველები თან წამოიღებდნენ თავის სარწმუნოებას, მითებს, ლეგენდებს, ღმერთებსა და საპოლიტიკო-სამოქალაქო წეს-წყობილებას“ (196, გვ. 5).

ქართულ ისტორიოგრაფიაში ქართველთა პირველ–საცხოვრისად უახლესი არქეოლოგიური და ლინგვისტიკური გამოკვლევებით მიჩნეულია დღევანდელი საქართველოს ტერიტორია, აგრეთვე მისი სამხრეთის ნაწილიც. ეს დასკვნა გაკეთდა მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი მასალის ანალიზის საფუძველზე.

ქართულ წარმართულ რელიგიას რომ ეხებოდა, გ. წერეთელი ცდილობდა მისთვის პარალელები მოეძებნა ასურულ-ბერძნული სამყაროს რელიგიებთან. მისი აზრით ქართული ბოჩოს ბევრი საერთო ჰქონდა ასურულ ბაალთან, კოპალას – აპოლონთან, ამირანს – პრომეთეოსთან.

გ. წერეთლის ეს ვარაუდები ნაწილობრივ სწორია, მაგალითად, პრომეთე – ამირანის პრობლემა დღემდე მეცნიერთა დიდ ინტერესს იწვევს,მაგრამ კოპალას აპოლონთან გაიგივება, ვფიქრობთ, უმართებულოა. საქართველოს მთიანეთში გავრცელებული კოპალას კულტი უკავშირდება სამართლიანობისა და სიკეთისათვის ბრძოლას, აპოლონი კი ძველ ბერძნულ პანთეონში ხელოვნებისა და სილამაზის ღმერთად იყო ცნობილი.

გ. წერეთლის აზრით, საქართველოში ქრისტიანობამდელ ეპოქაში თაყვანს სცემდნენ მზეს, მთვარეს და ვარკსვლავებს, „ეშინოდათ ღამის სიბნელისა, რადგან ჰფიქრობდნენ, რომ

ღამე იყო ავსულების ღმერთი არიმანი“ (196, გვ. 3). აქედან მოდის ხალხური ლექსიც – „მზე დედაა ჩემი, მთვარე მამა ჩემი, პატარ-პატარა ვარსკვლავები და-ძმებია ჩემი“.

ჩვ. წ.-აღ-მდე IV-III საუკუნეების საქართველოს ისტორიის შესახებ ნაკლები ცნობები მოგვეპოვებოდა. გ. წერეთელი ეხებოდა ფარნავაზ მეფის ხანას და ძირითადად ეყრდნობოდა „მოქცევაი ქართლისაის“ მონაცემებს. იგი რომ უპირატესობას ანიჭებდა „მოქცევაი ქართლისაის“ ცნობებს, ეს სჩანს შემდეგიდან. თუ ლეონტი მროველი ფარნავაზამდე მყოფ მეფე აზონს ბერძნად თვლიდა“... აზონ,ძე იარედოსისი,ნათესავი მისი ქვეყნით მაკედონიით“ (184, გვ. 18). გ. წერეთელი აღნიშნავდა, რომ აზონი იყო ქართველი, რომელმაც დაღუპა თავისი ბიძა, „ხოლო ესე აზოი წარვიდა არიან-ქართლად, მამისა თვისასა“ (188, გვ. 320). – ვკითხულობთ „მოქცევაი ქართლისაიში“. ქართულ ისტორიოგრაფიაში აზოს ვინაობის საკითხი საბოლოოდ გარკვეული არ არის. გ. მამულიას მიაჩნია, რომ „აზოი მაკედონელი რომ ყოფილიყო, ფარნავაზის მიერ აზოის მოკვლის (ძვ. წ. აღ. IV ს. მიწურული) შემდეგ ექვსი საუკუნის გასულს, IV ს. 30-იან წლებში აზოის საგვარეულო კულტებს მცხეთაში არავინ გააჩერებდა“ (157, გვ. 7). აქ იგულისხმება აზოის მიერ არმაზში აღმართული კერპები გაცი და გაიმი.

გ. წერეთელი ფარნავაზის მიერ აზოის განდევნის ამბებს რომ აღწერდა, ეყრდნობოდა ლეონტი მროველის მონაცემებს. ავტორი უკომენტაროდ იღებდა ლეონტი მროველისეულ გადმოცემას თუ როგორ მიაგნო ფარნავაზმა ნადირობის დროს განძს და შემდეგ როგორ გამოიყენა იგი ქვეყნის განთავისუფლებისათვის. ქართულ ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, რომ „ქართული წყაროების მონათხრობში ქართველთა წარმომავლობისა და ქართლის სამეფოს წარმოქმნის შესახებ შეიძლება სხვადასხვა ერთმანეთისგან დამოუკიდებელ მოვლენათა კომპლექსი აისახა. არიან – ქართლიდან ქართველთა გადმოსახლების შესახებ ცნობაში შეიძლება აირეკლა სამხრეთიდან მესხური ელემენტების გადმოსახლება შიდა ქართლში... მეორე მოიცავს ბერძნებთან და მათ მოკავშირეებთან არიან ქართლის მცხეთის ხელისუფალთა ბრძოლას, აქ მართლაც ქართლის სამეფოს

წარმოქმნის განთიადზე სხვადასხვა ქართულ გაერთიანებათა შორის ბრძოლაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი (174, გვ. 440).

როგორც ვხედავთ, დღევანდელი ქართული ისტორიული მეცნიერების მიღწევების პირობებშიც კი ძნელდება „ქართლის ცხოვრებაში“ მოცემული ცნობების ზუსტი მეცნიერული არგუმენტირება,მითუმეტეს ძნელი იყო იგი გ. წერეთლისათვის.

გ. წერეთელი ფიქრობდა, რომ ფარნავაზის მეფობის დროს ქუჯი იყო პირველი ერისთავი, მაგრამ მან გაიმეორა ლეონტი მროველის ცნობა „ხოლო ერთი დაადგინა სპასპეტად და მისცა ტფილისითგან... ვიდრე ტასისკარამდე და ფანვარამდე, რომელი არს შიდა ქართლი და ესე სპასპეტი იყო შემდგომად წინაშე მეფობა მთავრობით განაგებდის ყოველთა ერისთავთა ზედა“ (184, გვ. 24, 25). აქ მას ეროგვარი წინააღმდეგობა გამოუვიდა და ისევ მეცხრე ერისთავის უპირატესობა აღიარა.

გ. წერეთელი უკრიტიკოდ იზიარებდა ქართლის ცხოვრების იმ ცნობას, რომელშიც ნათქვამი იყო: „ის ათასი რჩეული ცხენოსანი, რომელნიც განუდგნენ აზოს გახადა მეფემ ასისა და ათასის თავებად, მისცა მათ პატარ-პატარა ხეობები და მათ ადგილ-სადგომებში ციხეები და კოშკები დააკეთებინა. ამ ჯარისკაცებს უწოდა აზნაურნი, ე.ი. აზოს ხლებულნი, თითოეულს მათგანს მიუჩინა მუშაკნი, გლეხნი, სამსახურით“ (196, გვ. 18). ეს აზრია გატარებული ლეონტი მროველთანაც (184, გვ. 85). რა თქმა უნდა აზნაურთა კლასის გაჩენა ასე მარტივი არ ყოფილა და სინამდვილეს არ შეეფერებოდა. ამიტომ იყო, რომ ივ. ჯავახიშვილმა არ გაიზიარა ლეონტი მროველის ეს მოსაზრება. ქართულ ისტორიოგრაფიაში მეცნიერულად არის განსაზღვრული ის ღრმა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მიზეზები, რომლებმაც ხელი შეუწყეს საქართველოში ადრინდელი ფეოდალიზმის ჩასახვასა და განვითარებას.

გ. წერეთელი დასაშვებად მიიჩნევდა ფარნავაზის პერიოდში ადამიანის მსხვერპლად შეწირვის შესაძლებლობა. მართალია,ქართლის ცხოვრებაში პირდაპირ იყო მითითებული „არღარა სჭამდეს კაცსა თვინიერ რომელ შეიწირონ კერპსა მსხვერპლად“ (184, გვ. 26), მაგრამ გ. წერეთელი არ იძლევა რაიმე დასაბუთებას. თავისი მოსაზრების გასამართლებლად

და ქართლის ცხოვრების ცნობის დასაზუსტებლად.

გ. წერეთელი აღნიშნავდა, რომ ფარნავაზის მეფობის დროს ქვეყანამ დიდ წარმატებებს მიაღწია, მოიგერია გარეშე მტრები, გააერთიანა თავისი ხალხი. მისი აზრით, ამ წარმატებების მიზეზი ფარნავაზის დიდ პოლიტიკურ ნიჭზე იყო დამოკიდებული. მეფემ ზუსტად გაითვალისწინა იმდროინდელი საქართველოს გეოგრაფიული მდრებარეობა, ბუნებრივი ციხე-სიმაგრეები, მათი მიუვალობა, მაგრამ ფარნავაზმა „კარგად იცოდა, რომ მარტო ეს საკმარისი არ იყო. ყოველ ხეობას თავისი მდინარე ჰქონდა, როცა ერთი მდინარე მეორეს უერთდებოდა იქ ხეობას კარი ღია იყო... მტერს ადვილად შეეძლო ამ ღია ხეობაში შემოსულიყო“ (196, გვ. 67). სავსებით სწორი იყო გ. წერეთლის მოსაზრება, რომ საქართველო თავისი განსაკუთრებული სტრატეგიული მდებარეობის გამო დიდ სახელმწიფოთა ურთიერთცილობის ობიექტი ხდებოდა. ფარნავაზმა იცოდა ყოველივე ეს და „შეუდგა თავის ქვეყნის გამაგრებას ორნაირად: ერთი, რომ უნდა აეშენებინა ციხეები ყოველი ხეობის შესასვლელთან და მეორე შიგ უნდა ჩაესახლებინა მეომარი წოდება, რომელსაც მხნედ უნდა დაეცვა ეს სიმაგრეები“ (196, გვ. 69). გ. წერეთლის აზრით, ქვეყნის დაცვის ფუნქცია აზნაურებს ჰქონდათ დაკისრებული.

საინტერესოა ჩვ. წ. აღ-მდე IV-III საუკუნეების საქართველოს კლასობრივი სტრუქტურის გ. წერეთლისეული კლასიფიკაცია. მისი აზრით, ერისთავები სამეფო გვარეულობიდან იყვნენ, რომლებიც ომის დროს ხელმძღვანელობდნენ საერისთაო ჯარს, ყოველ ერისთავს ჰქონდა თავისი დროშა, ციხე-ქალაქი და გალავანი. ერისთავის შემდეგ იყვნენ ხევისბერები, თითოეულ ხევისბერს რამდენიმე ხეობა ებარა იგი უნდა დასახლებულიყო ხეობის გასასვლელში და იქ აეშენებინა ხევისკარი. აზნაურები კი ემორჩილებოდნენ ხევისბერებს, ხევისბერები ერისთავებს, ერისთავი კი მეფეს. გ. წერეთლის მიერ მოცემული კლასიფიკაცია სადაოა, მაგრამ ნ. ბერძენიშვილი შესაძლებლად მიიჩნევდა იმის დაშვებას, რომ „ფარნავაზი ქართლის (იბერიის) სამეფოს შექმნის დროს ერისთავებს იმ მიწა-წყალს აძლევდა, რომელიც

ფარნავაზის გამეფებამდე ქართლოსიანთა წილ მიწა-წყალს წარმოადგენდა და ერისთავნიც იგივე ქართლოსიანნი იყვნენ“ (22, გვ. 152). ნ. ბერძენიშვილი იმასაც ვარაუდობდა, რომ უძველეს პერიოდში დედა ციხეები ჰქონდა ყოველ რაიონს, მოსახლეობის გარკვეულ ერთეულს, მაგრამ არ გამოჰყოფდა რომელიმე სოციალურ ჯგუფს (22, გვ. 55). გ. წერეთელს მიაჩნდა, რომ მშვიდობიანობის დროს ერისთავები, ნაცვლები, აზნაურები განაგებდნენ თავის ქვეშევრდომებს, ასრულებდნენ მოსამართლეთა და მფარველთა მოვალეობას, მაგიერად მიწისმუშა ხალხი მშვიდობიანობის დროს კისრულობდა იმათ რჩენას, აძლევდა მოსავლის მეათედს, ან მეხუთედს და ოჯახსაც ემსახურებოდა. ვფიქრობთ სწორი იყო გ. წერეთლის დაკვირვება იმის შესახებ,რომ „ყოველი ერისთავი და აზნაური თავის ციხე-კოშკში შეადგენდა პატარა დამოუკიდებელ სახელმწიფოს და ახდენდა შიშიანობის დროს შესაფერის განკარგულებას. მისი აზრით, სახელმწიფო მმართველობის ასეთი ფორმის წყალობით „საქართველოს ერმა გაუძლო და გადაურჩა აქამომდე ქვეყნის აურაცხელ მტრებს, მაშინ როდესაც მრავალი უძლიერესი ხალხი შეიმუსრა ქვეყანაზე“ (196, გვ. 73).

გ. წერეთლის თქმით, ფარნავაზი იყო ის მეფე, რომელმაც ასეთი ღრმა ცვლილებები მოახდინა ქვეყანაში, სწორად გაითვალისწინა ქვეყნის სტრატეგიული მდგომარეობა და მიადწია წარმატებებსაც. რაც შეეხება ფარნავაზის ეპოქის საქართველოს ცხოვრების სხვა ეპიზოდებს, რომლებიც გ. წერეთელს აქვს მოცემული,ისინი უფრო ავტორის შეთხზულს ჰგავს, ვიდრე ისტორიულ სინამდვილეს. მას ეგვიპტის, ასურეთისა და ბაბილონის საზოგადოებრივი ცხოვრების ცალკეული მოვლენები მექანიკურად გადმოაქვს ქართულ სინამდვილეზე და ამას ისტორიულ-შედარებით მეთოდს უწოდებდა.

გ. წერეთლის მიერ ერთი შეხედვით შედარებითი მეთოდის გამოყენება საქართველოს უძველესი ისტორიის ფაქტებისა და მოვლენების გასააზრებლად ხელოვნური იყო. იგი ავტორის თავისუფალ მხატვრულ სტილში გადმოცემული ნოველა უფრო იყო, ვიდრე რეალური ისტორიული სინამდვილე. ამ

შემთხვევაში ავტორმა თვით ისეთი ისტორიული წყაროც დაივიწყა, როგორიც იყო „ქართლის ცხოვრება“. ამიტომ იყო, რომ მისმა ოპონენტებმა მკაცრად გააკრიტიკეს ავტორის მოსაზრებანი და მას დაცინვით „ახალ სინტეზ-სისტემოვანი ჰაეროვანი მეცნიერი“ უწოდეს (67).

ჩვენ წელთაღრიცხვამდელი პერიოდის საქართველოს ისტორიის საკითხებიდან გ. წერეთელი დიდ ყურადღებას აქცევდა კაბადოკიისა და პონტოს უძველესი მცხოვრებლების საკითხებს და მიაჩნდა, რომ ამ ტერიტორიებზე უძველესი დროიდანვე ცხოვრობდნენ ქართველები, რომლებიც დაყოფილი იყვნენ გვარებად. ამ გვარებს კი თავიანთი მეფეები, მამასახლისები ჰყავდათ. მაკრონების მამასახლისმა მირდატ 1 შეაერთა ეს ტომები, გაანთავისუფლა ბერძენთა მძლავრობისაგან და გახდა პონტოს მეფე. ეს ამბავი იმდენად მნიშვნელოვანი იყო ქართველებისათვის, რომ ამიერიდან ახალი წელთაღრიცხვა ქორონიკონი შემოიღეს“ (196, გვ. 80).

ადრინდელი ფეოდალიზმის ჩასახვა-განვითარება იწყება III-IV საუკუნეებში. ამ პერიოდში დიდი ცვლილებები ხდება როგორც სოციალურ, ასევე ეკონომიკურ და იდეოლოგიურ-კლასობრივ სტრუქტურებშიც. გ. წერეთელს მიაჩნდა, რომ IV საუკუნის I ნახევარში ქართლი იყო ერთ-ერთი უძლიერესი ქვეყანა, რომლის დაწინაურებას ხელი შეუწყო ერთი მხრივ, ქართლის სამეფო ჯარის ბერძნულ რიგზე გაწყობამ და, მეორე მხრივ კი, სპარსთა მეფის მფარველობამ. ვფიქრობთ, გ. წერეთლის ეს ვარაუდი ეროგვარ კორექტირებას მოითხოვს. იმ დროს, როცა ქვეყანაში სრულიად ახალი რელიგია-ქრისტიანობა ოფიციალურ, სახელმწიფოებრივ სტატუსს იძენდა,ირანელებისაგან ქართლის სამეფოსათვის მხარდაჭერა გაუგებარია,რა მოტივით შეიძლებოდა ისინი მირიან მეფისადმი მხარდამჭერნი გამხდარიყვნენ? უფრო სავარაუდოა პირიქით.

გ. წერეთელს დაწვრილებით შეუსწავლია საქართველოს გაქრისტიანების შესახებ არსებული წყაროები „მოქცევაი ქართლისა“ და ლეონტი მროველის „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“, მაგრამ იგი მარტო ამ წყაროებით არ კმაყოფილდებოდა, შესაძლებლობის ფარგლებში იყენებდა სომეხი ისტორიკოსების ნაშრომებსაც. იგი იზიარებდა

სომეხი ისტორიკოსის ემინის აზრს, რომ ქართველები და სომხები ქრისტიანობამდე ერთნაირად ასრულებდნენ საზეიმო ფერხულს „არალესს“ და სჯეროდათ, რომ მოახერხებდნენ ომში მოკლული ვაჟკაცების გაცოცხლებას. საქართველოს გაქრისტიანების ისტორიას გ. წერეთელი აღწერდა წმ. ნინოს ცხოვრების ცნობების მიხედვით, მაგრამ იგი წყაროების ჩვენებებს ყოველთვის როდი ეთანხმებოდა. მისი თქმით, ქრისტიანობა არ იყო რაღაც განსაკუთრებული რამ, „რამდენადაც წინ მიდის უძველესი კაცობრიობის ისტორიის გამოკვლევანი და მის გონება-განვითარებას ნათელი ეფინება, იმდენად უფრო ვრწმუნდებით, რომ ქრისტიანულად ღვთის მოწოდებას შესაფერისი წინამორბედი ჰყავდა უძველეს დროში“ (97).

ეხებოდა რა ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების საკითხს, გ. წერეთელი ამბობდა, რომ იმდროინდელი საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა საამისოდ მზად იყო,მაგრამ სადავოა მოსაზრება თუ მეფე ერის უფროსებს არ შეუთანხმდებოდა,ისე ვერაფერს გააკეთებდაო. „საქართველოში ძველთაგანვე წესი იყო ერის უფროსების დაუკითხავად მეფე ვერას მოიმოქმედებდა (144, გვ. 14) წერდა იგი. ფეოდალური წყობილების დროს მეფის ხელისუფლების ასეთი დემოკრატიზმი, როგორც გ. წერეთელი გვთავაზობდა, არადამაჯერებლად გამოიყურება.

სავსებით სწორი იყო გ. წერეთლის დასკვნა იმის შესახებ, რომ, მართალია, ქრისტიანობამ დაანგრია წარმართული კერპები, მათი სალოცავები, მაგრამ ზოგიერთი ქრისტიანულ ეკლესიად გადააკეთეს, თუ „საქართველოს ერი დიდი ხნიდან იმყოფებოდა აღმოსავლეთის განათლების ქვეშ,ბაქრისტიანების შემდეგ დასავლური ორიენტაციისა გახდაო“ (144, გვ. 144). გ. წერეთელს მიაჩნდა, რომ ეს ახალი სარწმუნოება ხალხს მეტ თავისუფლებას აძლევდა და ხალხიც მომზადებული იყო მისთვის. ეს აზრი სწორია, შენიშნავს იგი, მაგრამ მაშინ რით შეიძლება აიხსნას საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის თავგანწირული წინააღმდეგობა ამ ახალი რელიგიისადმი? ამ საკითხზე იგი სათანადო პასუხს ვერ იძლეოდა.

ქრისტიანობა წარმართობასთან შედარებით პროგრესიული

რელიგია იყო, მაგრამ მისმა რელიგიურმა დოგმებმა I-IV საუკუნეებში მთელი რიგი პრინციპული ცვლილებები განიცადეს, ამიტომ შეეგებნენ სიხარულით გაბატონებული კლასები ამ ახალ მოძღვრებას, ვინაიდან მასში თავიანთი პოზიციების გამყარების საფუძვლები დაინახეს. აღწერდა რა ნინოს მიერ საქართველოს გაქრიტიანების ეპიზოდებს, გ. წერეთელი ეყრდნობოდა „მოქცევაი ქართლისაის“ ცნობებს. იგი იზიარებდა იმ შეხედულებას, რომ წმიდა ნინო ბოდბეს გახდა ავად. აქ მის სანახავად მოსულან მირიანის შვილი რევი და ცოლი სალომე უჯარმელი, რომელსაც აღუწერია ნინოს ცხოვრება. ნინო აქვე გარდაცვლილა და დაუკრძალავთ ბოდბეში.

ქართულ ისტორიოგრაფიაში წმიდა ნინოს მოღვაწეობისა და მისი განსასვენებლის ადგილსამყოფელის გამო დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა. თუ ისტორიკოსთა ერთი ნაწილი ეთანხმება ვახუშტი ბაგრატიონის,თუ გ. წერეთლის ვარაუდს, მეორე ნაწილს მიაჩნია, რომ იგი დაკრძალულია ბოდავს. უკანასკნელ ხანს ქართულ ისტორიოგრაფიაში გაჩნდა ახალი თვალსაზრისიც,რომელთაც წმიდა ნინოს დაკრძალვის ადგილად ნინოწმინდა მიაჩნიათ.

გ. წერეთელმა ვრცელი გამოკვლევა უძღვნა V საუკუნის ქართლის პოლიტიკური ისტორიის პრობლემებს. იგი სწორად შენიშნავდა, რომ IV საუკუნის ბოლოს და V საუკუნის დასაწყისში, როდესაც ქართლში, ალბანეთსა და სომხეთში ქრისტიანული რელიგია სახელმწიფოს ოფიციალურ იდეოლოგიად დაკანონდა, ამიერკავკასიაში კიდევ უფრო გამწვავდა პოლიტიკური წინააღმდეგობანი. მაზდეანური ირანისა და ქრისტიანული ბიზანტიის ინტერესები ერთმანეთს შეეჯახა. ირანისათვის საქართველოსა და სომხეთის სამეფოების დაპყრობა, ქრისტიანობის მოშლა აუცილებელ საკითხად იქცა.

გ. წერეთელს მიაჩნდა, რომ ქართლის მეფემ მირდატმა ხელიდან გაუშვა საუკეთესო საშუალება,არ მიიღო სომხების წინადადება ერთად შეკავშირების შესახებ,მაშინ,როცა ირანმა დაიწყო აქტიური,აგრესიული პოლიტიკის განხორციელება ამ ქვეყნების მიმართ. „ამჯერად სპარსთა მიზანი იყო სავსებით

მოესპოთ ის შინაგანი დამოუკიდებლობა,რომელიც შერჩენოდა მის ქვეშემდგომ ამიერკავკასიის ხალხებს და გადაექციათ ისინი ჩვეულებრივ პროვინციებად“ (215, გვ. 109).

გ. წერეთელი ქართლის მეფე მირდატს აუგად იხსენებდა, მართალია ლეონტი მროველი მირდატს ახასიათებდა როგორც „არა მსახურს ღმრთისა, არცა ადაშენა ეკლესია, არცარა მატა შენებულთა და სილაღით მისითა მტერ ექმნა ბერძენთა და სპარსთა“ (184, გვ. 138), მაგრამ გ. წერეთლის დასკვნა ქართლის ცხოვრების ცნობებიდან არ უნდა გამომდინარეობდეს, უფრო სავარაუდოა იგი ეყრდნობოდეს V საუკუნის სომეხი ისტორიკოსების ეღიშე ვართაპეტისა და ლაზარ ფარპეცის ცნობებს, სადაც რიგ შემთხვევაში ტენდენციურად არის წარმოჩენილი ქართლის სამეფოს როლი ირანელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. გ. წერეთელი სწორად განსაზღვრავდა ამიერკავკასიის განსაკუთრებულ სტრატეგიულ მნიშვნელობას, „ვისაც ის ექნებოდა ხელში, მცირე აზიაც იმისი იქნებოდა. აი, რის გამო აიხსნება დაუცხრომელი ბრძოლა სპარსეთსა და საბერძნეთს შორის კავკასიაში“ (144, გვ. 163).

გ. წერეთლის შეფასებით,მირდატ IV არ იყო ძლიერი მეფე. „როდესაც სპარსელებმა დიდძალი ჯარი მოაყენა კარს იგი სრულიად მოუმზადებელი დახვდა. იგი დაატყვევეს, ქვეყანა კი სპარსელებმა და მოგვებმა აიკლეს (145, გვ. 164). აქ გ. წერეთლის მსჯელობა „ქართლის ცხოვრების“ მონაცემების გამეორებაა.

გ. წერეთლის თვალსაზრისით, დაქუცმაცებული საქარ–თველოს აღორძინება დაიწყო არჩილის დროს. „ამ მეფემ პირველად სცნა, რომ საქართველოს თავისუფლებისათვის მიუცილებლად საჭირო იყო საბერძნეთთან კავშირი“ (145, გვ. 165). გ. წერეთლის ასეთი მსჯელობაც „ქართლის ცხოვრების“ მონაცემებს ეყრდნობოდა, სადაც პირდაპირაა მითითებული: „ამან არჩილ მოიყვანა ცოლი საბერძნეთით და განაცხადა მტერობა სპარსთა, გამოარჩია ჯუარნი და მოკაზმნა ეკლესიანი,მოსრნა და განასხნა ყოველნი ცეცხლისმსახურნი საზღვართაგან ქართლისათა,მოირთო ძალი საბერძნეთი“ (184, გვ. 140). სწორია მისი ის მოსაზრებაც, რომ საქართველოში

IV-V საუკუნეებში შეიქმნა საქრისტიანო ლიტერატურა, როგორც თარგმნილი ასევე ორიგინალური.

გ. წერეთელი ვრცლად შეეხო V საუკუნის II ნახევრის ქართლის პოლიტიკური ისტორიის საკითხებს. მას მიაჩნდა,რომ ვახტანგ გორგასალს რთულ ეპოქაში მოუხდა მოღვაწეობდა,იგი სწორად განსაზღვრავდა მთავარ პრობლემებს, მაზდეანობის წინააღმდეგ ბრძოლა, შიდაქართლის ტერიტორიაზე ოსების პრობლემა, მაგრამ ვახტანგ გორგასალის, როგორც ნიჭიერი პოლიტიკოსის ღირსება იმაში მდგომარეობდა, რომ მან მოახერხა როგორც ერთი, ასევე მეორე პრობლემებისათვის მოევლო გააზრებული, თანმიმდევრული პოლიტიკის წყალობით.

გ. წერეთლის აზრით, ვახტანგ გორგასალის წარმატებებს ხელი შეუწყო მეფის მიერ ჩატარებულმა სამხედრო რეფორმამ, მუდმივი ჯარის შექმნამ„ომიანობის დროს ამ ჯარს ყოველთვის შუაგული ეჭირა. ომის მხედართმთავარი იყო მეფე და ჰქონდა ორი დროშა. მოწინავეობდნენ მესხები და იმათ უფროსად სამცხე-საათაბაგოს ერისთავი, მარჯვენა მხარეზე იყვნენ იბერნი და აბხაზნი, მარცხენა მხარეზე კახელები“ (146, გვ. 190).

გ. წერეთლის აქ მცირეოდენი უზუსტობაც მოსდის. იგი V საუკუნის ქართლზე ავრცელებს XIX საუკუნის გეოგრაფიულ და ეთნოგრაფიულ სახელწოდებას. მართალია, ვახტანგ გორგასალმა მცირე ხნით მოახერხა საქართველოს გაერთიანება, მაგრამ მოკლე დროში ლაშქრის შექმნა და ერთიანი ქართული მხედრობის გამოყვანა შეუძლებელი იყო. არც ის არის სწორი, როცა გ. წერეთელი V საუკუნისათვის იყენებს გეოგრაფიულ ტერმინს სამცხე-საათაბაგო, რომელიც ქართულ სინამდვილეში უფრო გვიან დამკვიდრდა. როგორც ისტორიული ტაო-კლარჯეთის აღმნიშვნელი სახელწოდება.

გ. წერეთელი იცნობდა ქართლის ცხოვრების იმ ცნობას, რომლის მიხედვით ვახტანგ გორგასალმა სინდეოში ილაშქრა: „დაგიტეობიეს სამყოფელი მამათა შენთა და წინამძღვარ ქმნილ ხარ სპასა დიდსა საქრისტიანოსა... და მოსრულხარ ძალად სპარსთა, რათამცა განძლიერდეს და მოიწყუნეს, და წარგწყმიდეს შენ და ქვეყანა შენი“ (184, გვ. 192). იგი

ეროგვარ გაკვირვებას გამოთქვამდა ამ ფაქტის გამო: „ყოველი ისტორიკოსისათვის ამისთანა დონკიხოტური მოქმედება იმ მეფისგან, რომელმაც თავისი დიდი ჭკუით ერთი მუჭა ქვეყანა ამისთანა ძლიერებაში მოიყვანა წარმოუდგენელი უნდა ეგონოს კაცს“ (146, გვ. 199). მაგრამ, მისი აზრით, მეფის ამგვარ მოქმედებაში შორს გამიზნული პოლიტიკა უნდა დავინახოთ. ამ მოქმედებით მან ირანელთა გული მოიგო, ქვეყანა იხსნა ზედმეტი ხარჯებისაგან. სინდეთში ვახტანგ გორგასლის ლაშქრობას გ. წერეთელი ეკონომიკური თვალსაზრისით სასარგებლოდ მიიჩნევდა, აქედან შემოვიდა ქართლში აბრეშუმი და სხვა სასარგებლო კულტურები, რომლებსაც ჩვენში უფრო ადრე საერთოდ არ იცნობდნენ.

გ. წერეთელს მიაჩნდა, რომ ვახტანგ გორგასალმა ბევრი გააკეთა საქართველოში ქრისტიანული ეკლესიის პოზიციების განსამტკიცებლად. მისი აზრით, ქრისტიანობას განსაკუთრებით მეტოქეობას უწევდა მაზდეანობა, რომელსაც ირანი უმაგრებდა ზურგს. „მოგვები ძალიან არყევდნენ დაბალს ხალხს ქრისტიანობისათვის, ყველაზე უფრო საშიში მობიდანის მოქმედება იყო“ (146, გვ. 178). გ. წერეთელი გამოთქვამდა ჰიპოთეზას, რომ ქრისტიანობის გაძლიერების მიზნით ასურელი მამების მოსვლაც V საუკუნეშია სავარაუდებელი. ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადო არგუმენტაციით დასაბუთებულია ასურელი მამების საქართველოში დამკვიდრება მომხდარა VI საუკუნეში.

თბილისის დედაქალაქად გადაქცევის საკითხს რომ ეხებოდა, გ. წერეთელს მიაჩნდა, რომ ეს ვახტანგ გორგასალის სტრატეგიული ჩანაფიქრის ხორცშესხმა იყო. მეფეს „განზრახვა ჰქონდა მთელი აღმოსავლეთის და სამხრეთის მხარე ისე გაემაგრებინა, რომ ცოტა ჯარითაც შეძლებოდათ ქართველებს დიდძალი მტრის მოგერიება. ამ შემთხვევაში ვახტანგი თბილისს დიდ მნიშვნელობას აძლევდა. მისი აზრით, თბილისის ციხე უნდა ყოფილიყო უმთავრესი ბურჯი, რომელზეც დაებჯინებოდა აღმოსავლეთისა და სამხრეთის წყება სიმაგრეებისა“ (146, გვ. 205, 206).

ცხადია, თბილისის დედაქალაქად გადაქცევას მისმა სტრატეგიულმა მდებარეობამაც ხელი შეუწყო, მაგრამ

არანაკლები როლი შეასრულა დიდი სავაჭრო გზების და გზაჯვარედინების მცხეთიდან უფრო აღმოსავლეთით გადმონაცვლებამაც, რაც სამართლიანადაა აღნიშნული თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში.

მსჯელობდა რა ვახტანგ გორგასალის ეპოქის ქართლის წარმატების მიზეზებზე გ. წერეთელი დიდ როლს ანიჭებდა თვით მეფეს, მას ალექსანდრე მაკედონელისებრ პიროვნებას უწოდებდა, რომელსაც რა დროსაც არ უნდა ეღვაწა მაინც სათანადო კვალს დაამჩნევდა ქვეყნის განვითარებას. გ. წერეთელი მართალია, დიდ შეფასებას აძლევდა ვახტანგ გორგასალის მოღვაწეობას, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავდა, რომ იგი აფეტიშებდა მეფის პიროვნებას. „კაცობრიობის ისტორიაში ყოველთვის ასეა,– დასძენდა იგი, – რაც უნდა დიდს შემოხვევას და საკეთილდღეო ამბავს შეესწროს ერი, სულ ყველა ფუჭად ჩაივლის, თუ ის ამ კეთილდღეობისა და დიდებისათვის მომზადებული არ არის“ (146, გვ. 215).

გ. წერეთელი ცდილობდა სწორი პასუხი გაეცა კითხვაზე რატომ გაუარესდა საქართველოს მდგომარეობა ვახტანგ გორგასალის გარდაცვალების შემდეგ, და აღნიშნავდა, რომ ქართველი ხალხი ვახტანგის მოღვაწეობის არ იყო მომზადებული ერთიანი ცხოვრებისათვის არც პოლიტიკურად და არც ეკონომიკურად, ამიტომ ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ კავკასიის ხალხთა ერთობაც დაირღვა.

გ. წერეთელმა საინტერესო წერილები მიუძღვნა V საუკუნის II ნახევარში ქართლში ორი განსხვავებული იდეოლოგიის – მაზდეანობისა და ქრისტიანობის ბრძოლის საკითხებს. მისი აზრით, შუშანიკ დედოფალი პირველად ცურტავში იყო დაკრძალული, მაგრამ VI-VII საუკუნეებში, როცა ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის დოგმატურ საკითხებზე წარმოიშვა უთანხმოება. ქართლის კათოლიკოზის ბრძანებით წმ. შუშანიკის ნეშტი წამოასვენეს და დაკრძალეს მეტეხის ეკლესიაში. გ. წერეთელი VI-VII საუკუნეების საქართველოს ისტორიის საკითხებზე მსჯელობისას ფართოდ იყენებდა არა მარტო ქართულ საისტორიო წყაროებს, არამედ სომეხი ისტორიკოსების კორიუნის, უხტანესის შრომებსაც.

მან სცადა საგანგებოდ გამოეკვლია VII-VIII საუკუნეების საქართველოს ისტორიის პრობლემები. დღევანდელი ქართული ისტორიოგრაფიის მიღწევათა ფონზე გ. წერეთლის შრომები ბევრ ბუნდოვან, დასაზუსტებელ საკითხებს სტოვებს, მაგრამ მაშინ ეს ადვილი არ იყო და ამ კუთხით თუ შევხედავთ გ. წერეთლის ნაშრომებს,მისი ხარვეზები საერთოდ XIX საუკუნის 80-90-იანი წლების ქართული ისტორიოგრაფიის ხარვეზებია. მაგალითად, თუ დღეს დადგენილია საქართველოში მურვან ყრუს ლაშქრობის წლები 735-737, გ. წერეთლის დროს ეს თარიღი დასადგენი იყო. იგი არაბი, სომეხი და ქართველი ისტორიკოსების მონაცემებზე დაყრდნობით ცდილობდა მურვან ყრუს საქართველოში პირველი ლაშქრობა დაეთარიღებინა 731 წლით.

გ. წერეთლის აზრით, არაბთა საქართველოში დამკვიდრებამ გამოიწვია ქვეყნის დაქსაქსვა და მოისპო სარწმუნოებრივი და ტომობრივი კავშირი. არაბობა თავისი ახალი იდეოლოგიით ცდილობდა დიდი ზეგავლენა მოეხდინა ქვეყანაზე, მაგრამ არც ქართველობა იყო პასიური. გ. წერეთლისათვის უცნობი იყო ის ფაქტი, რომ არაბ სარდალ ჰაბიბიბნ-მასლამასა და ქართლის ერისმთავარ სტეფანოზს შორის დაიდო დაცვის სიგელი. სიგელის შინაარსი შემოგვინახეს ბიზანტიელმა ისტორიკოსებმა ბალაძორმა და ტაბარმა. მცდარია გ. წერეთლის მოსაზრება, თითქოს არაბების საქართველოში პირველი შემოსევისას ქართლის ერისმთავარს ხალხი დაეხიზნა და თვითონაც კახეთ-მთიულეთისაკენ წასულიყოს. სინამდვილეში პირველ ბრძოლაში ქართველებმა არაბები უკუაქციეს, მაგრამ მეორე წელს, როცა არაბთა დიდი არმია შემოვიდა ქართლის ერისმთავარმა რეალურად შეაფასა რა თავისი შესაძლებლობანი დათმობა ამჯობინა და დაიდო დაცვის სიგელი, რომელიც არაბებისა და ქართველების ურთიერთობას აწესრიგებდა.

გ. წერეთელს მიაჩნდა,რომ „არაბმა ხალიფებმა ისარგებლეს ბიზანტიის უძლურებით და საჩქაროდ აავსეს საქართველო ურიცხვი ჯარებით, რომ ხელში ჩაეგდოთ დარიალისა და დარუბანდის კარები. იმ განზრახვით,რომ ერთი მხრით ხაზართა ჯარებისათვის გზა მოეჭრათ და მეორე მხრივ საქართველო

მოეწყვიტათ ბიზანტიისაგან“ (98). გ. წერეთლის მართებული დასკვნით მურვან-ყრუს შემოსევებმა დიდი ზიანი მოუტანა ქვეყანას, მაგრამ ამ დროს საქართველოს მოევლინა ნიჭიერი პოლიტიკოსი არჩილ I, რომლის ფრთხილმა და გონივრულმა პოლიტიკამ საფუძველი მოუმზადა საქართველოს აღორძინებას. იგი არჩილი 1 სახელს უკავშირებდა საქართველოს სამხრეთი საზღვრების გამაგრებას, ერისთავებთან დანათესავებას და მათ ეროგულ ქვეშევრდომებად გადაქცევას.

გ. წერეთელი არჩილ I ასეთ წარმატებას იმითაც ხსნიდა, რომ IX საუკუნეში არაბთა ერთიანი სახალიფო განიცდიდა კრიზისს „ეს ის დრო იყო, როცა ვრცელმა არაბეთის სახალიფომ რყევა დაიწყო, სხვადასხვა ქვეყნის ემირები დამოუკიდებელს მთავრობას აპირებდნენ“ (96).

გ. წერეთელი არც ზნეობრივი თავდადების მაგალითებს ივიწყებდა და დაწვრილებით მოგვითხრობდა აბო ტფილელის შესახებ. აქ საინტერესოა ერთი გარემოება. „ქართლის ცხოვრებაში“ აბო ტფილელისა და ნერსე ერისთავის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ გ. წერეთელი ეყრდნობოდა იოანე საბანიძის თხზულებას და მიაჩნდა, რომ იგი აბოს თანამედროვე მწერალი იყო და მისი ცნობები უფრო სანდო და მისაღები იყო. ამ მაგალითით სჩანდა, რომ გ. წერეთელი საქართველოს ისტორიის საკითხებზე მუშაობისას იყენებდა მდიდარი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის მონაცემებსაც.

მართალია, არაბთა სახალიფო IX საუკუნეში განიცდიდა კრიზისს, მაგრამ მაინც დიდი ძალისა იყო.

გ. წერეთელი თვლიდა, რომ არაბებისა და ბიზანტიელების ბრძოლა საქართველოსათვის ძირითადად სტრატეგიული მოსაზრებებიდან გამომდინარეობდა. არაბი ხალიფები ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ დარიალისა და დარუბანდის კარები და გაემაგრებინათ. იმ განზრახვით, რომ ერთი მხრით ჯარებისათვის გზა შეეკრათ და მეორე მხრით ბიზანტიაზე საქართველო მოეწყვიტათ“ (98).

მურვან ყრუს შემოსევებმა დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს. ქვეყანა ეკონომიკურად გაჩანაგდა, მაგრამ ქართველ ხალხში მაინც მოიპოვებოდა ის ძალები, რომლებიც ფენიქსებრ

აღადგენდნენ სამშობლოს. თუ არა ასეთი მცდელობები საქართველო მტერთა გამუდმებულ შემოსევებით უკვე კარგა ხნის განადგურებული იქნებოდა.

914 წელს საქართველოს თავს დაესხა ახალი დამპყრობელი აბულ-ყასიმი. არჩილ მეფე არაბების წინააღმდეგ წარმოებულ ამ ბრძოლაში დაიღუპა. ამ სახით მეფე არჩილმა მთელი თავისი დიდი ხნის სიცოცხლე მურვან-ყრუს მიერ გაოხრებულ საქართველოს აღდგენას და შეერთებას მოანდომა. ბოლოს მოხუცების ჟამს თავიც შესწირა ქვეყანას, რომ მძვინვარე მტერს მეორედ არ აეოხრებინა საქართველო.

გ. წერეთელი ძირითადად სწორად განსჯიდა VIII საუკუნეში არაბთა ხალიფატში შინაპოლიტიკური შუღლის მიზეზებს. ამ შუღლმა არაბთა ერთიანი სახელმწიფო დაშლის გზაზე დააყენა." ეს ის დრო იყო, – წერდა გ. წერეთელი, – როცა ვრცელმა არაბეთის სახელმწიფომ რყევა დაიწყო, სხვადასხვა ქვეყნის ამირები დამოუკიდებელს მთავრობას აპირებდნენ. ტფილისის ამირა... კიდეც უტოლდებოდა სხვადასხვა კუთხის საქართველოს მმართველებს" (96).

გ. წერეთელი აღწერდა 914 წელს არაბი სარდლის აბულ-ყასიმის ლაშქრობას და სტეფანე მტბევარის თხზულებაზე დაყრდნობით წარმოიჩენდა იმ უბედურებას,რაც ქვეყანას თავს დაატყდა ამ დროს „ვითარცა მკილნი მოსჭამდეს ფურცელსა ხეთასა და მწვანილოვანსა ქვეყანასა" (80, გვ. 83). აბულ-ყასიმის წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა მოსახლეობის დიდი ნაწილი.

IX-X საუკუნეებში არაბთა სახალიფოს დაშლამ ხელი შეუწყო საქართველოს სამეფო-სამთავროთა მოძლიერება-განვითარებას. X საუკუნეში საქართველოს სამეფო-სამთავროების გაძლიერება უკავშირდება ბაგრატ III სახელს, რომელმაც გააერთიანა რა ქართველი ხალხი, თავის რეზიდენციად აქცია ქალაქი ქუთაისი. მისი სიტყვებით მეფემ სწორად შეაფასა „ქუთაისის სტრატეგიული მდებარეობა, როგორც რიონის შავი ზღვის მხრიდან ბერძენთა თავდასხმისაგან გაშლილი ველის დაცვის ცენტრისა, მეფეს მიაჩნდა იმ დროს ახლახან შექმნილ ძლიერ სამეფოს,რომლის შემადგენლობაშიც ამიერკავკასიის ყველა ტომი შედიოდა,

ყველაზე დიდი საშიშროება ბერძნებისაგან ემუქრებოდა, რომელთაც შავი ზღვის სანაპიროს ზოგიერთ ადგილზე უკვე სიმაგრეები და აყვავებული კოლონიები ჰქონდათ“ (219). გ. წერეთლის ეს ვარაუდი ნაწილობრივ სწორია,თუ გავიხსენებთ გაერთიანებული საქართველოს მეფეებს ბაგრატ III, გიორგი I, ბაგრატ IV ეპოქას, კარგად დავინახავთ, რომ ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობაში წინააღმდეგობა, მტრობა სჭარბობს მშვიდობას. ბიზანტიისათვის არასასურველი აღმოჩნდა საქართველოს გაერთიანების საქმე.

გ. წერეთელი თავის წერილებში ეხებოდა საქართველოს გაერთიანებების პრობლემებს, მაგრამ შემდეგ როგორ განვითარდა მოვლენები, ეს მის ნაშრომებში არ სჩანს. რით უნდა ავხსნათ ის ფაქტი,რომ გ. წერეთელი თითქმის არაფერს ამბობს გიორგი I,ბაგრატ IV,დავით აღმაშენებელზე,თამარზე, მას მიაჩნდა, რომ საქართველოს ისტორიაში აღნიშნულ ეპოქებზე მრავალი გამოკვლევა არსებობდა, ამიტომ მისი როგორც საქართველოს ისტორიის მკვლევარის ამოცანა იყო ისეთი საკითხების გაშუქება, რომლებიც შედარებით ნაკლებად იყო შესწავლილი.

X-XIII საუკუნეების 20-იან წლებამდე საქართველოს სახელმწიფომ დიდ წარმატებებს მიაღწია, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური და კულტურული განვითარების თვალსაზრისით. ქვეყანაში ერთგვარ თვითდამშვიდებას მიეცნენ; როცა XIII საუკუნის 20-იან წლებში ქვეყანას მონღოლ-თათრები შემოესივნენ, აღმოჩნდა, რომ საქართველო მათ წინააღმდეგ საბრძოლველად მოუმზადებელი იყო. გ. წერეთლის აზრით, ორასი წლის განმავლობაში X-XII საუკუნეებში საქართველოს ისეთი ძლიერი პოლიტიკოსები განაგებდნენ, რომ ასეთი იშვიათი მაგალითები ისტორიამ იქნებ მეორე არ იცოდეს, მაგრამ რა მოხდა ლაშა-გიორგი დროს, ეს პრობლემა მაინც აღელვებდა.

გ. წერეთელი მონღოლებთან დამარცხებაში მთავარ დამნაშავედ ლაშა გიორგის,მის უზნეო საქციელს მიიჩნევდა. ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე მეფის უკადრისი საქციელის შესახებ არაფერს ამბობდა, პირიქით: „და ვიტყოდეთ ქებასა მისსა წინაშე ყოველთა კაცთა, არა

ვტყუოდეთ, არცა გურცხუენოდის. ვითარ იტყვის დავით მამა ღმრთისა: იქმნეს მშვილდ რვალსა მკლავნი მისნი და ექმნა შემწედ მაცხოვრება მისი“ (184, გვ. 370), მაგრამ სამაგიეროდ „ჟამთააღმწერელი“, რომელიც დაწვრილებით გადმოგვცემს XIII-XIV საუკუნეების საქართველოს ისტორიას, დაუფარავად აცხადებდა ლაშა გიორგიზე, რომ იგი „მიიდრეკა სიბოროტედ თანამიმყოლთა უწესოთა კაცთა“ (185, გვ. 154). გ. წერეთელი მთლიანად ეთანხმება „ჟამთააღმწერელს“ ლაშა-გიორგის შეფასებაში და მიიჩნევს, რომ მეფის უკადრისმა საქციელმა შეაჯახა იგი სამეფო კარს „მთავრები განეშორენ მის სასახლეს... ჯარი მოიშალა, გაჰქრა მათში სამხედრო სული, მეფის შემხედვარე ჯარი და ერიც გაერთო განცხრომაში და სმა-ჭამაში, სამხედრო ვარჯიში ყველამ დაივიწყა. აი, ამ დროს დატრიალდა საქართველოზედ ღვთის რისხვა მონღოლების სახით“ (91).

იმ დროისათვის მონღოლ-თათარი დამპყრობლების წარმატებანი საყოველთაოდ ცნობილია. მათ ხელთ იგდეს ჩინეთი, ხვარაზმის სახელმწიფო რუსეთის დაქუცმაცებული სამეფო-სამთავროები. დავუშვათ, რომ საქართველოში მონღოლთა გამარჯვება ლაშა-გიორგის უზნეო საქციელმა განაპირობა, სხვა ქვეყნებში რატომ მიაღწიეს დამპყრობლებმა წარმატებას? ვფიქრობთ, უფრო სწორია მოსაზრება იმის შესახებ, რომ მონღოლთა ჯარი თავისი გაწვრთნილობით, სისწრაფითა და დისციპლინით უფრო ორგანიზებული იყო, ვიდრე სხვა ქვეყნებისა (მათ შორის საქართველოსი). მეტიც, ქართველი პოლიტიკოსებს საერთოდ არ გააჩნდათ ინფორმაცია აზიაში მიმდინარე მოვლენების შესახებ. ანდა რით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ 1223 წელს რუსუდან მეფე რომის პაპს ჰონორიუს 111 ასეთი შინაარსის წერილს უგზავნიდა: „აწ გაუწყებთ, რომ თქვენის ბრძანებით, რომ თქვენს ბრძანებას ველით და მზად გახლავართ მთელის ჩვენის ძალით წავიდეთ ქრისტიანების შესაწევნელად; მე თვით მზად ვარ წმინდა ადგილების დასახსნელად წავიდე ორმოცი ათასი მეომრით, სადაც თქვენ ისურვებთ. მსგავსადვე გაუწყებთ რომ, როგორც მე, ეგრეთვე ჩვენის ქვეყნის ყველა მთავრებმა მიიღეს ჯვაროსნობა“ (62, გვ. 844).

მოვლენების შეუფასებლობით უნდა აიხსნას ის, რომ ქართველი პოლიტიკოსები ჯვაროსნული ლაშქრობისათვის ემზადებოდნენ, იმ დროს, როცა ქვეყანას მრისხანე საფრთხე ემუქრბოდა ხვარაზმელებისა და მონღოლების სახით.

ჟამთააღმწერელი ის ისტორიკოსი იყო, რომელიც მარტო ფაქტის გადმოცემით არ კმაყოფილდებოდა და ცდილობდა აეხსნა მონღოლებთან ქართველთა დამარცხების მიზეზები. იგი თეისტი ისტორიკოსი იყო და ქრისტიანული მორალის გადახვევისათვის ღვთის მიერ მოვლენილ სასჯელად ჩათვალა მონღოლებთან ქართველთა მარცხი. ამ მხრივ კი ყველაზე დიდი დამნაშავე ლაშა გიორგი იყო. „მაშინ მოიწია რისხვა ზეგარდმო უსჯულოებათა ჩვენთათვის... რამეთუ არა დასცხრა გულისწყრომა უფლისა“ (185, გვ. 165, 166).

გ. წერეთელი იმეორებდა „ჟამთააღმწერლის“ თვალსაზრისს და დასძენდა, ქართველები პირველსავე ბრძოლაში ვერ მიუხვდნენ მტერს ჩანაფიქრს და გაედევნენ მონღოლებს, ყველაფერი ჩასაფრებულმა პოლკებმა გადაწყვიტაო. ისევ ვიმეორებთ თუნდაც მონღოლთა ჩანაფიქრი ამოეცნოთ, საბოლოოდ ამ მრისხანე დამპყრობლების დამარცხება იმ ხანად ყველას გაუჭირდებოდა, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ ფეოდალური საქართველოს წიაღში წარმოშობილ ღრმა სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ წინააღმდეგობებსაც.

გ. წერეთლის გამოკვლევები, პოპულარული წერილები გამიზნული იყო ფართო საზოგადოებისათვის, მაგრამ არა იმისათვის, ვისაც ყოველმხრივი მეცნიერული ცოდნა ჰქონდა ჩვენი ქვეყნის მდიდარი ისტორიული წარსულისა. ამა თუ იმ ისტორიული პიროვნების შესახებ რომ მსჯელობდა, გ. წერეთელი ცდილობდა ღრმად ჩაწვდომოდა პირადი და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ყველა ნიუანსს. ჟურნალ „კვალში“ მან გამოაქვეყნა გამოკვლევა მეფე ბაგრატ V-ზე. აქვეა გელათის მონასტერში დაცული ბაგრატ V პორტრეტიც. მისი აზრით, ბაგრატ მეხუთე „მკვირცხლი გონიერების, მხნე სულისა და შემმართებელი სიმამაცის კაცი იყო... რომელმაც განიზრახა თავის ერთი მუჭა ერით პასუხის გაცემა და გამკლავება თემურ ლენგთან (81).

აღწერდა რა თემურ-ლენგის საქართველოში ლაშქრობებს,

გ. წერეთელი ფიქრობდა, რომ ბაგრატ V-ის მიერ იმის განჭვრეტა, რომ „ამისთანა ურდოებთან ერთი შებმით ბრძოლაში გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა, ამის გამო მოუწოდა თავის ერისკაცებს ციხეებისა და ხეობათა კარების გამაგრება“ (82). ანუ მოგერიებითი ომი საქართველოსათვის საკუთარი გეოგრაფიული მდებარეობის სწორად გამოყენებას ნიშნავდა. „ყოველ ციხეს უნდა გაეწია ბრძოლა მოგერიებითი თვითონ მეფე თავის რჩეული, თანაშეზრდილი მეომარი რაზმებით ტფილისის ქალაქში უნდა გამაგრებულიყო“ (81).

გ. წერეთელს, სავსებით სამართლიანად, მიაჩნდა, რომ ასწლოვანმა მონღოლურმა ბატონობამ ერთგვარად დაშალა ქვეყნის ეროვნული ცნობიერება. ეს განსაკუთრებით მოსახლეობის ზედაფენას დაეტყო. ბევრ მათგანს უკვე საკუთარი სარგებლობის ძიება ერჩივნა ქვეყნის სიკეთეს. გ წერეთელი ვერ ითვალისწინებდა ერთ მნიშვნელოვან გარემოებას. XIV-XV საუკუნეებში დიდი ცვლილება მოხდა ქვეყნის კლასობრივ სტრუქტურაში, დიდაზნაურებს გამოეყო ახალი ფენა თავადობა. გაჩნდა სათავადოები, რომლებიც მკვეთრად დაუპირისპირდა ცენტრალურ ხელისუფლებას და თავისი ციდამტკავლური ინტერესებით სხვადასხვა ჯურის დამპყრობელთა მხარდამჭერადაც მოგვევლინა. ბუნებრივია ამან ცენტრალურ ხელისუფლებას გარეშე მტრებთან ბრძოლა გაუძნელა.

ამ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში დასუსტებულ ქვეყანას თავს დაატყდა მრისხანე თემურ-ლენგის ლაშქარი და კიდევ უფრო მძიმე ვითარებაში ჩააყენა იგი.

გ. წერეთელი იზიარებდა იმ აზრს, რომ თემურ-ლენგმა რვაჯერ დალაშქრა საქართველო. მისი აზრით, როცა თემურ-ლენგი შემოესია, ბაგრატ V მას თავდაცვის თავისებური ტაქტიკა დაუპირისპირა. „ამ დროს მისი შვილი გიორგი სამწევისიდან მთელს საქართველოს ციხესიმაგრეებს, ხეობებს განკარგულებას აძლევდა და იმერეთში ჯარებს ამზადებდა“ (81). დიდი ბრძოლების შემდეგ თემურ-ლენგმა აიღო თბილისის ციხე და ბაგრატიც ხელთ იგდო, მაგრამ ბაგრატ V შვილის, გიორგის მოთარეშე ლაშქარმა მას არ მისცა გასაქანი, რამაც თემურ-ლენგი აიძულა ყარაბაღს წასულიყო.

გ. წერეთელი ქართლის ცხოვრების მონაცემების საფუძველზე აღწერდა თემურ-ლენგის ლაშქრის მიერ ქვათახევის მონასტერში დატრიალებულ ტრაგედიას, მთიულების გმირულ ბრძოლებს, არ ეთანხმებოდა ბერი ეგნატაშვილის ვარაუდს, ბაგრატ V 1395 წელს გადადგომის შესახებ, მიაჩნდა, რომ ამ სახელოვან მეფეს 1403 წლამდე უნდა ემეფა, მაგრამ ეს ვარაუდი სათანადო არგუმენტებით არ იყო გამაგრებული.

თემურ-ლენგის შემოსევების შედეგების შეფასებისას გ. წერეთელი სავსებით მართალი იყო, როცა წერდა: „თემურ-ლენგმა მეორედ გატეხა საქართველო და საბოლოოდ გამოუძლურა... ბაგრატ V ღვაწლი კიდევ უფრო დიდად მოგვეჩვენება, თუ წარმოვიდგენთ, რომ იმან არამც თუ საქართველოს სვე-ბედი იტვირთა, არამედ ქვეყნის მტარვალს გზაზედ გადაეღობა და აღარ გაუშვა დასავლეთის საქრისტიანო ევროპის დასაპყრობად“ (81).

XIX საუკუნის 50-80-იან წლებში ევროპის ქვეყნებისა და რუსეთის ყურადღება მიპყრობილი იყო ოსმალეთის იმპერიისკენ. ამ დროს ოსმალეთის იმპერიაში შედიოდნენ ბულგარეთი, ალბანეთი, მაკედონია, ბოსნია, ჰერცოგოვინა, საბერძნეთი. ოსმალეთს ჰქონდა მიტაცებული ისტორიული საქართველოს დიდი ნაწილი, სამცხე-საათაბაგო, აჭარა. იმ დროს, როცა ბალკანეთის ხალხებში დაიწყო ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობა, მას მხარი დაუჭირა რუსეთმაც. XIX საუკუნის II ნახევრის მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს მცირე აზიასა და ბალკანეთში მიმდინარე პროცესებს. დღის წესრიგში დგებოდა ისტორიული საქართველოს მიწა-წყლის დედასამშობლოსთან დაბრუნების საკითხი. საზოგადოებრივი აზრის გააქტიურების მიზნით ჟურნალ „კრებულის“ 1873 წლის ნომრებში გ. წერეთელი აქვეყნებს წერილებს, რომლებშიც ცდილობს გაარკვიოს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის არაერთი პრობლემური საკითხი. იგი არ ეთანხმებოდა ვახუშტი ბაგრატიონის მოსაზრებას სამცხის მცხეთიდან წარმომავლობის შესახებ და მიაჩნდა, რომ „სამცხე სამესხეს ნიშნავდა“. გ. წერეთელი დაწვრილებით

მსჯელობდა სამცხის სამხრეთ-დასავლეთით შავი ზღვისა და ტრაპიზონამდის გადაჭიმულ ქვეყანაზე კლარჯეთ-ჭანეთზე და მიაჩნდა, რომ ეს ტერიტორია XV-XVII საუკუნეებიდან იწოდებოდა ოსმალოს საქართველოდ, რადგან მისი დიდი ნაწილი ოსმალეთს ჰქონდა მიტაცებული.

გ. წერეთლის აზრით, საქართველოს დასუსტება XV-XVI საუკუნეებიდან დაიწყო, როცა ოსმალებმა მოარღვიეს ქვეყნის სამხრეთი ბასტიონები. „სამცხე ერთი შეხედვით ჰგავს უზარმაზარ ბუნებითს ციხეს, რომელიც ვრცელ მთაზეა დაშენებული“ (150, გვ. 248) – დასძენდა გ. წერეთელი. მისი აზრით, სამცხეში შესვლა შესაძლებელი იყო ჭოროხის ხეობით. ჩრდილოეთისა და სამხრეთ აღმოსავლეთით ქვეყანას ერტყა მთების თხემები, აქ ოთხი თვე შეიძლებოდა მიმოსვლა. რჩებოდა მტკვრის ხეობა, მაგრამ აქ ჩვენს წინაპრებს ძველთაგანვე ციხე-სიმაგრეები აუშენებიათ, რათა სამცხეთში შესვლა ძნელი ყოფილიყო.

საქართველოს რთულ გეოგრაფიულ-სტრატეგიულ მდებარეობას კარგად იყენებდნენ ქართველი პოლიტიკოსები და სწორედ ეს იყო, გ. წერეთლის აზრით, ამ პატარა ქვეყნის შეუდრეკელობისა და გამძლეობის საფუძველი. მისი აზრით, თუ ვინმე ეცდებოდა თრიალეთ-სომხეთიდან ქვეყანაში შემოჭრას, „დაუპატიჟებელ სტუმარს ყოველი ხეობის თავში კლდის კლდით შემოზღუდული მაგარი ციხე დაუხვდებოდა, რომელიც ჰკეტავდა ან ერთს უმთავრეს ხეობას, ან მეორე უმცირესს... ყოველს მცირე ხევის სათავეში აშენებული იყო კაცის ხელით ნამდვილი ციხეები, რომელნიც შეადგენენ ხეობების, ანუ უზარმაზარი ციხის კარებს. ეს კარები ძველთაგანვე გარეშე მტერთათვის ჩაკეტილი ყოფილა და გასაღებები თვითონ თრიალეთ-სომხითის ქვეყნებში მცხოვრებ ერს ჰქონებია ხელში. თუ ისინი თვითონ არ გაუღებდნენ კარს, გარეთგან შემოსეულს მტერსა, რაც უნდა მრავალი და ხერხიანი მებრძოლი ჯარი ყოფილიყო, მაინც ვერას დააკლებდა ჯერ ბუნებას და მერე კაცის ხელით გამაგრებულს და შეუვალს ქვეყანას“ (151, გვ. 272, 273).

გ. წერეთელს სავსებით სამართლიანად მიაჩნდა, რომ სამხრეთ საქართველო იყო უმთავრესი სტრატეგიული

ცენტრი,ამიტომ იყო მტერს,როცა საქართველოს განადგურება ეწადა, იწყებდა მისი სამხრეთი ბურჯის, ქართველთა ძველი საბინადროს განადგურებას. ვინც ქართველობას ამ სამკვიდრებლიდან გადააგდებდა, ჩამოყრიდა მტკვრის პირად და გადარეკდა მტკვრისა და რიონის კიდეზე, საცა ახლა ჩვენ ვართ, საქართველოც იმისი უნდა ყოფილიყო, – წერდა გ. წერეთელი.

ვფიქრობთ,სწორი იყო გ. წერეთლის ვარაუდი იმის შესახებ, რომ XV საუკუნემდე ქართველთა ძირითადი კულტურულ-ისტორიული ცენტრები ორიალეთის, აჭარის და მცირე კავკასიის ქედებს შორის ყოფილა, ორიალეთ-სომხითში, სამცხე-ჯავახეთში და ჭანეთში რომ ძვირფასი ისტორიული სახსოვრებია დარჩენილი, იმდენი არსად არ არისო, – წერდა იგი.

გ. წერეთელი კრიტიკულად განიხილავდა „ქართლის ცხოვრების“ ცნობას იმის შესახებ, რომ კლარჯეთი ფარნაოზმა შემოიერთა. „უფრო ნამდვილად ასე ვიცით, – წერდა იგი,– რომ ამ ქვეყნებში საქართველოს ერი ხეობებად იყო დაყოფილი და ხეობებში განაგებდნენ. როცა მეფობა შემოვიდა საქართველოში, მაშინ ხევისბერების მაგიერად თავადები იყვნენ და როცა საქართველოს სამეფო გაძლიერდა, მას შემდეგ აქ იყო მეფის ერისთავი დაყენებული, რომელსაც ეწოდება ათაბაგი და თვით ქვეყანას სამცხე-საათაბაგო“ (151, გვ. 27). გ. წერეთელი კი ამბობდა უფრო ნამდვილად ვიცითო, მაგრამ საიდან იცოდა უფრო ნამდვილად ამის შესახებ კვლავ არაფერს წერდა. მსჯელობა კი მის ვარაუდს უფრო ეყრდნობოდა.

გ. წერეთელი გულისტკივილით წერდა XV საუკუნეში საქართველოს ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს დაქუცმაცების მიზეზებზე. მან, მართალია, ამომწურავად ვერ ახსნა ეს მიზეზები, მაგრამ ზოგადად სწორი იყო მისი შენიშვნა: „მთავრების ანგარებით დაბრმავებულმა პოლიტიკამ, დააქცია ქვეყანა. ყველას უნდოდა თავის პაწია ფარგალში მეფედ გამხდარიყო. იმას კი არ ფიქრობდნენ, რომ ამ პაწია მთავრებს ბოლოს სათითაოდ აკრეფდნენ და შთანთქავდნენ მაჰმადის სარწმუნოების აღმსარებელნი“ (86).

გ. წერეთელს მიაჩნდა, რომ ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლა ფეოდალიზმის განვითარების კანონზომიერი შედეგი იყო. გიორგი VIII ბევრს ეცადა ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნებას, „მაგრამ მაინც ვერა გააწყო რა, რადგან მას ცუდი გარემოება დაუდგა“ (86). მკვლევარი ამ ცუდ გარემოებაში გულისხმობდა შინაფეოდალურ შუღლსა და საგარეო გართულებებს. გ. წერეთელი დაწვრილებით აღწერდა შინაგანი პარტიკულარიზმის ტიპიურ ბრძოლებს, მიიჩნევდა, რომ ამ ბრძოლაში ცენტრალური ხელისუფლება პროგრესულ როლს ასრულებდა.

იგი. ე.წ. ჟურულის სიგელში ყურადღებას აქცევდა შემდეგ სიტყვებს: „თუ ვინმემ მახვილი შემოგიდვას და დაგკრას ოცდაათი ათასი კილმანაული დაგიურვოს, თუ ვინმემ ისარი გესროლოს, ორმოცი ათასი დაგიურვოს“ და სხვ. აქედან გამომდინარე გ. წერეთელს გამოჰქონდა დასკვნა, რომ XV საუკუნეში ჩვენმა წინაპრებმა ჯერ კიდევ არ იცოდნენ თოფისა და წამლის ხმარება.

გ. წერეთლის როგორც ისტორიკოსისათვის არ იყო დამახასიათებელი სხვათა ღვაწლის მიჩქმალვა. იგი ყურადღებით ადევნებდა თვალს მის თანამედროვე მკვლევართა საქმიანობას, თავის ნაშრომებში იყენებდა მათ მიღწევებს. საქმის ცოდნისა და პატივისცემით იყო გამსჭვალული მისი გამოხმაურებანი პლ. იოსელიანის, დ. ბაქრაძის გამოკვლევებზე (89). აჯამებდა რა XV-XVII საუკუნეების საქართველოს ისტორიას გ. წერეთელი ამ პერიოდს ჯოჯოხეთის ხანას უწოდებდა. ერთი მხრივ, შინაფეოდალურმა ბრძოლებმა, მეორე მხრივ, გარეშე მტრების შემოსევებმა ქვეყანა გაანადგურა, მაგრამ მას მაინც ჰქონდა წყვდიადიდან გამონათების ხანმოკლე პერიოდები. გ. წერეთელი ასეთ გამონათების ხანას უწოდებს XVII საუკუნის 30-50-იან წლებს. იყო ნამდვილად გამონათების ხანა? 1632 წელს მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა მაჰმადიანურ და ქრისტიანულ ძალებს შორის დასრულდა იმით, რომ ქართლის მეფე გახდა გამაჰმადიანებული როსტომ ხანი (1632-1658). გ. წერეთელი თვლიდან მას ჭკვიან პოლიტიკოსად, მაგრამ უფრო მეტად აფასებდა მარიამ დედოფლის ღვაწლს, რომელმაც თავისი თავგანწირული საქმიანობით, ქრისტიანული კულტურისადმი

მეცენატობით გაითქვა სახელი. მაგრამ დედოფლის ღვაწლის აღნუსხვისას გ. წერეთელს მცირე უზუსტობაც მოუვიდა. მან მარიამ დედოფლის ნაღვაწად ჩათვალა ქუთაისის საეკლესიო კრების მოწვევა და კრების მიერ ტყვის სყიდვის აკრძალვა. თვით ფაქტი, რომ ტყვის სყიდვა იკრძალებოდა, პროგრესული მნიშვნელობის მოვლენა იყო, მაგრამ იმერეთის სამეფოსთან დაპირისპირებული ქართლის მეფის მეუღლე ქუთაისის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებაზე დიდ გავლენას ვერ მოახდენდა. ეხებოდა რა ზოგადად XVII საუკუნის 30-50-იანი წლების საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობის საკითხებს, გ. წერეთელი დაასკვნიდა: „მისი გავლენით (როსტომი, მარიამი) ქართველებმა შეისვენეს, ძალი მოიკრიბეს და ამის მეოხებით აღარ შეუშინდნენ XVIII საუკუნის ქარიშხალს და სასტიკს ბრძოლას ეროვნების გულისათვის“ (88).

ვფიქრობთ, როსტომ მეფის ეპოქის გაიდიალება და თეიმურაზ I ღვაწლის იგნორირება გ. წერეთლის სერიოზული შეცდომა იყო. როსტომ ხანი იყო ტიპიური გაორებული ქართველი, რომელიც ირანის საქმეს უფრო აკეთებდა საქართველოში, ვიდრე ქართულს. ამის დასტური ისიცაა, რომ 1658 წელს, როცა იგი გარდაიცვალა დიდი პატივით წაასვენეს და დაკრძალეს ირანის შაჰების განსასვენებელში, ყუმში.

გ. წერეთელი ფეოდალური განკერძოებულობის გამოვ–ლინებად მიიჩნევდა XVII საუკუნის I ნახევარში დასავლეთ საქართველოში ლევან II დადიანის ბრძოლას იმერეთის მეფე ალექსანდრეს წინააღმდეგ. იგი დაწვრილებით აღწერდა ძმათამკვლელი ომების საშინელებებს, დაუნდობლობასა და ბარბაროსობას, რაც ამ ბრძოლებს ახლდა. მისი აზრით, ლევან II დადიანი გაორებული პიროვნება იყო. გაოცებას იწვევდა ის, რასაც ლევან დადიანი აკეთებდა. ერთი მხრივ, იგი გვევლინებოდა როგორც ნიჭიერი პოლიტიკოსი, ზრუნავდა სამეგრელოს სიძლიერისათვის, შესაწირავს აგზავნიდა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის შესაკეთებლად, მეორე მხრივ კი, იყო იმერთა მეფის ალექსანდრეს ძმის მამუკას თვალებდამთხრელი, იმერეთიდან წამოყვანილი ტყვეების ოსმალებზე გადამყიდველი. მან „დიდი ვნება

მოუტანა ისტორიულ ნაშთებს და ზედ წარწერებს ლეჩხუმის ტაძრების კედლებზედ, კარის ბჭეზედ და ხის კარებზე, იმან მოაშლევინა ძველი მეფეების შეწირულობა და მათი სახსოვარნი,ჩამოათლევინა წერაქვითა და ნაჯახით ქვებიდან და ხის კარებიდან ზედ-წარწერები უწინდელის დროისა იმ განზრახვით, რომ ლეჩხუმში არ დარჩენილიყო იმერთა მეფეების მფლობელობის კვალი (92).

გ. წერეთელი მაღალ შეფასებას აძლევდა იმერთა მეფე ალექსანდრეს ღვაწლს,დადებითად მიაჩნდა მისი ცდა კავშირ-ურთიერთობა დაემყარებინა რუსეთის სახელმწიფოსთან. „მეფე ალექსანდრეს ჰქონდა მიწერ-მოწერა რუსეთის მეფეებთან ალექსი მიხაილის ძესთან და იმის მემკვიდრეთა იოანე და თეოდორესთან“ (92). მისი აზრით,ამ ურთიერთობათა გაცხოველებაში დიდი როლი შეასრულა ტოლოჩანოვის მოგზაურობამ საქართველოში. გ. წერეთელი სავსებით სწორად შენიშნავდა, რომ მეფე ალექსანდრე იყო მხნე და შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი,რომელსაც სურდა დასავლეთ საქართველოს გაერთიანება და რუსეთთან დაკავშირება, რათა ადვილად მოეხერხებინა მაჰმადიანური ალყის გარღვევა. მაგრამ იგი იმასაც ამჩნევდა, რომ ალექსანდრეს ასეთი სურვილი სურვილადვე დარჩა, რამეთუ რუსეთი ჯერ კიდევ შორს იყო,ხოლო თვით ქვეყნის შიგნით გაუთავებელმა ბრძოლებმა ერთიანობისათვის მებრძოლი ძალები დაასუსტა.

თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია ეთანხმება გ. წერეთელს ლევან დადიანს შეფასებაში. აღნიშნულია რა ლევან დადიანის მოღვაწეობის ძირითადი მომენტები, იგი რეაქციონერ ფეოდალად არის მიჩნეული (175, გვ. 341). XVII საუკუნის საქართველოს ისტორიის მასალებზე მუშაობის გ. წერეთელი ძირითადად ეყრდნობოდა ფარსადან გორგიჯანიძის ისტორიას,ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომებს. მისთვის უცნობი იყო ევროპელი მისიონერების არქანჯელო ლამბერტის, დონ ქრისტეფორ დე კასტელის, ჯუდიჩე მილანელის და სხვათა ნაშრომები, რომლებიც ბევრ საინტერესო ცნობებით ამდიდრებენ აღნიშნული ეპოქის საქართველოს ისტორიას (62). გ. წერეთელმა სწორად შენიშნა ის ფაქტი, რომ XVII საუკუნეში ქართველი ხალხის თავგანწირულ ბრძოლას

ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ კიდევ უფრო აძლიერებდა ქრისტიანული რელიგია, შაჰ-აბას I ცდა ქართლ-კახეთში ქრისტიანობის დათრგუნვისა ეს იყო შორსგამიზნული მოქმედება.

გ. წერეთლის სწორი დასკვნით XVII-XVIII საუკუნეების საქართველოს საზრუნავი იყო სარწმუნოების დაცვა, ერთობა და თავისუფლება. მაგრამ ირანელებმა მაინც მოახერხეს რა აღმოსავლეთ საქართველოს დამორჩილება 1632 წლიდან აქ გამოგზავნილი მეფეები უკვე ტომით ქართველი, რჯულით მაჰმადიანები იყვნენ. მისი აზრით ქართველი პოლიტიკოსების ის ნაწილი ვინც გამაჰმადიანდა (როსტომი, ვახტანგ V, ნაზარალიხანი, გიორგი XI) გაორებული მოღვაწენი იყვნენ, მაგრამ იყვნენ ისეთნიც, რომლებიც ყოველთვის გაშმაგებით ებრძოდნენ მტრებს, მტკიცედ იცავდნენ ქრისტიანულ სჯულს.

XVIII საუკუნის დასაწყისში ვახტანგ VI ქართლში მმართველობა გ. წერეთელს მიაჩნდა საქართველოს თავისუფლების გამონათების მცდელობად. თუ ვახტანგ VI საშინაო და საგარეო პოლიტიკაში სცადა ირან-ოსმალეთის გავლენისაგან თავის დაღწევა დავით გურამიშვილმა მხატვრული ლიტერატურაში ქრისტიანული სარწმუნოების იდეები ააღორძინა ეროვნული პოეზიის ის პრონციპები, რაიც ასე მკვეთრად იგრძნობოდა შ. რუსთაველის უკვდავ „ვეფხისტყაოსანში“ – წერდა გ. წერეთელი.

გ. წერეთელი როცა საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ამა თუ იმ გამოჩენილი პიროვნების შესახებ მსჯელობდა მიაჩნდა, რომ „თითოეული პირის ცხოვრება იმ გვარად არის შეკავშირებული მთელი საზოგადოების ცხოვრებასთან, რომ არც შეუძლიან მის ზემოქმედებისაგან თავი იხსნას, არც მისგან გაცალკდეს და არც მასზედ ამაღლდეს“,– მაგრამ ზოგჯერ მაინც სძლევდა ემოციები და ივიწყებდა იმ კონკრეტულ – ისტორიულ ეპოქას,როცა ამა თუ იმ ისტორიულ მოღვაწეს უხდებოდა ცხოვრება. ამის დასტურია გ. წერეთლის გამოკვლევა ერეკლე 11-ზე. ამ მახრივ გ. წერეთელი ერთადერთი გამონაკლისი არ იყო. XVIII საუკუნის 80-90-იან წლების ქართლ-კახეთის საშინაო და საგარეო-პოლიტიკური ვითარების ანალიზი წინააღმდეგობრივად აქვთ გააზრებული

თერგდალეულთა სხვა წარმომადგენლებს, ისტორიკოსებს, ფილოლოგებს. ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ მთლიანად მაინც არ იყო გარკვეული, რატომ დასრულდა კატასტროფით ქართველთა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა XVIII საუკუნეში. ყველა ცდილობდა მის ახსნას და ამ პროცესში მთავარი აქცენტი გადატანილი იქნა ერთი პიროვნები, ერეკლე II სუბიექტურ ზრახვაზე, მაგრამ არავის არ უცდია რეალურად აღენუსხა და განეზოგადებინა ის ობიექტური მოტივები, რამაც ერეკლე II მიიყვანა ერთმორწმუნე რუსეთთან კავშირამდე.

გ. წერეთელი მიიჩნევდა, რომ თამარ მეფის შემდეგ საქართველოში ერეკლე II ყველაზე პოპულარული პიროვნება იყო. მას მიაჩნდა რომ ერეკლე II ასეთი პოპულარობა გამოწვეული იყო ლეკებისა და ირანელების წინააღმდეგ თავდაუზოგავი ბრძოლებით. მაგრამ „ერეკლე კერძო კაცი არ იყო, რომ მეისტორიე დაკმაყოფილდეს ამ უებრო კერძო თვისებებით. იგი იყო მეფე ქართლ-კახეთისა და როგორც მეფეს ერისას, რომელსაც მხედველობაში უნდა მიეღო მხოლოდ ბედნიერება, დღეგრძელობა და მომავალი სვებედი მთელი გვარისა“ (92).

გ. წერეთელი იზიარებდა იმ აზრს, რომ ერეკლე II იყო უბადლო მხედართმთავარი და ცუდი პოლიტიკოსი, იგი ცდილობდა ერეკლე II შეფასებისას პარალელები ეძებნა ნაპოლეონისა და კარლოს XII ეპოქებთან. მისი ფიქრით, მარტო მხედართმთავრული ნიჭით უკვდავი სახელის მოხვეჭა შეუძლებელია. აქ გ. წერეთელი ერეკლე II ისეთ მოთხოვნებს უყენებდა, რომ აშკარად ღალატობდა ისტორიზმის პრინციპებს. მაგალითად, საყვედური იმის გამო, თუ რატომ არ შეამცირა მეფემ სამხედრო ხარჯები, რა ღონისძიებანი განახორციელა ქვეყნის განათლებისათვის, რამდენად ბრძნული დამოკიდებულება ჰქონდა მეზობელ სახანოებთან და დაადგინა „თუ არა მეფემ ისეთი კანონები და სამოქალაქო წეს-წყობილება, რომ თითოეული ქვეშევრდომი ყოფილიყოს კაცური უფლებით აღჭურვილი, სამართალს არავინ დაეჩაგრა და ყველას დიდსა და პატარას ბედნიერად ეგრძნოს თავი“ (92), ცოტა უცნაურად ჟღერდა. განა იყო შესაძლებელი სამხედრო ხარჯების შემცირება მაჰმადიანური აგრესიის, დაღესტანელი

ფეოდალების განუწყვეტელი შემოსევების პირობებში? ერეკლე II იყო ფეოდალური სამეფოს ტიპიური მონარქი, ამიტომ საყვედური, რატომ ისეთი კანონები არ გამოსცა, სადაც ყველანი თანასწორი იქნებოდნენო, XIX საუკუნის 80-90-იანი წლების აზროვნების შუქზეა დანახული სოციალური ურთიერთობის საკითხები და არც ეს იყო სწორი.

გ. წერეთელი აკეთებდა რა XVII-XVIII საუკუნეების საქართველოს ისტორიის მიმოხილვას, ასკვნიდა: „ამ დროს საქართველოს გამოუჩნდნენ ორნაირი პოლიტიკის მიმდევარნი მეფენი, ეროს ეკუთვნოდნენ როსტომ მეფე და ვახტანგ V, მეორე მიმართულებისანი იყვნენ ვახტანგ VI და თეიმურაზ I“ (92). გ. წერეთლის აზრით, როსტომ მეფე და ვახტანგ V უფრო შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსები იყვნენ, რომლებიც გარეგნულად მაჰმადიანობას აღიარებდნენ და შინაგანად კი ქართულ საქმეს აკეთებდნენო. ავტორი 1795 წლის კრწანისის ბრძოლას ერეკლე II განუჭვრეტელ პოლიტიკას მიაწერს. მისი აზრით, თუ ეს არ მოხდებოდა, ერეკლე მეფის ძლიერი გაუტეხელი ხასიათი ადვილად ალაგმავდა ერისთავების თავგასულობას, მოაწესრიგებდა ქვეყნის ეკონომიკას, გააღორნიერებდა ერს და მშვიდობიანად გადადგამდა ნაბიჯს XIX საუკუნეში.

გ. წერეთელი ანგარიშს არ უწევდა იმას, რომ სწორედ კრწანისის ბრძოლაში გამომჟღავნდა ქართლ-კახეთის სამეფოს ღრმა შინაგანი კრიზისი. იგი ცნობილი რუსი დიპლომატის ბუტკოვის წერილებზე დაყრდნობით დაწვრილებით განიხილავდა ალექსანდრე ბატონიშვილის შეთქმულებას. მისი აზრით, რუსეთის საიმპერატორო კარი ალექსანდრე ბატონიშვილს ლმობიერად იმიტომ მოეპყრო, რომ მისი საშუალებით ქართლი მიემხრო, რადგან იმხანად ირაკლის, როგორც ნადირშაჰის საუკეთესო მეგობრის იმედი არ ჰქონდა. 1782 წლის მთის მოძრაობა ალექსანდრე ბატონიშვილის სასარგებლოდ, ქერიმ-ხანისა და ალექსანდრე ბატონიშვილის ერთობლივი მოქმედება ერეკლე II წინააღმდეგ გახდა ერეკლე II რუსეთთან დაახლოებისა და 1783 წლის ტრაქტატის საფუძველი – დაასკვნიდა გ. წერეთელი,მაგრამ ეს ხელშეკრულება ხომ წინა საუკუნეთა რუსეთ-საქართველოს

ურთიერთობის ნაყოფი იყო.

გ. წერეთელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატს. მისი აზრით, „ამ ხელშეკრულების ძალით მეფე ერეკლე და მისი შთამოება უნდა გამხდარიყო მტერი რუსეთის მტერთა და მეგობარი რუსეთის მეგობართა. საქართველო საუკუნოდ აღიარებდა რუსეთის ტახტის უფროსობას და ხდებოდა განუყრელი მოკავშირე რუსეთის იმპერიისა“ (94). იგი კვლავ უბრუნდებოდა აღნიშნულ საკითხს და დასძენდა – განადგურებულმა ქვეყანამ და ღონე-გამოლეულმა საქართველოს ერმა რუსეთის ხელმწიფობას შეაფარა თავი და მიანდო თავისი სვებედი რუსეთის სახელმწიფოს.

როგორც ვხედავთ, გ. წერეთელი ერეკლე II ეპოქაზე მსჯელობისას ყოველთვის ვერ იცავდა ისტორიზმის პრინციპს, ობიექტურობას, მაგრამ საქართველოს რუსეთთან დაკავშირებას მაინც პროგრესიულ მოვლენად აღიქვამდა.

XVIII საუკინის საქართველოს ისტორიის პრობლემათა წარმოჩენისას გ. წერეთელი იყენებდა ზეპირ გადმოცემებსაც, მოგონებებსაც. ამ მხრივ, საინტერესო იყო ზეპირდაგადაცემა სოლომონ ლიონიძის შესახებ. გ. წერეთელი სოლომონ ლიონიძეს უწოდებდა ნიჭიერ დიპლომატს, რომელსაც დევნიდა იმერთა მეფის სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი. ეს თქმულება გ. წერეთელს ჩაუწერია გუგუნა ბაზღაძისაგან, რომელიც იყო მოურავი სოლომონ ლიონიძისა. მეფის ცენზურამ აკრძალა თქმულებების გამოქვეყნება.

თქმულების მიხედვით,სოლომონ ლიონიძე წინააღმდეგი იყო 1801 წლის მანიფესტისა, რომელიც ქართლ-კახეთის სამეფოს დამოუკიდებლობას აუქმებდა. რუსეთის მთავრობისათვის იმერთა სამეფოსთან ურთიერთობის მოუგვარებლობას მეფის სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი სოლომონ მსაჯულს მიაწერდა. ზურაბ წერეთელი არ იყო გამორჩეული ნიჭის კაცი, იგი პირდაპირ პაექრობაში ლიონიძეს ვერ დაამარცხებდა, ამიტომ მან მიმართა მზაკვრობას, განიზრახა ლიონიძის დაღუპვა, ამ უკანასკნელმა კი თავი შეაფარა სამეგრელოს. თქმულებაში საუბარია იმის შესახებაც, რომ იმერთა მეფე სოლომონ II მალე დარწმუნდა ლიონიძის უდანაშაულობაში,

ზურაბ წერეთლის მოღალატეობაში. მეფემ სოლომონ ლიონიძე რუსეთში გაგზავნა იმპერატორ ალექსანდრე პირველთან მოლაპარაკებაზე, სადაც ქართველმა ელჩმა მალე შეისწავლა რუსული ენა თავი გამოიჩინა ნიჭიერებითა და დარბაისლური მოქცევით, მაგრამ ზურაბ წერეთელი მაინც ვერ ისვენებდა, მან შეადგინა თათრულად წერილი, რომელიც თითქოს იმერთა მეფე სოლომონმა ოსმალეთის ხონთქარს გაუგზავნა, რომელშიც მეფე ოსმალეთს ჯარებს სთხოვდა. წერილი მთავარმართებელ ციციანოვის საშუალებით პეტერბურგს გაგზავნა. რუსეთის იმპერატორმა სოლომონ ლიონიძე საქართველოში გამოისტუმრა. თქმულება წერეთლების გვარს ადანაშაულებს იმერეთის სამეფოს გაუქმების საქმეში. სოლომონ ლიონიძის დაღუპვაც ტრაპიზონში ზურაბ წერეთლის მზაკვრობით მომხდარა, როცა მას მოუსყიდია ერთი ბერძენი, ამ უკანასკნელს კი სოლომონ ლიონიძისათვის საწამლავი მიუცია.

ეს თქმულება მრავალმხრივ არის საინტერესო, კარგად გვიჩვენებს იმ რთულ ვითარებას შინაფეოდალურ შუღლსა და ციდამტკავლურ ინტრიგებს, რაც XIX საუკუნის დასაწყისში არსებობდა იმერეთის სამეფო კარზე. ფაქტია, რომ ზურაბ წერეთელი ვერ შეეგუებოდა იმერთა მეფის კარზე ლიონიძის პირველობას. ამიტომ სავსებით ბუნებრივად გვეჩვენება თქმულებაში წამოყენებული ვერსია, რომ სოლომონ ლიონიძის მკვლელობაში პატივმოყვარე სახლთუხუცესის ხელიც ერია, მაგრამ საინტერესოა სხვა რამ: რატომ აკრძალა მეფის ცენზურამ ამ თქმულების გამოქვეყნება? ამის პასუხს ვპოულობთ საცენზურო კომიტეტის დადგენილებაში, სადაც აღნიშნულია: „По журналу цензур, комитета 4 октября 1895 г. определено: ввиду тенденциозности напечатание воспретить. За председателя комитета секретарь Мелик-Нубаров“ (75, გვ. 225, 226).

ცხადია მეფის მთავრობისათვის მიუღებელი იყო ასეთი შინაარსის თქმულება, რომელიც უახლოესი წარსულის ისტორიიდან ოფიციალური ვერსიისგან განსხვავებულ ინტერპრეტაციას გვთავაზობდა.

ასევე საინტერესოა ზურაბ წერეთლისა და სოლომონ II ურთიერთობაზე მოხუცებისაგან გადმოცემული მასალების

პუბლიკაცია. ამ თქმულებით მტკივდება, რომ მეფის ცდა თავიდან მოეშორებინა გაამაყებული თავადი უშედეგოდ დამთავრდა, ზურაბის კადნიერება იქამდეც მისულა, რომ მას ვარციხის სასახლეში მეფისათვის გაუგზანია ვინმე ეგნატე ლომიძე, რომელიც თითქო წერეთელს მოსაკლავად ჰყავდა მიჩენილი „თქვენი გამოგზავნილი აღდგომის ძღვენი თქვენთვისვე მიახლებიაო“. როცა ამ მასალებს ვეცნობით, კიდევ უფრო ნათელი ხდება,თუ რატომ ვერ შეძლო ქართულმა სამეფოებმა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის შენარ–ჩუნება. შინა შუღლმა, ურთიერთმტრობამ და საგარეო ფაქტორებმა განაპირობეს მათი რუსეთთან დაახლოების აუცილებლობა.

გ. წერეთელმა შეკრიბა მასალები XIX საუკუნის დასაწყისში ქართლ-კახეთში სოციალური და ეროვნული მოძრაობის მიზეზებსა და ხასიათზე. ეს მასალები უმეტესად თვითმხილველთა მოგონებებს ემყარებოდა.

გ. წერეთელს 1899 წელს დაუწერია და ჟურნალ „ჯეჯილში“ დასაბეჭდავად გადაუცია „ზღაპარი“, რომელშიც ალეგორიული სახეებით აღწერდა, თუ რა ვითარებაში იყო საქართველო XIX საუკუნეში. ზღაპარში მოვლენები ისე ვითარდება,რომ საკმარისია ხალხმა თავისი შესაძლებლობანი რეალურად შეიცნოს, რომ აუცილებლად მოახერხებენ ყველა წინააღმდეგობის გადალახვას და მოიპოვებს ნანატრ თავისუფლებას.

გ. წერეთელი ცდილობდა ახლებურად გაეაზრებინა საქართველოს ისტორია. პოპულარული, ხალხისათვის გასაგები ენით, ქართული და უცხოური წყაროების ურთიერთშეჯერებით იგი ახერხებდა წარსული ისტორიის გათანამედროვებას. ეს არ იყო შემთხვევითი. მას სხვა თერგდალეულებივით სურდა XIX საუკუნის ქართველობა დაეფიქრებინა იმ უმთავრეს საგანზე თუ „რანი ვიყავით წარსულში, რანი ვართ აწმყოში და რანი შეიძლება ვიყვეთ მომავალში“. მისი მეცნიერული გამოკვლევები, წერილები ყოველთვის არ იყო სათანადო მეცნიერული წყაროებით არგუმენტირებული, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას ერთი რამ: მის მიერ დაარსებულმა გაზეთმა „კვალმა“ და იქ

გამოქვეყნებულმა წერილებმა შეუწყო ხელი საქართველოს ისტორიის პოპულარიზაციას. XX საუკუნის ბევრი გამოჩენილი ისტორიკოსი „კვალში“, „ივერიასა“ და „დროებაში“ გამოქვეყნებულ მასალებზე აღიზარდა. გ. წერეთლისა და მის მსგავს პოპულარიზატორთა მიერ მოძიებულმა მასალებმა, წყაროებმა, ეროგვარად შეამზადეს ნიადაგი ქართული მეცნიერული ისტორიოგრაფიის შესაქმნელად.

III თავი

გიორგი წერეთელი XIX საუკუნის საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის პრობლემათა შესახებ

1. გიორგი წერეთელი ბატონყმური წყობილებისა და ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა შესახებ

XIX საუკუნის II ნახევრის პროგრესიულ მოღვაწეთა შორის გ. წერეთელი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც მკაცრად აკრიტიკებდა ძველ ფეოდალურ-ბატონყმურ წყობილებას და მის მანკიერ მხარეებს. მან შემოიარა მთელი საქართველო, გაეცნო ხალხის ყოფა-ცხოვრებას და თავისი გულისთქმა გამოხატა მხატვრულ თუ პუბლიცისტურ ნაწარმოებებში. მისი მოღვაწეობა ამ მიმართებით სავსებით სწორად შეაფასეს: ნ. ნიკოლაძემ და ს. მესხმა: „ვინც ჩვენი წარსული, ბატონ-ყმობის დროინდელ ცხოვრებას კარგად იცნობს, ის ცხადად დაინახავს, რომ გ. წერეთლის კომედიები ნამდვილი სურათია მაშინდელი ცხოვრებისა“ (162, გვ. 35).

გ. წერეთელს მიაჩნდა, რომ ბატონყმური წყობილება იყო ქვეყნის განვითარების შემაფერხებელი, მეტიც, მისი აზრით, საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არცერთ წოდებას იმდენი ბოროტება და ქვეყნის ღალატი არ ჩაუდენია, რამდენიც თავადაზნაურობას: „ერთ მხარეზე იყვნენ თავადაზნაურობა და მეორე მხრით მეფე და მშრომელი ერი“ (149). მემამულეებისაგან ყმა-გლეხების სასტიკი ექსპლოატაცია ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ბატონყმობის გაუქმებამდე გლეხი თავისი უფლებით პირუტყვს უტოლდებოდა. მებატონეს შეეძლო გლეხის გაჯოხვა, გაყიდვა, სიკვდილით დასჯაც. ძველ საქართველოშიც თავადაზნაურობა ხელმძღვანელობდა მხოლოდ საკუთარი ინტერესებით, რათა თავის სამფლობელოში დამოუკიდებელი ყოფილიყო. ამ მიზნის მისაღწევად იგი არ ერიდებოდა საქართველოს დაუძინებელ მტრებთან ოსმალეთსა და ირანთან კავშირსაც, გზას უჩვენებდა,

ალაყაფის კარს გაუხსნიდა და თავიანთი ვიწრო კუთხური ინტერესებისათვის სამშობლოს ანადგურებდა. ამ ბრძოლაში ძირითადად მშრომელი ხალხი ზარალდებოდა.

ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების გ. წერეთლისეული კრიტიკა სწორი იყო, თუმცა არ შეიძლება დავეთანხმოთ მას, მთელი წოდების უზნეო, სამშობლოს გამყიდველებად გამოცხადებაში. როგორც ჩანს, XIX საუკუნის 90-იან წლებში იგი თვითონვე მიხვდა თავად-აზნაურთა წოდების შეფასებაში თავისი აზრის უკიდურესობას და განაცხადა: „ჩვენ, რასაკვირველია, არ ვართ წოდებრივის განკერძოების მომხრენი და არც კასტური წყობილების მადიდებელნი, მაგრამ ამასაც ვერ ვიტყვით, რომ ყოველს ერში არ იყოს სხვადასხვა ღირსების საზოგადოება... ერის თაოსნობა შეუძლია საზოგადოების იმ ნაწილს,საიდანაც ბევრი გონებით განვითარებული და ზნეობრივი მხნეობით აღჭურვილი ადამიანები გამოდიან ასპარეზზე. აი, ასეთს საზოგადოებას შეადგენდა თავადაზნაურობა,რომლის ისტორიულმა ღვაწლმა საქართველოს ერს დღემდის თავისი ფერი და ხასიათი შეარჩინა“ (81). რა თქმა უნდა ფეოდალური წყობილების მანკიერი მხარეების ჩვენება ერთია, ამგრამ მთლიანად მთელი წოდების ბოროტების საფუძვლად გამოცხადებაც არამართებული იყო. განა ამ წოდებას არ ეკუთვნოდნენ: ცოტნე დადიანი, ზაალ არაგვის ერისთავი, ბიძინა ჩოლოყაშვილი, გიორგი სააკაძე, ელიზბარ და შალვა ქსნის ერისთავები. ამ წოდების წარმომადგენელი იყო დემოკრატი გ. წერეთელიც,მის მიერ მხატვრულად გარდასახული კონსერვატორი მებატონე რევაზ ბაკურაძეც, რომლისთვისაც უცხო იყო თავისი ყმების ადამიანური ღირსების დანახვა. საკმარისი იყო ყმას უარი გაებედა მის მოთხოვნაზე, მათრახი არ ასცდებოდა: „აბა თუ არ შეგიძლია, მე შეგაძლებინებ,– წაავლო ხელი მათრახს და ერთი თუ ორი უელვა ზურგზე პეტრიელას (200, გვ. 212). გ. წერეთელი, როგორც „შეუფერავი რეალისტი“, დაწვრილებით გადმოგვცემდა განრისხებული მებატონეების შურისძიებას. მათ შეეძლოთ გლეხისათვის წაერთმიათ უკანასკნელი სარჩო-საბადებელიც. ამიტომ წყევლიდნენ თავიანთ გაჩენის დღეს გლეხები, ისინი ხვდებოდნენ, რომ მთავრობას ბატონების

მხარე ეჭირათ და ხსნა არსაიდან არ იყო.

მაგრამ იყვნენ ისეთი მოხერხებული გლეხებიც, რომელთაც საკუთარი ადამიანური ღირსების დაკარგვით თვითონაც ჩასუქებულნი იყვნენ, შინ ოჯახობა და ბეღელ-სასიმინდეებიც დატენილი ჰქონდათ. გ. წერეთელი გმობდა გლეხთა ასეთ ტიპებს. ეს ადამიანები არა მარტო სარჩო-საბადოებლების მოპოვებას, გამდიდრებას ახერხებდნენ, არამედ ულვაშის აწევასაც, თმების დაგლეჯასაც და ცემა-ტყეპასაც ითმენდნენ, ისეთი გლეხებიც იყვნენ, რომელთაც ხელმრუდობის გარეშე არსებობა ვერ წარმოედგინათ. ასეთ გლეხთა ტიპებს იგი გვიხატავს მოთხრობაში „ჯიბრი“. ნაწარმოებში დიალოგის ფორმით გადმოცემულია რეფორმამდელი საქართველოს ბატონყმური ურთიერთობის სურათები. ბატონის ოჯახში მრავალი შინაყმაა, ყველა რაღაცას იპარავს. არავის არ შეუძლია პირნათლად თქვას: – მე პატიოსანი ვარ. გლეხთა ნაწილს საერთოდ არ სჯეროდა ბატონყმურ წყობილებას თუ ოდესმე ექნებოდა დასასრული. „ბატონყმობაზედ თუ ამბობ, ეგ სულ ტყუილია. რაც აქამდის არ ყოფილა, არც აწი მოხდება“ (141). მაგრამ ისეთებიც არიან, რომელთაც სჯერათ, რომ „ღმერთი მოწყალეა, მოხდება, არ შეიძლება, რომ არ მოხდეს“ (141). გ წერეთლის მახვილ თვალს არ გამოეპარა ის ფაქტი, რომ XIX საუკუნის 40-50-იანი წლების საზოგადოება დაცემულია. როცა გლეხები ერთმანეთს აბეზღებდნენ ბატონის წინაშე და ამით სურდათ თავიანთი პოზიციების განმტკიცება, მაგრამ მებატონეები შეუბრალებელნი იყვნენ მათ მიმართ.

გ. წერეთელმა გვიჩვენა გლეხთა ჯანსაღი ტიპებიც, რომელნიც შერცხვენას, დამცირებასა და არარაობად ქცევას, ბატონებისადმი წინააღმდეგობის გაწევას ამჯობინებდნენ. ასეთი გლეხი იყო პეტრიელა, რომელმაც ვერ აიტანა ბატონის შეურაცხყოფა და ქალაქს გადაიხვეწა. განრისხებული მებატონე მთავრობის მოხელის, მდივანბეგის თანხლებით თავს დაესხა გაღატაკებული გლეხის ოჯახს და რაც გააჩნდათ, ისიც წაართვა. „ღმერთმა შეგინდოს, ღმერთმა მოგკითხოთ, რასაც შენ ჩვენ, ყმებს უსამართლოდ ეპყრობი“ (200, გვ. 301). მიაძახა პეტრიელას გაუბედურებულმა დედამ, ანასტასიამ თავის ბატონს, მაგრამ ამ უკანასკნელს ისე

ჰქონდა დაკარგული ადამიანური სიბრალულის გრძნობა, რომ სასოწარკვეთილი მოხუცის სიტყვებზე რეაგირებაც არ მოუხდენია. გ. წერეთელი ემოციურად აღწერდა ბატონისაგან შევიწროებული პეტრიელას დედისა და დის სიკვდილს,მაგრამ ყველაზე საოცარი მაინც ის იყო,რომ მათი სიკვდილის უშუალო გამომწვევი ბატონი რევაზ ბაკურაძე გარდაცვლილებს დიდი პატივით დააკრძალვინებს. რა შეიძლება ეწოდოს მათ ასეთ მოქმედებას? გარეგნული მოჩვენებითობა? ამიტომ ათქმევინებს ავტორი ახალგაზრდა გლეხს: „თუ მომკლავს და ოთხში ამომიღებს,აქ არც ღმერთია და არც მისი მადლი“ (200,გვ. 309). მაგრამ ხანდაზმულის პოზიცია შედარებით შემრიგებლური იყო: „ბიჭო, ნუ ხარ უკმეხი, ბატონყმობა ღვთის გაჩენილია და შენ გინდა ღვთის საქმეებს წინ დაუდგე“ (200, გვ. 309).

XIX საუკუნის 50-იან წლებში რუსეთის ვეებერთელა იმპერიაში ცოტას სჯეროდა ბატონყმობის ღვთიური წარმომავლობა. მეტიც, უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილ გლეხთა გამოსვლები ბატონყმობის საფუძვლებს არყევდა. ყირიმის ომმა გამოააშკარავა ბატონყმური წყობილების ჩამორჩენილობა და სიდამპლე. მთავრობის ზედაფენებში ალაპარაკდნენ საგლეხო რეფორმის აუცილებლობაზე.

გ. წერეთელს აღწერილი აქვს ბატონყმობის გაუქმების შიშით თავზარდაცემული ფეოდალების განწყობილება. მანამდე გულარხეინი,მკვეხარა რევაზ ბაკურაძე ი. ჭავჭავაძის ლუარსაბ თათქარიძესავით ბევრს ცდილობდა აეხსნა, თუ რატომ უნდა „გაეწირათ“ ისინი მწყალობელ ხელმწიფეს, მაგრამ ამის პასუხს ვერ პოულობდა: „ახია ჩვენზე,დავერიეთ, ბატონო,ერთმანეთს ქოფაკი ძაღლებივით“ (200,გვ. 323). ზუსტად ასე მოიქცა ლუარსაბ თათქარიძეც, მასაც ბატონყმობის გადავარდნის მიზეზად თავადაზნაურობაში არსებული მანკიერებანი მიაჩნდა, რაც ნათლად მეტყველებდა XIX საუკუნის 50-70-იანი წლების ქართველი თავადაზნაურობის ჩამორჩენილობაზე.

ბაკურაძის პორტრეტის წარმოჩენისას გ. წერეთელს არ ავიწყდება, რომ იგი ზნედაცემულია არა მარტო იმიტომ, რომ მკაცრი მებატონეა, არამედ იმიტომ, რომ მას ვერ გაურჩევია, რით შეიძლება იამაყოს და რით არა. იგი ხომ „დიდად

თავს იქებდა იმით, როცა გურიის ბუნტი მოხდა ღენერალ პუზირევსკის თან ახლდა, როგორც გურიის მთებში გზებისა და ბილიკების კარგი მცოდნე“ (200, გვ. 323).

გ. წერეთელი XIX საუკუნის 50-70-იან წლებში ქართველი ხალხის უდარიბესი ნაწილის სიღატაკის მიზეზად ბატონყმობას თვლიდა. მისი აზრით, ბატონყმობის მოსპობა ერთი რომელიმე წოდების კერძო საკითხი კი არ იყო, არამედ საერთო ეროვნული და საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემა. გლეხობამ იცოდა, რომ რაღაც მნიშვნელოვანი ცვლილება მზადდებოდა, მაგრამ რას მოუტანდა ეს ცვლილება, წინასწარ ვერ განესაზღვრათ გლეხებს, უკვე დაუფარავად აცხადებდნენ: „ნეტაი ღმერთი იმ ჩემს ბატონს მომაშორებდეს, თვარა კაცი რავა მეჯობინება ქვეყანაზე (199, გვ. 73).

აჯანყებით შეშინებულმა მთავრობამ 1861 წელს რუსეთის იმპერიაში ბატონყმობა გააუქმა, გლეხობას იურიდიული თავისუფლება მიანიჭა, მაგრამ მიწა არ მისცა.

1864 წლიდან საგლეხო რეფორმის განხორციელება საქართველოშიც დაიწყო, მაგრამ რეფორმა ითვალისწინებდა მხოლოდ თავადაზნაურობის ინტერესებს, რაც მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობის უკმაყოფილებას იწვევდა. გ. წერეთელი გულისტკივილით წერდა: „გლეხს დაუბრუნდა თავისუფლება, მაგრამ აქაც ზნეწამხდარმა თავადაზნაურობამ ისე წაიყვანა კანცელარიებში გლეხთა განთავისუფლების საქმე, რომ მაინც ახალი მონობის ბორკილი არ შეხსნია ხალხს, ხალხი თუმცა განთავისუფლდა, მაგრამ ერთი ორად დაბეგრა და ამის გარდა მიწის საკუთრებაც დაეკარგა“ (44).

გ. წერეთელი კარგად ხედავდა საგლეხო რეფორმის შემდეგ გლეხობის დაკაბალება მარტო „ზნეწამხდარი თავადაზნაურობის“ მიზეზით არ მომხდარა, მაგრამ მეფის მთავრობის რეაქციული პოლიტიკის მხილება მკაცრი ცენზურის პირობებში შეუძლებელი იყო. გლეხობა ხვდებოდა, რომ ბატონყმობის გადავარდნა და თანაც ასეთი ზარზეიმით, მათთვის სასარგებლო არ იქნებოდა. აკრიტიკებდა რა საგლეხო რეფორმას, გ. წერეთელი „პრინციპულად მიუღებლად თვლიდა გლეხების მიერ მიწის გამოსყიდვას და ყოველგვარი ბეგარის გაუქმებას ემხრობოდა“ (26, გვ. 102).

გ. წერეთელი მტკივნეულად განიცდიდა ე.წ. შინაყმების საკითხს. საგლეხო რეფორმის შემდეგ ეს ხალხი საერთოდ ჰაერში გამოკიდებულები აღმოჩნდნენ და ვერ წარმოედგინათ უბატონოდ ცხოვრება.

გ. წერეთლის,როგორც პუბლიცისტის მსჯელობას ზოგჯერ უტოპიური იერი დაჰკრავდა. იგი „მათუსალას აღსარებაში“ აღნიშნავდა,რომ შვება გლეხმა განთავისუფლებაში მოიპოვა და ოცნებობდა ისეთ საზოგადოებაზე, სადაც ერთ კაცს მეორის დაჩაგვრა არ შეეძლებოდა. „რა ბედნიერი და ძლიერი ვიქნებოდით,რა ერთსულოვნება გვექნებოდა“ (33). იგი ყოფილ მებატონეებს მოუწოდებდა ყველაფერი გაეკეთებინათ, რა-თა ყოფილ დაჩაგრულ ყმას ძველი უსამართლობა გულში არ ჩარჩენოდა, მაგრამ ის კლასი, ვინც ბატონყმობის გაუ–ქმებამდე სასოწარკვეთილებამდე მისული გაიძახოდა „რა გვეშველება, უიმათოდ ცხოვრება არ შეგვიძლიაო“ (144), და რომელმაც გლეხების განთავისუფლებისათვის ხაზინიდან ფულები მიიღო, კლასობრივ ზავსა და ერთსულოვნებას ვერ შეეგუებოდა. საინტერესოა ის, რომ გ. წერეთელი ამას ხვდებოდა. გუშინდელი სასოწარკვეთილი მებატონე რევაზ ბაკურაძე, როცა მთავრობის მიერ დამტკიცებულ გლეხთა განთავისუფლების დებულების სიკეთენი პრაქტიკულად მიიღო გახარებული აცხადებდა: „მადლობა ღმერთს, თუმცა პირადი უფლება და ბრძანება მომესპო ჩემ გლეხებზე, მაგიერთად ფული ვიგდე ხელთ“ (200, გვ. 326). ბაკურაძე არცთუ უსაფუძვლოდ მიიჩნევდა, რომ ფულის საშუალებით ყველაფერს მოახერხებდა.

გ. წერეთელი აღშფოთებული იყო იმ ქართველ თავად-აზნაურთა უზრუნველი ყოფით, რომელთაც ხაზინისაგან აღებული ფულების დიდი ნაწილი ბანქოს თამაშსა და ფუქსავატურ დროსტარებაში დახარჯეს.

გ. წერეთელი რევაზ ბაკურაძის მაგალითზე ისტორიული სიმართლით აღწერდა სოფლიდან ქალაქში გადასახლებულ იმ თავადაზნაურთა ცხოვრებას, რომელნიც მხოლოდ დროსტარებასა და ქეიფში ხედავდნენ ცხოვრების აზრს. რევაზ ბაკურაძის ოჯახის ქალაქში ცხოვრება კრახით დამთავრდა, მის მამულებს, ქონებას მისი ნაყმევი პიოტრ

ივანიჩ გაწერილია – პეტრიელა დაეპატრონა. ბაკურაძის გაბრძოლება – სავექილო რა მჭირდა, ჩემი მამა-პაპეული ქონება დავით აღმაშენებლის დროიდან არის ბოძებულიო – ასეთი პასუხით ბათილდება: ის დრო წავიდა... ახლა, სულ სხვა დროა, ახლა ჩვენი კანონები მოქმედებდნენ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ქართველი თავადის ქონებას თუ ისევ ქართველი დაეპატრონებოდა, ეს ბედნიერი იშვიათობა იქნებოდა. ახალ დროში, როცა ისინი დადგნენ პრაქტიკული მოქმედების საჭიროების წინაშე,ვერ მოიშორეს უდარდელობა და უზრუნველობა და საკუთარი მამულები უცხო ტომელთა სათარეშო ასპარეზად აქციეს, ისინი ვერ ეგუებოდნენ გლეხების განთავისუფლებას, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ხაზინისგან აღებული ფული დახარჯეს.

1875 წლის 30 მაისს სენაკის მაზრის სოფ. თეკლათის მთებში მოხდა საზარელი მკვლელობა თავად მხეიძეების ოჯახის წევრებმა ცეცხლმსროლელი იარაღით დახოცეს გლეხები გვარად ლომაიები. სასამართლო პროცესზე ლომაიების დასაცავად გ. წერეთელმა გაბედულად მოითხოვა გლეხობის არამარტო ფორმალური, არამედ ფაქტობრივი განთავისუფლება. „მხეიძეები, – აცხადებდა გ. წერეთელი – ბატონყმობის თანამედროვენი არიან, როდესაც გლეხს პირუტყვს უთანაბრებდნენ. ისინი არ გათავისუფლდნენ ასეთი შეხედულებისაგან, და როდესაც კი საბაბი ნახეს თავის მოქმედებაში გამოაჟღავნეს, ამიტომ იმსახურებენ მკაცრ სასჯელს“ (178, გვ. 860.

გ. წერეთელს მიაჩნდა, რომ თავადაზნაურობამ თავისი მისია შეასრულა და XIX საუკუნის 60-80-იან წლებში ისინი უკვე საზოგადოებაში გაბატონებული მდგომარეობის დათმობაზე წავიდოდნენ,თავადაზნაურობა იყო სურათი ძველი ღონემიხდილი საზოგადოებისა, სამაგიეროდ ძლიერდებიან ისინი, ვინც შრომობს, ვინც გონებას ძალას ატანს.მომავალი ამ მშრომელი ხალხისა იყო. გ. წერეთელი არ აკონკრეტებდა სათქმელს, თუ ვის გულისხმობდა მშრომელებში, მაგრამ მისი მახვილი მზერა ერთს ცხადად ხედავდა, ე.წ. ახალი საზოგადოება სიმდიდრეს საკუთარი პიროვნული ღირსების დაკარგვითა და უპატიოსნო გზით იძენდა. გ. წერეთელი,როცა

აღწერდა ყოფილი ამპარტავანი მებატონის რევაზ ბაკურაძის დაკრძალვას სოვდაგრის ცოლის დიალოგში ამართლებინებს რევაზის ასულის, გულქანის მოქმედებას. ეს უკანასკნელი კი ერთი მაღალი თანამდებობის პირის საყვარელი იყო. თუ თავადაზნაურობის წარმომადგენლები გმობენ გულქანის საქციელს, ვაჭრის ცოლი დაჟინებით იმეორებდა: „შვილი არ მომიკვდეს, ცუდი მანდ არა იყოს რა... გულქანისთანა დარბაისელი ქალი ჩვენს საზოგადოებაში არ არის“ (200, გვ. 455). იგი თავს იმშვიდებდა: „ახლა ქცევას ვინღა აქცევს ყურადღებასო“.

გ. წერეთლისათვის, როგორც პატრიოტისათვის, სულერთი არ იყო რა გზით ინარჩუნებდნენ ქართველი თავადაზნაურობის წარმომადგენლები მდიდარ საზოგადოებაში პირველობას, იგი აკრიტიკებდა რა თავადაზნაურთა ზოგიერთი წარმო–მადგენლის უმოქმედობას, აცხადებდა: „ყოველი კაცი, ყოველი საზოგადოება, ყოველი ერი შთამომავლობისათვის ცდილობს... ჩვენ, ქართველები ვართ მარტო უზრუნველნი და გლახებსავით სხვის ხელის შემჩერენი. ეს უზრუნველობა იმდენად დიდია, რომ ჩვენივე ცხვირის წინ იკრიბებიან სხვები, უკავშირდებიან ერთმანეთს და ძმურად იკრებენ ცხოვრების საშუალებას, ჩვენ კი მარტო პირებდაღებულნი შევჩერებივართ“ (144). იგი მიიჩნევდა, რომ საგლეხო რეფორმის შემდეგ ძველი დროის დაბრუნებაზე ოცნება ფუჭი იყო, ახალ ვითარებაში აუცილებელი იყო ყველას თანაბრად ეცნო თავისუფალი შრომის კეთილშობილება, რომელიც ქართველ ერს ზნეობრივად აღამაღლებდა და ცხოვრებასაც გაუკეთილშობილებდა.

გ. წერეთლის სურვილი კეთილშობილური ოცნება იყო, რომელიც რეალურად ვერ განხორციელდებოდა. თავადა–ზნაურობას მრავალსაუკუნოვანი ტრადიციით ძირითადად ქვეყნის გარეშე მტერთაგან დაცვა ევალებოდა. XIX საუკუნეში საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ მათ ეს ფუნქცია დაკარგეს, მაგრამ მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის ასე ადვილად დათმობა ეძნელებოდათ და მზად იყვნენ მეფის რუსეთის სამსახურში ჩამდგარიყვნენ, თუნდაც ეს სამსახური ზოგჯერ მათ ეროვნულ ინტერესებსაც არ დამთხვეოდა.

თვით გ. წერეთელი მიგვანიშნებდა რევაზ ბაკურაძის სახით ასეთი ტიპის ადამიანებზე, მაგრამ კვლავ გ. წერეთლისეული გაორება. იგი როგორც „შეუფერავი რეალისტი“, გრძნობდა რეალურ ცხოვრებაში თავადაზნაურობის ასეთი გარდაქმნა ვერ მოხერხდებოდა, პუბლიცისტიკაში კი მაინც დაჟინებით სვამდა ქართველი ერის კონსოლიდაციის საკითხს და კლასობრივი პრინციპების ურთიერთკომპრომისით და ეროვნულის წინ წამოწევით ცდილობდა ქართველი ხალხის უკეთესი მერმისის მოპოვებას.

გ. წერეთლის ასეთი მისწრაფება გამომდინარეობდა XIX საუკუნის 50-80-იანი წლების ისტორიული პროცესების რეალური განსჯიდან. კვლავ ვიმეორებთ, მისთვის მიუღებელი იყო გადარიბებული და მოუძლურებული თავადაზნაურობის ჩინოვნიკური სამსახურისაკენ სწრაფვა„სოსიკო ორბელიანის“ სიკვდილის გამო“ დაწერილ ლექსში წერდა:

„გმირული სული მოიხჩო სისხლში
ან ვინც გადარჩნენ, სულ დაძაბუნდნენ
მათ ზნე ეცვალათ ნიადაგ შიშში,
გმირთ შთამოება მონებად გახდნენ,
დღეს ამგვარია ჩვენი ცხოვრება,
ერი ცოცხალი ლეშად ქცეულა
ვინც მას მოსტაცა თავისუფლება,
ის მის მსახურად გაკეთებულა“ (40).

ასე ფიქრობდა ი. ჭავჭავაძეც. საკმარისია გავიხსენოთ მისი ლექსი „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“. მაგრამ გ. წერეთელს XIX საუკუნის მეორე ნახევრის სხვა მოწინავე ქართველ საზოგადოებასთან ერთად აწუხებდა სხვა პროცესებიც, რომელნიც არანაკლებ შემაშფოთებელი იყო: ეს პროცესები უშუალოდ ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების ჩასახვა-განვითარებას უკავშირდებოდა. მართალია, გ. წერეთლის ნაწარმოებებში ამ ახალი წყობილების წარმომადგენლებად ქართველი ბურჟუაზია გვევლინება, მაგრამ ეს მხატვრულ პროზაში, რეალურ ცხოვრებაში კი ეს მისია არაქართველი ბურჟუაზიის კუთვნილება იყო. ამიტომ შეახსენებდა გ. წერეთელი საზოგადოებას, თუ რა შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ პროცესს „თუმცა ბატონობა

ძველთაგანვე ძალდატანებით იყო დადგენილი – აცხადებდა იგი – მაგრამ თუ ხერხი აქვს კაცს უიმისოდაც კარგი ბატონი შეიქმენება ქვეყნისა... ამგვარი ბატონები ხელიდან გვაცლიან ჩვენს ნაშრომს და ამ ბოლოს დროს ხდებიან ჩვენი ადგილმამულების მებატონეები“ (198,გვ. 226). ამ ვითარებაში გ. წერეთელი მიიჩნევდა, რომ საჭირო იყო განათლება, რომელიც მისი აზრით სხვადასხვა წოდებათა შორის არსებულ უფსკრულს ამოავსებდა. ვინაიდან ეს ახალი წრე ევროპული განათლებით აღჭურვილი უნდა ეცადოს ხალხის მეთაურობას და მასაც სჯერა,რომ მომავალი ამ ჯგუფისა იქნება. მართალია, გ. წერეთელი პირდაპირ არ ახსენებდა კაპიტალიზმს, მაგრამ როცა ახალი ჯგუფის დასახასიათებლად აცხადებდა, რომ მათ არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ არც გვართან, არც შთამომავლობასთან და მარტო განათლებით, ნიჭითა და გონიერებით გამოირჩევიან, აქ ბურჟუაზიას გულისხმობდა და მიაჩნდა, რომ ეროვნული ბურჟუაზია უნდა ყოფილიყო ის ძალა, რომელიც ერის წინამძღოლობას იკისრებდა. სავსებით სწორად მიუთითებდა მ. გაფრინდაშვილი „60-70-იან წლებში გ. წერეთელი ვერ ხედავდა და, ნაწილობრივ არ შეეძლო დაენახა, ახალი სოციალური ფენების დაპირისპირება ერის მშრომელი უმრავლესობისადმი, რადგან იმ დროს ისინი თვითონ წარმოადგენდნენ „მშრომელ ელემენტებს“,რომლებიც უმთავრესად გლეხობისაგან გამოდიოდნენ“ (25, გვ. 123).

გ. წერეთელს მიაჩნდა, რომ თუ თავად-აზნაურობას სურდა ერის მეთაურის ფუნქცია შეენარჩუნებინა, განათლებით და მეცნიერებით უნდა მოეხერხებინა იგი. გ. წერეთელი ხვდებოდა, რომ ქვეყნის ძირითადი მწარმოებელი კლასი, გლეხობა უკიდურეს სიღატაკეს განიცდიდა და რაც დრო გადიოდა მისი ცხოვრება უფრო უარესდებოდა. გადასახადები, ფოსტის ფული, მეოთხედი საბატონო და უამრავი სხვა პრობლემები გლეხს ათქმევინებდა: „რაც უნდა იშრომოს ჩვენებურმა კაცმა,მაინც შინ არაფერი მაგრდება,მაინც გაფხეკილია ჩვენი ოჯახი და მაინც“ (198, გვ. 2).

გ. წერეთელს ეშინოდა პროლეტარიატის არა იმიტომ, რომ ეს კლასი რაღაც განსაკუთრებულს მოიმოქმედებდა, არამედ მისი სიღატაკის გამო. ამიტომ იგი აცხადებდა, რომ თუ

ქართველი საზოგადოება მიიღებდა რაიმე ღონისძიებას თავისი კეთილდღეობისათვის, პროლეტარობას თავიდან აიცილებდა. აქ იგი ერთგვარ წინააღმდეგობაში მოექცა. ერთი მხრივ, თუ იგი თვლიდა, რომ პატიოსანი შრომით შეძენილი ქონება კარგი იქნებოდა, მეორე მხრივ, არ ითვალისწინებდა, რომ დიდი სიმდიდრის პატიოსანი შრომით დაგროვება შეუძლებელი იყო. მისი პერსონაჟები პიოტრ ივანიჩ გაწერელია, ბახვა ფულავა და სხვები უპატიოსნო შრომით მდიდრდებიან და ამიტომ ისინი უნდა დაიღუპონ „ჩვენში კეთდებიან რამდენიმე ფულის მქონებელნი პირნი... თუ ეს წესი არ შეიცვალა, დიდ ვნებას მოუტანს საზოგადოებას (198, გვ. 61). გ. წერეთელი მიხვდა, რომ ასეთ ვითარებაში კლასობრივი ერთიანობის ქადაგება თეორიულად კარგი იდეა იყო, მაგრამ პრაქტიკულად მიუღწეველი. იგი პიოტრ ივანიჩ გაწერელიას ათქმევინებდა, თუ როგორ უჭირდა მისი პროფესიის ადამიანებს, როგორც ემატებოდათ ყოველწლიურად ხარჯები და გადასახადი. ვაჭრები იმასაც ხვდებოდნენ, რომ უქონელი თავადაზნაურობა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე უშრომელი ცხოვრებით დროს კარგად ატარებდა. ახლა გაჭირვებაში ჩავარდა. მშიერი კაცი მგელზე უარესიაო, აცხადებდნენ ისინი.

გაცუდდა გ. წერეთლის ვარაუდი, რომ ხსნა იყო გლეხების მიერ ფულის შოვნა, მისი საშუალებით სამრეწველო და სასოფლო წარმოების განვითარებისა. საგლეხო რეფორმის ანტიხალხური ხასიათი თავიდანვე გამორიცხავდა გლეხობის გამდიდრებას. მიწა თავად-აზნაურთა საკუთრებად დარჩა. ახალ ვითარებაში, როცა ფულს ასეთი დიდი მნიშვნელობა მიენიჭა, მათ დაიწყეს მიწების გაყიდვა, რამაც ჩვენი ქვეყანა კიდევ უფრო მძიმე ეკონომიკურ ვითარებაში ჩააყენა. ეს კარგად შენიშნა გ. წერეთელმა, მომავლის ცუდ ნიშნად მიიჩნია ის მოვლენა, რომ ერი ვერ იშლებოდა ისტორიულად შეძენილ მიწა-წყალზე, სადაც უცხო ტომელნი ზოგჯერ კანონმდებლობით და ზოგჯერ უკანონოდაც იტაცებდნენ ქართულ მიწებს. ეს პროცესი ისედაც ცხოვრების სახსარს მოკლებულ ხალხს კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აყენებდა. ამ ნიადაგზე XIX საუკუნის 70-90-იან წლებში მკვეთრად გართულდა ურთიერთობა ამიერკავკასიის სხვადასხვა ეროვნებათა შორის. ეკონომიკური

ხასიათის ბრძოლამ, იდეურ-კულტურულშიც ჰპოვა ასახვა. თერგდალეულთა ჯგუფმა ილ. ჭავჭავაძის მეთაურობით ამ ბრძოლაში უკომპრომისო პოზიცია დაიკავა. გ. წერეთელმა კი სცადა კომპრომისული პოზიციითა და სამეურნეო სააღებმიცემო ამხანაგობების დაარსებით ქართველობა დაეპირისპირებინა უცხო კაპიტალის მძლავრობასთან. იგი წერდა „ჩვენი ადგილ-მამულის მეპატრონეებმა და მიწა-წყლის მომუშავეებმა უნდა იხმარონ ძალა შეერთებული ამხანაგობისა, რომ მტერს მისივე იარაღით გაუმკლავდნენ. ასეთს მოქმედებაშია ხსნა ჩვენი ერისა,სხვა იმას ვერა უშველის რა“ (107). გ. წეროელი პარალელს ავლებდა საფრანგეთის ისტორიასთან და დასძენდა,რომ მსგავს სიტუაციაში ფრანგები ასე მოიქცნენ და ხალხი სრული გაღატაკებისაგან იხსნესო. ვფიქრობთ, გ. წერეთელს აქ შეცდომა მოსდიოდა, იმიტომ, რომ საფრანგეთისა და საქართველოს შედარება ხელოვნური იყო. ჯერ ერთი, სინდიკატების დაარსებით საფრანგეთში მოსახლეობის გაპროლეტარების პროცესი არ აღმოფხვრილა და არც იყო აუცილებელი. გ. წერეთელს,მართალია,ეშინოდა ხალხის გაღატაკებისა, მაგრამ მარტო ეს არ აწუხებდა. საქმე ხომ უცხო კაპიტალთან ბრძოლა იყო და შეძლებდა კი სამეურნეო და სააღებმიცემო ამხანაგობანი ამ მისიის შესრულებას? ცხოვრებამ ამ კითხვას უარყოფითი პასუხი გასცა. მაშ სად იყო „ახალი ხსნა ჩვენი ქვეყნის წარმოებისა“ იმ დროს, როცა ყოველი დარგი წარმოებისა საკუთარი კაპიტალის უქონლობის გამო უნუგეშო მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი? გ. წერეთელს მიაჩნდა, რომ საჭირო იყო ბანკების დაარსება, მაგრამ საადგილმამულო ბანკებიც აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა. ამაო იყო გ. წერეთლის შეგონება ბანკის მესვეურთათვის იმის შესახებ,რომ „ყოველი კაცი და განსაკუთრებით ის, ვინც გარემოების ძალით საზოგადოების მეთაურად გამხდარა, ყველაზე პირველად შვილთათვის ერის და საზოგადოებისა მის მკერდზეა მისივე ძუძუთი გაზრდილი... ის მაშინ ხდება დროშის აღმმართველი, როდესაც თავის საზოგადოების ინტერესებს სრულიად შეიგნებს და ამ ინტერესების გულისათვის დაიწყებს ბრძოლას“ (107). გ. წერეთელს აქაც შეცდომა მოდიოდა,

როცა იგი ვაჭრობა-მრეწველობის სასურველი, ეროვნული ინტერესების შესაბამისად განვითარებას მოითხოვდა. ეს იდეა მან მხატვრული მოთხრობა „ღვთისწყალობას“ სახით შესთავაზა საზოგადოებას. როცა გ. წერეთელმა აღნიშნული მოთხრობა ჟურნალ „ჯეჯილის“ რედაქტორს წარუდგინა, თავზარდაცემულმა რედაქტორმა ავტორს ურჩია არ დაებეჭდა იგი. მოთხრობა-ზღაპრის მიხედვით იყო ერთი კეთილმოსურნე ცოლქმარი,ცხოვრობდნენ ოფლის ღვრით პატიოსანი შრომით, რომელთაც ჰყავდათ ვაჟი ღვთისწყალობა. იგი თავიდანვე გამორჩეული იყო სილამაზით, ჯანმრთელობითა და ვაჟკაცობით. ისწავლის ხელობას, წერა-კითხვას, წაიკითხავს ოქროს ქვეყნის ამბავს. საკვირველი იყო მაინც ამ ზღვისგაღმა არსებული ოქროს ქვეყნის ცხოვრება. იქ ყველანი მცოდნე, მანქანების შემწეობით ზღვაში,ხმელეთზე და ჰაერში თანაბრად დადიან, ყველაფერი ბევრი აქვთ. ამიტომ „ყველას საეროო საქმე თავის საკეთილო საქმედ მიაჩნდა, ყველანი ერთის გულისათვის თავს სწირავდნენ და ერთი ყველასათვის“ (201, გვ. 10). ღვთისწყალობას იმდენად მოეწონა ეს ქვეყანა, რომ გადაწყვიტა იქ წასვლა ცოდნა-გამოცდილების შეძენისა და თავისი ქვეყნის ინტერესებისათვის გამოყენება. მოთხრობის მიხედვით ღვთისწყალობამ მართლაც ყველაფერი შეისწავლა და, როცა თავის სამშობლოში დაბრუნდა, ხალხს ურჩია, რა უნდა გაეკეთებინათ, თუ გამდიდრება სურდათ. ავტორი ღვთისწყალობას პირით გადმოგვცემს თუ რა მიაჩნდა თავისი ქვეყნის სიღარიბის მიზეზად. მისი აზრით , ჩვენი ქვეყნის მდიდარი წიაღისეული სიმდიდრე უნდა გონივრულად გამოეყენებინათ. ღვთისწყალობამ ააგო ქარხნები, გაკეთდა რკინიგზები. გაიმართა ცეცხლის გემები, გაიკვერა გზა უცხოეთში და დაიწყო ვაჭრობა, ქოხების ნაცვლად ბროლის კოშკები გაჩნდა. ამ ქვეყნის ხალხი თანდათანობით მრავლდება. მდიდრდება და წინ მიდის. ეს ასე იქნება მანამ, სანამ იგი „შრომაზე და სწავლა გამოცდილებაზე ხელს არ აიღებს“. სწორად შენიშნავდა ლ. გორგილაძე: „ძნელი გამოსაცნობი არ არის ღარიბი ქვეყანა,წალკოტად რომ იქცა,საქართველოა, ხოლო ოქროს ქვეყანა გაიდეალებული ამერიკაა (30, გვ. 336). გაიდეალებული იმიტომ,რომ უზრუნველი ცხოვრება ამერიკის

შეერთებული შტატების მოსახლეობის უმცირესობისათვის იყო ხელმისაწვდომი, უმრავლესობას კი ისეთივე პრობლემები ჰქონდა, რაც სხვა ქვეყნების ხალხს. გ. წერეთელი თვითონ ჩაუდგა სათავეში ჭალის მრეწველთა ამხანაგობებს, ურთიერთობა დაამყარა ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების ფირმებთან, მაგრამ მაინც ვერ იხსნა ქვეყანა სიღატაკისა და კლასობრივი შუღლისაგან (140, გვ. 127). სრულებითაც არ ეთანხმებოდა ერთმანეთს მისი და კაპიტალისტური ურთიერთობის რეალური პრინციპები. თუ მას სწამდა, რომ კაცი, რომელიც სხვისი შრომით ცხოვრობს, ბედნიერი ვერ იქნება... ადამიანს წილი შეიძლება მარტო იმ საუნჯეში ჰქონდეს, რომელიც საკუთარი შრომით არის მოპოვებული, მას არ აქვს უფლება მიითვისოს სხვისი ნაოფლარი. კაპიტალიზმის პირობებში ყველაფერი პირიქით იყო. სავსებით სწორად მიუთითებდა მ. გაფრინდაშვილი, რომ გ. წერეთელმა ვერ შეიცნო, მეცნიერულად ვერ ახსნა სავაჭრო კაპიტალისტურ ურთიერთობათა ნამდვილი ბუნება. იგი ფიქრობდა, რომ, თუ ახალი ძალები თავისუფლად, დაუბრკოლებლად განვი–თარდებოდნენ, მაშინ ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა დაკარგავდა ექსპლოატატორულ ხასიათს.

გ. წერეთელმა დაინახა, რომ ქვეყნის ბურჟუაზიულ ყაიდაზე გარდაქმნამ დიდი სირთულეები წარმოშვა. ის, რაც ყველაზე მეტად აშინებდა, საქართველოშიც რეალობად იქცა – დაიწყო მოსახლეობის ერთი ნაწილის გაპროლეტარების პროცესი, ქართველი თავადაზნაურობის წარმომადგენელნი კი მამულებს ისევ და ისევ ჰყიდდნენ. ამიტომ გ. წერეთელმა მთავარი იმედები საადგილმამულო ბანკების გახსნაზე დაამყარა, მაგრამ ბანკის გახსნის საკითხი იმდენად მწვავე იყო და აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა, რომ იმდროინდელი მოწინავე ადამიანები მწვავე პოლემიკამ ჩაითრია. კამათში ძირითადად ორი თვალსაზრისი დაუპირისპირდა ერთმანეთს: ერთნი (ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი და სხვები) მიიჩნევდნენ, რომ ბანკებს ხელი უნდა გაემართათ ახლად ჩამოყალიბებული ქართველი ეროვნული ბურჟუაზიისათვის, რაც მოკლევადიანი კრედიტის მიცემით იქნებოდა გამოხატული.

მეორენი (ნ. ღოღობერიძე, ი. ჭავჭავაძე და სხვ.) თვლიდნენ,

რომ საქართველოში უმთავრესი იყო მიწის პრობლემა და თუ სოფლის მეურნეობას, თავად-აზნაურობას ხელს არ გაუმართავდნენ, მიწა უცხოტომელთა ხელში გადავიდოდა. პოლემიკა თანდათან გამწვავდა. გ. წერეთელი თვითონ აღიარებდა ი. ჭავჭავაძისადმი გაგზავნილ წერილში მასთან უთანხმოების მიზეზს: „ეროგან ვუმტყუნე ჩემს შეხედულებებს იმითი, რომ მე გატაცებული ვიყავი ოქვენი მოღვაწეობით, სანამდის ბანკირათ გახდებოდით, მერე კი – უკაცრავად, ჩამოგეცალეთ“ (122).

გ. წერეთელმა თავისი პოზიციის გასამაგრებლად კარლ მარქსის ავტორიტეტიც მოიშველია,როცა განაცხადა: „მარქსის თეორიას ეკონომიკური მატერიალიზმი – მას პოლიტიკურ მეცნიერებაში იგივე ადგილი უჭირავს რაც დარვინის თეორიას ბუნებისმეტყველებაში და ბიოლოგიაში. ეს არის უკანასკნელი დასკვნა პოლიტეკონომიაში და სოციოლოგიაში (130). იგი ი. ჭავჭავაძეს ერთგვარი ირონიით მიმართავდა – XX საუკუნე მოდის და ლუარსაბითა და დარეჯანით აზროვნება აღარ შეიძლებაო. გ. წერეთელი აჭარბებდა, როცა ი. ჭავჭავაძეს ასეთ ბრალდებას უყენებდა და პასუხსაც თავისავე სტილში იბრუნებდა. 1897 წელს საქართველოს კალენდარში ი. ჭავჭავაძე გ. წერეთლის მისამართით წერდა:

„ქვეყანა შემოვიარე
დავიდე ბევრი ვალია,
ეხლა ჩემთვის დავბინავდი
მზითვად ავიღე „კვალია“
ისეთი მეცნიერი ვარ
არსად არა მყავს ცალია“ (204, გვ. 496).

მაინც რომელ მიმდინარეობას ეკუთვნოდა გ. წერეთელი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა თვითონ სცადა წერილში „კვალის ორი წლის ნაღვაწი“. მისი აზრით, XIX საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში გაჩნდა „ერთი პატარა დასი განათლებული თაობისა, რომელმაც დააარსა თავისი საკუთარი გამოცემა „იმედი“ და აღიარა, რომ საქართველოს ხსნა გლეხკაცობიდან უნდა წარმოდგესო“ (106). გ. წერეთლის აზრით,ამ პატარა ჯგუფის მთავარი სამოქმედო ასპარეზი იყო გლეხკაცობა,მაგრამ მათი მოქმედება არ გახდა საყოველთაო

მოწონების ღირსი „იმედის“ ჯგუფის წევრები გაიფანტნენ და თავი „ივერიის“ რედაქციას შეაფარეს. ამ უკანასკნელმა კი, გ. წერეთლის აზრით, წინ წამოაყენა „თავადაზნაურობა, როგორც წარსული საქართველოს ისტორიული კულტურის ნაყოფი, უპირატესი წოდება“ (106). რომელსაც თუ სურდა შეენარჩუნებინა ერის მეთაურობა აუცილებელი იყო ევროპული განათლება, მაგრამ გ. წერეთლის აზრით, არც „პირველი“ და არც „მეორე დასის“ წევრების პროგრამა არ იყო სრულყოფილი.

ამ მხრივ ყველას აჯობა ჟურნ. „კვალის“ გარშემო შემოკრებილმა ჯგუფმა რომელმაც „უარყო წოდებათა განკერძოება და მათზე მზრუნველობა. იმან გამოაცხადა საგნად თავის ზეგავლენისა მთელი საქართველოს ერი, განურჩევლად წოდებისა, შთამოებისა და მოხელეობისა... არა „სათავადაზნაურო“, არა „საგლეხო“, არამედ საზოგადო, სანამ ქართველი ერი თანასწორ უფლებას არ მიიღებს სხვა ერებს შორის“ (106). გ. წერეთლის აზრით, ასეთი იდეები წამოაყენა „მესამე დასმა“,რითაც დანარჩენ წინამორბედებთან შედარებით უპირატესობა მოიპოვა.

გ. წერეთელი, როცა აცხადებდა, რომ მისი ჯგუფი უარყოფდა წოდებათა განკერძოებულობას და საერთო ეროვნული პრინციპებით ხელმძღვნაელობდა, ეს აზრი თეორიულადაც ეწინააღმდეგებოდა მის ავტორს, რადგან თუ „საკრედიტო დაწესებულებათა შორის ის ეწინააღმდეგებოდა თავადაზნაურობის საადგილმამულო ბანკის დაარსებას, ამის მაგიერად ურჩევდა მოკლევადიანი სამრეწველო ბანკების წესწყობილებას“ (106). ეს ხომ ბურჟუაზული კლასის მხარდაჭერა იყო და არა ზეკლასობრივი პრინციპების ქადაგება, როგორც ეს გ. წერეთელს წარმოედგინა. ორი წლის შემდეგ გ. წერეთელი თვითონვე აღიარებდა „ჩვენ ცხოვრებაში უკვე საკმაოდ აღორძინდა ახალი კლასი, რომელსაც ოპოზიცია აქამდის უარყოფს... დღეს ეს კლასი იმდენად გაძლიერდა, რომ იგი ყოველ საზოგადო საქმეებში, საცა მას ხმა ეძლევა, თავის ინტერესების დამცველად იწყებს ხოლმე მედგარ ბრძოლას და ვინც მას ამაში წინ ეღობება, უწყალოდ მუსრავს და თვით ბატონდება“ (131). ვფიქრობთ,

არასწორი იყო გ. წერეთლის ის განცხადებაც, სადაც იგი ამტკიცებდა,რომ ი. ჭავჭავაძის წრემ თავისი არსებობა 1863-1864 წლებში დაიწყო და დაასრულაო. ი. ჭავჭავაძის მეთაურობით თერგდალეულთა ჯგუფი XIX საუკუნის მეორე ნახევარში აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. გაზეთ „დროების“ გარშემო შემოკრებილი ჯგუფის თვალსაზრისი ნაწილობრივ განსხვავდებოდა ი. ჭავჭავაძის ჯგუფისგან,მაგრამ არც ისეთი შეურიგებელი წინააღმდეგობა იყო მათ შორის როგორც გ. წერეთელი ამტკიცებდა.

გ. წერეთელი მხატვრულ ნაწარმოებში „გულქან“ შეეხო ე.წ. დასების საკითხს, სადაც ი. ჭავჭავაძის ჯგუფის მიმართ ტენდენციურ ფორმებში გამოხატა თავისი დამოკიდებულება. თუ არა ტენდეციურობა, სხვა რა შეიძლება ეწოდოს გ. წერეთლის მსჯელობას იმის შესახებ, რომ ილია ჭავჭავაძე თითქოს მაღალფარდოვან ფრაზებს ისროდა, ქვეყნისა და სამშობლოს სამსახური პირზე ეკერა და რეალურად არაფერს აკეთებდაო.

გ. წერეთელი ისტორიულ სიმართლეს ღალატობდა, როცა 1869-1877 წ.წ. თერგდალეულთა ჯგუფს გამოყოფილ ახალ თაობას უპირისპირებდა და მათი როლი მიაჩნდა უმთავრესად საქართველოს იმდროინდელ საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში. გ. წერეთელი არ მალავდა,პირდაპირ აცხადებდა, რომ დავა ძირითადად საბანკო საკითხებს შეეხებოდა.

გ. წერეთელი საინტერესოდ მოგვითხრობდა ბანკის საკითხებზე ი. ჭავჭავაძესა და ივ. მაჩაბელს შორის წარმოშობილ დავაზე. სავსებით სწორი იყო მისი დასკვნა იმის შესახებ,რომ ბანკის დაარსებამ ჩვენს ქვეყანაში საოცარი განხეთქილებისა და ურთიერთშუღლის გაღვივებას შეუწყო ხელი.

ი. ჭავჭავაძემ არ გაიზიარა დასების გ. წერეთლისეული კლასიფიკაცია. იგი ირონიულად შენიშნავდა: ახლა მეოთხე დასს შევადგენ და მეთაურად გავუხდები ოთხი სამზე ერთით წინ არის და მეც მინდა, თუ ვიქნები, წინ ვიყო... საქმე ახლა თვლაშია, მეოთხეს მოჰყვება, მეხუთეს მეექვსე და წავა ესე მინამ ადამიანს სათვალავი შემოაკლდება“ (70). ი. ჭავჭავაძე

უფრო შორსაც წავიდა, როცა საახალწლო ფელეტონში გ. წერეთელზე თქვა:

„მე ვარ და ჩემი ნახატი
გამთენებელი ღამისა,
ბებერი, მაგრამ მაინცა
თავი ახალის დასისა...
ბებერსა სასძლოთ მორთულსა
უფრთხილდი, განერიდეო“ (68).

გ. წერეთლის დასების თეორია მკაცრად გააკრიტიკეს ვლ. მიქელაძემ, ვ. წერეთელმა, ნ. ლომოურმა. გ. ლასხიშვილმა შენიშნა გ. წერეთლის კლასიფიკაციის არსებითი ნაკლი. „გ. წერეთელს ერთი და შესანიშანვი ისტორიული ხანა ჩვენი ისტორიული განვითარებისა სრულიად მხედველობაში არ მიუღია, დავიწყებია ესაა მესამოცე-სამოცდამეათე წლები ჩვენში. მით უფრო საკვირველია ეს გულმავიწყობა, რომ გ. წერეთელი ამ ეპოქის ერთ უმთავრეს მოღვაწედ უნდა ჩაითვალოს“ (69). ვასილ წერეთელი მას ე.წ. „მესამე დასის“ პროგრამას სთხოვდა და იგი გ. წერეთლის ფანტაზიად მიაჩნდა.

კიდევ შეგვეძლო მოგვეტანა სხვა ავტორთა მოსაზრებანი გ. წერეთლის დასების თეორიის საწინააღმდეგოდ, მაგრამ აქედანაც ნათელია, თუ რა ვითარებასთან გვქონდა საქმე.

გ. წერეთელი პირველად თერგდალეულთა ჯგუფის აქტიური წევრი იყო და ამას თვითონაც აღიარებდა, მაგრამ 60-იანი წლების ბოლოსა და 70-იანი წლების დასაწყისში, როცა საქართველოში ბურჟუაზიული ურთიერთობანი იწყებს განვითარებას მას მიაჩნდა, რომ ქვეყნის ხსნა აქედან მოხდებოდა, მაგრამ „პირველი ნაბიჯის“, „რუხი მგელის“, „გულქანის“ ავტორისათვის ნათელი გახდა, რომ კაპიტალისტური წყობილება ბევრ ნაკლს ატარებდა და იგი უნდა შეცვლილიყო, მაგრამ როგორ? მას ხომ ისეთი საზოგადოება სურდა, სადაც თითოეული კაცის შრომა დაფასებული იქნებოდა, სადაც ადამიანები იმ შეგნებისანი იქნებოდნენ, რომ შრომით შეიძლებოდა საზოგადოებაში პატივცემული და ამაღლებული ყოფილიყვნენ. ის, რის განხორციელებასაც გ. წერეთელი მოითხოვდა, რომ მომავალ

საზოგადოებაში არ უნდა არსებობდეს კლასობრივი და წოდებრივი დიფერენციაციაო, იმ ეტაპზე, როცა წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება არსებობდა, შეუძლებელი იყო.

რთულმა, წინააღმდეგობრივმა ისტორიულმა ვითარებამ გ. წერეთელი დააბნია. მისი შეხედულებანი წინააღმდეგობრივი გახდა, რაც კარგად შეუნიშნავს ცნობილ მარქსისტ ალ. წულუკიძეს, რომელიც გ. წერეთელს წერდა: „ბატონო გიორგი... მითხარით როგორ მოვათავსოთ ერთად: ერთის მხრივ ცნობილი მეცნიერის (იგულისხმება კ. მარქსი) სწავლა კლასობრივ ანტაგონიზმზე, რომლის მომხრედაც თქვენ თავს სახავთ და, მეორე მხრით, თქვენივე მზრუნველობითი კილო „ახლადაღორძინებულ ვაჭარ-მრეწველი კლასის შესახებ?“ (203, გვ. 30).

ყველა გზა, რომელიც გ. წერეთელმა მოსინჯა თავი–სუფლებისა და საზოგადოებრივი პროგრესისათვის ბოლოს მაინც მარცხით მთავრდებოდა, ამიტომ მან გამოსავალი მოწინავე ახალგაზრდობასთან თანამშრომლობაში დაინახა. გაზ. „კვალში“ ფართო ადგილი დაუთმო ახალთაობის ლიდერებს. ეს აღნიშნული აქვს ეგნატე ნინოშვილსაც, რომელიც 1894 წლის 23 იანვრის წერილში გ. წერეთლისადმი აღნიშნავდა,რომ „კვალს“ პატივს ვცემ იმიტომ,რომ არსებულ ჟურნალ-გაზეთებში ყველაზე პროგრესულიაო.

პატივისცემა ერთი იყო და მარქსისტებთან გ. წერეთლის იდეური სიახლოვე მეორე. გ. წერეთელი მარქსისტი არასოდეს არ ყოფილა. მართალია,თავის პუბლიცისტურ თუ ისტორიულ წერილებში ხშირად იმოწმებდა კ. მარქსის სახელს, მაგრამ იგი მარქსიზმის პრინციპების აღიარებამდე არასოდეს მისულა. მას სურდა მარქსიზმი ქართული სინამდვილისათვის ისე მოერგო,რომ ის ეროვნული პროგრამა,რომელიც ჰქონდა, განეხორციელებინა. საინტერესო მოგონებაა შემონახული „აკაკის კრებულში“. ავტორი, სიმონ ქვარიანი წერდა, რომ გიორგი წერეთელს შეცდომით უკიჟინებდნენ თავისი იდეებისა და მიზნების ღალატს. „ივერიასა“ და „ცნობის ფურცლის“ მესვეურნი. მართალია გ. წერეთელმა ეგ. ნინოშვილის დაკრძალვაზე გაიცნო ახალგაზრდების ჯგუფი, მოეწონა

მათი იდეები, დაუთმო ჟურნალ „კვალის“ ფურცლები, მაგრამ ბოლომდე მათი იდეების არასოდეს არ სჯეროდა. თავისი აზრის დასასაბუთებლად ს. ქვარიანს მოჰყავდა თავისი დიალოგი გ. წერეთელთან „მე მაოცებს თქვენი მოქმედება: უნდა გესმოდეთ, რომ ეს თქვენ მიერ მონათლული „მესამე დასი“, მარქსისტები... უარყოფენ ჩვენს კულტურას, ისტორიას და ვჰკვირობ, რად მოგიკედლებიათ ის პირნი, რომელნიც ძირითურთ ეწინააღმდეგებიან თქვენს აზრებს თქო“ (16). გ. წერეთელის პასუხი ასეთი იყო: ისინი ჯერ ბავშვებია, მოვლენ ჩვენს ჭკუაზედ, ფხიზელი ყმაწვილები არიან, შრომისმოყვარენი და არ უნდა ვკრათ ხელი“ (16).

მართალია, გ. წერეთელს მიაჩნდა, რომ ახალგაზრდა მარქსისტები ბოლოსდაბოლოს მის აზრებს გაიზიარებდნენ, მაგრამ ისინი მკვეთრად ემიჯნებოდნენ გ. წერეთლის მსოფლმხედველობას, რომელიც წინააღმდეგობრივი იყო. როცა გ. წერეთელმა მიხა ცხაკაიას შესთავაზა ეთანამშრომლა ჟურნალ „კვალში“, ამ უკანასკნელმა ცივი უარით უპასუხა და თავისი მოქმედება ჟურნალის გამოკვეთილი მიმართულების უქონლობით ახსნა. „მე ვკითხე, – რაა თქვენი იდეალი? მუშა, მშრომელი და მათი ინტერესები, თუ ბურჟუაზია და მეფე?.. აი, ის წყეული კითხვები, რომლებზედაც გ. წერეთელმა ვერ მიპასუხა დამაკმაყოფილებლად... და არც შეეძლო ეს მაშინ... ის არ იყო რომელიმე კლასის ან მოწინავე ჯგუფის წარმომადგენელი“ (193, გვ. 7). მ. ცხაკაიამ ფაქტობრივ გამოხატა „მესამედასელთა“ პოზიცია გ. წერეთლისადმი. XIX საუკუნის 90-იან წლებში ქართველ მარქსისტებში სოციალური საკითხი იყო წინ წამოწეული. მათი ზოგიერთი წარმომადგენელი ეროვნულ ნიჰილიზმშიც ვარდებოდნენ. გ. წერეთელი, რომელიც სიტყვით განუდგა თერგდალეულებს, საქმით მაინც ბოლომდე ეროგული დარჩა ეროვნული თვითშეგნებისა და თვითდამკვიდრების პრინციპებისა, ამიტომ იყო, რომ იგი ეკამათებოდა რა „მესამე დასელებს“, ე. ნინოშვილს წერდა: „ნამდვილი სოციალიზმი იმას კი არ ნიშნავს, რომ ჩვენ ჩვენი ტერიტორიებიდან ავბარგდეთ, ჩვენი ისტორია დავივიწყოთ, ჩვენი ტიპი უკუვაგდოთ, ქართული დავივიწყოთ, არა, სოციალიზმი ინდივიდუალურ თვისებას,

როგორც კერძო ტიპისას, ისე ეროვნებისას არ ეხება“ (202, გვ. 156). გ. წერეთელი სავსებით სწორად სვამდა საკითხს, რომ ისეთი ხალხისათვის, როგორიც ქართველებია, რამდენად მისაღები იყო სოციალურ-კოსმოპოლიტური დროშის აფრიალება. იგი მიიჩნევდა, რომ „ჩვენ ბედში მყოფი ხალხი ორივე ხელებით უნდა ვეჭიდებოდეთ ჩვენს ისტორიას, ცხოვრებას, ჩვენს ქართველობას და ამასთანავე ჩვენსავე ქვეყანაში ვავრცელებდეთ სოციალურ იდეებს, რომ წოდებითი და შეძლებითი უთანასწორობა რაიმენაირად მოვსპოთ“ (202, გვ. 158).

ვფიქრობთ, ნათლად ჩანს გ. წერეთლის შეხედულება სოციალიზმის პრინციპებისა და ეროვნული პრობლემების მიმართ, რაც ბევრად განსხვავდებოდა ახალგაზრდა მარქსისტების ადრინდელი პრინციპებისაგან. სხვა საკითხია რამდენად იყო რეალურად შესაძლებელი სოციალური უთანასწორობის „რამენაირად მოსპობა“ ისე, როგორც იგი გ. წერეთელს წარმოედგინა, მაგრამ მას გულწრფელად სწამდა, რომ საქართველოს უკეთესი მომავალი მისეული მოდელით იყო შესაძლებელი.

ვინ იყო გ. წერეთელი? თერგდალეულთა ჯგუფის წევრი, თუ მარქსისტი? ეს საკითხი კიდევ ერთხელ გახდა ცხარე პოლემიკის საგანი 1900 წლის იანვარში, როცა გ. წერეთლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით „ივერიაში“, „კვალში“, „მოამბეში“, „აკაკის კრებულში“, „ცნობის ფურცელში“ დაიბეჭდა ძველი და ახალი თაობის წარმომადგენელთა წერილები, რომელბიც ფართოდ აშუქებდნენ განსვენებულის საზოგადოებრივი მოღვაწეობის ცალკეულ მხარეებს. „ივერიის“ ჯგუფმა გ. წერეთელი თერგდალეულთა წარმომადგენლად მიიჩნია, კვალისტებმა, სადაც ამ დროს თავშეფარებულნი იყო მარქსისტული ახალგაზრდობა, გ. წერეთელი ახალი თაობის იდეების თანამგრძნობად და მხარდამჭერად მიიჩნიეს. საკითხავია, მთლად გადაჭარბებული იყო ნ. ჟორდანიას მტკიცება იმის შესახებ,რომ თბილისის მუშები გ. წერროთელში „თავიანთ თანამგრძნობს“ ხედავდნენ და ამიტომ გამოხატეს განსაკუთრებული პატივისცემა გ. წერეთლის ხსოვნისადმი?

ქართულ ისტორიოგრაფიაში არა ერთი მკვლევარი შეეხო

ე.წ. დასების საკითხს. ზოგმა მცირეოდენი შესწორებებით გაიზიარა გ. წერეთლისეული კლასიფიკაცია, ზოგმა კი საერთოდ უარყო იგი. პროფ. ს. ხუნდაძიდან დაწყებული დღემდე აღნიშნულ საკითხზე თავიანთი მოსაზრებანი დაასაბუთეს პროფ. ლ. გორგილაძემ, კ. მეძველიამ, მ. გაფრინდაშვილმა, აბ. კიკვიძემ, გრ. მარგიანმა, პრ. რატიანმა, ავ. იოსელიანმა, ი. კაჭარავამ და სხვებმა. ჩვენ არ შევუდგებით თითოეული მოსაზრების განხილვას, ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ გ. წერეთელი ბოლომდე დარჩა ეროვნულ-დემოკრატიულ განმანათლებლურ-უტოპიური სოციალიზმის მქადაგებლად, რითაც დიდი წვლილი შეიტანა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების გააქტიურებისა და მიძინებული ეროვნული სულის გამოღვიძების საქმეში. მას ზოგჯერ ეროვნული ნიჰილიზმიც დასწამეს, მკაცრადაც გააკრიტიკეს, მაგრამ მაინც გაუბზარავ პიროვნებად დარჩა და ასე განასრულა თავისი ცხოვრებაც. რაც შეეხება იმას, რომ მასთან საერთოს პოულობდნენ თერგდალეულთა ჯგუფის წევრებიც და „მესამე დასელნიც“. ესეც მისი პიროვნული ხიბლისა და მაძიებელი ბუნების, სიახლის სწრაფვის დაუცხრომელი სურვილით იყო ნაკარნახევი. საერთოდ „კვალმა“ საქართველოს მაგალითზე იქადაგა ისტორიული მატერიალიზმი, კლასთა ბრძოლის თეორია“ (138, გვ. 159).

2. გიორგი წერეთელი XIX საუკუნის ქართული ეროვნული ცნობიერების შესახებ

გიორგი წერეთელი, როგორც XIX საუკუნის 60-90-იანი წლების სხვა მოღვაწენი, ბევრს ფიქრობდა საქართველოს ახალი ისტორიის პრობლემებზე. ამ ფიქრმა და განსჯამ იმ დასკვნამდე მიიყვანა იგი,რომ აუცილებელი იყო საქართველოს ისტორიული წარსულის გააზრებულად შესწავლა, რათა ქართველ ხალხს უფრო სწორად დაენახა თავისი ისტორიული ზრდისა და შეფერხების მიზეზები. იგი მიიჩნევდა, რომ XIX საუკუნეში „საქართველოს ერმა ძაფ-გაწყვეტილი კრიალოსნის მძივებსავით იწყო მიმოფანტვა. აქამდე საერთო სვებედობისათვის მუდამ ზრუნვაში გავარჯიშებული, ახლა ჩაიძირა საკუთარი წვრილმანი ინტერესების ჯურღმულში“ (119). მისი აზრით, XVIII საუკუნის საქართველოში, როცა შიდა და გარე ფაქტორებმა ქვეყანა მძიმე ვითარებაში ჩააყენა, დადგა მისი ყოფნა-არყოფნის პრობლემა; მანამდე ყოველი ქართველის გონებრივ და ზნეობრივ პრინციპებს აერთიანებდა სამშობლო მიწაწყლის უცხოელ დამპყრობთაგან დაცვა და სარწმუნოებისათვის თავგანწირვა. ეს იყო ყოველი ქართველის პრინციპი,მისი გულისწადილი და ლტოლვილება, ამაში იხატებოდა იმის ცხოვრების მაჯისცემა.

გ. წერეთელი იმასაც ითვალისწინებდა, რომ ფეოდალური წეს-წყობილების დროს საქართველოში მრავლად იყო შური, მტრობა, ძარცვა-რბევა, სამშობლოს ღალატიც, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში სამშობლოს წინაშე „თანასწორად ვალის მოხდის“ შეგნება იყო მთავარი. მისი აზრით, XIX საუკუნის ქართველობა კი დაქსაქსული და გაოიოოკაცებული გამხდარა, ქართული ეროვნული ცნობიერება ინდივიდუალურ ჯგუფურ ცნობიერებამდე დაცემულა,როცა „ყოველ კაცს,ყოველ ჯგუფს, ყოველ წრესა და ყოველ დასს საკუთარი საქმე გამოუწყია და ამ საქმეში ხედავს იგი ქვეყნის ხსნას“ (119).

გ. წერეთლის მართებული დასკვნით, ასეთი სახით ყოფნა საეჭვოს გახდიდა ერის არსებობას მომავალში, ვინაიდან დაწვრილმანებული, დაქუცმაცებული საერთო ეროვნული ინტერესებისა და საქმისათვის ციდამტკაველური

დამოკიდებულება ეროვნული გადაგვარების უპირველესი ნიშანი იყო.

გ. წერეთელი გრძნობდა საზოგადოებრივი აზროვნების ჩამორჩენილობისა და პასიურობის მძიმე შედეგებს: „ჩვენი საზოგადოება მიძინებულია და ვერ გრძნობს პრობლემებს, – წერდა იგი მეგობარს, – „ვინაიდან ქართველი დაეცა მოსხლეტით“ და დღითი დღე ეპარება სიცოცხლეო.

გ. წერეთელს მიაჩნდა, რომ აუცილებელი იყო ქართველ ხალხს აღედგინა თავისი თავის რწმენა. ადარებდა საქარ–თველოს ვითარებას მსოფლიოს ხალხების ცხოვრებას, იგი დაასკვნიდა: „ყოველი ერი მარტო თავის თავზე უნდა იყოს მინდობილი... ვისაც სურს თავი გაიტანოს ცხოვრების ბრძოლაში, მარტო თავის ჭკუისა და თავის მარჯვენის იმედი უნდა ჰქონდეს და ისე მოიქცეს: მტერს მტრობა გაუწიოს, მოყვარეს მოყვარობა“ (117).

გ. წერეთელს ზოგჯერ უიმედობის გრძნობაც ეუფლებოდა, მიაჩნდა, რომ ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე უფრო ხშირი იყო წყვდიადის წლები, ვიდრე სინათლისა. მისი აზრით, ასეთ ვითარებაში მთავარი იყო განათლება „დღეს საზოგადო სარბიელზე გამოსული კაცი თუ განათლებით, გონიერებით და ნიჭით აღჭურვილია, აი ის ნამდვილი თავია ერისა“ (120). მაგრამ ეროვული ადამიანების განათლება ქართული ეროვნული ცნობიერების ამაღლებას ბევრს ვერაფერს შველოდა. საჭირო იყო ეროვნული ინტელიგენციის აღზრდა და აქტიურობა.

მისი აზრით XIX საუკუნის II ნახევრის ქართველი ინტელიგენციის თვისება იყო არათანმიმდევრულობა და სტიქიურობა. ისინი „დინჯად და შეუჩერებლად კი არ მოქმედებენ, უფრო და უფრო დროდადრო აფეთქდებიან და ჩაჩუმდებიან. ამიტომაც შესაძლოა, რომ ესა თუ ის აზრი, საზოგადო საქმე ქვეყნისათვის დიდი სიკეთის მომტანი, ნაკლებად მიდის ხალხში და ნიადაგს ვერ პოულობს“ (126). საქართველოს მომავლისათვის ინტელიგენციას უნდა უკუეგდო მავნე ჩვევა, რაც იმით ვლინდებოდა, რომ საკმარისი იყო რაიმე დაბრკოლება შეხვედროდა და დიდის ამბით წამოწყებულ საეროვნო საქმე შუაგზაზე მიეტოვებინათ.

გ. წერეთელს მოჰყავდა მაგალითები ევროპის მოწინავე ქვეყნების ცხოვრებიდან, სადაც ეროვნულ ინტელიგენციას თუნდაც დიდი დაბრკოლება და ხიფათი შეხვედროდა, უფრო ააქტიურებდა მცდელობას და მიზანსაც აღწევდნენ.

დღესაც აქტუალურია გ. წერეთლის აზრი, ვისაც სურს გაიგოს მთელი ერის ვითარება რა მდგომარეობაშია,იმან დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს საქართველოს ქალაქებისა და სოფლების ცხოვრებასო. ერის ფესვები და ძირები სოფლიდან იწყება, ამიტომ თუ ფესვი და ძირი დაავადმყოფდა, აიშალა მისი ცხოვრების მიმდინარეობა, მაშინ ხეც აფუღულია და ფოთლები სცვივა. ტოტები უხმება და თვითონაც ემზადება გახმობას. თუ სოფელი აირია, ვარდება მისი მომავალი ცხოვრება, ჩვენი სოფლები დღესაც მძიმე მდგომარეობაშია.

გ. წერეთელი ბევრს მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, აკვირდებოდა ხალხის ცხოვრებას, მის ეროვნულ თვითშეგნებას, ჰხედავდა იმ გამწვავებულ ვითარებას, რომელიც სოფლად წოდებათა შორის სუფევდა. დავა მეზობელთა შორის, შუღლი, ავაზაკობა, ქურდობა, ხალხს ავიწყებდა ეროვნულ მოვალეობას და წვრილმანი ყოფითი ცხოვრების ფერხულში ითრევდა. მისი აზრით, ყოველივე ამის მიზეზი იყო არსებული პოლიტიკური სისტემა, რომელიც არ იყო „ერის ისტორიულ კალაპოტზედ მოწყობილი და ამის გამო ერის ზნეობრივი წვრთნის ნაცვლად ამ წყობილებას შემოაქვს ცხოვრებაში ავი ზნე-ჩვეულება“ (88).

ეს იყო ცარიზმის პოლიტიკური სისტემის კრიტიკა, რომლის სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი ნორმები, გ. წერეთლის აზრით, არ შეესაბამებოდა საქართველოს რეალურ ვითარებას, არ ითვალისწინებდა ჩვენი ხალხის ბუნებას, ტრადიციებსა და ინდივიდუალურ თავისებურებებს. ისეთ ვითარებაში, სადაც „თავისუფლება არ არის, სოცოცხლეც არ არის, რადგან სიცოცხლე ყოველს მოქმედებას თავისუფლად აღმოშობს თავის შინაგანის და არა გარეგანის ძალით. რომელ ხალხსაც თავისუფლება არა ჰქონია, იმას თავის დღეში ვერა გაუკეთებია რა ქვეყნისათვის“ (198, გვ. 126). მართალია, შეურიგებელია იგი მეფის ცარიზმისადმი, მაგრამ ეს შეურიგებლობა ნაციონალიზმში არ გადადის. იგი აცხადებდა,

რომ უპირველესი ღირსება საზოგადოებისა, ერისა, ის არის, რომ თავისის თავის გარდა თავისი მოძმეც ახსოვდეს და იმისათვის არ დაიშუროს კეთილი საქმე.

გ. წერეთელი გულწრფელად წუხდა, რომ XIX საუკუნის საქართველოში იკარგებოდა ეროვნული ტრადიციები, წეს-ჩვეულებანი, მხოლოდ მთის ადგილებში დარჩენილიყო ჩვენი მამა-პაპური ძველისძველი ტრადიციები, თვითარსებობისა და დამოუკიდებლობის ცეცხლი. იგი მკაცრად აკრიტიკებდა ცრუ თავმოყვარეობას, გარეგნულ ეფექტებზე გადაყოლას. გმობდა გადაჭარბებულ გართობას, განცხრომას, მრავალრიცხოვან ღრეობებსა და დროსტარებას, სადაც არავითარი ეროვნული პრობლემა არ წამოიჭრებოდა და ზოგიერთი ამპარტავანი ასეთ პურობას მხოლოდ მეზობლების ჯიბრზე აკეთებდა,როცა „დიდებული სტუმრები კარგი მასპინძლობისათვის მადლობას უძღვნიან გულუხვ მეოჯახეს და წავლენ თავის გზით, მასპინძელს კი ხელში რჩება მხოლოდ გალოკილი ძვლები, გახრეკილი ბეღლები და ღვინით ამოცლილი ქვევრები“ (38). იგი მიიჩნევდა, რომ ასეთი მოქმედება ფუჭი თავმოყვარეობის ნიშანი და ერისათვის იყო საზიანო.

გ. წერეთლის ღრმა რწმენით ქართველთა ეროვნული ცნობიერების ამაღლება შესაძლებელი იყო განათლებით. ყველა მანკიერება და ნაკლოვანება, რაც ჩვენს ხალხს ჰქონდა, გაუნათლებლობის შედეგი იყო, ამიტომ საჭირო იყო საზოგადოების შეგნებულ ნაწილს ყველაფერი ეღონა განათლებისათვის, „რადგან ყოველს ხალხს ჰსურს თავის ჭკუის განათლება და მეცნიერების შეძენა, ჩვენც აგრეთვე უნდა ვეცადოთ სწავლის გადმონერგვას ჩვენს მხარეში“ (198, გვ. 94). იგი ევროპული განათლების მომხრე იყო და წერდა,რომ საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ცხოვრების ანალიზი გვარწმუნებს საქართველოში განათლების სხივი დასავლეთიდან შემოდიოდაო. ამის მიზეზად გ. წერეთელს მიაჩნდა ევროპასთან სულიერი სიახლოვე და იქ ცხოვრების უფრო პროგრესული ფორმების არსებობა. გ. წერეთლის მოთხოვნა ქვეყნის ევროპიზაციისა იმ დროს პროგრესული მოთხოვნა იყო. გ. წერეთელმა ჯერ კიდევ XIX საუკუნის 70-იან წლებში დააყენა საკითხი თბილისში უნივერსიტეტის

გახსნის აუცილებლობისა“ (127). მისი აზრით, უნივერსიტეტის გახსნა გაუადვილებდა ჩვენს ხალხს შვილების აღზრდას. იგი სრულად წარმოაჩენდა ჩვენი ერის ინტელექტუალურ შესაძლებლობას. უნივერსიტეტი გახდებოდა ის სამეცნიერო ცენტრი, რომელიც ჩვენს ხალხს საშუალებას მისცემდა შეეცნო თავისი თავი, თავისი შესაძლებლობანი და სწორად წარემართა ეროვნული ენერგია. გ. წერეთელს სწამდა თბილისში უნივერსიტეტის გახსნის შესაძლებლობა, მაგრამ ქართული სამეცნიერო კადრების სიმცირისა და ეროვნული სკოლის უქონლობის გამო იმ ეტაპზე მართებულად მიიჩნევდა რუსული უნივერსიტეტის გახსნას.

მართალია, იმხანად თბილისში უნივერსიტეტის გახსნა ვერ მოხერხდა, მაგრამ საზოგადოებრივი აზრი კიდევ უფრო მომწიფდა ამ საკითხის ირგვლივ XIX საუკუნის 90-იან წლებში. განვლილ პერიოდში თერგდალეულთა დაუცხრომელმა მოღვაწეობამ ეროვნული და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში თავისი შედეგები გამოიღო, შეიქმნა ეროვნული ქართული თეატრი, დაარსდა ქართული ჟურნალ-გაზეთები„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომლებშიც სისტემატურად იბეჭდებოდა წერილები საქართველოს ისტორიაზე, ეთნოგრაფიაზე. გ. წერეთელი აღნიშნავდა,გაზეთები: „დროება“,„ივერია“,„იმედი“ სამი ახალი დანთებული კერაა, რომელსაც შემოუსხდებიან მშრომელი,ნიჭიერი ახალგაზრდა და ისინი ჩვენს სამშობლოს გაუკვალავენ უფრო განიერს წარმატების გზას.

გ. წერეთელმა 90-იან წლებში კვლავ დაასაბუთა თავისი აზრი საქართველოში უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ, არ ეთანხმებოდა მათ, ვინ უმჯობესად მიიჩნევდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის გახსნას. მისი აზრით, უნივერსიტეტის დაარსების აუცილებლობის შესახებ, არ ეთანხმებოდა მათ, ვინ უმჯობესად მიიჩნევდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის გახსნას. მისი აზრით, უნივერსიტეტი ის სამეცნიერო დაწესებულება გახდებოდა, რომელიც ხელს შეუწყობდა საშუალო და დაბალი სასწავლებლების გამრავლებას, არანაკლებ ანგარიშგასაწევი იყო ის გარემოება, რომ კავკასია მდიდარი ისტორიული

წარსულისა და მრავალფეროვანი ბუნების ქვეყანაა, სადაც „უნივერსიტეტმა უნდა შეიტანოს განათლება, გონების განვითარება, მთელი სულიერი კულტურა“ (127).

გ. წერეთელი არ იყო ისეთი მოღვაწე, თვალს აარიდებდა ქართველების უარყოფით თვისებებსაც. იგი ამხელდა ჩვენს ყოფით ნაკლოვანებებს, ეროვნულ ქედდრეკლილობას, ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში „თავიჭამია“ (99,91) ეს სახელიც იმას გამოხატავდა, რომ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არავის იმდენი უბედურება არ მოუტანია საქართველოსთვის, რამდენიც შინააშლილობას, საკუთარი თავის ჭამას. მთელი ჩვენი ეროვნული სიმდიდრე უცხოტომელთა რბევა-მიტაცების ობიექტად იქცა. „ხარჯვას ღვთის მადლით მიჩვეულნი ვართ და შრომა სულ არ გვიყვარს.. ვალი.. სადაც ჩაიხედავ, ყველგან ამოიკითხავ“ (198, გვ. 99). მოუწოდებდა იგი ქართველ ხალხს, თვითარსებობის გზაზე მაგალითი აედო უფრო განვითარებული ხალხების პოლიტიკური და კულტურული ცხოვრებიდან.

საქართველოს ისტორიის ცალკეული პერიოდების შესახებ გამოკვლევებისა და პოპულარული წერილების გამოქვეყნება რომ დაიწყო, ამის მიზეზიც ნათელი იყო – ჩვენი წარსული აწმყოს სამსახურში უნდოდა ჩაეყენებინა. 1896 წელს ისტორიკოსმა მ. ჯანაშვილმა შოთა რუსთაველს მიუძღვნა გამოკვლევა. ამ გამოკვლევისადმი დაწერილ რეცენზიაში გ. წერეთელი აღფრთოვანებული წერდა „ვეფხისტყაოსანი“ საქართველოს ერის სიბრძნის ჭურჭელია, საიდანაც მოხუცი და ახალგაზრდა, ყველანი თანასწორად იღებენ თავის მეცნიერებას. ეს იყო ერთიანი ეროვნული ცნობიერების ნათელი გამოხატულება“. იგი მიიჩნევდა, რომ XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა ჩვენი ხალხის ეროვნული ცნობიერების გამთელებისათვის იბრძოდა. მას მიაჩნდა „რ. ერისთავი მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში შემაერთებელ ხიდად ერთი მხრივ ნ. ბარათაშვილსა და ი. ჭავჭავაძესა, და მეორე მხრივ ა. წერეთელსა და ალ. ყაზბეგს შორის“ (115).

გ. წერეთელი წერდა, რომ მოწინავე ქართველობას მეტი გულისყური გამოეჩინა დრო-ჟამის სიმრთელისაგან

საქართველოსაგან საუკუნეებით განშორებული და კვლავ დედასამშობლოსთან დაბრუნებული აჭარის მიმართ. იგი პირდაპირ მიმართავდა საზოგადოებას: „აბა ვნახოთ რამდენი გულმოწყალება და მფარველობის გამოჩენა შეგვიძლიან, რომ ამ გაჭირებულს ხალხს ცოტად მაინც დავავიწყოთ უწინდელი გულ-ნაკლულობა, შევითვისოთ, შევიტკბოთ“ (85). გ. წერეთელი ფხიზლად ადევნებდა თვალყურს რუსეთის იმპერიაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და ცდილობდა საქმის კურსში ჩაეყენებინა ქართული საზოგადოებრიობა, განსაკუთრებით ისეთი პრობლემების განსჯისას, რომელნიც საქართველოსათვის სისხლხორცეული და საინტერესო იყო. XIX საუკუნის 70-იან წლებში ჯერ გაზეთი „რუსსკი მირში“, შემდეგ კი წიგნადაც გამოვიდა ვერეშჩაგინის თხზულება „კავკასიის შავიზღვის პირეთი და იმის კოლონიზაცია“, სადაც ავტორი ატარებდა იმ აზრს, რომ საჭირო იყო შავიზღვისპირეთში რუსეთის ცენტრალური გუბერნიდებიდან ხალხის გადმოსახლება და დაუსახლებელი მიწების ათვისება.

გ. წერეთელი მიიჩნევდა,რომ იმ პირობებში,როცა უმიწობის პრობლემა მწვავედ იდგა საქართველოს მთიანეთში (სვანეთი, რაჭა, ლეჩხუმი, იმერეთი), უმჯობესი იყო შავი ზღვისპირეთში ქართველთა ჩასახლება: „დროა გავიარ-გამოვიაროთ ჩვენსავე ქვეყანაში, გავფართოვდეთ“ – წერდა იგი და აკრიტიკებდა მეფის მთავრობის პოლიტიკას იმ დროს,როცა საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა უმიწობის გამო გაჭირვებით ცხოვრობს,მთავრობა შავიზღვისპირეთში ასახლებს ოსმალებს, ბულგარელებს, ბერძნებს, ჩეხებსო. გ. წერეთელი მოაგონებდა მეფის მთავრობას: „გავიხსენოთ თუნდ უკანასკნელი ომი ოსმალეთთან. კ. მიქელაძის, ილ. ჩოლოყაშვილის წამებული სიკვდილი,გრ. გურიელის თავგანწირული მოქმედება და სხვა მრავალი“ (110). თუ მთავრობა არ ენდობაო ქართველებს, ეს უსაფუძვლოა, თუ ენდობა, მაშინ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა შავიზღვისპირეთის მიწებზე ქართული მოსახლეობა დამკვიდრდესო.

გ. წერეთელი აქტიურად ჩაება 90-იან წლებში გაჩაღებულ პოლემიკაში, რომელიც ეხებოდა ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II ხსოვნის უკვდავყოფის საკითხებს. იგი მიიჩნევდა,

რომ XIX საუკუნის ქართველობისაგან მისი მეფის ყველაზე კარგი სახსოვარი იქნებოდა, ერეკლეს სახელზე ევროპაში გაგვეგზავნა ნიჭიერი ახალგაზრდობა,რომელიც მეცნიერების მიღწევებით შეიარაღებული დაუბრუნდება სამშობლოს და ჩადგება მის სამსახურშიო. გ. წერეთელი შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან საზოგადოება დაერწმუნებინა: XX საუკუნეში, თუ ჩვენს ხალხს სურდა უკეთესი მომავალი, მსოფლიო ასპარეზზე უნდა გასულიყო. 1899 წელს, როცა იგი გაეცნო ნიჭიერი ქართველი მხატვრის გ. გაბაშვილის გამოფენას, აღნიშნა, რომ სასურველი იყო დახმარება ამ შესანიშნავი ახალგაზრდა მხატვრისათვის, რათა მას თავისი ნამუშევრები გაეტანა მსოფლიო გამოფენაზე, რითაც „თვით ქართველებსაც მეტი პატივი დაედებათ უცხო ქვეყნელების თვალში“ (106).

გ. წერეთელს ქართველების მოვალეობად მიაჩნდა, ყველაფერი ეღონათ,რათა ევროპის კულტურულ ერებისათვის სრულად გაეცნოთ ჩვენი მდიდარი ისტორია, კულტურა. 1895 წელს საქართველოში უნდა ჩამოსულიყო უნგრელი მხატვარი მიხაი ზიჩი. გ. წერეთელმა წინასწარ შეადგინა გეგმა, თუ რა უნდა გაეკეთებინათ, რათა ზიჩისათვის ყველა პირობა შეექმნათ საქართველოს სრულყოფილად გასაცნობად. იგი სანიმუშოდ ასახელებდა სომეხ მეცნიერებს, რომლებიც კავკასიაში ჩამოსულ უცხოელებს მუშაობის ყველა პირობებს უქმნიდნენ და ამით თავიანთ ისტორიას ევროპის ქვეყნებს აცნობდნენ. რაც შეეხებოდა ქართველებს, ისინი, მისი აზრით, ჯერ კიდევ ძილის ბურანში იყვნენ და არც გრძნობდნენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ერის მეცადინეობას, რათა მოიპოვოს რომელიმე უცხოეთის სახელმწიფოს სიმპათია თავისი ეროვნული კულტურის გაცნობით. იგი აკრიტიკებდა იმათ, ვინც პასიურობით და ნიჰილისტური განწყობით საქმეს აფუჭებდა. გ. წერეთელი არწმუნებდა ხალხს,რომ XX საუკუნე ისეთი იქნებოდა თავისი მასშტაბებით, თუ ყველა ქართველმა თავისი წვლილი არ შეიტანა ჩვენი ეროვნული ცნობიერების ამაღლების საქმეში, სხვა არაფერს გაგვიკეთებს და ბევრი პრობლემაც წარმოიქმნებაო.

აქტუალურად ჟღერდა გ. წერეთლის პოზიცია, ჩამოყა–

ლიბებული წერილში „საოცარი განუჭვრეტელობა“. იგი დასცინოდა და აკრიტიკებდა ზოგიერთ სასულიერო პირს, რომლებიც ქუთაისის სემინარიაში ლათინურისა და ბერძნულის სწავლების პრობლემებზე ერთ ალიაქოთს ტეხდნენ და საერთოდ არ აწუხებდათ ის, რომ ქართული ენა არ ისწავლებოდა.

გ. წერეთელი ამტკიცებდა, რომ „ენა ერის ჭკუა-გონების გამომხატველია და, ვიდრე ხალხი ცხოვრობს, როგორც ჭკუა-გონების წართმევა არ შეიძლება, ისე არც ენის წართმევა არ შეიძლება“. იგი გაბედულად ასაბუთებდა ქართველი ახალგაზრდობისათვის დედაენაზე განათლების მიღების აუცილებლობას.

მას მტკიცედ სჯეროდა ჩვენი ეროვნული ენერგიისა და „აცხადებდა,რომ დაიწყო ჩვენთვის თავის შეცნობის პროცესი“. მართალია, პირველად ეს ინტელიგენციაში იგრძნობა, მაგრამ მალე ყველასათვის ნათელი გახდება, რომ აუცილებელია განათლება, კულტურა, მეცნიერების განვითარება. ჩვენი ეროვნული ცნობიერების ამაღლებისათვის უფრო მოგვიანებით 90-იან წლების მიწურულში იგი აუცილებლად მიიჩნევდა, რომ ქართველი ახალგაზრდობა ევროპისა და რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებისაკენ დაძრულიყო, თუ მას სურდა ყოფილიყო XX საუკუნის თავისუფალი საქართველოს მესაძირკვლე (56, გვ. 75).

3. გიორგი წერეთელი და ხალხთა ურთიერთობის პრობლემები

XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთი მრავალფეროვანი იმპერია იყო, სადაც სხვადასხვა ხალხები სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების განსხვავებულ საფეხურზე იმყოფებოდნენ. ყველა ხალხს თავისი პრობლემები ჰქონდა, მთავრობის ოფიციალური წრეები არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ მათ და ხალხთა შორის ზოგჯერ ხელოვნურადაც კი იწვევდნენ კონფლიქტს.

რუსეთის მოწინავე ადამიანები გულისწყრომას გამოხატავდნენ მთავრობის ასეთი პოლიტიკის გამო. გ. წერეთელი აღზრდილი იყო რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ ტრადიციებზე. მან კარგად იცოდა, რომ მცირერიცხოვან ხალხებს მჭიდრო მეგობრული კავშირი უნდა ჰქონოდათ, რაც მათი წარმატების პირობა იქნებოდა. გ. წერეთელი ჯერ კიდევ 60-იანი წლების დასაწყისში ემხრობოდა რუსეთის იმპერიის ჩაგრულ ხალხთა ერთიანი ეროვნული ფრონტის შექმნის იდეას.

მართალია, იგი სხვა თერგდალეულთა მსგავსად მკაცრად აკრიტიკებდა მეფის მთავრობის კოლონიურ პოლიტიკას. მაგრამ ამასთანავე იგი ყოველთვის ნათლად ხედავდა, რომ რუსეთთან საქართველოს დაახლოება პროგრესული საქმე იყო, რამდენადაც ამ ისტორიულმა ურთიერთობამ ქართველ ხალხს შესაძლებლობა მისცა აღედგინა და შემდგომ განევითარებინა საქართველოს ეკონომიკა და კულტურა მშვიდობიანი შრომის საშუალებით. რომელი მტერი არ შემოსულა საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდან დაწყებული XVIII საუკუნის ბოლომდე, მაგრამ „ყველა ეს აუარებელი ურდოები საქართველოს ხალხის სიმტკიცეს შესკდომია... XVIII საუკუნის გასულს გატყდა ხვანთქარი, დაძაბუნდა სპარსეთის შაჰი... ისინი დაყუჩდნენ, მათ თავი მოიხარეს ახალი ძალის ქვეშ, რომელიც დღეს მთელს კავკასიის აქეთა მხარეს მშვიდობიანად განაგებს და არავის არავითარს შფოთსა და უწესობას აღარ აბედვინიებს“ (47).

გ. წერეთელი კავკასიაში და კერძოდ საქართველოში

რუსეთის როლის ამგვარ გაგებამდე ადვილად არ მისულა. რამდენადმე წინააღმდეგობრივი იყო ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე მეორის მისეული შეფასება. მართალია, იგი პირდაპირ არ უპირისპირდებოდა ერეკლესეულ ნაბიჯის სისწორეს, მაგრამ ერთ-ერთ წერილში, რომელიც გერმანიის იმპერატორ ფრიდრიხ დიდს ეძღვნებოდა წერდა: ხშირად ფრიდრიხ დიდსა და ერეკლე მეორეს ერთმანეთს ადარებენო. გ. წერეთელი არ იზიარებდა ამ თვალსაზრისს და დასძენდა ფრიდრიხ დიდმა პატარა მაკედონბურგის საგრაფო დიდ გერმანიად აქცია და შთამოებაშიც ასე იცნობდნენ, ხოლო ერეკლე მეორემ რაც ყმაწვილობაში იპოვა მოხუცებაში ყველაფერი დაკარგა და შთამომავლობაში მისი სახელი „პატარა კახი“ ასე დარჩა (94), ამასთან გ. წერეთელს შექმნილი ვითარების ანალიზმა ისიც ათქმევინა, რომ „ჩვენმა ცხოვრებამ ევროპულს კვალს მიჰმართა იმ დროიდან, როცა დიდებულმა რუსეთმა თავის საფარველქვეშ შეგვიყვანა მძლავრ მტერთან... უწყნარებელი ბრძოლით აკლებულნი... ამის შემდეგ გაძარცულმა ქვეყანამ შეისვენა“ (142).

გ. წერეთელი ერეკლეს კურსს რუსეთთან კავშირისას „მაღალ პრინციპს“ უწოდებს (125). იგი არ ივიწყებდა იმასაც, რომ XIX საუკუნის ქართველი ახალგაზრდობისათვის რუსეთი იქცა განათლების ცენტრად. მისი აზრით, უბრალო რუსი ხალხი ისევე მძიმე მდგომარეობაში იყო, როგორც სხვა ხალხები (35).

გ. წერეთელი კარგად ხედავდა რუსული ენის ძლიერ სულიერ მხარეს... და იმის ბუნებით სიმდიდრეს და სიმკვირცხლეს. მას არ შეიძლება მადლიერება არ გამოეხატა იმ ხალხის კულტურისადმი, რომელმაც დიდი როლი შეასრულა XIX საუკუნის 60-იან წლებში სტუდენტი გ. წერეთლის აზროვნების ჩამოყალიბებაში. იგი სწორად შენიშნავდა „რაკი პეტრეს ქალაქში პირველად ფეხს შედგამენ ჩვენი ყმაწვილები, მისვლაზე უმალ დახვდებათ ხოლმე იქ დიდებულად შემკობილი სუფრა ყოველი გვარი მეცნიერებითა. სწავლაზე დაღირსებული ახალგაზრდობა ერთბაშად დაეტაკება ხოლმე ყველა მეცნიერებისას“ (36). იგი სავსებით სწორად ამჩნევდა იმ როლს, რაც პეტერბურგს დაეკისრა XVIII-XIX საუკუნეთა რუსეთის ისტორიაში.

გ. წერეთელს მიაჩნდა რუსეთის ერის სიძლიერის წყაროდ „ოთხი მკვიდრი ბურჯი“, მისი დიდება წარსულში აწმყოსა და მომავალში არისო რუსეთის დალოცვილი ტერიტორია, მდინარე ვოლგა, მოსკოვი და პეტერბურგი.

გ. წერეთელს, როგორც ჰუმანისტსა და განმანათლებელს არ შეიძლება ჯეროვნად არ შეეფასებინა რუსეთში ბატონყმობის გაუქმების ისტორიული მნიშვნელობა. იგი აღტაცებით წერდა „ვისაც 1860 წელს აქეთ არ უნახავს რუსეთი, იმას ძალიან გააკვირვებს ამ ჟამად იქაური ამბავი. ამ ცხრა წლის განმავლობაში დიდ წარმატებას მისცემია ეს ქვეყანა“ (37). იგი ბატონყმურ წყობილებას თვლიდა რუსეთის ეკონომიკური განვითარების მთავარ შემაფერხებელ ძალად. ხედავდა ბატონყმობის გაუქმების შემდგომი პერიოდის რუსეთის გაცოცხლებას, დაწინაურებას. იგი ამჩნევდა იმას, რომ XIX საუკუნის 60-80-იან წლებში რუსეთის მოსახლეობის განათლებულმა ნაწილმა დიდი მონდომებით მოჰკიდა ხელი თავისი „გონების ზრდასა და განათლების გავრცელებას“. მისთვის საინტერესო იყო ის ფაქტი, რომ მარტო დედაქალაქი კი არ იყო სიახლისწამომწყები, არამედ პროვინციებსაც დაეტყოთ სასიკეთო ფერისცვალება.

გ. წერეთელი მკვეთრად განასხვავებდა რევოლუციური აზროვნების რუსეთს,მეფის რუსეთისაგან. იგი მკაცრად გმობდა ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას,ამხელდა მის ანტიხალხურ ხასიათს,მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა დაეფასებინა ყოველივე საკაცობრიო, რითაც ასე მდიდარი იყო რუსეთის ისტორია. მისთვის უბრალო ხალხი ის ჯანსაღი ნაწილი იყო ერისა, რომლის გულისთქმა იყო პატიოსანი და სამართლიანი. ხალხი, რომელიც არ უნდა აიღო, – წერდა იგი, –რუსის, ქართველის, სომხის, თათრის და სხვა, ყველა სინდისიანია, პატიოსანი... მაგრამ ყოველს იმათში გამოიძებნება... ავაზაკები, არამცოუ თითო-ოროლა, მთელი პარტიაც, მთელი წოდებაც.

გ. წერეთელი რუსეთის იმპერიის სახელმწიფო მმარ–თველობის სისტემისა და სხვადასხვა ერებისადმი ცენტრა–ლური ხელისუფლების დამოკიდებულების საკითხის კვლევისას იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აუცილებელი იყო ცენტრალურ ხელისუფლებას გაეთვალისწინებინა

ცალკეული რეგიონის ხალხების ეროვნული ტრადიციები, სამართლებრივი პრინციპები. ამიერკავკასიის მცხოვრებთა ისტორიის მაგალითზე,იშველიებდა რა სენატორ კონის აზრს, იგი დაასკვნიდა: „მართლმსაჯულება, რომელიც ხალხის ზნე-ჩვეულებებზე, მის კულტურულ მსვლელობაზე და ხასიათზე არ არის დაკავშირებული, გადმონერგილია უცხო ცხოვრების მიუკარებელ თვისებაზე, ვერ იკიდებს ხალხში ფეხს და წარმავალია“ (120).

გ. წერეთელი მოაგონებდა ზოგიერთ არაპროფესიონალ ჟურნალისტსა და ტენდენციურად განწყობილ მკვლევართ, რომ რუსეთის სახელმწიფო მრავალეროვანი ქვეყანა იყო, სადაც ხალხები თანასწორად უნდა ცხოვრობდნენო. იგი გმობდა ყველა იმათ, ვინც სხვადასხვა ხალხებს გაჰყოფდა „რუსებად“ და „არარუსებად“, რათა ამით ერთს მეორე დააჩაგვრინოს,ასეთი ადამიანები,გ. წერეთლის აზრით„ყოველი განხეთქილების წინამორბედნი არიან... ვინაიდან ყოველმა ნამდვილმა მამულიშვილმა მთელი თავისი ღონისძიება იმას უნდა მოახმაროს, რომ იქადაგოს შემდეგი: უთანასწორობა, ერის ერთი ნაწილის მეორეზე გაბატონება, გადამტერება უბედურებისა და დაცემის მეტს არას შეგვძენსო“ (120).

გ. წერეთელი ამტკიცებდა, რომ რუსეთის მთავრობის მიერ კავკასიაში შემოღებული კანონები არ შეესაბამებოდა ამ ხალხების ისტორიულ ტრადიციებს. მოსამართლეები საერთოდ ვერ ითვალისწინებდნენ ხალხის მოთხოვნებს. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ მოსამართლეებმა საერთოდ არ იცოდნენ ადგილობრივი ხალხების ენა, ისტორია და ზნე-ჩვეულებანი.

გ. წერეთელი განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა ამიერკავკასიის ხალხების მეგობრობის განსამტკიცებლად. ჯერ კიდევ 1874 წელს ციურიხში შემდგარ კავკასიელ მოღვაწეთა კონგრესზე იგი მოემხრო ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნის მოთხოვნას. გ. წერეთელი კარგად ხედავდა, რომ XIX საუკუნის 70-80-იან წლებში ამიერკავკასიაში ერთაშორისი ურთიერთობა გართულდა. იგი აფრთხილებდა საზოგადოებას, გამოეჩინა გამჭრიახობა და სიბრძნე, რათა გამოეცნოთ, თუ ვინ იყო

ნამდვილი მტერი და მოყვარე. მას ღრმად სჯეროდა, რომ „კავკასიის აქეთი მხარის ნიადაგი სამ მკვიდრს განათლების მიმდევნელს ხალხს უჭირავს: ქართველ კავკასიის ტომს, სომხის და თათრის ტომს. ეს სამი ტომი დღეს კავკასიის აქეთა მხარეში მკვიდრი მოსახლენი არიან, ერთმანეთის დახმარებით აშენდებიან, მტრობით დაიქცევიან“ (45).

გ. წერეთლის ეს მსჯელობა იყო პრაქტიკული გამოძახილი XIX საუკუნის 70-იან წლებში შვეიცარიაში, ციურიხში დაარსებული საზოგადოება „უღელის“ პროგრამისა. სწორად აღნიშნავდა გ. აბზიანიძე: „გ. წერეთელი და „უღლის“ უმრავლესობა ეროვნული ბრძოლის საკითხს უკავშირებდა ამიერ-კავკასიის ხალხთა დემოკრატიულ-ფედერაციული კავშირის იდეას (12, 491).

როცა გ. წერეთელი გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებულ სტატიებში ცდილობდა გასული საუკუნეების ისტორიიდან ქართველი და სომეხი ხალხის მეგობრობის ამსახველი ფაქტებით მოეშველიებინა. იგი ისევ და ისევ 1874 წლის საზოგადოება „უღლის“ კონგრესის გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობდა. კონგრესზე პირდაპირ ითქვა,კავკასიელები, კერძოდ ქართველები, უნდა მიისწრაფოდნენ კავკასიის ხალხთა გაერთიანებული ძალებით შეებრძოლონ ცარიზმს, მხარი დაუჭირონ რუსეთის რევოლუციურ მოძრაობას და დაამხონ მეფის რუსეთის პოლიტიკური მონობა.

გ. წერეთელი ფრიად შეშფოთებული იყო იმის გამო, რომ სომხურმა ნაციონალურმა ბურჟუაზიამ, მიადწია რა წარმატებებს, გააუარესა ურთიერთობა მეზობლებთან, უწინარესად ქართველებთან. იგი სომხური ბურჟუაზიის კრიტიკას არ ავრცელებდა მთელ ერზე და წერდა: „დღეს, ყველანი ერთ გარემოებაში არიან ჩამდგარი, ერთი მომავალი მიზანი, ერთი და იგივე კეთილდღეობა აქვთ საზრუნველი... ერთმანეთთან დაახლოება, ერთმანეთის პატივისცემა, სამივე ერის ერთად ზრუნვა, ძმური კავშირი და საერთო ძალით იმ შინაური ცუდის გასწორება, რომელიც არ აჩერებს ჩვენ კეთილმდგომარეობის იმედი ჰქონდა, რომელიც ყურადღებას არ მიაქცევდა წაქეზებას და შეგნებულად იმუშავებდა ცხოვრების კეთილმდგომარეობის მოსაპოვებლად.

1897 წელს თბილისის ქალაქის საბჭოს არჩევნების დროს კიდევ უფრო გამწვავდა ქართველთა და სომეხთა ურთიერთობა. გ. წერეთელი გულისტკივილით წერდა, რომ მთელი ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ამ ორი ქრისტიანი ხალხის ისტორია ერთმანეთს მტკიცედ დაკავშირებია. სომხები არც თუ იშვიათად „იძულებულნი ყოფილან საქართველოს მეფეთა დროშის ქვეშ ერთად ემოქმედათ, ერთად გამკლავებოდნენ შემოსეულ მტრებსა. ჩვენი ისტორია ამ თვალსაზრისით გვიხატავს, რომ როცა ქართველები და სომხები გაცალკევებულან, ან ერთმანეთზე იერიში მიუტანიათ, მათი აღსასრულის დღეც მაშინ მოწევნიათ“ (12).

გ. წერეთელი განსაკუთრებული გულმოდგინებით ადევნებდა თვალს აღმოსავლეთში ჩაგრული ხალხების მდგომარეობას. იგი ამბობდა XX საუკუნე აზიის ხალხების ეროვნული გამოღვიძების საუკუნე უნდა გამხდარიყო.

XIX საუკუნის 90-იან წლებში, როცა ოსმალთა იმპერიაში შემავალმა სომხობამ კვლავ ფართო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დაიწყო, მსოფლიოსათვის ნათელი გახდა აზიის ქრისტიანების მწარე ხვედრი. გ. წერეთლის აზრით, ბერლინის კონგრესი სომეხი ხალხის ეროვნული გათვითცნობიერების თვალსაზრისით წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ყოველს ქრისტიან სომეხს,რომელიც კი გრძნობდა გულში მაჰმადიანობის მტარვალობას, უკანასკნელი თავისი ნაღვაწ-ნაოფლარი მიჰქონდა შესაწირავად სამშობლოს განთავისუფლების წმინდა საკურთხეველზე (103).

ოსმალეთის ბატონობის ქვეშ მყოფი სომხობის ეროვნული თვითცნობიერება, გ. წერეთლის აზრით, იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ მას უკვე ჰქონდა თავისი იდეალი. სომხები აღარ ისხდნენ გულხელდაკრეფილნი, არც ცას შესცქეროდნენ. მისი ეს სიტყვები მიმართული იყო არა მარტო სომხების, არამედ ოსმალეთის უღელქვეშ მოქცეული ქართული მოსახლეობისადმიც. გ. წერეთელი მათ მოუწოდებდა, რომ გამოეჩინათ მეტი შემჭიდროებულობა და თავდადება, ეროვნული იდეალებისადმი ერთგულება.

გ. წერეთელი აფრთხილებდა ყველას, შეეგნოთ, რომ ამი ერკავკასიაში ქართველებისა და სომხების მეგობრობა მათი

აღორძინების საიმედო საფუძველი იყო. „ცხადად უნდა შეიგნოს ყველამ,– წერდა იგი,– გვარტომობის წარმატებაში ქართველნი და სომეხნი განუყრელი ძმები უნდა იყონ და არამც თუ მარტო ესენი, არამედ სხვებიც.

გ. წერეთელმა არ დაინდო ცნობილი სომეხი მოღვაწე პ. იზმაილოვი. ჯერ კიდევ 1874 წელს ეკატერინე ნიკოლაძის ცნობით, ჟენევაში შეხვდნენ ქართველი და სომეხი ახალგაზრდები, სადაც იხილავდნენ მომავალი პრობლემების გადაჭრის გზებს. „ამ ბაასში ქართველთაგან მთავარ როლს თამაშობდა გ. წერეთელი, სომხეთაგან პ. იზმაილოვი. დაიწერა პირობა, რომელზედაც ხელი მოვაწერეთ როგორც კაცებმა, ისე ქალებმა. გიორგიმ არ ისურვა რომ მელნით მოეწერა ხელი: მან გაიჭრა ხელი, გამოიდინა სისხლი, რომელშიდაც ამოაწო კალამი და მოაწერა ხელი“ (12, გვ. 496). პ. იზმაილოვი, როცა თბილისში მოღვაწეობდა გ. წერეთლის აზრით აღარ იცავდა ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის პრინციპებს, რის გამოც აკრიტიკებდა მას.

აკად. ნ. მარი აღფრთოვანებული იყო გ. წერეთლის პოზიციით და წერდა მას: „რაც უნდა იყოს, ქართველები და სომხები მუდამ მეზობლებად დარჩებიან და სამომავლოდ იგი იმუშავებს, ვინც ქართველებსა და სომხებს შორის სიმძულვარის ნარევის ამოვსებას ისურვებს“ (159, გვ. 327).

გ. წერეთელმა კარგად იცოდა, რომ ერთაშორისი ურთიერთობის გამწვავებაში დიდი იყო სომხური ეროვნული ბურჟუაზიის როლი. იგი ასეთ კითხვას სვამდა: „განა შესაძლებელია ისეთ ხალხთან დაახლოება, რომელიც ეკონომიურად გვჩაგრავს და ჩვენს სარჩო-საბადეველზე ხელი მაგრად ჩაუვლიაო?“ (105). მაგრამ თვითონვე პასუხობდა, რომ ეკონომიკური ბრძოლა თვით ქართველებისათვისაც არის დამახასიათებელი. მას საერთო არ აქვს რა ეროვნულ ურთიერთობასთანო. აქ ვერ დავეთანხმებით გ. წერეთელს, რადგან ეკონომიკური ბრძოლა თუ ის სხვადასხვა ერთაშორის მიმდინარეობს, აუცილებლად იძენს ეროვნულ ელფერს. რაკი XIX საუკუნის 90-იან წლებში ქართული ეროვნული ბურჟუაზია შედარებით სუსტი იყო, იგი უცხო კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად იყენებდა ეროვნულ მომენტსაც.

გ. წერეთლის ასეთი პოზიცია ხშირად იწვევდა ზოგიერთი ქართველის უკმაყოფილებას, მაგრამ მას მაინც არასოდეს უღალატია თავისი პრინციპებისათვის. ამიტომ წერდა იგი თავის ცოლისძმას გიორგი თუმანიშვილს: „მე ყოველთვის თანასწორი სიყვარული მქონდა ორი ნაციისა, სომხისა და ქართველისა, რადგან განუხრელი გონებითი რწმენა მეუბნებოდა, რომ თუ შესაძლებელია ამ ორი ხალხის ბრწყინვალე მომავალი კავკასიაში, ეს მაშინ, როდესაც ორივე ნაცია ძმურად შეკავშირდებიან“ (154, გვ. 527).

გ. წერეთლის ასეთი პოზიცია ნავარაუდევი იყო ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის განსამტკიცებლად. იგი განსაკუთრებულ გულისხმიერებას და პატივისცემას იჩენდა აფხაზი და ჩერქეზი ხალხებისადმი. 1877-1878 წლებში რუსეთ-თურქეთის ომის დროს მათ ძალიან გაუჭირდათ. დადგა აფხაზთა და ჩერქეზთა ყოფნა-არყოფნის საკითხი. ცარიზმი არ იჩენდა სათანადო ყურადღებას ამ მცირერიცხოვანი ერების მიმართ. გახშირდა აფხაზთა მასობრივი აყრა თავიანთი სამკვიდროდან და თურქეთში გადასახლება. სავსებით სწორად მიუთითებდა გ. წერეთლის ღვაწლზე ო. ჭურღულია: „როგორც მოქალაქე, მამულიშვილი, დემოკრატი მოაზროვნე გ. წერეთელი მოწოდების სიმაღლეზე იდგა. მან დაუნდობლად ამხილა თვითმპყრობელობის კოლონიური პოლიტიკა და სულთნის თურქეთის ძალმომრეობა და პრესის საშუალებით საქვეყნოდ აღიმაღლა ხმა პატარა ერების სასარგებლოდ“ – (210, გვ. 73). პეტერბურგის ნახევრადლიბერალურ გაზეთ „გოლოსის“ კორესპოდენციებში ნაჩვენები იყო რუსეთ-თურქეთის ომის პირობებში აფხაზეთის მძიმე მდგომარეობა. გ. წერეთლის თითოეულ წერილში გამოსჭვივის ავტორის ღრმა გულისტკივილი და შეშფოთება. იგი წერდა: „აფხაზეთიდან მკვიდრი მოსახლეობის, აბორიგენების, თურქეთში იძულებით გადასახლების შემდეგ ამ კუთხეში ბევრი თავისუფალი ადგილი დარჩა, დაცარიელდა სოფლები... ეკალ-ბარდმა დაფარა ბად-ვენახები, ეზოები, გავერანდა ქვეყანა“ (41). გ. წერეთელი აკრიტიკებდა ხელისუფლებას იმის გამო, რომ არაფერი გააკეთა აფხაზებისათვის, მეტიც, მათი ნამოსახლარი დაურიგეს ყველას, ვინც კი მსურველი იყო.

გ. წერეთელი იყო ხალხთა მეგობრობის და თანასწორობის ჭეშმარიტი დამცველი. იგი მოვლენებს უდგებოდა არა ვიწროეროვნული კუთხით,არამედ გლობალური მასშტაბით,რაც არ ნიშნავდა საკუთარი ეროვნულის გაუფასურებას,პირიქით, მისი აზრით, ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლება სხვა ხალხების თავისუფლების პირობებში იყო შესაძლებელი. მისი ასეთი შესაშური ინტერნაციონალიზმი, რაც იშვიათი იყო XIX საუკუნის 90-იან წლებში, ყველას ანცვიფრებდა და მისადმი კეთილად განაწყობდა,თუმცა მტრებიც ბევრი იყვნენ, რომლებმაც არ დაიშურეს სალანძღავი ეპითეტებიც ვითომდა „ქართველთმოძულე“ გ. წერეთელზე,მაგრამ ისტორია წუთიერ ემოციებზე ვერ დაიწერება, მას ჰქმნიან ისეთი დინჯი, საღად მოაზროვნე პიროვნებები,რომელნიც ხანგრძლივი ფიქრისა და განსჯის შემდეგ გაანდობენ საზოგადოებას თავის ნაფიქრსა და ნააზრევს. ასეთი იყო გ. წერეთელიც. ასე შეაფასა იგი მისმა თანამედროვეებმაც. როცა იგი გარდაიცვალა,მის გამორჩეულ პიროვნულ ღირსებათა შორის გ. წერეთლის გაუბზარავი ინტერნაციონალური სულისკვეთებაც აღინიშნა. აი რას წერდა ჟენევიდან ცნობილი სომეხი მწერალი კ. მალუმიანი: „ჩემთვის,როგორც სომხის მწერლისათვის,გიორგი წერეთლის გარდაცვალება განსაკუთრებით არის საგრძნობი, რადგანაც მისი დაკარგვით ჩვენს ჯგუფს გამოაკლდა ერთი მეომარი, რომელიც კავკასიის ერთა თანხმობისათვის იბრძოდა მაშინ, როდესაც გარშემო სრული შოვინიზმი მეფობდა“ (134).

რაოდენ სასიხარულოა, რომ საქართველო დღესაც ერთგულია იმ პრინციპებისა, რომლებიც ოდითგანვე მის სულში იყო და რომელსაც თერგდალეულთა საუკეთესო წარმომადგენლები პირნათლად ემსახურებოდნენ.

4. გ. წერეთელი ისტორიულ მოღვაწეთა შესახებ

გ. წერეთელი ქართულ პერიოდიკაში სისტემატურად აქვეყნებდა მეცნიერულ-პოპულარულ წერილებს ისტორიულ მოღვაწეთა შესახებ. ერთი შეხედვით უცნაური იყო მისი ასეთი დაინტერესება უცხოელ საზოგადო მოღვაწეთა საქმიანობით, მაგრამ როგორც თვითონ დასძენდა გარეშე ერთა ცხოვრება, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო საქართველოსთან შედარებით ეკონომიკურად და პოლიტიკურად უფრო დაწინაურებულიყო „ჩვენთვის სკოლაა, რომელმაც უნდა გვასწავლოს მისი წარსული, მისი ისტორიული მოძრაობა, აგვაცილოს მისი შეცდომა და შეგვათვისოს ყოველი გამოცდილება, რომლის საშუალებითაც იგი მიღწეულია“ (100).

მართალია, გ. წერეთელი პიროვნების როლს ისტორიაში არ აზვიადებდა, მაგრამ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ძლიერ პიროვნებას. ასეთად მიაჩნდა პოლონეთისათვის ადამ მიცკევიჩი და მისი შვილი ვლადისლავი. ვლადისლავი XIX საუკუნის 60-იან წლებში მოღვაწეობდა პარიზში, მაგრამ საფრანგეთის დედაქალაქში ცხოვრება მისთვის თვითმიზანი არ ყოფილა, იგი თავის ყველა შესაძლებლობას იყენებდა პოლონელი ხალხის ეროვნული გათვითცნობიერებისათვის. გ. წერეთელი განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავდა: „ჩვენთვის ყველასათვის გასაკვირველია ის დაუღალავი შრომა და მოქმედება, განსაკუთრებით, როცა ჩვენს დაუდევნელობის და სიზარმაცის ცხოვრებას შევადარებთ იმასთან“ (34).

ეს სიტყვები იყო ეროგვარი გაფრთხილება იმ ქართველების მიმართ,რომლებიც სამშობლოსათვის სამსახურს განცხრომით ცხოვრებას ამჯობინებდნენ.

გ. წერეთლის აზრით, როცა ქვეყანას უჭირდა, გამოჩენილი ადამიანების საქმიანობა თავისი მასშტაბურობით ერთ მუშტად ჰკრავდა ხალხს. იგი თვლიდა, რომ ა. მიცკევიჩი და პადერევსკი პოლონელი ხალხის ამაღორძინებელნი იყვნენ. მიცკევიჩმა „შეაკავშირა დედამიწის ზურგზედ განთესილი და გაბნეული მამულისშვილები ერთი გრძნობით. ავსტრიის იმპერიის კანცლერ ბადენზე მსჯელობაც გ. წე-

რეთელს თავისი ქვეყნისათვის სჭირდებოდა. მისი აზრით, ისეთ მრავალფეროვან ქვეყანაში, როგორიც იყო რუსეთი აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინათ ყველა ხალხის ეთნიკური და ფსიქოლოგიური თავისებურებანი. ეს კი ყველაზე უკეთ ამ ხალხების წარმომადგენლებს შეეძლოთ.

გ. წერეთელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ჩინეთის იმპერატორის ლიხუჩანგის მოღვაწეობას. მისი აზრით, ლიხუჩანგს შემთხვევით არ უწოდებდნენ ჩინეთის ბისმარკს. მან სწორად გაიაზრა ჩინეთის ეკონომიკური და პოლიტიკური ჩამორჩენილობის მიზეზები და დაიწყო ფართო ხასიათის რეფორმების განხორციელება ეკონომიკურ სფეროში. მას ჩინეთის მმართველის გონებანათლობის და საერთაშორისო ვითარების სწორი ანალიზის მაგალითად მიაჩნდა ჩინეთის დაახლოება იაპონიასთან: „თუ ეს ამბავი გამართლდა,– ამბობს გ. წერეთელი,– მაშინ შორს არ არის ის დრო, როცა ჩინეთიც იაპონიასებრ ცვლილებებს შემოიღებს თავის სახელმწიფოში და დაადგება დიდების გზას“ (109). გ. წერეთელი თვლიდა, რომ ეს არ იყო უბრალო დაახლოება. იაპონია-ჩინეთის დაახლოების მიზანი იქნებოდა ყარაყორუმელ ყაენების მფლობელობა, რაც დიდ საფრთხეს შეუქმნიდა რუსეთსა და ევროპის სახელმწიფოების მფლობელობას აზიაში.

გ. წერეთელმა საინტერესო წერილი უძღვნა გერმანიის იმპერატორს ფრიდრიხ დიდს. მისი ამ პიროვნებით დაინტერესებსაც არ იყო შემთხვევითი. ფრიდრიხ დიდის სახელს უკავშირებდა დაქუცმაცებული გერმანული სამეფო-სამთავროების გაერთიანება. გ. წერეთელი ეკამათებოდა სოლომონ ლიონიძეს, რომელმაც ერეკლე II შეადარა ფრიდრიხ დიდს. მისი აზრით, გერმანიის იმპერატორი უფრო შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი იყო, იგი „ყოველ ღონეს ხმარობდა თავისი ხალხის წყლულის მოსარჩენად, მეურნეობის, აღებმიცემლობის განსავითარებლად“ (93). გ. წერეთელი უფრო შორს მიდიოდა ერეკლე II შეფასებაში, როცა ამბობდა: ერეკლე II საქართველოში „პატარა კახის“ სახელით იცნობდნენ, ეს არ იყო შემთხვე სიყვარულით და ჩასდო კვალი – საფუძველი თავისი ქვეყნის მომავლისათვის“ (95).

გ. წერეთელი დიდ დაინტერესებას იჩენდა უნგრეთის ხალხის ეროვნული გმირის კოშუტის საქმიანობისადმი. მისი აზრით, მხოლოდ კოშუტისნაირ ძლიერი ნებისყოფისა და სამშობლოზე ფანატიკურად შეყვარებულ ადამიანს შეეძლო უნგრელი ხალხისათვის ეროვნული თვითშეგნების გაღვიძება. იგი აკეთებდა ყველაფერს, რაც ხელს შეუწყობდა ქვეყნის გამოფხიზლებას, გამართა სკოლები, სადაც ბავშვებს ასწავლიდნენ სამშობლოს ისტორიას, ცდილობდა აეხსნა ავსტრიელთა ბატონობის პირობებში ერის დამცირება დალაჩრების მიზეზები.

1848 წლის უნგრეთის რევოლუციის დამარცხების შემდეგ კოშუტი საზღვარგარეთ, ემიგრაციაში წავიდა, მაგრამ იგი ბოლომდე ეროგული დარჩა თავისი პრინციპებისა, რაც დამოუკიდებელ,თავისუფალ უნგრეთს გულისხმობდა. მისთვის ფრიად არასასურველი ვითარების გამო სამშობლოში დაბრუნება მიუღებლად იქცა, მაგრამ სამშობლო მისი საფიცარ ხატებად დარჩა.

გ. წერეთელს მიაჩნდა,რომ 1848 წლის უნგრეთის რევოლუცია წარმატებით დაგვირგვინდებოდა იმ შემთხვევაში, თუ უნგრელები „შინაურ მეზობელ ხალხთან სლოვაკებთან და რუმინებთან მოახერხებდნენ მოყვარობასა და პოლიტიკურ კავშირს“ (100). როცა ამ აზრს ვეცნობით, კიდევ უფრო ნათლად იკვეთებდა გ. წერეთლის ზრახვანი თუ რისთვის სურდა ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობა.

გ. წერეთლის დაინტერესება ავსტრის იმპერიის კანცლერ ბადენით იმით იყო გამოწვეული, რომ ეს კაცი წარმოშობით პოლონელი იყო, მაგრამ „ავსტრიის იმპერატორმა ფრანც იოზეფმა შეიგნო, რომ დამორჩილებული გარეშე ტომის, ერის ეროგულება, მხოლოდ იმ შემთხვევაში შესაძლებელი, როცა თვით ამ ერის საუკეთესო მოღვაწეებს მიანდობს მის მართვას (116). „ერეკლემ რაც ყმაწვილობაში იშოვა თავის განუჭვრეტელის პოლიტიკის წყალობით მოხუცებაში დაჰკარგა“ (93) ფრიდრიხ მეფემ „პატარა ფრიცის“ სახელი დიდ ფრიდრიხად აქცია, პატარა მაკდენბურგის სამარკგრაფო დიდ გერმანიად.

ვფიქრობთ, გ. წერეტლის მიერ ერეკლე II და ფრიდრიხ

დიდის შედარების შეფასება არასწორია, დასკვნებიც ნაკლებარგუმენტირებული. პირველ ყოვლისა არ არის გათვალისწინებული გერმანიისა და საქართველოს განსხვავებული სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. დაქუცმაცებულ გერმანულ სამთავროებაში ფეოდალიზმის პარალელურად ვითარდებოდა კაპიტალისტური ურთიერთობანი, გაჩნდა ფაბრიკა-ქარხნები, აუცილებელი გახდა ერთიანი ეროვნული ბაზრის შექმნა, ერთგვარ შემფერხებლად იქცა ცალკეულ სამთავროთა, საბაჟოთა და სხვა ხელოვნურ დაბრკოლებათა არსებობა კაპიტალიზმის განვითარების გზაზე. ამიტომ აღმავალი ბუჟუაზიული კლასი მოსურნე იყო ქვეყნის გაერთიანებისა,რაც კარგად გამოიყენეს ფრიდრიხ II და მისმა მომხრეებმა, ხოლო ერეკლე II დროინდელ (XVIII საუკუნის II ნახევარი) ქართლ-კახეთის ვითარება უფრო რთული იყო. ფეოდალური პარტიკულარიზმი მეურნეობის ნატურალური ფორმები, ქვეყანაში არსებული სათავადოები დაღესტანელი ფეოდალების, ირან-ოსმალეთის ხშირი თავდასხმები ქვეყანას არ აძლევდა მოსვენებას. ამ ვითარებაში ერეკლე II ყველა ცდა საქართველოს გაერთიანებისათვის მარცხით დამთავრდა. შედარებითი მეთოდი, რომელსაც გ. წერეთელი ხშირად იყენებდა ისტორიულ მოვლენებზე მსჯელობისას, ყოველთვის არ იძლეოდა უტყუარი ჭეშმარიტების დადგენის საშუალებას. ამის დასტურია ზემოთმოყვანილი მაგალითიც. გ. წერეთელი მცირეოდენ უზუსტობასაც უშვებდა, როცა ფრიდრიხ II მიაწერდა გერმანიის გაერთიანებას. ეს პროცესი, მართალია, XVIII საუკუნეში დაიწყო, მაგრამ დასრულდა XIX ს. 70-80-იან წლებში და არა ფრიდრიხ დიდის დროს.

გ. წერეთელი ასევე დიდ ყურადღებას უთმობდა ოტო ფონ ბისმარკის მემკვიდრის, გერმანიის რაიხ კანცლერის კაპრივის მოღვაწეობას. იგი ამ მოღვაწეს მიაწერდა ისეთ ზრახვებს, რომლებიც გ. წერეთლისათვის იყო სასურველი. როცა კაპრივის სურვილად აცხადებდა „დაამყაროს თავის ქვეყანაში ეკონომიკური კეთილდღეობა ეროვნული,ტომობრივი თვით-გამგეობა და თავისუფლება, ხოლო გარეშე ქვეყნებში თანამგრძნობელნი შეიქმნენ ყოველის დაჩაგრულის ერისა და

ეცადონ უცხო ერთა თანაგრძნობა მოიპოვონ მითი“ (99). ეს უფრო გ. წერეთლის აზრი იყო, ვიდრე კაპრივის განზრახვა.

1870-1871 წ.წ. საფრანგეთ-პრუსის ომში დამარცხებულმა საფრანგეთმა დაკარგა ელზასი და ლოტარინგია. იგი აღმავალი გერმანიის საკუთრებად იქცა. გ. წერეთელი ყურადღებას არ ამახვილებდა აშკარა უსამართლობაზე, მაგრამ სამაგიეროდ მოსწონდა კაპრივის მთავრობის გადაწყვეტილება – ელზას-ლორენის ხალხს მისცეს შინაური თავისუფლება, არ დაუშალოს საერო და საეკლესიო სკოლებში ფრანციულ ენაზე სწავლება, მაგრამ ყველაზე უფრო თანაგრძნობის ღირსია მათი მოქმედება ჩვენს ბედში მყოფთა ერთათვის იმ მიზეზით, რომ პოზნანელ პოლშებს მიანიჭეს თემობითი თვით-გამგეობა და ნება მისცეს საერო სკოლებში პოლშურ ენაზე სწავლებისა.

გ. წერეთელი უცხოელ გამოჩენილ ადამიანთა ბიოგრაფიული ცნობების გადმოცემით ცდილობდა ქართველი საზოგადოების ყურადღება მიეპყრო ისეთი საკითხებისათვის, მათ ეროვნულ ცნობიერებას რომ აამაღლებდა. 1895 წ. მაისში გარდაიცვალა კარლ ფოხტი, რომელიც, გ. წერეთლის აზრით, იყო დიდი მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწე, რომელმაც დიდი როლი შეასრულა გერმანიაში 1848 წლის რევოლუციის დროს, მაგრამ კ. ფოხტი გ. წერეთელს იმიტომ უფრო აინტერესებდა, რომ ასეთი ადამიანები ჩაგრული ხალხებისათვის „ბეთლემის ვარსკვლავს“ ჰგავდნენ, რომელნიც ამ ხალხებს უჩვენებდა ხსნის გზას. გ. წერეთელს ფოხტის ავტორიტეტის მიშველიება სჭირდებოდა ზოგიერთი ნიჰილისტი, გადაგვარებული თანამემამულეების დასარწმუნებლად, რომ „ერი, რომელსაც დაუკარგავს თავისი ენა, თავისი ცხოველმყოფელი სულიც თან გაუყოლებიაო... ფოხტს მოჰყავს მაგალითები ასეთი გადაგვარებული ერებისა, რომელთა შორის აღარ იბადებიან აღარც წარჩინებულნი თვით-ბუნებოვანი მეცნიერნი, არც თავისებურობით შესამჩნევნი მწერალნი და აღარც უმაღლესი ნიჭით შემკულნი მგოსანნიო“ (III).

გ. წერეთელმა გულთბილი წერილი მიუძღვნა მოლეშოტის შემოქმედებას, რომელსაც იგი მიიჩნევდა დიდ მეცნიერად და მოაზროვნედ, ვისი ნაშრომებითაც დავალებული იყო

XIX საუკუნის 60-იანი წლების რუსეთის საზოგადოება. მისი აზრით, მატერიის მარადიულობის აზრი, ცხოვრების გამუდმებული ცვალებადობის საკითხი სრულიად ახალი სიტყვა იყო მაშინდელ აზროვნებაში. გ. წერეთელს თვითონვე უთარგმნია მოლეშოტის ნაშრომი „ლუკმა პურის ისტორია“ და მიზანშეწონილად მიიჩნევდა მის გამოცემას.

გ. წერეთელი მაღალ შეფასებას აძლევდა ცნობილ ფრანგ მოღვაწეს ჟიულ სიმონს. მისი აზრით,ჟიულ სიმონის ღირსება ის იყო, რომ იგი ებრძოდა ნაპოლეონ III პოლიტიკას (89). იგი მკაცრ შეფასებას აძლევდა კაზიმირ პერიეს, რომელიც „მომხრე იყო მოქალაქეთა წოდების, ე.ი. ბურჟუაზიული საერო დაწყობილებისა. ის აირჩიეს მხოლოდ იმ განზრახვით (საფრანგეთის პრეზიდენტად), რომ ანარქისტების პარტია მოისპოს და არც არის მოსალოდნელი, რომ დაბალს ღარიბს ხალხს რაიმე შედავათი მიეცეს მის პრეზიდენტობაში“ (102).

გ. წერეთელი თვლიდა, რომ ასეთ პრეზიდენტს დიდი წინააღმდეგობა შეხვდებოდა მუშა ხალხისგან, თუნდაც დაეძლია ეს წინააღმდეგობანი, მას პრეზიდენტობა გაუჭირდებოდა მისი თავნებობისა და მძიმე ხასიათის გამო, რასაც საფრანგეთი ვერ მოითმენდა.

გ. წერეთელი თვლიდა, რომ საფრანგეთის ბურჟუაზიულმა რევოლუციამ ფართო ასპარეზი შექმნა ფრანგი ხალხის გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების გამოვლენისა, მან წინ წამოსწია „სახელოვანი ქვეყნისა და ერის გულშემატკივარნი მამულისშვილნი“, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანა საფრანგეთის XIX საუკუნის სამხედრო ძლიერების შექმნის საქმეში.

გ. წერეთელი XIX საუკუნის ფრანგ მოღვაწეთა შორის დიდ პატივს მიაგებდა ფენდინანდ ლესეპესს, რომელიც მართალია, სრულიად ახალგაზრდა იყო, როცა ეგვიპტეში საფრანგეთის საელჩოს მოხელედ მივიდა, მაგრამ თავისი გონებრივი და ზნეობრივი ძლიერებით ყველას ყურადღება მიიპყრო. მან მიზნად დაისახა ფარაონების ქვეყნის აღდგენა, განაახლა ხმელთაშუა და მეწამული ზღვის არხი,მანვე დიდი დახმარება გაუწია საფრანგეთის მთავრობას იტალიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

გ. წერეთელი აღნიშნავდა,რომ ლესეპესის დამსახურება იყო სუეცის არხის გათხრა და მეწამული და ხმელთაშუაზღვის შეერთება. საფრანგეთის ინტერესებისათვის სასურველი იყო პანამის არხის გაყვანაც, რაც ლესეპესს დაუწყია კიდეც, მაგრამ მის მიერ თანაშემწედ მიწვეულ ინჟინერს ვიფელს არათუ კარგად წარუმართავს ეს საქმე, არამედ შეგროვილი თანხის დიდი ნაწილი გაფლანგავს.

ადარებდა რა ერთმანეთს ამ ორი ისტორიული პიროვნების საქმიანობას,გ. წერეთელი ლესეპესს ანიჭებდა უპირატესობას, რადგან იგი გატაცებული იყო ქვეყნის საკეთილდღეო აზრით და განცხრომით ცხოვრება არაფრად მიაჩნდა. ეიფელი კი, დიდი ნიჭიერების მიუხედავად, პირად კეთილდღეობას და განცხრომას ამჯობინებდა. „რაც უნდა ნიჭიერი, მხნე და შესანიშნავი საზოგადო მოღვაწე იყოს კაცი, – ამბობდა გ. წერეთელი,– თუ რომ მას ზნეობა არ უვარგა და წუთისოფლის სიტკბოების ანგარიშით არის გამსჭვალული, ადრე თუ გვიან მისი მოქმედება სიკეთეს მაგიერად ბოროტს შეამთხვევს ქვეყანას და მისი სახელიც საკიცხველად დარჩება შთამოებას“ (82).

გ. წერეთლის ხალხთა მეგობრობისადმი ერთგულება ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ, მაგრამ არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ იმასაც, რომ იგი ყოველთვის ცდილობდა მეზობელი ხალხების ისტორიული ცხოვრებიდან პროპაგანდა გაეწია ზნეობრივი გმირობის ფაქტებისათვის. ასეთი იყო მისი წერილი, რომელიც ეძღვნებოდა სომეხთა კათოლიკოსს მკრტიჩ I. გ. წერეთელი მას იმიტომ აფასებდა, რომ მკრტიჩ I-ის სახელთან იყო დაკავშირებული ოსმალეთის სომხების გამოღვიძება, სასულიერო სემინარიის გახსნა, სომხური გაზეთების: „არწივი ვასპურაკანისა“ და „არწივი ტარონისა“ და სტამბის დაარსება. მანვე დიდი როლი შეასრულა 1878 წელს ბერლინის კონგრესზე. XIX საუკუნის 90-იან წლებში სომეხთა პატრიარქ-კათოლიკოსის მკრტიჩ I პიროვნებით საკმაო დაინტერესება გამოიჩინეს საქართველოში. 1893 წელს ა. ღულაძის ავტორობით თბილისში გამოვიდა წიგნი, რომელშიც გადმოცემულია ამ საეკლესიო მოღვაწის ბიოგრაფია. რისთვის სჭირდებოდა ყოველივე ეს გ. წერეთელს?

ქართველი ხალხის ეროვნული გათვითცნობიერებისათვის, აგრეთვე ხალხთა მეგობრობისათვის, მაგრამ რაგინდ დიდ პიროვნებასთანაც არ უნდა ჰქონოდა საქმე გ. წერეთელს, თუ იგი ერთა შორის მეგობრობის პრინციპებს ღალატობდა, ამას არ აპატიებდა. ასე არ დაინდო მან პ. იზმაილოვი, რომელიც სომეხი ხალხის ერთ-ერთი საუკეთესო შვილად მიაჩნდა, მაგრამ მას ჰქონდა ერთი შეცდომაც „რომელსაც შთამოება არასოდეს არ აპატიებს. ბოლო არჩევნებში... იგი შეიქმნა საკუთარი ინტერესების მაძიებელი კაცების იარაღად და ბურჟუაზიული მდიდრების მოთავედ. ამით მან უმტყუნა თავის მიმართულების პრინციპს“ (108).

ცალკეულ ისტორიულ მოღვაწეთა დახასიათებისას გ. წერეთელი ძირითადად სწორად აფასებდა მათ როლს, მნიშვნელობას. განსაკუთრებით ისეთები მოსწონდა, ვინც მოქნილი საშინაო და საგარეო პოლიტიკით გააძლიერეს თავიანთი ქვეყნები, თუმცა ზოგჯერ დაუმსახურებელი ეპითეტებითაც ამკობდა მათ, მექანიკურად ახდენდა ევროპისა და საქართველოს ისტორიულ მოღვაწეთა შედარებას, არ ითვალისწინებდა კონკრეტულ ისტორიულ ვითარებას. თუ რა განსხვავებულ პირობებში უხდებოდათ ამა თუ იმ პიროვნებას საქმიანობა.

5. გიორგი წერეთელი მსოფლიო ისტორიის პრობლემების შესახებ

სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე გ. წერეთელმა ძირითად პრინციპად „საზოგადო გონიერების წინ წაწევა“ აღიარა. მისი აზრით, „ყოველი მომენტი, ხალხის ცხოვრების ნაყოფი, და არა კაცის ძალას აგეთი ბიჯი არ შეუძლიან საზოგადოებაში მოახდინოს“ (198, გვ. 6). იგი არა მარტო საქართველოს ისტორიის პრობლემების გაშუქებით ცდილობდა ჩვენი ხალხის ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას, არამედ ფართოდ მიმოიხილავდა მსოფლიო ისტორიის საკითხებსაც და ამ პრობლემათა ჭრილში ხედავდა ჩვენი ქვეყნის ისტორიას. ამ მხრივ საინტერესო იყო მისი პოპულარული წერილი „ჩეხელნი და მათი ისტორია“ (122). იგი თავის მოვალეობად მიიჩნევდა ქართველი საზოგადოებისათვის გაეცნო იმ ერის ისტორიული ცხოვრება, რომელიც ერთ დროს დამონებული ყოფილა, მაგრამ თავისი მტკიცე ბრძოლით ეროვნული თვითარსებობა და დამოუკიდებლობისათვის მიუღწევია. იგი ჩეხი ხალხის ისტორიაში დიდ როლს ანიჭებდა იან ჰუსისა და ჰუსიტურ მოძრაობას,რომელმაც გამოაღვიძა ჩეხი ხალხის მიძინებული ეროვნული გრძნობა.

გ. წერეთელს სწორად აქვს შენიშნული XIX საუკუნის დასაწყისში შექმნილი „საღვთო კავშირის“ მიზანი. ეს კავშირი იყო იმისათვის, რომ „დამონავებულს ერში თუ მოხდებოდა ამბოხება,ან თუ რომელიმე ერი თავის მთავრობას განუდგებოდა, ყველა სახელმწიფოებს ერთად უნდა ეხმარათ სამხედრო ძალა და განდგომილი ერი, ან ხალხი დაემორჩილებინათ თავისი საკუთარი ხალხისათვის (123).

გ. წერეთელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ბურჟუაზიულ რევოლუციებს. მას საფრანგეთის ბურჟუაზიული რევო–ლუციის დადებით მომენტად მიაჩნდა ის, რომ მოისპო „ფეოდალური წესწყობილება, რომელსაც განუსაზღვრელი უფლებით მეფე უდგა სათავეში, თავადაზნაურობა შუაში და დაბალი გლეხი – მუშაკი ძირს ჰყავდათ მოქცეული“ (102), მაგრამ გ. წერეთელი იმასაც ხედავდა როცა ძველი, უვარგისი წყობილება შეიცვალა ახლით, ხალხი მაინც ჩავარდა იმგვარ

ზოგად წყობილების ჭანგებში, რომელიც ბევრად არ გაირჩევა პირველისაგან. „ახლა მთელი სახელმწიფო უფლება ხელში ჩაუვარდა ვაჭრულ წოდებას“ (102). გ. წერეთელი ბურჟუაზიულ წყობილებას უწოდებს ეროვნული მოძრაობის დამაჩქარებელს, მისი აზრით, ავსტრო-უნგრეთის იმპერია განსაკუთრებული ძალით მოიცვა ეროვნულმა მოძრაობამ, ფრანც იოსები და მისი მთავრობა „ნელ-ნელა შეურიგდა იმ აზრს, რომ თუ ავსტრიის სახელმწიფოს ჰსურს მოიგოს თავისი ერების გული, უსათუოდ ყოველ ერს უნდა მიანიჭოს საკუთარი შინაგანი გამგეობა და განათლება მის სამშობლო ენაზე“ (124). თუ გავითვალისწინებთ XIX საუკუნის 80-90-იან წლების რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების თავისებურებებს, რისი თქმაც სურდა გ. წერეთელს, ნათელია. იგი მოსურნე იყო მრავალეროვნული რუსეთის იმპერიის მესვეურნიც ასევე წინდახედულად მოქცეულიყვნენ, როგორც ავსტრიელები, რაც ქართველი და სხვა ხალხების ეროვნული თვითდამკვიდრებისაკენ პირველი ნაბიჯი იქნებოდა.

თვითმპყრობელური წყობილების კრიტიკით არის გამსჭვალული მისი წერილი „სპარსეთის შაჰი ნასრედინი“. გ. წერეთელი მკითხველებს მოუთხრობდა შაჰის მკვლელობაზე და აღნიშნავდა მისი მკვლელის სჯულის ხალხს ქვეყანა ღვთის საკუთრებად მიაჩნიათ, სადაც არავის არ აქვს უფლება დაჩაგროს და დაიმონოს ღვთის მიერ გაჩენილი ადამიანი. მისი მკვლელობაც ამ მიზეზით მოხდა.

გ. წერეთელი თვლიდა, რომ ნასრ ედინის სიკვდილი რუსეთისათვის საზიანო იყო, ვინაიდან იგი, ვითარცა თვითმპყრობელი ხელმწიფე კარგ ურთიერთობაში იყო რუსეთის სახელმწიფოსთან.

გ. წერეთელმა პასუხი გასცა საერთაშორისო ურთიერთობისა და ევროპის სახელმწიფოთა საშინაო პოლიტიკის რიგ აქტუალურ საკითხს. სწორად შენიშნავს ვ. დონაძე: – „განხილული საკითხების ერთ ნაწილზე მან ქართველ მკითხველ საზოგადოებას მიაწოდა ისტორიული სინამდვილის არსებითად სწორად ამსახველი ცნობები“ (31, გვ. 323).

მოვლენების ღრმა ანალიტიკოსად გევლინება გ.

წერეთელი XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე მსოფლიო საერთაშორისო ურთიერთობათა პრობლემების განხილვისას. ამ დროს თავისუფალი კონკურენციის კაპიტალიზმის იმპერიალიზმით შეცვლას თან სდევდა გააფორებული ბრძოლები მსოფლიოს გავლენის სფეროების, ტერიტორიების ხელახალი გადანაწილებისათვის. გ. წერეთელს სავსებით სწორად მიაჩნდა, რომ XIX საუკუნის ბოლოს ევროპის სახელმწიფოებისათვის მთავარ ლუკმად ვეებერთელა ჩინეთის სახელმწიფო იქცა. იგი თვლიდა, რომ ევროპის ქვეყნებს ჩინეთის ტერიტორია უნდოდათ ექციათ თავიანთი ნაწარმის გასაღების ბაზრად. იგი ამავე დროს სწორად ხვდებოდა იმ მიზეზებსაც, თუ რატომ ჩაერთვნენ ამ ურთიერთჭიდილში შედარებით ნაკლებ განვითარებული სახელმწიფოები. მათ ეშინიათ, რომ მომავალში, როცა მათი საფაბრიკო წარმოება უფრო განვითარდება, ვაი თუ მაშინ უბაზროთ დავრჩეთო და ამით რყევა და შფოთი აგვიტყდეს შინაურ კლასთა ბრძოლის დროსო.

გ. წერეთელი ქვეყნის წინსვლის ერთ-ერთ ფაქტორად თვლიდა ბურჟუაზიულ წყობილებას. ამით ხსნიდა იგი იაპონიის დაწინაურებას. მუტსუგიტოს მიერ გატარებულმა რეფორმებმა იაპონია აქცია შედარებით განვითარებულ ქვეყნად. მას მიეწერება ტოკიოს უნივერსიტეტის უმაღლესი სამხედრო და ტექნიკური სასწავლებლების გახსნა, ევროპულ ყაიდაზე ქარხნების გამართვა.

გ. წერეთელის აზრით, იაპონიის სწრაფი დაწინაურების მიზეზად სამი გარემოება უნდა ჩაითვალოს: „1. იაპონია თავისთავად, გარეშე სახელმწიფოების დამოუკიდებლად, შეუდგა თავის გამოღვიძების საქმეს; 2. იაპონია ძალიან ძველი ხალხია და ძველთაგანვე მომდინარეობდა მისი თავისებური განათლება; 3. იაპონია შეუდგა თავისი ქვეყნის ევროპულად გარდაქმას მაშინ, როცა ევროპის სახელმწიფოებში იყო გაუთავებელი ბრძოლები“ (104). გ. წერეთელი თვლიდა, რომ ევროპის სახელმწიფოებისათვის იაპონია იქცა საშიშ ძალად აზიაში.

ვფიქრობთ, სწორი იყო გ. წერეთლის დაკვირვება ამერიკა-ესპანეთის ომზეც. ამერიკამ ამ ბრძოლით ამცნო ყველას,

რომ იგი ამიერიდან აქტიურად ჩაერეოდა ევროპის საქმეებში. ამ ომში გ. წერეთელი ესპანეთის დამარცხების მომხრე იყო, რადგან ამ უკანასკნელს რამდენიმე საუკუნის განმავლობაში თავის კლანჭებში ჰყავდა კუბა და ამერიკის სხვა ქვეყნებშიც. გ. წერეთლის მახვილ თვალს შეუმჩნეველი არ დარჩენია ის გარემოებაც, რომ ამ ომში ამერიკის შეერთებულ შტატებს თავისი სავაჭრო ინტერესები უფრო ამოძრავებდა, მაგრამ ესპანეთის დამარცხება კუბის ეროვნული ინტერესებისათვის აუცილებლად მიაჩნდა. გ. წერეთელი ომის დასაწყისშივე გამოთქვამდა სწორ ვარაუდს, რომ ესპანეთი აუცილებლად დამარცხდებოდა.

გ. წერეთელმა მსოფლიო ისტორიის პრობლემებზე მსჯელობისას დიდი ადგილი დაუთმო ბალკანეთის ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის საკითხებს. 1897 წელს კ. კრეტაზე დაიწყო ბერძნების ბრძოლა თურქი დაპყრობლების წინააღმდეგ. ქართველი საზოგადოება დიდი პატივისცემას გამოხატავდა დამოკიდებლობისათვის მებრძოლი ხალხებისადმი. რუსეთის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში მყოფმა ქართველმა სტუდენტებმა, კრეტელებისადმი დახმარებას რომ აპირებდნენ, 1897 წლის აპრილში მიიღეს თანაგრძნობის დეპეშა გ. წერეთლისაგან, რომელშიც იგი უწოდებდა ახალგაზრდობას ასეთ მოქმედებას, მაგრამ ამავე დროს მოუწოდებდა მათ ერთგვარი სიფრთხილისაკენ: „ჩემის აზრით, – წერდა იგი, რაც წაშლილია ჩემს მიერ თქვენს წერილში, ის უნდა ამოიშალოს, რომ მეტი სიფიცხე არ მოგადგეთ. გულით მსურს,თავი შეუნახოთ თქვენი გაჭირვებულ ქვეყანას“ (165).

გ. წერეთელი დიდი პატივისცემით და სიყვარულით მსჯელობდა ბულგარეთის შესახებ. მისი აზრით, ამ ხალხის ღირსება იმაში მდგომარეობდა, რომ ხუთასწლოვანი ოსმალური მონობის პირობებშიც კი ძველებური სიმამაცე და ვაჟკაცობა, სამშობლოს სიყვარული არ დაუკარგავს. 1877-1878 წლებში მიმდინარეობდა რუსეთ-თურქეთის ომი. ეს ომი საინტერესო იყო არა მარტო ბალკანეთის ხალხებისათვის, არამედ საქართველოსთვისაც. ეხებოდა რა რუსეთ-თურქეთის ომის მიზეზებს, გ. წერეთელი სამართლიანად თვლიდა, რომ

ეს ომი რუსეთმა წამოიწყო როგორც ბალკანეთის ქვეყნების განმათავისუფლებელმა.

გ. წერეთელი არ მალავდა იმას, რომ რუსეთის მთავრობა სათანადოდ ვერ მოემზადა ამ ომისათვის. მას მცდარად მიაჩნდა რუსული პრესის მტკიცება აღმოსავლეთის ომში სწრაფი წარმატების შესაძლებლობის შესახებ. იგი სწორად შენიშნავდა, რომ პირველმა ბრძოლებმა დაადასტურეს, რომ ოსმალეთის არმია ბრძოლებისათვის საკმაოდ მომზადებული და გაწვრთნილი იყო.

გ. წერეთლის მახვილ გონებას არც ის გამოეპარა, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ოსმალეთის საშინაო პოლიტიკაშიც დიდი ცვლილებები მოხდა. თუ აქამომდე ოსმალთა ქვეყანაში ქრისტიანთა დევნა ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა, ამიერიდან ისინი სცნობდნენ ქრისტიანთა უფლებებსაც. ამიტომ, მისი აზრით, 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომი თავისი ხასიათით განსხვავებული იყო – „სარწმუნოების გულისათვის ბრძოლა შეიცვალა პოლიტიკური უფლებისათვის ბრძოლით“ (43).

გ. წერეთელი თურქ-ოსმალების მიერ დაპყრობილი ხალხების ინტერესებს გამოხატავდა პოემაში „არანკა ჰერცოგოვინის ქალი“, რომელიც 1876 წელს დაიბეჭდა. პოემაში არა მარტო სლოვენი ხალხის თავგანწირული ბრძოლაა აღწერილი, არამედ მთელი ბალკანეთის სლავი ხალხისა, რომელიც იბრძოდა თავისუფლებისათვის. რეალურ სინამდვილეში ბალკანეთი ხალხის ბრძოლა ახალი ძალით გაჩაღდა 1876 წელს. გ. წერეთელი კი მხატვრულ ნაწარმოებში უკვე ამ ხალხის გამარჯვებას წინასწარმეტყველებდა:

„ეს ორი თვეა, განდგომილები
გამარჯვებითა მარად იბრძვიან,
ვით წინ ნაფრენი ტყიდან მხეცები,
სიმაგრებიდან თურქნი მირბიან.
ჰერცოგოვინას მიჰყვეს სხვა ძმებმა,
ყველას აღელვებს ღრმა შური მტრისა,
აქ ისწრაფიან ბულგარ-სერბები,
ხმალი ტრიალებს მონტენგერისა.
აქ ხშირად ჰხედავთ რუმინელებსაც,

გვერდს არ უდებენ ჩერნიგორელებს,
გაჯავრებული დახოცვენ მტერსაც
და შუბზე აცმენ თურქების თავებს“ (195, გვ. 69).

შემთხვევითი არ იყო გ. წერეთლის ასეთი ოპტიმიზმი. მას უფრო სხვა მიზეზი ამოძრავებდა. იგი XIX საუკუნის მეორე ნახევრის სხვა მოწინავე ქართველ მოღვაწეებთან ერთად დიდ ინტერესს იჩენდა რუსეთ-თურქეთის ომისადმი. ეს ომი მას მიაჩნდა საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის დედასამშობლოსთან დაბრუნების გზად. იგი 1877-1878 წლებში თავისი სურვილით წავიდა ფრონტის წინა ხაზზე და მუშაობა დაიწყო პეტერბურგის გაზეთ“-ის კორესპონდენტად. თავის კორესპონდენციებში, რომლებიც საქმის ცოდნით იყო შედგენილი, გ. წერეთელი ოფიციალურ წრეებს უმტკიცებდა, თუ რა დიდი სტრატეგიული და ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა აჭარისა და ლაზისტანის რუსეთთან შემოერთებას: იგი ვარაუდობდა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობა თავიანთ ძმებთან დაბრუნების მოსურნე იქნებოდა. გ. წერეთელი ეროგვარად აჯამებდა რა აღმოსავლეთის ომში რუსეთის წარმატებებს, დასძენდა: „აღმოსავლეთის ომი, რომელიც თურქეთის უღლისაგან ქრისტიანების განთავისუფლების დროშის აღმართვით დაიწყო, ვალდებულია ერთნაირად დაიცვას როგორც ევროპული, ასევე აზიური თურქეთის ქრისტიანთა ინტერესები“ (219). იგი თვლიდა, რომ ევროპის ქრისტიანული სამყარო (ბალკანეთის ხალხები) შედარებით უფრო მსუბუქ ფორმებში განიცდიდა თურქთაგან შევიწროება-ჩაგვრას, ეს გამოწვეული იყო ამ ქვეყნების ევროპასთან სიახლოვით, ხოლო რაც შეეხებოდა აზიურ ქრისტიანულ სამყაროს, აქ თურქები „ცეცხლითა და მახვილით ინაზღაურებდნენ ქრისტიანებისაგან ყველაფერს, რასაც ევროპაში კარგავდნენ“ (219).

გ. წერეთელი გულისტკივილით შენიშნავდა ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ქართული პროვინციების: ოლთისი, ბაიბუთი, არტაანი, აჭარა, ჭანეთის თურქების მიერ განადგურების შესახებ. სავსებით სწორად აღნიშნავდა იგი,მიმდინარე ომის შესახებ როცა წერდა: „ამ მხარეთა ქრისტიანული მოსახლეობა, ქართველები და სომხები ამ ომს უყურებენ,

როგორც ოსმალთა ჩაგვრისაგან განმანთავისუფლებელს“ (219).

გ. წერეთელი თვლიდა, რომ რუსეთის მთავრობა გამოუსწორებელი დანაშაულს ჩაიდენდა,თუ მომავალ საზავო მოლაპარაკების პროცესში არ გაითვალისწინებდა მცირე აზიის ქრისტიანთა სასიცოცხლო პრობლემებს. იგი პირდაპირ ურჩევდა რუსეთის ოფიციალურ წრეებს: „როგორიც არ უნდა იყოს მომავალი საზავო პირობები ოსმალთა იმპერიასთან, ჩვენი ინტერესების დაცვისათვის და მომავალში თურქეთის ქრისტიანების ბედის შესაძლებლობისადმი შესამსუბუქებლად, ყარსის ოლქის გარდა აუცილებელია შევინარჩუნოთ არტაანი, მტკვრისა და ჭოროხის ზემო წელითურთ, ბაიბუთამდე და გურჯიბოდაზის მთებამდე... მას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის და ჩვენ უნდა დაგვრჩეს“ (218).

გ. წერეთელმა ისარგებლა სამხედრო კორესპოდენტის უფლებებით და დიდი დაბრკოლებების გადალახვის შემდეგ განიზრახა ბათუმიდან ართვინში წასვლა, სადაც სურდა შეეკრიბა ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური ცნობები ძველი ქართველი ტომების თუბალების, მაკრონების, მოსინიკების ხალიბების შესახებ.

გ. წერეთელი საქმის ცოდნით მოგვითხრობდა ამ მხარის ხალხის გუნება-განწყობილების შესახებ, რეალურ ახსნას უძებდნიდა იმ ფაქტს, თუ რატომ იჩენდა ადგილობრივი მოსახლეობა რაღაც ინდიფერენტიზმს მიმდინარე მოვლენებისადმი. მრავალსაუკუნოვანმა თურქულმა ბატო–ნობამ დააბეჩავა ოდესღაც დაწინაურებული ქართული პროვინციების მოსახლეობა, მაგრამ ეს არ ნიშნვდა იმას, რომ მათ საერთოდ აღარაფერი ახსოვდათ თავიანთი წარმომავლობისა და ტრადიციების შესახებ,პირიქით თურქეთის მფლობელობაში მყოფი ბევრი ქართველი მალულად კვლავ ქრისტიანული სალოცავის ნანგრევთან მიდიოდა და სანთელს ანთება. ამიტომ სავსებით მართალი იყო გ. წერეთელი, როცა რუსეთ-თურქეთის ომის დროს კონსტანტინოპოლში გამომავალი ერთ-ერთი გაზეთის მოწინავე სტატის შინაარსს არ ეთანხმებოდა. თურქები ამტკიცებდნენ,რომ საკმარისი იყო შავ ზღვაზე გადმოსხდომა და ადგილობრივი მოსახლეობა

მათ მხარეზე აღმოჩნდებოდაო. „დიდი დიპლომატი მითხად-ფაშა,– წერდა გ. წერეთელი,როგორც ჩანს,კარგად გრძნობდა ქართველების მებრძოლ სულს,მას ახსოვდა ისტორიულად თუ რა დიდ მსხვერპლად დაუჯდათ თურქებს საქართველოსთან ბრძოლა. ოთხასი წლის მანძილზე... მაგრამ მას, როგორც აღმოჩნდა არაფერი არ სცოდნია, ქართველთა ახლანდელი განწყობილებისა“ (218).

ქართველთა გუნება-განწყობილებას საუკეთესოდ გამოხატავდნენ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. ილია ჭავჭავაძე წერდა: – არ გვაშინებს ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენ ძმებს, ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ, და ქართველი კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანასა,დიდი ხნის განშორებულ ძმას ძმურადვე შეითვისებს. ეს აზრი ცხოვრების რეალობამ დაამტკიცა.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომი,რომელიც რუსეთის გამარჯვებით დამთავრდა, საქართველოსათვის დიდი ზეიმის საფუძველი გახდა. სანსტეფანოს საზავო ხელშეკრულების ძალით საქართველოს ისტორიული მიწაწყლის ნაწილი აჭარა დაუბრუნდა დედა-სამშობლოს.

1878 წლის 20 ნოემბერს თბილისში მუხრან-ბატონის სასახლეში ილ. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, გ. წერეთლის, ს. მესხის, პ. უმიკაშვილის ინიციატივით შეხვედრა გაუმართეს ახლად შემოერთებული ქართული მიწაწყლის მოწინავე შვილებს. ქართული საზოგადოების აზრი გამოხატა აკ. წერეთელმა: „დღევანდელი ლხინი სხვაგვარია: მხიარულება უნაკლო და სიხარული უღრუბლო! და რას უნდა მივაწეროთ ეს?... ამის მიზეზია დროთა ვითარებისაგან დაშორებულის ჩვენის მოძმეების დღეს ხელახლად ჩვენთან შემოერთება და ძლიერად შეკავშირება“ (42).

გ. წერეთელი სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად თვალისჩინივით უფრთხილდებოდა ახლადშემოერთებული მხარის მოსახლეობას, ხშირად მოგზაურობდა ამ მხარეში, აწვდიდა საინტერესო წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს, ეხმარებოდა იქაურ ქართველობას. ამიტომაც იყო, რომ, როცა

იგი გარდაიცვალა, აჭარის დეპუტაციის წარმომადგენელმა გრიგოლ ვოლსკიმ მას ქართველი კოლუმბი უწოდა.

მსოფლიო ისტორიის პრობლემებზე მსჯელობა გ. წერეთელმა გააგრძელა XIX საუკუნის 90-იან წლებში, როცა იგი შეეხო საბერძნეთ-ოსმალეთის ომს. მას მიაჩნდა ბალკანეთის ხალხების მხარეზე იყო ისტორიული სიმართლე: „ყველა ომები, რაც საბერძნეთს ჰქონია თავის ისტორიული ცხოვრების განმავლობაში ყოფილა მოგერიებითი და არა მისვლითი... ახლა კი ბალკანეთის ხალხები ყველანი ერთად გამოიღებენ ხელს და რაც ხანი გაივლის, ისე უფრო აირევა ოსმალეთის იმპერიის საქმეები და ამას საგულისხმო შედეგები მოჰყვება“ (123).

გ. წერეთელი თვლიდა, რომ საბერძნეთსა და ოსმალებს შორის დავა არ ჩაწყნარდებოდა, თუ ოსმალეთი საბოლოოდ არ დაუთმობდა მათ მიტაცებულ ტერიტორიებს. გ. წერეთელი სწორად მსჯელობდა, როცა აცხადებდა, პატარა საბერძნეთი ასე უშიშრად და გაბედულად ვერ დაიწყებდა ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლას,მას რომ ინგლისის იმედი არ ჰქონდესო. ევროპის სახელმწიფოები ამ კონფლიქტს თავიანთი ინტერესების შესაბამისად იყენებდნენ. გ. წერეთლის მახვილ გონებას არ გამოეპარა ის ფაქტიც, რომ XIX საუკუნის 90-იანი წლების დასასრულს გერმანიასთან,იაპონიასთან ერთად რუსეთის სახელმწიფოც ერთ-ერთი ყველაზე ძლიერ და ანგარიშგასაწევ ქვეყნად იქცა.

მსოფლიო ისტორიის პრობლემები გ. წერეთელს იმდენად აინტერესებდა, რამდენადაც ისინი დაკავშირებულნი იყვნენ საქართველოსთან. იგი თავის წერილებში ყოველთვის ცდილობდა ევროპისა და აზიის ქვეყნების სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ანალიზისას პარალელები გაევლო ქართულ სინამდვილესთან და ქართული საზოგადოება აღეზარდა იმ სულისკვეთებით, რომელიც XX საუკუნის საქართველოსათვის სასურველი და აუცილებელი იქნებოდა. ამ კუთხით მის მიერ გაწეული ღვაწლი სათანადო აღნიშვნის ღირსია.

ზოგადი დასკვნები

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართული ისტორიოგრაფია ერთგვარ კრიზისს განიცდიდა. ქართულ საისტორიო წყაროები, დოკუმენტები არ იყო მეცნიცერულად დამუშავებული. ზოგიერთი უნიკალური მნიშვნელობის საბუთი ეკლესია-მონასტრების ნესტიან სენაკებს არ გასცილებოდა. ამ ვითარებაში საქართველოს ისტორიის მეცნიერული კურსის შედგენა თითქმის შეუძლებელი იყო.

თერგდალეულებმა, ქართველმა განმანათლებელ-დემო–კრატებმა, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში, ძირითად ამოცანად დაისახეს მიძინებული ეროვნული გრძნობების გაღვიძება, წარსულის საგმირო საქმეთა წინ წამოწევით მომავლის იმედის შთანერგვა, მაგრამ ყოველივე ამის გაკეთება შესაძლებელი იყო საქართველოს ისტორიის ხალხის მასებამდე მიტანით. პროფესიონალ ქართველ ისტორიკოსთა მცირერიცხოვნობის, მეფის ცარიზმის მკაცრი ხენზურის პირობებში ისინი თვითონ შეუდგნენ საქართველოს უძველესი და უახლოესი ისტორიის მეცნიერულ გააზრებას.

გ. წერეთელი, როგორც საქართველოს ისტორიის მკვლევარი და პოპულიარიზაატორი ამ კონკრეტულმა ისტორიულმა პირობებმა წარმოშვა. იგი ი. ჭავჭავაძისა და დ. ბაქრაძის მსგავსად ისტორიას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართველი ხალხის ეროვნული თვითშემეცნების საქმეში და ცდილობდა გამოესწორებინა წინა საუკუნეების ქართველი ისტორიკოსების ნაკლი, – ფართოდ წარმოეჩინა უბრალო ხალხის, ისტორიის შემოქმედთა ცხოვრება და ღვაწლი. გ. წერეთელი საქართველოს ისტორიულ წარსულში დაჟინებით ეძებდა ხალხის მასების როლს. ამ მხრივაც იგი დიდ გავლენას განიცდიდა რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების ა. გერცენის, ნ. ჩერნიშევსკის, ბ. ბელინსკის ნააზრევისას, ამასვე მოითხოვდა იგი ძველი ისტორიკოსებისაგან. იგი ანგარიშს არ უწევდა იმასაც კი, რომ შუა საუკუნეთა საქართველოს ისტორიკოსები: ლეონტი მროველი, ჯუანშერი,

დავითის ისტორიკოსი, ჟამთააღმწერელი უბრალო ხალხს ვერ წარმოაჩენდნენ, ვინაიდან მათი მოღვაწეობის ხანაში არავის აზრად არ მოუვიდოდა ისტორიაში ხალხის მასების როლის წარმოჩენა.

მრავალმხრივი განათლება, მახვილი გონება, პეტერბურგის უნივერსიტეტის მეცნიერულ ტრადიციებზე აღზრდა გ. წერეთელს დაეხმარა ძირითადად სწორად გაეაზრებინა მრავალსაუკუნოვანი საქართველოს ისტორია, დაენახა ქართველი ხალხის დადებითი და ნაკლოვანი მხარეები, შეემჩნია XIX საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის ხარვეზები.

მისი აზრით, ქართული ისტორიული წყაროების მეცნიერული პუბლიკაციების ნაკლებობა, სხვადასხვა სიგელ-გუჯრების შედარებითი მეთოდით შეუსწავლელობა, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და ნუმიზმატიკური მასალების გაუთვალის–წინებლობა, ქართლის ცხოვრების მონაცემების უცხოურ წერილობით წყაროებთან შეუდარებლობა საქართველოს ისტორიაზე გამოქვეყნებულ ნებისმიერ მონოგრაფიას ვერ ააცილებდა სერიოზულ ხარვეზებს.

როცა ასეთ დასკვნას აკეთებდა ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ გ. წერეთელი საერთოდ არ იცნობდა იმ დროს მოღვაწე ისტორიკოსების დ. ბაქრაძის, მ. ჯანაშვილის, მ. ბროსეს, თ. ჟორდანიას, ნ. ხიზანიშვილის წვლილს საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში, მაგრამ ეს ასე არ იყო. იგი სათანადოდ აფასებდა მათ წვლილს ამ მიმართებით, მაგრამ იმასაც შენიშნავდა, რომ ხსენებული ისტორიკოსები ძირითადად ცნობილ ეპოქებზე მუშაობდნენ, ნაკლებ სკეპტიციზმს იჩენდნენ ქართლის ცხოვრების ცნობათა მიმართ. გ. წერეთელი მართალი იყო, როცა საკითხს ასე სვამდა. საქართველოს ისტორიული წარსულის შესწავლისას მკვლევარ ისტორიკოსებს ყურადღება უნდა მიექციათ საქართველოს განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობისათვის, მაგრამ წინამორბედი ისტორიკოსების მისამართით გამოთქმული შენიშვნა კრიტიკულად არ განიხილავდნენ ქართლის ცხოვრების მონაცემებსო არ იყო მართებული.

გ. წერეთელმა კარგად იცოდა ძველი ქართული,რუსული და გერმანული ენები. იგი იცნობდა ძველი ბერძენი ისტორიკოსების ჰეროდოტეს, ქსენოფონტეს, პლინიუსის, მარცელინის, სომეხი ისტორიკოსების მოვსეს ხორენაცის, ლაზარ ფარპეცის, კორიუნის, უხტანესის, რუსი ისტორიკოსების კარამზინის, კლაუჩევსკის,გერმანული ისტორიკოსის მომზენის ნაშრომებს. რამაც მის მსოფლმხედველობაზე გარკვეული გავლენა მოახდინა. იგი გამოკვლევის ბოლოს იგი აუცილებლად დაურთავდა იმ ლიტერატურის დასახელებას, რომლითაც ისარგებლა, რაც მის კეთილსინდისიერებაზე მეტყველებდა.

გ. წერეთელმა, როგორც მოსკოვის არქეოლოგიური საზო–გადოების წევრმა,სხვადასხვა დროს იმოგზაურა საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში მოიძია და გადაარჩინა ბევრი საისტორიო დოკუმენტი, ხელოვნების ნიმუში, მიაკვლია და გაშიფრა გელათის მონასტრის სამი უცნობი ლაპიდარული წარწერა, აღმოაჩინა ყვირილის ხეობაში სპეტის ეკლესიის უიშვიათესი კანკელი. მოსკოვის არქეოლოგიური საზო–გადოების ჟურნალში გამოქვეყნებული გამოკვლევებით, გ. წერეთელი, ერთი მხრივ, წარმოჩინდა როგორც შესანიშნავი მკვლევარ-ისტორიკოსი, მეორე მხრივ კი, საქართველოს ეკლესია-მონასტრების კედლებზე არსებული ლაპიდარული წარწერების გაშიფვრითა და კომენტარებით რუსულენოვან მკითხველთა ფართო წრეებს გააცნო საქართველოს უძველესი ისტორია.

გ. წერეთელმა შესაშური პროფესიონალიზმით კრიტიკულად განიხილა და მეცნიერული არგუმენტებით უარყო ევროპელი და რუსი მეცნიერების ზოგიერთი წარმომადგენლის მოსაზრება ქართული და კავკასიური მითოსის სპარსულიდან წარმომავლობის შესახებ და დაასაბუთა მისი ორიგინალურობა.

გ. წერეთელმა საინტერესო გამოკვლელები უძღვნა ქართულ წარმართობას, ხალხურ დღესასწაულებს. მართალია, იგი პროფესიონალი ეთნოგრაფი არ ყოფილა. მაგრამ მის მიერ მოპოვებულმა მასალამ არამცირედი წვლილი შეიტანა მეცნიერული ეთნოგრაფიის განვითარებაში.

საქართველოს უძველესი ისტორიის, პოლიტიკური, ეკონომიკური და რელიგიური ცხოვრების აღსადგენად

იგი წერილობითი წყაროების, არქეოლოგიური მასალების სიმცირის პირობებში მიმართავდა „ისტორიულ-შედარებით“ მეთოდს, მართალია შედარებითი მეთოდის გამოყენება შეიძლებოდა, მაგრამ ჩვ. წ. აღ-მდე IV-III საუკუნეების ქართლისა და კოლხეთის, ადრეკლასობრივი სახელმწიფოების წარმოსაჩენად ეგვიპტე-ასურეთ-ბაბილონის სახელმწიფოებრივ, სამართლებრივ, რელიგიური სტრუქტურის მექანიკური გადმოტანა, როგორც ეს გ. წერეთელს მოუვიდა, უმართებულო იყო.

გ. წერეთელი იზიარებდა იმ მეცნიერთა თვალსაზრისს, რომელნიც ამტკიცებდნენ ქართველთა თავდაპირველი საცხოვრისის უფრო სამხრეთით არსებობას. აქედან გამომდინარე მისი აზრით,ქართულ წარმართობასაც ასურულ-ბაბილონური სამყაროს რელიგიებთან ჰქონდა მჭიდრო კავშირი. მართალია, გ. წერეთელი აკრიტიკებდა წინამორბედ ისტორიკოსებს „ქართლის ცხოვრების“ ცნობებისადმი გადა–ჭარბებული ნდობისათვის, მაგრამ თვითონაც სცოდავდა ამ მხრივ. მაგალითად, ფარნავაზის ეპოქაზე მისი მსჯელობა არ სცილდებოდა ქართლის ცხოვრების ჩარჩოებს. იგი უკრიტიკოდ იღებდა ლეონტი მროველის იმ მოსაზრებას, რომ ქართლში აზნაურნი აზოს სახელიდან მომდინარეობდა, რაც არასწორი იყო, მაგრამ სავსებით მისაღებია გ. წერეთლის ვარაუდი იმის შესახებ,რომ ფარნავაზის ეპოქის საქართველოს გაძლიერებას იმან შეუწყო ხელი,რომ მეფემ კარგად გაითვალისწინა ქვეყნის სტრატეგიული მდებარეობა და საქართველოს ყველა ხეობა მიუვალ ციხე-სიმაგრედ აქცია. ასევე სწორი იყო გ. წერეთლის ვარაუდი იმის შესახებ, რომ ქრისტიანობამ წარმართობიდან შეიძინა ბევრი წეს-ჩვეულება და რომ თუ IV საუკუნეში ქართლის მოსახლეობა ახალი რელიგიის მისაღებად მზად არ იქნებოდა, იგი მეფის ბრძანებით ვერ დამკვიდრდებოდა.

IV-V საუკუნეების საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაზე მსჯელობისას გ. წერეთელი უკრიტიკოდ ენდობოდა სომეხი ისტორიკოსების ედიშე ვართაპეტისა და ლაზარ ფარპეცის ცნობებს, რომლებიც რიგ შემთხვევაში ტენდენციურად, არაობიექტურად წარმოაჩენდნენ ქართლის სამეფოს როლს ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი

შეცდომით ასურელი მამების საქართველოში შემოსვლას V საუკუნით ათარიღებდა.

გ. წერეთელი საინტერესო პოპულარული წერილები უძღვნა ქრისტიანული სარწმუნოებისათვის თავდადებულ შუშანიკს, აბო ტფილელს, არჩილ მეფეს, გობრონ ქართველს. მან არაბი და ქართველი ისტორიკოსების მონაცემების საფუძველზე დაასკვნა, რომ მურვან ყრუს საქართველოში ლაშქრობა სავარაუდებელია 731 წელს, რაც არასწორი იყო. სავსებით მისაღებია გ. წერეთლის მიერ წამოყენებული მოსაზრება, რომ VIII-IX საუკუნეებში არაბთა სახელმწიფოში შინაფეოდალური შუღლისა და ურთიერთმტრობის პირობებში ისარგებლა ქართლმა და განუდგა დამპყრობლებს.

გ. წერეთელი შეგნებულად არ შეხებია X-XII საუკუნეების საქართველოს ისტორიის პრობლემებს, ვინაიდან, მისი აზრით, ამ ეპოქის ისტორია ხალხისათვის ნაცნობი იყო. მას უფრო საქართველოს ისტორიის ტრაგიკული მოვლენები აწუხებდა. მაგალითად, იგი იკვლევდა ლაშა-გიორგის ეპოქას, 1220-იან წლებში მონღოლებთან ქართველების მარცხის მიზეზებს, თუმცა მეცნიერულად ვერ ახსნა ეს მიზეზები და ქართველების მარცხი ჟამთააღმწერლის მსგავსად ლაშა გიორგის უგვანო საქციელს მიაწერა.

XIV-XV საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმთავრეს საკითხებზე მსჯელობისას გ. წერეთელი დიდ ყურადღებას აქცევდა ბაგრატ V და მის თავდაცვით-მოგერიებითი ბრძოლის ტაქტიკას.

გ. წერეთელმა თავის გამოკვლევებში საინტერესოდ წარმოაჩინა სამცხე-ჯავახეთის ისტორიისა და გეოგრაფიის საკითხები, რომელთა გაშუქებას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა XIX საუკუნის 70-80-იან წლებში, როცა რუსეთს თურქეთთან ომი ჰქონდა და დღის წესრიგში დგებოდა თურქთაგან მიტაცებული ქართული პროვინციების დაბრუნების საკითხი. სავსებით სწორი იყო მისი ვარაუდი იმის შესახებ, რომ სამხრეთ საქართველო იყო ის უმთავრესი სტრატეგიული ცენტრი, რომლის დასუსტება საქართველოს მოუძლურების მაჩვენებელი იყო.

XV-XVII საუკუნეების საქართველოს ისტორიას გ.

წერეთელი ჯოჯოხეთის ხანას უწოდებდა, როცა ირან-ოსმალეთის აგრესიას შინაფეოდალური შუღლი და მტრობა ემატებოდა. ამ ეპოქამ წარმოშვა გაორებული ქართველი მოღვაწენი. მისი აზრით, ლევან II (სამეგრელოს მთავარი) იყო გაორებული ქართველის ტიპიური მაგალითი, რომელიც იმერთა მეფის სიძულვილით ლეჩხუმში ეკლესია-მონასტრების კედლებზე არსებულ ძველ ქართულ წარწერებს აშლევინებდა, ამავე დროს კი იერუსალიმში მოქმედ ჯვრის მოანსტრის შესაკეთებლად ფულად შეწირულობას აძლევდა. როგორც გ. წერეთლის გამოკვლევებიდან ჩანს, იგი არ იცნობდა XVI-XVIII საუკუნეების იტალიელი მისიონერების ჯუდიჩე მილანელის, არქანჯელო ლამბერტის, პიეტრო დე-ლავალეს, დონ კრისტეფორ დე კასტელის ცნობებს საქართველოს შესახებ. მისი აზრით, ვახტანგ VI ეპოქა იყო საქართველოს თავისუფლების გამონათების მცდელობა. მას XVIII საუკუნის საქართველოს მთავარ საზრუნავად მიაჩნდა სარწმუნოების დაცვა,ერთობა და თავისუფლება,მაგრამ ერეკლე II-მ პირველს ანაცვალა მეორე და მესამე. ამავე დროს გ. წერეთელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა 1783 წლის გეორგიევსკის სამეგობრო ხელშეკრულებას, რომელმაც მისი აზრით, განადგურების პირას მისული ქვეყანა იხსნა კატასტროფისაგან.

გ. წერეთელმა საინტერესო მასალები გამოაქვეყნა იმერთა მეფე სოლომონ II და სოლომონ ლიონიძეზე, აგრეთვე 1812 წლის კახეთის აჯანყებაზე.

იგი აღიარებდა საზოგადოების კლასებად დაყოფას და აკრიტიკებდა ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების მანკიერ მხარეებს. მას სავსებით სწორად მიაჩნდა, რომ XIX საუკუნეში ბატონყმური წყობილება იყო ქვეყნის განვითარების მთავარი შემაფერხებელი, მაგრამ ცდებოდა, როცა საერთოდ თავდაზნაურთა მთელ კლასს ქვეყნის რეგრესიის მიზეზად აცხადებდა. მან, როგორც შეუფერავმა რეალისტმა, პუბლიცისტურ წერილებსა და ისტორიულ მოთხრობებში გვიჩვენა ბატონ-ყმური წყობილების მთელი სისასტიკე და უსარგებლობა და ისიც შენიშნა, რომ წინა თაობები მორჩილად იტანდნენ ფეოდალური ჩაგვრის უღელს, ხოლო ახალგაზრდობა შეურიგებელი იყო ბატონყმობისადმი.

მან ისიც კარგად დაინახა, რომ საგლეხო რეფორმის შემდეგ საზოგადოებაში მიმდინარეობდა ღრმა ცვლილებების პროცესი, რაც ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობასთან, კაპიტალიზმთან იყო დაკავშირებული. გ. წერეთელი მკაცრად აკრიტიკებდა საგლეხო რეფორმის ნაკლოვან მხარეებს, არც ქართველი თავადაზნაურობის უმოქმედობა მოსწონდა. პირველ ხანებში თანაუგრძნობდა ახალ ძალებს (ბურჟუაზიას), მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ კაპიტალისტები სიმდიდრეს ადამიანური ღირსების დაკარგვითა და უპატიოსნო გზებით იძენდნენ. მას ეშინოდა ქვეყნის გაპროლეტარებისა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩებოდა ახალი ძალა უფრო ძლიერდებოდა. მისი აზრით, თუ თავადაზნაირობას სურდა ერის მეთაურის ფუნქციის შენარჩუნება, საჭირო იყო განათლებასა და მეცნიერებას დაუფლებოდა. მან ჯერ კიდევ XIX საუკუნის 70-იან წლებში დააყენა თბილისში უნივერსიტეტის გახსნის საკითხი. მისი აზრით, უცხოური კაპიტალისადმი დასაპირისპირებლად საჭირო იყო ბანკების დაარსება, რაც ხელს შეუწყობდა ვაჭრობა-მრეწველობის ეროვნულ ნიადაგზე გარდაქმნას.

ბანკის, ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური პრობლე-მების განსჯისას იგი დაუპირისპირდა ი. ჭავჭავაძეს. ამ პოლემიკაში, რომელიც ი. ჭავჭავაძის „ივერიასა“ და გ. წერეთლის „კვალს“ შორის გაიმართა, კარგად გამოიკვეთა ის წინააღმდეგობრივი ტენდენციები, XIX საუკუნის 70-90-იანი წლების საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარება რომ ხასიათდებოდა, გ. წერეთელმა ი. ჭავჭავაძის ჯგუფს „პირველი დასი“ უწოდა, ხოლო თავისი მოღვაწეობა „მეორე“ და „მესამე დასებთან“ დააკავშირა. მართალია, იგი იცნობდა კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის ნაშრომებს, მაგრამ ეს არ ნიშნავდა მის მარქსისტობას. გ. წერეთელს „მესამე დასიდან“ გამიჯნავდნენ ხოლმე მ. ცხაკაია, ალ. წულუკიძე. თვითონაც ე. ნინოშვილისადმი გაგზავნილ წერილში უკვირდა რევოლუციური ახალგაზრდობის ეროვნული ნიჰილიზმი, ცდილობდა დაესაბუთებინა თავისი პოზიციის სისწორე და სწორედ აქ ვლინდებოდა მისი მსოფლმხედველობის სიახლოვე ი. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობასთან, ვისგანაც თავის გამიჯვნას ცდილობდა იგი.

გ. წერეთელი როგორც მოაზროვნე და ისტორიკოსი დარჩა განმანათლებლურ-რევოლუციურ-დემოკრატიულ-პოზი–ციაზე. იგი იყო მხურვალე დაცველი ხალხთა მეგობრობისა, დიდ პატივს სცემდა ყველა ხალხის კულტურას. გ. წერეთელი დიდ ყურადღებას უთმობდა მსოფლიო ისტორიის საკითხებს. იგი ცდილობდა ევროპისა და აზიის ქვეყნების სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ანალიზისას პარალელები გაევლო ქართულ სინამდვილესთან და ქართული საზოგადოება აღეზარდა იმ სულისკვეთებით, რაც XX საუკუნის საქართველოსათვის სასურველი და აუცილებელი იყო. მთელი თავისი მრავალმხრივი შეგნებული ცხოვრება მან საქართველოს ისტორიის პოპულარიზაციას და კვლევას მოახმარა. იგი როგორც ისტორიკოსი თავისი ნაშრომებით საფუძველს უმზადებდა ქართული მეცნიერული ისტორიოგრაფიის ფორმირებას.

გამოყენებული ლიტერატურა

საარქივო მასალები

1. ივ. ჯავახიშვილის სახ. სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი (სჯმხფ).
ივ. გვარამაძის ფონდი. № 235.
2. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი.
ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლი ფონდი: №263.

მონოგრაფიები და სტატიები

3. აბაშიძე კ., ეტიუდები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. – თსუ, თბილისი, 1962, 452. გვ.
4. აბზიანიძე გ., ნარკვევები XIX საუკუნის ქართული საზოგდოებრივი აზროვნების ისტორიიდან. – „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1959, 500 გვ.
5. ავალიანი ს., გიორგი წერეთლის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა. – „საქართველოს მეცნიერებათა აკადემია“, თბილისი, 1954, 204 გვ.
6. ალხაზაშვილი ი., ჯავახური ლეგენდები. – „მერანი“, თბილისი, 1978. 227 გვ.
7. ჟურნ. „აკაკის კრებული“, №3, 1897.
8. ჟურნ. „აკაკის კრებული“. №3, 1900.
9. ასათიანი ლ., ლიტერატურული წერილები, ნარკვევები. – „მერანი“, თბილისი, 1974, 390 გვ.
10. არდაზიანი ლ., სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი. – „ნაკადული“, თბილისი, 1983, 175 გვ.
11. ბარამიძე რ., ლიტერატურული შტუდიები, – თსუ, თბილისი, 1988, 196 გვ.
12. ბერძენიშვილი ნ.,საქართველოს ისტორიის საკითხებიდან. კრებულში: მრავალთავი. ტ. I,– „საქართველოს მეცნიერებათა აკადემია“, თბილისი, 1964, 500 გვ.
13. ბერძენიშვილი ნ, საქართველოს ისტორიის საკითხები,

ტ. III, –„მეცნიერება“, თბილისი, 1966, 403 გვ.
14. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, – „მეცნიერება“, თბილისი, 1975, 691 გვ.
15. ბერძენიშვილი გ., მასალები XIX საუკუნის I ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, წიგნი I, – „მეცნიერება“, თბილისი, 1980, 301 გვ.
16. გამეზარდაშვილი დ., დიდი მწერალი, გაზ. „კომუნისტი“, თბილისი, №90, 1962.
17. გაფრინდაშვილი მ., ნარკვევები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან. ტ. I,– „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1959, 503 გვ.
18. გაფრინდაშვილი მ., ქართული განმანათლებლობა. – „მეცნიერება“, თბილისი, 1966, 323 გვ.
19. გომართელი ი.,რჩეული თხზულებანი. ტ. I,– „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბილისი, 1966, 438 გვ.
20. გომელაური ი., მღვიმევი,– „მეცნიერება“, თბილისი, 1982, 89 გვ.
21. გორგილაძე ლ.,ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თსუ, თბილისი, 1961, 503 გვ.
22. გორგილაძე ლ., სოციალიზმის ისტორიიდან,– „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1967, 363 გვ.
23. დონაძე ვ., ქართველი სამოციანელები ახალი ისტორიის პრობლემათა შესახებ. – „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1970, 325 გვ.
24. დუმბაძე მ., ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე. – „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1950, 190 გვ.
25. გაზ. „დროება“, №2, 1866.
26. გაზ. „დროება“, №30, 1868.
27. გაზ. „დროება“, №25, 1869.
28. გაზ. „დროება“, №42, 1869.
29. გაზ. „დროება“, №47, 1869.
30. გაზ. „დროება“, №24, 1870.
31. გაზ. „დროება“, №26, 1871.
32. გაზ. „დროება“, №10, 1872.
33. გაზ. „დროება“, №77, 1877.
34. გაზ. „დროება“, №239, 1878.

35. გაზ. „დროება“, №6, 1879.
36. გაზ. „დროება“, №10, 1879.
37. გაზ. „დროება“, №13, 1879.
38. გაზ. „დროება“, №15, 1879.
39. გაზ. „დროება“, №16, 1879.
40. გაზ. „დროება“, №27, 1879.
41. გაზ. „დროება“, №17, 1880.
42. გაზ. „დროება“, №68, 1880.
43. გაზ. „დროება“, №71, 1880.
44. გაზ. „დროება“, №192, 1880.
45. ვარდოსანიძე ს., კონსტანტინოპილის ქართული სკოლა და XIX საუკუნის II ნახევრის საქართველო, ჟურნ. „ისტორია და გეოგრაფია სკოლაში“, თბილისი, №1, 1984, 65-75 გვ.
46. ვარდოსანიძე ს., გიორგი წერეთელი და საქართველოს სიძველენი, ჟურნ. „ისტორია და გეოგრაფია სკოლაში“, თბილისი, №4, 1988, 51-60 გვ.
47. ვარდოსანიძე ს., ახალი დროის საისტორიო მეცნიერება და გიორგი წერეთლის ისტორიული შეხედულებანი, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა XXIII სამეცნიერო სესიის თეზისები,– თბილისი, 1988, 14-15 გვ.
48. ვარდოსანიძე ს., გიორგი წერეთელი და XIX საუკუნის ეროვნული ცნობიერების პრობლემები. ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“, №4, 1989, გვ. 71-75.
49. ვარდოსანიძე ს., გიორგი წერეთელი, როგორც საქართველოს ისტორიის მკვლევარი. საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა საიუბილეო სამეცნიერო სესია. ქ. სოხუმში, თეზისები, თბილისი, 1977, 20-21 გვ.
50. ვართაგავა ი პ., გიორგი წერეთელი. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, თბილისი, № 82, 1959.
51. ვართაგავა ი პ., XIX საუკუნის ქართული ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები. – თსუ, თბილისი, 1957, 123 გვ.
52. ვაშაყმაძე შ., გიორგი წერეთელი და ჟურნალი „კვალი“, კრებულში: ახალი ქართული ლიტერატურის საკითხები, „მეცნიერება“, თბილისი, 1954, 110-145 გვ.

53. ზანდუკელი მ., ახალი ქართული ლიტერატურა. – „ცოდნა“, თბილისი, 1954, 554 გვ.
54. თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის უძველესი დროიდან XX საუკუნემდე. თბილისი, 1902, 844 გვ.
55. თოდუა მ., გიორგი წერეთლის ეკონომიკური შეხედულებანი. – ჟურნ. „საქართველოს კომუნისტური“, თბილისი, № 1, 1959, 111-125 გვ.
56. გაზ. „ივერია“, № 124, 1891.
57. გაზ. „ივერია“, № 5, 1893.
58. გაზ. „ივერია“, № 228, 1893.
59. გაზ. „ივერია“, № 179, 1894.
60. გაზ. „ივერია“, № 1, 1895.
61. გაზ. „ივერია“, № 19, 1895.
62. გაზ. „ივერია“, № 20, 1896.
63. გაზ. „ივერია“, № 9, 1898.
64. გაზ. „ივერია“, № 4, 1900.
65. გაზ. „ივერია“, № 8, 1900.
66. გაზ. „ივერია“, № 22, 1900.
67. იოვიძე ა., გიორგი წერეთელი – მასალები. – ჟურნ. „საისტორიო მოამბე“, თბილისი, 1952, ტ. VI, 177-299 გვ.
68. იოსელიანი ა., საქართველოს ისტორიის პრობლემები და თერგდალეულნი. – „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1972, 349 გვ.
69. კაპანელი კ., ქართული ლიტერატურის სოციალური გენეზისი. – „სახელგამი“, თბილისი, 1931, 281 გვ.
70. კაჭარავა ი., ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები. – „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, თბილისი 1962, 447 გვ.
71. კეკელიძე კ., მოსე ჯანაშვილი. – კრებულში: ძველი ქართული მწერლობის მკვლევარნი, თსუ, თბილისი, 1986, 153-166 გვ.
72. კეკელიძე კ.,ბარამიძე ალ.,ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თსუ, თბილისი, 1987, 494 გვ.
73. გაზ. „კვალი“. №1, 1893.
74. გაზ. „კვალი“. №4, 1893.

75. გაზ. „კვალი“. №5, 1893.
76. გაზ. „კვალი“. №6, 1893.
77. გაზ. „კვალი“. №7, 1893.
78. გაზ. „კვალი“. №11, 1893.
79. გაზ. „კვალი“. №14, 1893.
80. გაზ. „კვალი“. №23, 1893.
81. გაზ. „კვალი“. №25, 1893.
82. გაზ. „კვალი“. №26, 1893.
83. გაზ. „კვალი“. №27, 1893.
84. გაზ. „კვალი“. №29, 1893.
85. გაზ. „კვალი“. №32, 1893.
86. გაზ. „კვალი“. №39, 1893.
87. გაზ. „კვალი“. №49, 1893.
88. გაზ. „კვალი“. №50, 1893.
89. გაზ. „კვალი“. №1, 1894.
90. გაზ. „კვალი“. №9, 1894.
91. გაზ. „კვალი“. №12, 1894.
92. გაზ. „კვალი“. №13, 1894.
93. გაზ. „კვალი“. №26, 1894.
94. გაზ. „კვალი“. №29, 1894.
95. გაზ. „კვალი“. №1, 1895.
96. გაზ. „კვალი“. №2, 1895.
97. გაზ. „კვალი“. №3, 1895.
98. გაზ. „კვალი“. №5, 1895.
99. გაზ. „კვალი“. №8, 1895.
100. გაზ. „კვალი“. №12, 1895.
101. გაზ. „კვალი“. №16, 1895.
102. გაზ. „კვალი“. №20, 1895.
103. გაზ. „კვალი“. №21, 1895.
104. გაზ. „კვალი“. №28, 1895.
105. გაზ. „კვალი“. №39, 1895.
106. გაზ. „კვალი“. №42, 1895.
107. გაზ. „კვალი“. №45, 1895.
108. გაზ. „კვალი“. №49, 1895.
109. გაზ. „კვალი“. №1, 1896.
110. გაზ. „კვალი“. №25, 1896.

111. გაზ. „კვალი“. №1, 1897.
112. გაზ. „კვალი“. №10, 1897.
113. გაზ. „კვალი“. №15, 1897.
114. გაზ. „კვალი“. №17, 1897.
115. გაზ. „კვალი“. №18, 1897.
116. გაზ. „კვალი“. №20, 1897.
117. გაზ. „კვალი“. №26, 1897.
118. გაზ. „კვალი“. №40, 1897.
119. გაზ. „კვალი“. №44, 1897.
120. გაზ. „კვალი“. №5, 1898.
121. გაზ. „კვალი“. №18, 1898.
122. გაზ. „კვალი“. №5, 1899.
123. გაზ. „კვალი“. №11, 1899.
124. გაზ. „კვალი“. №3, 1900.
125. გაზ. „კვალი“. №4, 1900.
126. გაზ. „კვალი“. №15, 1900.
127. გაზ. „კვალი“. №25, 1900.
128. კიკვაძე ა.,საქართველოს ისტორია XIX-XX საუკუნეებში. –თსუ თბილისი, 1959, 419 გვ.
129. კიკვაძე ა., XIX საუკუნის ქართული ქართული ისტორიული აზროვნება. კრებულში: მასალები კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვეთი 29, „მეცნიერება“, თბილისი, 1951, 1-19 გვ.
130. კიკვაძე ა., გაზეთი „კვალი“ (1893-1904 წწ). თსუ, თბილისი, 1969, 162 გვ.
131. კოტეტიშვილი ვ., რჩეული ნაწერები. ტ. II. – „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1967, 571 გვ.
132. კოჭლავაშვილი ა., გიორგი წერეთელი და ჭალის ნავთობის საკითხი. ჟურნ. „მნათობი“, თბილისი, № 9, 1962, 125-140 გვ.
133. ჟურნ. „კრებული“, №2, 1871.
134. ჟურნ. „კრებული“, №5, 1871.
135. ჟურნ. „კრებული“, №6, 1872.
136. ჟურნ. „კრებული“, №7, 1872.
137. ჟურნ. „კრებული“, №8, 1872.
138. ჟურნ. „კრებული“, №9, 1872.

139. ჟურნ. „კრებული“, №2, 1873.
140. ჟურნ. „კრებული“, №3, 1873.
141. ჟურნ. „კრებული“, №4, 1873.
142. ჟურნ. „კრებული“, №5, 1873.
143. ჟურნ. „კრებული“, №6, 1873.
144. ლასხიშვილი გ., მემუარები, – თფილისი, 1934, 306 გვ.
145. ლეკვეიშვილი შ., დიდი ქართველი მწერალი. გაზ. „სოფლის ცხოვრება“, №52. 1962.
146. ლიტერატურული მემკვიდრეობა. – თსუ, თბილისი, 1935, 672 გ.
147. ლომაშვილი ფ., გეგეშიძე ზ., მარქსიზმ-ლენინიზმის გავრცელება საქართველოში, – „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1986, 458 გვ.
148. ლომიძე გ., დრამის თეორია XIX საუკუნის ქართული მხატვრულ კრიტიკასა და ესთეტიკურ ნააზრევში. – „მეცნიერება“. თბილისი, 1984, 160 გვ.
149. მამულია გ., კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში. – „მეცნიერება“, თბილისი, 1979, 192 გვ.
150. მანსვეტაშვილი ი., მოგონებები. – „მერანი“, თბილისი, 1985, 182 გვ.
151. მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის. – თსუ. თბილისი, 1934, 327 გვ.
152. მახარაძე ა., ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. I, –„განათლება“, თბილისი, 1952, 471 გვ.
153. მენაბდე ლ., გიორგი წერეთელი. კრებულში: „ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევარნი. – თსუ, თბილისი, 1986, 104-112 გვ.
154. მესხი ს., რჩეული ნაწერები, თბილისი, 1903, 533 გვ.
155. მესხია შ., თეიმურაზ ბატონიშვილი. – „მეცნიერება“, თბილისი, 1982, 61 გვ.
156. მეძველია კ., თერგდალეულები და რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციონერი მოღვაწენი. ნაწილი I. – „ცოდნა“, თბილისი, 1959, 352 გვ.
157. მეძველია კ., გიორგი წერეთელი კრეტის აჯანყების შესახებ. ჟურნ. „სიტყვა და საქმე“. №6, 1934.

158. ჟურნ. „მოამბე“, I, 1900.
159. ნადირაძე გ., ნიკოლოზ ურბნელი საქართველოს ისტორიის მკვლევარი. – თსუ, 1973, 158 გვ.
160. ნატროშვილი გ., ლიტერატურული ეტიუდები. – „კომუნისტი“, თბილისი, 1947, 290 გვ.
161. ნიკოლაძე ნ., რჩეული ნაწერები. ტ. I. – „ფედერაცია“, თბილისი, 1931, 454 გვ.
162. ნიკოლაძე ნ., რჩეული ნაწერები. ტ. IV. – „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1963, 614 გვ.
163. რადიანი შ., ლიტერატურული მემკვიდრეობა. თბილისი, 1948, 296 გვ.
164. რატიანი პ., რჩეული ნაწერები. ტ. I – „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1984, 407 გვ.
165. სალუქვაძე შ., გიორგი წერეთელი თეატრის შესახებ. – „ხელოვნება“, თბილისი, 1955, 248 გვ.
166. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. I – „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1970, 814 გვ.
167. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV,– „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1973, 1003 გვ.
168. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. V,– „საბჭოთა საქართველო“, 19780, 863 გვ.
169. ჟურნ. „საქართველოს მოამბე“, №5. 1863.
170. სიდამონიძე ვ., გიორგი წერეთლის ერთი უცნობი სიტყვა. ჟურნ. „საბჭოთა სამართალია“, თბილისი, № 4, 1962, 10-15 გვ.
171. სიხარულიძე ქ., გიორგი წერეთელი და ხალხური სიტყვიერება. კრებულში: ლიტერატურული ძიებანი. – „მეცნიერება“, თბილისი, ტ. XV, 1963, 215-235 გვ.
172. სურგულაძე ა., ივანე ჯავახიშვილი. – თსუ, თბილისი, 1976, 47 გვ.
173. სურგულაძე ა., ნარკვევები ქართული ინტელიგენციის ისტორიიდან . „მეცნიერება“, თბილისი, 1980, 394 გვ.
174. ფანცხავა ი., რჩეული ნაწერები. – „მერანი“, თბილისი, 1980, 240 გვ.
175. ფანცხავა რ.,რჩეული ნაწერები. – „ცოდნა“, თბილისი, 1963, 527 გვ.

176. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I, „სახელგამი“, თბილისი, 1955, 464 გვ.
177. ქართლის ცხოვრება, ტ. II, – „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1959, 702 გვ.
178. ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი. ტ. II – „მეცნიერება“, თბილისი, 1980, გვ. 229.
179. ქიქოძე გ., ეტიუდები და პორტრეტები. – „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, 1958, 355 გვ.
180. შატბერდის კრებული. – „მეცნიერებას“, თბილისი, 1979, 427 გვ.
181. შენგელაია დ., წერილები. – „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, 1955. გვ. 286.
182. ჩავლეიშვილი ა., ლიტერატურისა და თეორიის საკითხები. – „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1960, 296 გვ.
183. გაზ. „ცნობის ფურცელი“, № 1014, 1900.
184. ცხადაძე ქ., პლატონ იოსელიანი. კრებულში: „ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევარნი. თსუ, თბილისი, 1986, 36-57 გვ.
185. ცხაკაია მ., შესავალი წერილი ე. ნინოშვილის თხზულებებისათვის. ე. ნინოშვილი. თხზულებანი, ტ. II, თბილისი, 1923, 417 გვ.
186. წერეთელი ა.,მისალმება არქეოლოგთა V ყრილობისადმი. თხზულებანი, ტ. VI, – „სახელგამი“. თბილისი, 1956, 411 გვ.
187. წერეთელი გ.,არანკა ჰერცოგოვინას ქალი. – ტფილისი, 1876, 92 გვ.
188. წერეთელი გ., ჩვენი ძველი გმირები. – ტფილისი, 1898, 104 გვ.
189. კრებული: გიორგი წერეთელი. – ტფილისი, 1900, 185 გვ.
190. წერეთელი გ.,პუბლიცისტური წერილები. თხზულებათა სრული კრებული, ტ. I – „ქართული წიგნი“, ტფილისი. 1931, 454 გვ.
191. წერეთელი გ., რჩეული ნაწერები. ტ. I. – „სახელმწიფო გამომცემლობა“, თბილისი, 1947, 554 გვ.
192. წერეთელი გ., რჩეული ნაწერები. ტ. II – „სახელმწიფო გამომცემლობა“, თბილისი, 1948, 525 გვ.

193. წერეთელი გ., ღვთისწაყლობა. – ტფილისი, 1925, 31 გვ.
194. წერეთელი გ., წერილი ე. ნინოშვილს. ნინოშვილი ე., ტ. II, თბილისი, 1923, 414-415 გვ.
195. წულუკიძე ა., ღია წერილი ბ-ნ გიორგი წერეთელს. თხზულებანი, – „საბჭოთა საქართველო“. თბილისი, 1967, 427 გვ.
196. ჭავჭავაძე ი., გიორგი წერეთელს. „საქართველოს კალენდარი“, ტფილისი, 1897, 496 გვ.
197. ჭავჭავაძე ი., ასის წლის წინათ. თხზულებანი, ტ. IV, – „სახელგამი“, თბილისი, 1955, 410 გვ.
198. ჭავჭავაძე ი., ერი და ისტორია. თხზულებანი, ტ. IV, – „სახელგამი“, თბილისი, 1955, 410 გვ.
199. ჭილაია ა., გიორგი წერეთელი. – „ცოდნა“, თბილისი, 1964, 514 გვ.
200. ჭოლოკავა ნ., გიორგი წერეთლის ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებანი“, ჟურნ. „მაცნე“, №3, 1964.
201. ჭონქაძე დ., სურამის ციხე, „ნაკადული“, თბილისი, 1982, 91 გვ.
202. ჭურღულია ო., ნარკვევები ქართულ-აფხაზური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან. ტ. I – სოხუმი. 1974. 283 გვ.
203. ხანთაძე შ., ბადრიძე შ., საქართველოს წარსულის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ჟურნ. „მნათობი“, № 14, 1964.
204. ხახანაშვილი ა., ქართული სიტყვიერების ისტორია. – ტფილისი, 1917, 332 გვ.
205. ხუნდაძე ს., სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში – „სახელგამი“, ტფილისი, 1927, 248 გვ.
206. ხუნდაძე ს., ნარკვევები. – „ფედერაცია“. თბილისი, 1949, 409 გვ.
207. ჯანაშია ლ., ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ – „მეცნიერება“. თბილისი, 1962, 282 გვ.
208. ჯაგოდნაშვილი ო., ქართული ფოლკლორისტიკის სათავეებთან. – „მეცნიერება“, თბილისი, 1986, 242 გვ.
209. ჯიბლაძე გ., კრიტიკული ეტიუდები. წიგნი I – „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1958, 460 გვ.
210. გაზ. „Голос“, № 297, 1877.

211. ᲒᲐᲖ. „Голос“, № 87, 1878.

212. Древности восточныя (труды восточной комисии императорского Московского археологического общества. Под ред. М. В. Никольского. Т. I, Москва, 1891, 281 с.).

213. Материалы археологии Кавказа. Вып. № I, под ред. графини Уваровой. Москва, 136 ст. 1898 г.

დამატება
დისერტაციის დაცვის ისტორიიდან
ა) დაცვის წინარე სხდომა

1989 წლია 4 ივლისს შედგა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორისს, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ახალი ისტორიის განყოფილების სხდომა.

სხდმას ესწრებოდნენ: პროფ. გრ. მარგიანი, ავ. იოსელიანი, ისტ. მეცნ. დოქტორები ა. ათანელიშვილი, ო. ჟორდანია, ისტ. მეცნ. კანდიდატები: დ. ჭუმბურიძე, ნ. პაპავა, თ. გიცბა, ნ. ნაცვლიშვილი, ლ. წინამძღვრიშვილი, ჯ. ლომაშვილი, ე. ბუბულაშვილი, ლ. ჩიქოვანი, ა. ასათიანი, უმცროსი მეცნ. თანამშრომლები: თ. შაკიაშვილი, ა. კოხრეიძე, დისერტანტი ს. ვარდოსანიძე.

დღის წესრიგი:

1. ისტ. მეცნ. კანდიდატის ე. ბუბულაშვილის რეცენზია ს. ვარდოსანიძის საკვალიფიკაციო ნაშრომზე „გიორგი წერეთელი და საქართველოს ისტორიის პრობლემები“.

მოისმინეს: დისერტანტ ს. ვარდოსანიძის მოხსენება. მან მოკლედ დაახასიათა ნაშრომის მიზანი და ამოცანები, მიმოიხილა საკითხის ისტორიოგრაფია და წყაროთმცოდნეობითი ბაზა; მომხსენებელმა თეზისების სახით გადმოსცა ნაშრომში განხილული ძირითადი საკითხები, კერძოდ: გიორგი წერეთელის შეხედულება ძველი, შუა და XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის წყაროებისა და პრობლემების შესახებ, ბატონყმური წყობილებისა და ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა შესახებ და ა. შ.

მოისმინეს: ისტორიის მეცნ. კანდიდატის ე. ბუბულაშვილის რეცენზია აღნიშნულ ნაშრომზე (რეცენზია ერთვის ოქმს).

აზრი გამოთქვეს: ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა თ. გიცბამ. მან აღნიშნა, რომ ს. ვარდოსანიძის დისერტაცია სერიოზული მონოგრაფიული გამოკვლევაა გ. წერეთლის შესახებ. ჩანს, რომ დისერტანტს კარგად უმუშავია, რასაც ამტკიცებს ის სერიოზული ისტორიოგრაფიული მიმოხილვა

და წყაროთმცოდნეობითი ბაზა, რასაც ემყარება ნაშრომი. არანაკლებ საინტერესოა ავტორის მიერ გაკეთებული დასკვნები. უეჭველია, რომ ს. ვარდოსანიძის ნაშრომი იმსახურებს წარდგენას სამეცნიერო საბჭოს წინაშე.

ისტორიის მეცნ. კანდიდატმა ლ. ეძგვერაძემ აღნიშნა, რომ მკვლევარს საინტერესო თემისათვის მოუკიდია ხელი, მართლაც,ძალიან საინტერესოა ჩვენი მწერლების მოღვაწეობა გაშლილი განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ქართველი ერის ბრძოლის პერიოდში. ამ თვალსაზრისით,თემა უაღრესად აქტუალურია დღეისათვისაც.

მხარს ვუჭერ რეცენზენტს და მიმაჩნია,რომ ს. ვარდოსანიძე იმსახურებს ძიებულ ხარისხს.

ისტორიის მეცნ. დოქტორმა გრ. მარგიანმა აღნიშნა, რომ დისერტანტი გამოირჩევა თავისი აქტუალური მოქალაქეობრივი პოზიციით როგორც პედაგოგი და საზოგადოებრივი მუშაკი, იგი ხშირად გამოდის პრესით, ტელევიზიით. მთავარი კი ისაა, რომ თავისი ნაშრომით ს. ვარდოსანიძე ღირსეულად ავსებს ხარვეზს ქართულ ისტორიოგრაფიაში და ამდენად იძლევა სრულ საფუძველს, რომ ნაშრომს „ქართული განმანათლებლურ-დემოკრატიული ისტორიოგრაფიისათვის (გიორგი წერეთელი და საქართველოს ისტორიის საკითხები) მიენიჭოს ძიებული ხარისხი.

განყ. გამგე. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი	
პროფესორი	გრიგოლ მარგიანი
განყ. მდივანი	მანანა ხომერიკი

ბ) 1989 წლის 17 ნოემბერი. დაცვა.
დისერტანტ სერგო ვარდოსანიძის სიტყვა

პატივცემულო სამეცნიერო საბჭოს წევრებო! ჩემი გამოსვლა სპეციალიზირებული საბჭოს წინაშე მოკრძალებულ ხასიათს ატარებს. მოკრძალებულია ის წვლილიც,რომელიც მიმიძღვის „თერგდალეული გიორგი წერეთელი და საქართველო ისტორიის პრობლემები“. თემის გაშუქებაში.

XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების ერთ-ერთ თვასაჩინო წარმო–მადგენელს, გ. წერეთელს საზოგადოება იცნობს, როგორც მწერალსა და პუბლიცისტს,მაგრამ მას არანაკლები წვლილი მიუძღვის ქართული ისტორიული მეცნიერების წინაშეც.

შემთხვევითი არ იყო გ. წერეთლის დაინტერესება საქართველოს ისტორიის საკითხებით, მას ი. ჭავჭავაძესთან ერთად ეროვნული ცნობიერების ამაღლების ერთ-ერთ პირობად სამშობლოს ისტორიის ზედმიწევნით ცოდნა მიაჩნდა. ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის დროს დამოუკიდებლად ეცნობოდა ქართულ საისტორიო წყაროებს, მეცნიერულ მონოგრაფიებს. მან ეს მუშაობა პეტერბურგის უნივერსიტეტში გააგრძელა, სტუდენტობის წლებში გაეცნო ცნობილი რუსი და ევროპელი ისტორიკოსების ნაშრომებს, დაეუფლა ისტორიული მეცნიერების კვლეის მეთოდებს.

თერგდალეულნი, ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, პ. ლორთქიფანიძე, ს. მესხი როცა სამშობლოში დაბრუნდნენ საოცარი კონტრასტის მოწმენი გახდნენ. თუ პეტერბურგსა და მოსკოვში ა. გერცენის, ბ. ბელინსკის, ნ. ჩერნიშევსკის იდეებით ანთებული ახალგაზრდობა ბობოქრობდა, სამშობლოში ყველაფერი მიძინებულიყო.

გ. წერეთელმა მის მიერვე დაარსებულ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში: „კრებული“, „დროება“, „სასოფლო გაზეთი“, „კვალი“ ხალხისათვის გასაგები ენით დაიწყო საქართველოს ისტორიის საკითხების გაშუქება,რითაც გარკვეული წვლილი შეიტანა ხალხის გათვითცნობიერების საქმეში. იგი რუსული, ევროპული მეცნიერების მიღწევათა გააზრების საფუძველზე ცდილობდა სწორად დაენახა ქართული საისტორიო მეცნიერების მიღწევებიც და ნაკლოვანებებიც.

გ. წერეთელია დ. ბაქრაძესთან ერთად ერთ-ერთმა პირველმა მიუთითა ქართული საისტორიო წყაროების უცხოურთან შედარებით და კრიტიკულად გამოცემის აუცილებლობაზე. მან არქეოლოგიური მონაცემების უქონლობის გამო ძველი საქართველოს ისტორიის აღდგენა სცადა ასურეთ-ბაბილონის ისტორიასთან შედარებითი მეთოდის გამოყენებით, მაგრამ როგორც თავის წინამორბედ ქართველ ისტორიკოსებს

საყვედურობდა, თვითონაც დაიბნა. ამ შედარებების დროს მასალის სიმცირისა და წყაროთა კრიტიკული განხილვის დროს.

გ. წერეთელმა როგორც მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების წევრმა –ში და -ში გამოაქვეყნა საინტერესო გამოკვლევანი საქართველოს ისტორიის საკითხებზე და რუსულენოვან მკითხველთათვის საცნაური გახადა ისინი. მანვე აღმოაჩინა და წაიკითხა სამი ლაპიდარული წარწერა გელათის მოანსტრის კედლებზე.

იგი საქართველოს ისტორიის საკითხებზე გამოქვეყნებულ წერილებში ცდილობდა ხელოვნების ისტორიის,ეთნოგრაფიის, ხალხური ზეპირსიტყვიერების მონაცემების სწორად გააზრებას და ბევრ შემთხვევაში წარმატებითაც ახერხებდა მას.

გ. წერეთელი მრავალსაუკუნოვან საქართველოს ისტორიაში ყოფნა-არყოფნისათვის ბრძოლაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გეოგრაფიული გარემოს როლს. ბუნებრივ-თავდაცვით ზღუდეებს, რომელიც გაჭირვების ჟამსა ხალხს მხსნელად მოევლინებოდა. იგი გარკვეულ პრეტენზიებს უყენებდა „ქართლის ცხოვრების“ ცნობებს, მაგრამ ბევრ შემთხვევაში მის მონაცემებს ვერ ცილდებოდა.

გ. წერეთელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა XIX საუკუნის მსოფლიო ისტორიის საკვანძო საკითხებს, უკავშირებდა მას საქართველოს ისტორიას. მან როგორც დემოკრატმა და განმანათლებელმა გააკრიტიკა „კუდმოკვეცილი „საგლეხო რეფორმა“. როგორც „შეუფერავმა რეალისტმა“ კარგად დაინახა ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის პროგრესული და უარყოფითი მხარეები და თავის პუბლიცისტურ წერილებში, მოთხრობებსა და ისტორიულ ნარკვევებში სცადა იმ წინააღმდეგობრივი პროცესების ჩვენება, რაც ამ ახალ ურთიერთობებს ახასიათებდა. მისი დასკვნებიც წინააღმდეგობრივი იყო, რაც უეჭველია ეპოქის წინააღმდეგობრივი განვითარებიდან გამოსჭვიოდა.

გ. წერეთელი აღიზარდა XIX საუკუნის 60-იან წლების პეტერბურგის რევოლუციურ-დემოკრატიულ ტრადიციებზე,იგი მხურვალე დამცველი იყო ყოველივე სიახლისა. საქართველოს

უკეთესი მომავალი დაუკავშირა ახალი ურთიერთობას, მაგრამ ბურჟუაზიული ცხოვრების პრინციპი გ. წერეთლის პრინციპთან – ყველა თავისი პატიოსანი შრომითა უნდა მდიდრდებოდესო – შეუთავსებელი აღმოაჩნდა.

ამ შემთხვევაში იმედგაცრუებულმა გ. წერეთელმა მზერა რევოლუციურ ახალგაზრდობას მიაპყრა, გარეგნულად ისეთი შთაბეჭდილება შექმნა, რომ იგი თითქოს მარქსიზმსაც აღიარებდა, მაგრამ სინამდვილეში ბოლომდე ეროგული დარჩა იმ პრინციპებისა; რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს თერგდალეულებმა. და მათმა უპირველესმა წარმომადგენელმა გ. წერეთელმა.

გ. წერეთელს კარგად ესმოდა თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთ-თურქეთის 1877-78 წ.წ. ომში აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნებას. მას ეკუთვნის შესანიშნავი ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, რომელიც ამ საკითხებს ეხებოდა და ქვეყნდებოდა გაზეთში.

გ. წერეთელი მხურვალე დამცველი იყო ამიერკავკასიის ხალხების მეგობრობისა, სწამდა რომ ეს ხალხები ერთმანეთის მეგობრობით აშენდებიან, მტრობით დაიქცევიანო.

ამ მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებულ კაცს ერთი დღე არ მოუსვენია. ეძიებდა და ჰპოვებდა, მან დაღუპვას გადაარჩინა არა ერთი ისტორიული დოკუმენტი. რითაც გარკვეული წვლილი შეიტანა XIX საუკუნის 90-იან წლებში მეცნიერული ქართული ისტორიოგრაფიის საფუძვლების მომზადების საქმეში.

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომში საკვლევად აღებული საკითხების გაშუქებისას გათვალისწინებული გვაქვს ის ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობდა, რაც დღემდე შეიქმნა ჩვენი საკვლევი ხანის შესახებ.

ასეთია მოკლედ ის სიახლე, რაც წარმოდგენილ ნაშრომში გვაქვს მოცემული. თუ რამდენად ღირებულია ჩვენი დასკვნები ამას პატივცემული ოპონენტები მოგახსენებენ.

სიტყვა ეძლევა ი. მ. დ. პროფ. ვ.გ. მაჭარაძეს.

ი.მ.დ. პროფ. ვ.გ. მაჭარაძე – დღეს აქ განსახილველად წარმოდგენილი შრომის ავტორმა სერგო ვარდოსანიძემ საინტერესოდ წარმოაჩინა XIX საუკუნის II ნახევრის

ქართული განმანათლებულრ-დემოკრატიული ისტორი–ოგრაფიის ღირსება-ნაკლოვანებანი. გიორგი წერეთლის დამსახურება საქართველოს ისტორიის კვლევა-ძიებისა და პოპულარიზაციის საქმეში. ნაშრომში სწორადაა გააზრებული, რომ გ. წერეთლის ხარვეზები საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის, წყაროების გამოყენებისა თუ ურთიერთშეჯერების საქმეში. XIX საუკუნის II ნახევრის ქართული ისტორიოგრაფიის ხარვეზები იყო. ნაშრომში კარგად არის ნაჩვენები გ. წერეთლის არქეოგრაფიული საქმიანობა. ეკლესია-მონასტრების ნესტიან სარდაფებში უპატრონოდ მიტოვებული ქართული საისტორიო წყაროების შესწავლისა და მიმოქცევაში შემოტანის საქმეში. ნაშრომიდან კარგად სჩანს ისიც, რომ გიორგი წერეთელი საქართველოს ისტორიის საკითხებზე მუშაობისას საქართველოს ისტორიას მსოფლიოს ისტორიის შემადგენელ ნაწილად თვლიდა და ცდილობდა პარალელები დაეძებნა ზოგადი ისტორიული კანონზომიერებისა და სპეციფიკური ეროვნული პროცესების სწროად გააზრებისათვის. გ. წერეთლის პროგრესიულ-დემოკრატიულ-განმანათლებლური იდეები, რომელიც საფუძვლად დაედო კვლევის მისეული მეთოდს სათავეს იღებდა XIX საუკუნის 60-იანი წლების პეტერბურგის მშფოთვარე რევოლუციური ცხოვრებიდან, სადაც ნ. ჩერნიშევსკის, ნ. დობროლიუბოვის გავლენას განიცდიდა სტუდენტი გ. წერეთელი ნაშრომში დამაჯერებლად სათანადო მასალის მოხმობით ნაჩვენებია ყოველივე ეს.

მიმაჩნია, რომ დისერტანტი ს.ს. ვარდოსანიძე იმსახურებს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ძიებულ ხარისხს.

თავმჯდომარე: სიტყვა ეძლევა სპეციალიზირებული საბჭოს წევრს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ფარნაოზ ნიკოლოზის ძე ლომაშვილს. ი.მ.დ. პროფ. ფ.ნ. ლომაშვილი – წარმოდგენილი დისერტაცია მაღალ მეცნიერულ დონეზეა შესრულებული. ამაში ნაშრომის გაცნობისთანავე დარწმუნდებით. ნაშრომის განსაკუთრებული ღირსება ის არის, რომ დისერტანტი გ. წერეთლის მრავალრიცხოვანი გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი წერილების, გამოკვლევების ანალიზის საფუძველზე კარგად

აღადგენს XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოს რთულ, წინააღმდეგობრივ ეპოქას.

დისერტანტი აჩვენებს გ. წერეთლის დამოკიდებულებას საგლეხო რეფორმისადმი. მის განსხვავებულ აზრს ეროვნული ბურჟუაზიის მომავლის შესახებ XIX საუკუნის II ნახევარში, ხალხთა მეგობრობის,,,დასების თეორიაზე". კარგად აჩვენებს, რომ გ. წერეთლის გატაცება რევოლუციური ახალგაზრდობის ახალი იდეოლოგიით მაინც გარეგნულ ხასიათს ატარებდა და შინაგანად იგი ეროგული დარჩა იმ პრინციპებისა, რომელიც თერგდალეულებმა შეიმუშავეს XIX საუკუნის 60-იან წლებში. ამ დებულების გასამაგრებლად დისერტანტი მარჯვედ იშველიებს ს. ქვარიანის მანამდე უცნობ მოგონებას და გ. წერეთლის წერილს ე. ნინოშვილისადმი. ამ მასალების შეჯერების საფუძველზე დისერტანტი გ. წერეთლის როგორც ბელეტრისტის შემოქმედებას უმატებს გ. წერეთლის როგორც განმანათლებელ-დემოკრატი ისტორიკოსის შემოქმედებას და კიდევ უფრო მრავალმხრივ წარმოაჩენს მას ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში.

ს.ს. ვარდოსანიძის სახით ქართული ისტორიული მეცნიერება ნიჭიერ, შრომისმოყვარე და კეთილსინდისიერ მკვლევარს იძენს, იგი იმსახურებს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ძიებულ ხარისხს.

თავმჯდომარე: სიტყვა ეძლევა სპეციალიზირებული საბჭოს წევრს,ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს,პროფესორ ავთანდილ იოსელიანს.

ი.მ.დ., პროფ. ა. იოსელიანი – პატივცემულო ამხანაგებო! ყურადღებით გავეცანი დისერტაციის ავტორეფერატსა და დღეს აქ განსახილველად წარმოდგენილ შრომას. XIX საუკუნის II ნახევრის ქართული განმანათლებლურ-დემოკრატიული ისტორიოგრაფიის პრობლემები თითქოს შესწავლილია. ქართულ ისტორიოგრაფიაში გიორგი წერეთლის შემოქმედებაც არაერთი მკვლევარის ყურადღების ცენტრში იყო ჩვენი საუკუნის 20-30-იანი წლებიდან, დღემდე, მაგრამ დისერტანტმა კარგად გაიაზრა რა ქართული ისტორიოგრაფიაში ამ მიმართებით არსებული ხარვეზი და მიზნად დაისახა მისი გამოსწორება. გიორგი წერეთელი

ერთნაირი გატაცებით იკვლევდა საქართველოს უძველეს და შუა საუკუნეების ისტორიის პრობლემებს, ხალხურ სიტყვიერებას, მითოლოგიას. დისერტანტი კარგად ამჩნევს გ. წერეთლის პოზიციას იკვლიოს საქართველოს ისტორიის ის პერიოდები, რომლებზეც მასალის სიმცირეა და ნაკლებ ცნობილია ქართველი საზოგადოებისათვის. თუ როგორ ახერხებს იგი ამას ეს სხვა საკითხია, მაგრამ საკითხის ასე გააზრება მართებული იყო.

გიორგი წერეთელი XVIII საუკუნის 70-90-იანი წლების საქართველოს ისტორიის საკითხებზე მსჯელობისას იყენებდა ზეპირგადმოცემებს, ადარებდა საისტორიო წყაროებს და ამით იგი საინტერესო თხრობის ფორმას აძლევდა მას. დისერტანტი ს. ვარდოსანიძე ფაქტების სწორი გააზრებით აჩვენებს გ. წერეთლის კვლევის როულ, მაგრამ საინტერესო გზას. ვშუამდომლობ სპეციალიზებული საბჭოს წინაშე, რათა დისერტანტის ნაშრომი ცალკე გამოქვეყნდეს მონოგრაფიის სახით. მიმაჩნია, რომ ს. ვარდოსანიძე იმსახურებს ძიებულ ხარისხს.

თავმჯდომარე: არის ვინმე მსურველი სპეციალიზირებული საბჭოს წევრთაგან. მსურველი არავინაა.

ვის სურს აზრის გამოთქმა?

სიტყვა ეძლევა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, კარლო ტაბატაძეს. კ. ტაბატაძე – პატივცემულო თავმჯდომარევ! პატივცემულო სპეციალიზირებული საბჭოს წევრებო! ჩვენი დღევანდელი დისერტანტი ჯერ ჯიდევ სტუდენტობის დროს გამოირჩეოდა ორიგინალური აზროვნებითა და სიახლეთა ძიების უნარით. სტუდენტობის დროს მოჰკიდა ხელი სადისერტაციო ნაშრომის ცალკეული თავების დამუშავებას, აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტთა რესპუბლიკურ და საკავშირო სამეცნიერო კონფერენციებში. იგი არის სანიმუშო მოქალაქე, საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი. არჩეული იყო საქართველოს სახალხო განათლების მუშაკთა VI და საკავშირო სახალხო განათლების მუშაკთა I ყრილობის დელეგატად. მას ტელევიზიით მიჰყავს სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის სასკოლო კურსი. ყოველივე ამას შესანიშნავად უხამებს მეცნიერულ მუშაობას, რომლის

დასტურია დისერტანტის დღევანდელი ნაშრომი.

მიმაჩნია, რომ იგი ღირსია ძიებული ხარისხის მინიჭებისა. თავმჯდომარე: სიტყვა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს, კოტე ჩოლოყაშვილს.

ი.მ.კ. კ. ჩოლოყაშვილი – პატივცემულო სპეციალიზირებული საბჭოს წევრებო! მე როგორც ეთნოგრაფმა განსაკუთრებული ყურადღება მივაქციე დისერტანტის მიერ აქ განსახილველად წარმოდგენილი ნაშრომის იმ ნაწილს, რომელიც გიორგი წერეთლის ღვაწლს წარმოაჩენს ეთნოგრაფიული მასალების შეკრებისა და პოპულარიზაციის საქმეში. დისერტანტი სწორად შენიშნავს, რომ მისი ეთნოგრაფიული წერილები „მთიულნი“, „დამისთევა“, „ბატონები“, „ყეენობა“, „ბერიკაობა“ ზუსტად გადმოგვცემს XIX საუკუნეში როგორ სრულდებოდა ეს დღესასწაულები. გიორგი წერეთელი როგორც მწერალი კარგად იყენებს თავის მხატვრულ პროზაში ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მასალებს. სწორად შენიშნავს იმ არსებითი ხასიათის ცვლილებებსაც, რომელიც XIX საუკუნის ქართულ ადათ-ჩვეულებში შეიმჩნეოდა. გიორგი წერეთელი როგორც საქართველოს ეთნოგრაფიის მკვლევარი ცალკე სადისერტაციო თემა შეიძლება გახდეს, მაგრამ ზოგადად იმდენად სრულყოფილად არის ამ საკითხებზე მსჯელობა განსახილველ ნაშრომში,რომ წუნს ვერ დასდებ. მიმაჩნია რომ ავტორი იმსახურებს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ძიებულ ხარისხს.

თავმჯდომარე: არის გამოსვლის მსურველი? არა. მაშინ რამდენიმე სიტყვას მეც მოგახსენებთ. მტკიცება არ უნდა იმას, რომ ს. ვარდოსანიძის სადისერტაციო ნაშრომის სახიღ ჩვენ საქმე გვაქვს სერიოზულ გამოკვლევასთან, რომელიც სულ სხვა ასპექტით წარმოაჩენს XIX საუკუნის II ნახევრის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის გიორგი წერეთლის შემოქმედებას. ამ კუთხით შესასწავლია არაერთი გამოჩენილი მოღვაწის საქმიანობა, რაც საშუალებას მოგვცემს უფრო სრულად გავიაზროთ ის დიდი პროცესები, რომლებმაც საფუძველი მოუმზადეს ქართულ ისტორიოგრაფიაში ივ. ჯავახიშვილის ისტორიოგრაფიულ მოღვაწეობას.

ჩვენ მოვისმენთ ოფიციალურ ოპონენტების გამომსვლელების დასკვნები, დისერტანტის პასუხები გამოთქმულ შენიშვნებზე. კამათი დამთავრებულია.

პატივცემულო საბჭოს წევრებო! საჭიროა მივიღოთ დასკვნა წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომზე. დასკვნის პროექტი საბჭოს წევრებს დაგირიგდათ დაცვის დაწყებამდე. როგორი შესწორებული და დამატებები გაქვთ საბჭოს წევრებს?

შესწორებები და დამატებები არ არის.

დასკვნის პროექტი ღია კენჭისყრით მიღებულია ერთხმად.

სწავლული მდივანი პროფ. ცეცილია კალანდაძე – კითხულობს სპეციალიზირებული საბჭოს დასკვნას:

დასკვნა

სერგოს ვარდოსანიძის მიერ წარმოდგენილი ნაშრომის აქტუალობა უდავოა. გ.ე. წერეთელი XIX საუკუნის II ნახევრის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. ართველი საზოგადოება მას იცნობს როგორც ნიჭიერ ბელეტრისტსა და აქტიურ საზოგადო მოღვაწეს, მაგრამ რატომღაც ისე მოხდა, რომ არავინ მიაქცია ყურადღება XIX საუკუნის II ნახევრის ქართულ და რუსულ პერიოდულ გამოცემებში მოთავსებულ გ.ე. წერეთლის წერილებს, რომლებიც შეეხება საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიის, პალეოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის პრობლემებს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ფ. მახარაძე ერთ მცირე მოცულობის სტატიაში შეეხო გ. წერეთლის ღვაწლს ამ მიმართებით. მართალია ისეთი ნიჭიერი მკვლევარები, როგორებიც იყვნენ ს. ხუნდაძე, ა. კიკვიძე თვლიდნენ, რომ გ. წერეთლის ისტორიოგრაფიული ხასიათის წერილების შესწავლა ქართული ისტორიოგრაფიის საშური საქმე იყო, მაგრამ საქმე წინ არ წასულა. ამდენად ს.ს. ვარდოსანიძის მიერ გ. წერეთლის ისტორიოგრაფიული ღვაწლისა და ქართული

განმანათლებლურ-დემოკრატიული ისტორიოგრაფიის დადე–ბითი და უარყოფითი მომენტების ჩვენება ავსებს XIX საუკუნის II ნახევრის ქართული ისტორიოგრაფიის ხარვეზს და სრულად ზოგ შემთხვევაში ახლებურად წარმოაჩენს გიორგი წერეთლის განმანათლებლურ-დემოკრატიულ შეხედულებებს. დისერტანტმა ქართული და რუსული პერიოდული პრესაში გაბნეული მასალების გარდა მოიძია საარქივო დოკუმენტებიც აჩვენა XIX საუკუნის II ნახევრის ქართული ისტორიოგრაფიის ინტერესთა მრავალმხრივობა, წარმოაჩინა გირგი წერეთლის როგორც ისტორიკოსის დამოკიდებულება ქართული, სომხური, ბიზანტიური საისტორიო წყაროებისადმი. აჩვენა მისი არქეოლოგრაფიული ღვაწლი მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების შრომებში გამოქვეყნებული კვალიფიციური გამოკვლევებით თბილისში არქეოლოგთა ყრილობის მოწვევის საქმეში. სრულიად ახლებურად წარმოაჩინა გიორგი წერეთლისა და სხვა განმანათლებელთა დამოკიდებულება რევოლუციონერ ახალგაზრდობასთან „მესამე დასელებთან“.

გამომსვლელებმა დისერტანტი დაახასიათა როგორც ბეჯითი,შრომისმოყვარე ახალგაზრდა,რომელიც ასპირანტურის მიმღებ კომისიას ახსოვს გააზრებული პასუხებითა და მრავალმხრივი განათლებით. მიუხედავად იმისა, რომ დისერტანტი არის საშუალო სკოლის მასწავლებელი და დიდ დროს უთმობს პრაქტიკულ საქმიანობას, მან მაინც ასპირანტისათვის განკუთვნილ ვადაში მოასწრო დისერტაციის გაფორმება და დაცვა, რაც იმაზე მეტყველებს რომ მისი სახით მონდომებული და სერიოზული მკვლევარი გვეყოლება.

სერგო სერგოს ძე ვარდოსანიძის სადისერტაციო ნაშრომის ავ-კარგზე უფრო დაწვრილებით პატივცემული ოპონენტები ისაუბრებენ. მე მიმაჩნია, რომ ის იმსახურებს ძიებულ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხს.

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე: პროფესორი გრიგოლ მარგიანი. საჭიროა ხმის დამთვლელი კომისიის შექმნა. წინადადება შემომაქვს შეიქმნას ხმის დამთვლელი კომისია,შემდეგი შემადგენლობით: 1. ისტორიის მეცნიერებათა

დოქტორი მ. ნათმელაძე,2. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ი. უოურაშვილი, 3. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ო. პაპუაშვილი.

არის სხვა წინადადება? არა. ამრიგად ხმის დამთვლელი კომისია არჩეულია ერთხმად. ღია კენჭისყრით. იწყება ფარული ხმის მიცემა.

საბჭოს სხდომა დროებით შეწყდეს.

ხმის მიცემის შემდეგ დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე თენგიზ შ. პაპუაშვილი სპეციალიზირებულ საბჭოს მოახსენებს ფარული კენჭისყრის შედეგებს.

შესვენების შემდეგ

თავმჯდომარე: სპეციალიზირებული საბჭოს სხდომა გრძელდება. ფარული კენჭისყრის შედეგების შესახებ სიტყვა ეძლევა ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე ი.მ.დ. ო.გ. პაპუაშვილს. ყუთის გახსნის შემდეგ, რომელიც მიეძღვნა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სპეციალობით 07.00.07 ისტორია სერგო სერგოს ძე ვარდოსანიძის სამეცნიერო ხარისხის მინიჭების კენჭისყრას. დადებითი ხმა მისცა 15, უარყოფითი 1, გაუქმებული ბიულეტენი არ არის.

P.S. მელიქიშვილის ქუჩაზე რამდენჯერაც ჩავივლი ყოველთვის მახსენდება ის დღე, როდესაც ჩემმა უფროსმა კოლეგებმა დადებითად შეაფასეს ჩემი საკვალიფიკაციო ნაშრომი და გზა დამილოცეს მეცნიერებაში, დისერტაციის მსვლელობის სტენოგრამა, დისერტაცია და ავტორეფერატი (რუსული ვარიანტი) დასამტკიცებლად გაიგზავნა მოსკოვში (მაშინ ჩვენ ხომ საბჭოთა კავშირში ვცხოვრობდით)...

1990 წლის ივლისში „Bak“-მა დაამტკიცა დისერტაცია და გამოგზავნა სათანადო დოკუმენტი... ამიერიდან ჩემს ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო.

სერგო ვარდოსანიძე